N14 (565) 7/IV-13/IV-2011 ფასი 1 ლარი



## ქართული პროზის საგანძური

ტომი №58

შიო არაგვისპირელი

# გაბზარული გული

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

ნაირა გელაშვილი

## რით სჯობიან უკრაინელი ქალები ქართველებს?

## ვის აღარ სჭირდება ჯაბა კილაძე?

## ყურადსაღებია თუ არა, რამდენჯერმე განათხოვარი ქალის რჩევები?

## რისი ეშინიათ მამაკაცებს?

# ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ამბავი



„ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ადამიანი მიყვარდა“...



## ქუჩის ბავშვები

„დედას სხვა ქმარი ჰყავს. მისი შვილიც მათხოვრობს“...

„ყოველდღე სახლში 6 ლარი უნდა მივიტანო“...

ISSN 1987-5029

# გააკეთე ერთიანი შესყიდვა! მომარაგდი ჰიპერმარკეტ „გუდვილში“!

**„გუდვილისგან“ სიახლეები უკვე ტრადიციად იქცა. სეზონური აქციები, ინოვაციური შეთავაზებები, საინტერესო პროექტები და უმაღლესი ხარისხი — ეს „გუდვილის“ ნიშაა.**

**ჰიპერმარკეტი ამჯერადაც საინტერესო აქციას სთავაზობს თავის მომხმარებელს. ამის შესახებ „გუდვილის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, თეა გოცაძეს ვესაუბრეთ.**

**— რა აქციას სთავაზობს „გუდვილი“ მომხმარებელს და რა შედის სააქციო პროდუქტების ნუსხაში?**

— ჰიპერმარკეტი „გუდვილი“ იწყებს წინასააღდგომო აქციას, რომელიც ძალაში შედის 2 აპრილიდან და გრძელდება 19 აპრილის ჩათვლით. მომხმარებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეიძინონ პროდუქტები ყველაზე მინი ფასად. ბოლო ერთი წლის განმავლობაში საკვებ პროდუქტებზე ფასებმა 30-დან 50%-მდე მოიმატა. ამ ფონზე, ჩვენს მომხმარებლებს საჩუქარს ვუკეთებთ და საშუალებას ვაძლევთ, სააღდგომო სუფრისთვის შეიქმნან პროდუქტის მრავალფეროვანი მარაგი ყველაზე მინი ფასად. აღსანიშნავია, რომ აღდგომა ყველა ქრისტიანისთვის უდიდესი დღესასწაულია და ყველა ცდილობს, მომარაგებული პროდუქტებითა და მრავალფეროვანი სუფრით შეხვდეს ამ დღეს. სწორედ ეს არის ამ აქციის მიზანი. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა და შევისწავლეთ ბაზარი, აქციაში შევიტანეთ ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტები, ყველაზე დაბალ ფასად მთელ თბილისში. მომხმარებლებმა უნდა იჩქარონ და მოასწრონ ამ პროდუქტების მომარაგება 2 აპრილიდან 19 აპრილის ჩათვლით მხოლოდ ჰიპერმარკეტ „გუდვილში“. სააქციო პროდუქტების ნუსხაში შედის: რძის პროდუქტები, ბურღულეული, კონსერვები, საყოფაცხოვრებო ქიმია, ჰიგიენური ნაწარმი. ერთიანი შესყიდვის შემთხვევაში მომხმარებელი იგრძნობს, თუ რამდენად მოგებული დარჩება ჰიპერმარკეტში განხორციელებული სააღდგომო შესყიდვით.

**— „გუდვილი“ მსგავსს აქციებს ხშირად სთავაზობს საზოგადოებას. ალბათ ეს გაყიდვებზეც აისახება...**

— ბოლო, მინი ფასების აქცია საგაზაფხულო დღესასწაულებთან დაკავშირებით ჩატარდა და მომხმარებელთა დიდი კმაყოფილება დაიმსახურა. აქციაში შესული პროდუქტების რეალიზაციამ ამ დღეების განმავლობაში, წინა პერიოდთან შედარებით, 101%-იანი ზრდა აჩვენა.

„გუდვილი“ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს საჩუქრებითა და სიურპრიზებით მიულოცავს მისი კლუბის წევრებს, რომელთა რაოდენობამ 100000-ს გადააჭარბა.

კომპანია ახლო მომავალში ინოვაციურ სერვისს შესთავაზებს მომხმარებლებს, კონკრეტულად, ეს იქნება ინტერნეტსუპერმარკეტი, სახელწოდებით — „გუდვილ დილივერ“.

გააკეთე სააღდგომო პროდუქტების მარაგი!

მომარაგდი ჰიპერმარკეტ გუდვილში!

შეიძინე 500 დასახელების

საკვები პროდუქტი და

ჰიგიენური საშუალებები

ყველაზე მინი ფასად



2დან – 19 აპრილის ჩათვლით

www.goodwill.ge

# franco fontana

italy



2011 წლის ახალი სავალენტინო
კოლექციით გილოცავთ
სიყვარულის
დღეს!



მობრძანდით franco fontana -ში
და შეიძინეთ ძვირფასი საჩუქარი
თქვენთვის ძვირფასი ადამიანისთვის!





franco fontana
გთავაზობთ ცნობილი
იტალიური ბრენდების
ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობების
ახალ კოლექციას!

**franco fontana გემოვნებიანი ადამიანების არჩევანი**

რუსთაველის 26 ☎18-10-47; პეკინის 7 ☎30-65-56; ჭავჭავაძის 21 ☎18-10-46;
დადიანის 7,☎18-14-15 (ქარვასლა I სართული)

# Elos სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი



## სხეულზე პროცედურები

**Elos — ეპილაცია** წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

## სახის პროცედურები

**Elos გაახალგაზრდავება** — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

**ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე**

# 29 00 66   29 47 47

**თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge**




## „კვირის პალიტრის“ კოლექცია

# „დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

**წიგნი XVIII**

# დელაკრუა

# 4-დან - 11 აპრილამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII, XIV, XV და XVI ტომი, წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!

**ყურადღება:**







„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

№14 (565)
7 — 13 აპრილი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
მზა

## ქვეყანა



### „როგორ ფიქრობთ, მამაჩემის ბიზნესის მეწილე არ ვიქნები?“

„ცოტას მშობლებიც დამეხმარნენ. თუმცა იმ დროს საკუთარი ბიზნესიც მქონდა. სხვათა შორის, ძალიან კარგი პერიოდი გამახსენეთ. მეგობრის მამასთან ერთად ბეტონმრევებისა და ნახევრად ავტომატიზებული ბლოკების დამამზადებელ საამქროს ვამუშავებდი“.

16

## სახე



### რას ზვერავდა ნანული სარაჯიშვილი თელავის ბაზარში?

„სიმართლე გითხრათ, ძალიან ვნანობ, რომ ოჯახი არ შევქმენი, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი უკვე გვიანია. კარიერაზე ზრუნვაში ძალიან გავერთე, ხან გასტროლზე ვიყავი, ხან როლზე ვმუშაობდი...“

26

■ მინიატიურები 5
„გაგიმარჯოთ!“

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ სამართალი 7
ჰააგის მართლმსაჯულების გადაწყვეტილება — დიდი პოლიტიკის შედეგი თუ ქართული დიპლომატიის მარცხი?

■ საზოგადოება 10
„რატომ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენ მიერ გაღებული მოწყალებით ის ბავშვი არ წავა და წებოს არ იყიდის?“

■ სახელმწიფო 12

■ თაობა 14

■ დეკლარანტები 16
„როგორ ფიქრობთ, მამაჩემის ბიზნესის მეწილე არ ვიქნები?“

■ ეკრანს მიღმა 18
ერთი კავალრის ამარა დარჩენილი ქეთევან კანტიძე

■ კულისები 20
დილის ახალი გადაცემის ახალი სტრატეგია ანუ „ახლა აღარ იფლირტავებენ“

■ გასტროლი 23
„მგზავრების“ უკრაინული ვოიაჟი ანუ სად მიკი მაუსი და სად — რქები?!

■ მსახიობი 26
რას ზვერავდა ნანული სარაჯიშვილი თელავის ბაზარში?

■ ამპლუა 28
„არ გამიკვირდება, ხვალ რომ შევიტყო — ია და სალომე გათხოვდნენ“

## ცხოვრება

### პრეზიდენტის სახელით უნარშეზღუდულები მოატყუეს



„უამრავი ტკივილი და იმედგაცრუება გადავიტანეთ, ამის გახსენებაც აღარ მინდა... ახლა მედიცინა წინ წავიდა. მათთვის ტომოგრაფიის გადაღება მინდა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, ვერ მოვახერხე“.

32

## მზა ვნილები

### ყველაზე მხიარული ამბავი



„ჰოდა, ამ ჩვენს მდიდარ ბაბუას რამდენიმე შვილიშვილიც ჰყავს. ერთ-ერთს 18 წელი რომ შეუსრულდა, ბაბუმ თბილისში, „ტოიოტას“ ცენტრში წაიყვანა მანქანის საყიდლად“.

64

■ გასაჭირი 30
„საქმე ის არის, ცოცხლობდე მაშინ, როცა სიცოცხლე მართლა ძნელია“

■ წუთისოფელი 32
კავკასიის ქედზე მებრძოლი ქართველი მეომარი

■ პრობლემა 34
რა ჯდება თირკმლის გადანერგვა საქართველოში?

■ კონკურსანტი 35
რატომ „შეაწერეს“ კახელ კონკურსანტს 20 ლიტრი ღვინო...

■ თინეიჯერული პონტები 36
რისი ეშინიათ კაცებს

■ გარემო 38
ვარდების ბაღი — პატარა სამოთხე პლატოზე

■ ისტორიის ლაბირინთები 40
ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ამბავი

■ ტაძარი 43
ხარება იქმნა დასაბამად კაცობრიობის ხსნისა

■ ერუდიტი 44
„რატომ მტანჯავ, რა დაგიშავე?“

■ ანტიდეპრესანტი 46

■ ავტო 46

■ საკითხავი ქალებისათვის 48

■ ჯანმრთელობა 49

■ წვეთი პოეზია 52

■ რეალური 53
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ ქართული დეტექტივი 56
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)

■ რომანი 60
სვეტა კვარცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)

■ გზავნილები 64
ყველაზე მხიარული ამბავი

■ ყველა ერთისათვის 68

■ მობილი-ზაცია 70

■ სამყარო 76

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ საფირმო კროსვორდი 82

## სამყარო



# ვარდების ბაღი — პატარა სამოთხე პლატოზე

„ერთ დღეს დედა სოფიო მართლაც გვესტუმრა, ვარდების პლანტაცია დაათვალიერა და წასვლისას გვითხრა, აქ პატრიარქი უნდა მოვიდესო“.

40

## ბიბლუსი






— ალო, გოგლა ლაღიძე ბრძანდებით?
— დიახ.
— გამომძიებელი ჩაჩანიძე ვარ.
— ვინ?
— ამ ცოტა ხნის წინ, იაშვილის სურათთან დაკავშირებით რომ ვიყავი თქვენთან.
— მაგრამ ხომ გითხარით, რომ...

56

## ტაიმ-აუტი



# შოკოლადის საუკეთესო მუზეუმები

იქ გამოფენილია ყველა ქვეყ-ნის, ფორმის, ზომისა და შემადგენლობის ნუგბარი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოქმედი შოკოლადის ტრამვაი.

77

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.



# „გაგიმარჯოთ!"

**შესავლის ნაცვლად** „ოპოზიციური რვიანი" ხომ გაგიგიათ? აი, მაგათზე მაგრად მეცინება ხოლმე...

არა, იმაში გეთანხმებით, რომ ზოგი მათგანი (ზოგი-მეთქი!) სხვა ოპოზიციონერებსა და, მით უმეტეს, ნაციონალებზე მეტად სერიოზულები და, ასე ვთქვათ, „არასასაცილოები" არიან, მაგრამ მაინც — რომ ვუყურებ, სულ პატარა ბავშვები მახსენდება, „ჭკვიანი და საყვარელი" ბავშვები, „დიდურ თამაშებს" რომ თამაშობენ ხოლმე: „სახლობანას", „სამსახურობანას" და ა.შ.

აი, ახლაც დასხდნენ, იმუშავეს, ტვინები იჭყლიტეს (ჰყავთ ამ ორგანოს მქონე ადამიანებიც, ტვინს ვგულისხმობ) და ხელისუფლებას კიდევ ერთი ახალი პროექტი წარუდგინეს: როგორ უნდა ჩატარდეს ნორმალური არჩევნები.

ჰოდა, რა არის ბავშვური და სასაცილო მაგაშიო? — იქნებ იკითხოს ვინმემ.

რა და, ბავშვი თუ არ ხარ (ვცდილობ, კორექტული ვიყო), ვერ უნდა მიხვდე, რომ არ აინტერესებთ ამ... „დალოცვილებს" (ისევ ზეკორექტული ვარ) და დაანებეთ თავი, რა...



მაგათ, მგონი, მართლა „სახალხო კრება" სჯობს — აგე, აქცია ჩაატარეს უზენაესი სასამართლოს შენობის წინ, კვერცხები ესროლეს ფანჯრებს, თავიც დააჭერინეს და „ბურჯანაძე ენდ კომპანის" პოლიტიკური განცხადებების გაკეთების საშუალებაც მიეცა!

ესენი კიდე... ხელისუფლებასთან თანამშრომლობა არა...

ხელისუფლებას სულ სხვა პრობლემები და სიხარულები აქვს — აგერ, რამდენიმე თვეში, ისეთი პირი უჩანს, რომ ჩვენი საყვარელი სამშობლო მორიგ „გამარჯვებას იზეიმებს" (როგორც 2008-ის აგვისტოში გვაზეიმა მიშაუფროსმა) — რუსები გაგრის ოფიციალურად გადაცემას ითხოვენ აფხაზებისგან. უარს ეტყვიან, თუ რა?

პრინციპში, არა უშავს — ჩავა მერე კუკავა და დაიბრუნებს; დავითაშვილმა თუ მოიცალა და ისიც თუ გაჰყვა, გაგრას იქნებ სოჭიც „გადმოაყოლოს" ჟირინოვსკიმ (მაგათ ხელი აქვთ ჩამორთმეული, ხომ იცით?! ტელევიზორში კი ჩანდა ისე, რომ ესენი ხელგაშვერილი და გაღიმებულები დატოვა იმ გიჟმა, როგორც იტყვიან — „დინამო გაუკეთა"; მაგრამ ესენი ირწმუნებიან, კამერების „წასვლის" მერე „ვიზასავეთო").

საერთაშორისო ასპარეზზეც „გავიმარჯვეთ". გასულ კვირაში ებრაელ ბიზნესმენებს ქართულმა სასამართლომ 6-7 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მეორე დღესვე გამოქვეყნდა ცნობა, რომ ისრაელს აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის დელეგაცია ეწვია და რაღაცები დაგეგმეს აფხაზეთში ინვესტირებასთან დაკავშირებით.

მართალია, ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ეს ფაქტები ერთმანეთთან კავშირში არ არისო (ქობალია და ბაქრაძე რომ არ ჩაუშვეს ისრაელში, არც ისო), მაგრამ მე შარზე ვარ და მაინც მგონია, რომ ეს არ უნდა იყოს დამთხვევა.

სხვათა შორის, ისრაელის პრეზიდენტი, შიმონ პერესიც „შარზეა" — კიდევ ერთხელ დაურეკავს სააკაშვილისთვის და გასამართლებულების გამოშვება უთხოვია (ისე, მგონი, ვხვდები: ეს — ჩვენი, ალბათ მაგრად „კაიფობს", როცა ამ დონის ლიდერი ურეკავს და რაღაცას სთხოვს... კიდევ ერთი დარეკვა და, გაათავისუფლებს იმ ხალხს).

ეჰ, ფეხბურთი კი წავაგეთ ისრაელთან... სამაგიეროდ, ფეხბურთთან დაკავშირებით ერთი „დიდი გამარჯვება" კიდევ მოიპოვა საქართველომ: ებრაელი ბიზნესმენებისა არ იყოს, ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძესაც 6 წელი მიუსაჯეს, — როგორ თუ ვიღაც ყაჩაღსა და „მაზავშიკს" ბავშვობიდან იცნობო!

ისე, მე დემეტრაძის ამბავში ყველაზე დიდ „გამარჯვებად" ის მიმაჩნია, რომ მის დასაცავად მხოლოდ კალაძემ აიმაღლა ხმა, დანარჩენები კი კურდღლებივით მამაცად ჩასაფრდნენ სოროებში და პრესკონფერენციაზეც არ დაუსხდნენ გვერდით თავიანთ კაპიტანს... (არადა, „ბავშვები" არიან და არ იციან, რომ ასეთი დამოკიდებულებით იქამდე მივლენ, რომ მალე შეიძლება, მორიგი თამაშის წაგებისთვის დაიჭირონ — „გამარჯვებების" საერთო სურათის გაფუჭებისთვის)...

ერთი სიტყვით, გასული კვირით კმაყოფილი ვარ — სულ „გამარჯვებით ვიარეთ"!

**P.S.** **ჰაიტიზე ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და გამარჯვება იქაურმა პოპულარულმა მომღერალმა მოიპოვა, რომელსაც „ტკბილი მიკი" ჰქვია (იგივე მაიკი, მაიკლი, მიხეილი, მიშა)!**

**ეეჰ, ჰაიტელებო, თქვე გოიმებო! თქვენ სად იყავით, ჩვენ რომ უკვე არჩეული გვყავდა ჩვენი „ტკბილი მიკი"!**

**ტკბილი კი არა — უტკბილესი...**

P.P.S. **იცით, თურმე ახალგაზრდობაში კადაფის რას ეძახდნენ?! სწორად გამოიცანით — „ტკბილი მუამარი"!!!**

***პროვოკატორი***

**ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:**
provokatori67@gmail.com



# ქვეყანა

## ავიაკატასტროფა კონგოში




კონგოში ქართული თვითმფრინავის ავიაკატასტროფის ადგილზე შავი ყუთი აღმოაჩინეს. როგორც „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელმა, ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ, გიორგი კარბელაშვილმა განაცხადა, სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი უკვე შექმნილია და ავარიის ზუსტ მიზეზებს სწავლობს. შეგახსენებთ, რომ კომპანია „აირზენას“ კუთვნილმა თვითმფრინავმა, რომელიც გაეროს მისიას ემსახურებოდა, კონგოში ავიაკატასტროფა 4 აპრილს განიცადა. ბორტზე სულ 33 ადამიანი იმყოფებოდა, აქედან — 4 ეკიპაჟის წევრი და 29 მგზავრი. დაღუპვას მხოლოდ 1 ადამიანი გადაურჩა, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაღუპულთა შორის, ქართული ეკიპაჟის წევრები არიან: ახალციხის რაიონის მკვიდრი, 22 წლის სულიკო ცუცქირიძე, 21 წლის ქუთაისელი გურამ კეპულაძე, ალბერტ მანუკოვი და ალექსეი ოგანესიანი. გიორგი კარბელაშვილის თქმით, ეკიპაჟის ახალგაზრდა წევრებს საერთაშორისო სერტიფიკატი ჰქონდათ მიღებული. ამ ეტაპზე ავიაკატასტროფის მიზეზად არახელსაყრელ ამინდს ასახელებენ: კონგოს დედაქალაქ კინშასასთან თვითმფრინავი ტროპიკულ წვიმაში მოყვა. ცნობილია, რომ ამ ქალაქის აეროპორტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საშიშია; თვით კონგოს რესპუბლიკაში დარეგისტრირებული ავიაკომპანიები კი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ შავ სიაში არიან შეყვანილი და მათ სივრცეში ფრენა აკრძალული აქვთ. ■

## ფეხბურთი მონასტერში



მსოფლიოში ცნობილ შაოლინის მონასტერში ახალი სკოლა დააარსეს, სადაც ბერებს ფეხბურთის თამაშს ასწავლიან. მონასტრის წინამძღვრის ეს არაორდინარული გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ ჩინეთში ფეხბურთის დონე საკმაოდ დაბალია, სასულიერო პირების მხრიდან ასეთმა დაინტერესებამ კი შესაძლოა, მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვალოს. წინამძღვარმა — ში იანლუმ 40 ახალგაზრდა კანდიდატი უკვე შეარჩია. მათ მწვრთნელი ავარჯიშებს. ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეს გუნდი მფარველობის ქვეშ აიყვანა და 1000 ბურთიც აჩუქა. ■

## მსოფლიოში ყველაზე პატარა ქალი



ინდოელი ჯიოტი ამჯი (Jyoti Amge) 11 გირვანქას ანუ დაახლოებით 5 კგ-ს იწონის, მისი სიმაღლე კი 57,5 სანტიმეტრია. ჯიოტი 18 წლისაა. დაბადებისას 1200 გრამს იწონიდა. მშობლები ყოველდღე მის სიკვდილს ელოდნენ, მაგრამ გადარჩა. ჯიოტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი არ არის, მაგრამ ძვლების ტრანსფორმაციის გამო, ბოლო დროს სიარულთან დაკავშირებით პრობლემები აქვს. ■

## კადაფის ორი ვაჟი მამის დამხობის მომხრეა

მუამარ კადაფის ორი ვაჟი მამის დამხობისა და სეიფ ალ-ისლამ კადაფის ხელმძღვანელობით დემოკრატიული მმართველობის დამყარების მომხრეა. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ინფორმაციით, ამ გეგმის ავტორები სეიფ ალ-ისლამი და საადი ალ-კადაფი არიან. როგორც გამოცემის კორესპონდენტი წერს, გეგმის დამადასტურებელი ის ფაქტიცაა, რომ სეიფ ალ-ისლამის თანაშემწე ლონდონში ჩავიდა და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ წევრებს დეტალური გეგმა წარუდგინა, რომლის მიხედვითაც, ძალაუფლება კადაფისგან მის შვილებზე გადავა. შეგახსენებთ, რომ კადაფის სულ 7 ვაჟი ჰყავს. ყველა მათგანი სახელმწიფო სამსახურშია. ლიბიის ოპოზიციური გარდამავალი ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა, შამსედინ აბდულმელაჰიმ განაცხადა, რომ საბჭო ქვეყნის მმართველობას მუამარ კადაფის არც ერთ ვაჟს არ გადააბარებს. ოპოზიციის წარმომადგენლის თქმით, კადაფიმ და მისმა ვაჟებმა რეჟიმის შეცვლის შესახებ ნებისმიერი მოლაპარაკების დაწყებამდე ხელისუფლება უნდა დატოვონ. აბდულმელაჰიმ კადაფის ვაჟებს „მშობლების ასლი“ უწოდა და განაცხადა, რომ ლიბიის ქალაქების დაბომბვებისა და საარტილერიო შეტევის შემდეგ, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ პენსიაზე მშვიდად გასვლის ყოველგვარი უფლება დაკარგა. ■

*გამოყენებულია ინტერნეტ-პორტალ ambebi.ge-ს მასალები*

*რუბრიკა მოამზადა*
***ხათუნა ბახტურიძემ***

# ჰააგის მართლმსაჯულების გადაწყვეტილება

## — დიდი პოლიტიკის შედეგი თუ ქართული დიპლომატიის მარცხი?

**10 ხმით 6-ის წინააღმდეგ, ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელი განხილვას აღარ ექვემდებარება. სამაგიეროდ, სასამართლომ უარყო რუსეთის მტკიცება, თითქოს ის არ წარმოადგენდა მხარეს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში... მართალია, ხელისუფლების პროპაგანდის შედეგად, ქართველი საზოგადოება ბევრად მეტს ელოდა, მაგრამ ამას ქართული დელეგაციისთვის უხერხულობა სულაც არ შეუქმნია — კონფლიქტში მონაწილე მხარედ სასამართლოს მიერ რუსეთის წარმოჩენას აშკარა გამარჯვებად მიიჩნევს. დელეგაციის ხელმძღვანელის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის თინა ბურჯალიანის თქმით, თუ საქართველო მოლაპარაკების გზით პრობლემის მოგვარებას შეეცდება, საერთაშორისო სასამართლოში დაბრუნების იურიდიული და ტექნიკური შესაძლებლობა ექნება.**

ლალი პაპასკირი

*„ვიცოდით, რომ ეს ბრძოლა იოლი არ იყო, ვინაიდან რუსეთი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ყველაფერს აკეთებს, მაგრამ არც ჩვენ ვისხდებით გულხელდაკრეფილი. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა რუსეთმა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამო პასუხი აგოს“, — განაცხადა მან.*

*ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებას საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის — REDRESS იურისტმა სერგეი გოლუბოკმა განაცხადა, რომ ჰააგის სასამართლომ ორ სახელმწიფოს შორის მწვავე პოლიტიკურ დავაში ჩარევას, შეგნებულად აარიდა თავი.*

*„ეს არის ბოლო დროს საერთაშორისო სასამართლოში ჩამოყალიბებული ტენდენცია, რომელსაც სხვადასხვაგვარად უნდა მიუდგე: მოსამართლეთა უმრავლესობა ყოფილი დიპლომატია და ისინი მწვავე დებატებში ჩაბმას ყოველთვის ერიდებიან. თუ ათწლეულების გადასახედიდან ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ ეს ყველაზე სწორი მიდგომაა, ვინაიდან მსოფლიოში თითქმის ყველა დავა და კონფლიქტი დიდი პოლიტიკის ანგარიშგაწევით წყდება. მართალია, საქართველო შეცდომებზე არ სწავლობს, მაგრამ სანამ ევროპას არაპროგნოზირებადი, მაგრამ საჭირო რუსეთის შიში ექნება, რეალობა არ შეიცვლება... შესაძლოა, ასეთი გადაწყვეტილება ქართველი დიპლომატების არაპროფესიონალიზმს დააბრალონ, რასაც ვერ დავეთანხმები. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია ასეთია: განაჩენის სამართლიანობა მოსამართლეების სინდისზე იყოს“.*

*ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებას საერთაშორისო სამართლის ქართველი ექსპერტი, პროფესორი* ***ლევან ალექსიძე*** *ასე განმარტავს:*

— სანამ უშუალოდ შედეგზე გადავიდოდეთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ მოგახსენებთ: ჰააგაში რამდენიმე სასამართლო არსებობს. ამას იმიტომ ვაკონკრეტებ, რომ ზოგიერთ ინფორმაციაში ნათქვამია, თითქოს საქმე განიხილა ჰააგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ. სინამდვილეში, ჰააგაში ასეთი ტიპის სასამართლო არც არსებობს. იქ არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, იუგოსლავიის მოვლენებთან დაკავშირებით მოქმედი ტრიბუნალი და გაეროს დაარსების დღიდან არსებული გაეროს საერთაშორისო სასამართლო ანუ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოებს შორის არსებულ საქმეებს იხილავს. იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარე მეორეს უჩივის და მეორე „უარზეა“, სასამართლო სარჩელს არ მიიღებს... საქმე ის არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები (კონკრეტულად, იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანი) აქტიურად უწევდნენ პროპაგანდას გაეროს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანას. ამ პოზიციის დასაბუთება დღემდე გრძელდება. ქართულმა მხარემ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი ნაჩქარევად, 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა. არადა, ასეთი რამ ასე ნაუცბადევად არ ხდება. საერთაშორისო სასამართლო ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც საქმეებს წლების განმავლობაში იხილავს. გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოსა და რუსეთს შორის ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით დავა 90-იანი წლებიდან მოყოლებული, 2008 წლის აგვისტომდე არ არსებობდა. ეს საკითხი საქართველომ მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს წამოჭრა. რუსეთს სურდა, ჩვენს სარჩელზე მხარედ არ ელიარებინათ, მაგრამ სასამართლომ მისი მოთხოვნა არ გაითვალისწინა... ქართული მხარის შეცდომა ის არის, რომ მან სასამართლოს არასწორად მიმართა: „კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“, რომელსაც ქართული მხარე თავის სარჩელში უთითებს და რის გამოც რუსეთი ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში, შესაძლოა, სარჩელის საფუძველი იყოს, მაგრამ საქართველომ ამ





ქართულმა მხარემ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში საქმე სარჩელის არასწორად შეტანის გამო წააგო

კონვენციის სრულად ასამოქმედებლად ის წინა პირობები არ დაიცვა, რითაც სასამართლოში რუსეთის მიყვანა შეიძლებოდა.

— **რაში მდგომარეობს წინა პირობები?**

— უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები და მოსარჩელე მხარე შეეცადოს პრობლემის მოლაპარაკებებით მოგვარებას. თუ ეს გზა ეფექტიანი არ აღმოჩნდება, მაშინ არსებობს რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტი, სადაც საკითხის განხილვა 5-პუნქტიანი პროცედურის დაცვით უნდა წარიმართოს. ანუ ყველაფერს მნიშვნელობა აქვს — ჩივილის ფორმას, საქმის განხილვას და იმასაც, თუ როგორ უნდა აცნობონ რუსეთს ამის შესახებ. ამ შემთხვევაში, არც ერთი პუნქტი არ შესრულებულა. ამიტომაც, სასამართლოს გადაწყვეტილებაში გაჩნდა ჩანაწერი — ქართულმა მხარემ აღიარა, რომ რუსეთის წინააღმდეგ რასობრივი დისკრიმინაციის საერთაშორისო კონვენციის ასამოქმედებლად, ყველა ეტაპი და პროცედურა არ გაუვლია. ანუ ქართულმა მხარემ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში საქმე სარჩელის არასწორად შეტანის გამო წააგო. შედეგად მივიღეთ ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით რუსეთი — მხარეა, მაგრამ — მხოლოდ აგვისტოს ომის შემდეგ. სასამართლოს ვინმეს ბრალეულობა და დამნაშავეობა არ განუსაზღვრავს. სარჩელში საქართველო მიუთითებდა, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს რეგიონებში: ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რასობრივი დისკრიმინაცია და ეთნიკური წმენდა 20 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, რაც სასამართლომ უარყო.

— **თქვენ ბრძანეთ, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ქართული მხარის სარჩელის მიღების უფლება არ ჰქონდა. მაშ რატომ შეიტანა ჩვენმა ხელისუფლებამ სარჩელი, ან ჰააგის სასამართლომ რატომ მიიღო განსახილველად?**

— 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დასრულების შემდეგ, საერთაშორისო სამართლის ცნობილმა პროფესორმა, ანტონიო კასესემ, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო სასამართლოსა და ტრიბუნალს თავმჯდომარეობდა, 2008 წლის 1-ელ სექტემბერს, გაზეთ „გარდიანში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით — „მგელი, რომელმაც შეჭამა საქართველო“. კასესე საქართველოს მიმართ რუსეთის ნამოქმედარსა და პოზიციას აცამტვერებს, მაგრამ იმავე სტატიაში აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარი იყო, რატომ მიმართა საქართველომ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს და არა — სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. ის, რაშიც ჩვენ რუსეთს ვადანაშაულებდით, სისხლის სამართლის სასამართლოს კომპეტენციაა... კრიტიკის მიუხედავად, ტრაგიკული არაფერი მომხდარა, მაგრამ ქართულმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს პროცესი რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტში უნდა დაიწყოს, სადაც ამ საკითხის განხილვას 2 წელი მაინც დასჭირდება. თუ ამ კომიტეტში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მერე უკვე შეიძლება მიმართოს სასამართლოს... სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია და არ მახსოვს, მსგავსი შეცდომა დაეშვას. გაუგებარია — სახელმწიფო მოხელემ წინასწარ იცოდეს, რომ რისკი არსებობს, მაგრამ მაინც ამ ნაბიჯს დგამდეს და მით უმეტეს, ძვირად ღირებულ ადვოკატებს ქირაობდეს. ჩვენი მხარის მიერ დაქირავებული ადვოკატების პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც მაღალკვალიფიციური ადვოკატიც უძლურია.

**ნიკა ჩიტაძე,** *პოლიტოლოგი:*

— ჰააგის მართლმსაჯულების სასამართლო ანუ გაეროს საერთა-

**სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოსა და რუსეთს შორის ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით დავა 90-იანი წლებიდან მოყოლებული, 2008 წლის აგვისტომდე არ არსებობდა. ეს საკითხი საქართველომ მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს წამოჭრა...**

რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



ქართულმა მხარემ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი ნაჩქარევად, 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა

შორისო სასამართლო, ორ ან მეტ ქვეყანას შორის არსებულ დავებს განიხილავს. ასე რომ, სწორედ ის არის კომპეტენტური, განიხილოს და წარმოებაში მიიღოს ასეთი საკითხი, მაგრამ სამწუხაროდ, 6-მა მოსამართლემ უარი განაცხადა, რაც გარკვეულ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაშიც ისე მოხდა, როგორც მაშინ, როცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა რუსეთს გაუწია ანგარიში და 2014 წელს ოლიმპიური თამაშების სოჭში ჩატარება გადაწყვიტა... როცა ქართული მხარის მიერ სარჩელის არასწორად შეტანაზე ლაპარაკობენ, საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ უკრაინასა და რუმინეთს შორის სადავო კუნძულთან დაკავშირებული დავაც იმავე სასამართლომ განიხილა. გარდა ამისა, 80-იანი წლების ბოლოს, იმავე ორგანიზაციაში ნიკარაგუამაც


მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის — საერთაშორისო სასამართლომ „რუსეთის თამაში ითამაშა“

შეიტანა სარჩელი ამერიკის წინააღმდეგ, მანამდე კი ბრიტანეთმა და ნორვეგიამ გაარკვიეს ტერიტორიული დავის საკითხი. პარალელად გამოდგება, სერბების გასამართლება კოსოვოს გამო. სხვათა შორის, რუსეთისგან განსხვავებით, სერბები საკუთარ მიწაზე მოქმედებდნენ. საერთაშორისო სასამართლომ მაშინაც ორმაგი სტანდარტით ისარგებლა — კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას იურიდიული ძალა არ ჰქონდა. ეს ახალაღიარებული სახელმწიფო მანამდე სერბეთის შემადგენელი ნაწილი იყო. არადა, საერთაშორისო სამართალი სახელმწიფო საზღვრის დაცვის პრინციპებს აღიარებს... ასე რომ, მხოლოდ და მხოლოდ ამ ორგანიზაციას შესწევს ძალა, ასეთი ტიპის დავები განიხილოს და როცა ქართული მხარის შეცდომაზე ლაპარაკობენ, ამას არ ვეთანხმები... ასე რომ, მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის — საერთაშორისო სასამართლომ „რუსეთის თამაში ითამაშა“. საერთაშორისო სასამართლოში თითქმის მთელი მსოფლიოა გაერთიანებული, მათ შორის ევროპის იმ ქვეყნების წარმომადგენლები, ვინც ბოლო დროს

**ამ შემთხვევაშიც ისე მოხდა, როგორც მაშინ, როცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა რუსეთს გაუწია ანგარიში და 2014 წელს ოლიმპიური თამაშების სოჭში ჩატარება გადაწყვიტა...**

რუსეთს ოკუპანტად მოიხსენიებენ, მაგრამ დიდი რუსეთის ენერგორესურსებისა და ეკონომიკური ინტერესების წინაშე ყველა უძლურია. საერთაშორისო საზოგადოებაში მას „რეალპოლიტიკა“ ეწოდება.

**— როგორ ფიქრობთ, ასეთი შედეგი წინასწარ ვერ განჭვრიტა ხელისუფლებამ?**

— იცით, ბევრ საკითხში მეც დაუნდობლად ვაკრიტიკებ ხელისუფლებას, მაგრამ ამ შემთხვევაში საყვედურის თქმა უსამართლობა იქნებოდა. მთელ მსოფლიოში ეს ერთადერთი ორგანიზაციაა, სადაც სახელმწიფოთა შორის დავები განიხილება. რომ არ შეეტანა სარჩელი, მაშინ იტყოდნენ, — იმიტომაც არ შეიტანა სარჩელი, რომ თავად დაიწყო ომიო... თუ ჰააგის სასამართლოს მოსამართლეებმა, უკაცრავად და, თავიანთ სინდისს მიაფურთხეს, ხელისუფლების დადანაშაულება უსამართლობა იქნება.

**— კიდევ ერთ საკითხზე უნდა გკითხოთ: ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გართულება მოჰყვა. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— ამას წინათ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ისრაელი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებს, მაგრამ არა მგონია, ასე მოხდეს, რადგან ისრაელსაც ასეთივე პრობლემა აქვს — პალესტინის ავტონომიასა და ღაზის სექტორს ვგულისხმობ. ერთს „ჰამასი“ აკონტროლებს, მეორეს კი — ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია... რაც შეეხება ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას, საქართველოს კანონმდებლობის წინაშე უცხოელი ბიზნესმენებიც თანასწორნი არიან. ასეთი შემთხვევები მთელ მსოფლიოში ხდება და დასავლურ პრესაში ხშირად შუქდება... გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ჩვენს ხელისუფლებას ებრაელი ბიზნესმენების ვალი ჰქონდათ და შანტაჟი მოუწყვესო. სასამართლომ განაჩენი უკვე გამოიტანა, მაგრამ შეიძლება, აპელაცია შედგეს და რეალობა შეიცვალოს... კერძო პირები დააკავეს და ამ ფაქტს სახელმწიფოს მხრიდან ასეთი შეშფოთება არ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ისრაელს თავისი მოქალაქეების მიმართ ასეთი დამოკიდებულება ახასიათებს: 2006 წელს ლიბანში სამხედრო კამპანია მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ „ჰამასის“ ტერორისტებმა ორი ებრაელი ჯარისკაცი გაიტაცეს. ამჟამად ისრაელი დამოკიდებულია დასავლეთის პოლიტიკაზე, ამერიკისგან ყოველწლიურად 5 მილიარდი დოლარამდე დახმარებას იღებს და მას უნდა თუ არა, დიდი პოლიტიკისთვის ანგარიშის გაწევა მოუწევს. ■



# „რატომ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენ მიერ გაღებული მოწყალებით ის ბავშვი არ წავა და წებოს არ იყიდის?“

**ცენტრალური სადგურის წინ, ხალხმრავალ ადგილას, პატარა ბიჭუნა მუყაოს ყუთზე მოკალათებულა და ძველ პალტოში გახვეული, ფუნთუშას შეექცევა. წინ ხატი და თუნუქის ჯამი უდევს. გამვლელები დროდადრო ჩერდებიან და ჯამიდან ხურდის წკარუნი ისმის. ნიკუშა ერთადერთი არ არის, ვინც თბილისის ქუჩებში მოწყალებას ითხოვს. 2008 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში 1000-ზე მეტი „ქუჩის ბავშვია“. ეს ტერმინი საზოგადოებაში ბოლო წლებში დამკვიდრდა და ასე იმ მოზარდებს ახასიათებენ, ვინც ქუჩაში ცხოვრობს და მათხოვრობს. მათ უმრავლესობას მშობელიც ჰყავს და თავშესაფარიც აქვს. ისინი მათხოვრობას ადრეული ასაკიდან იწყებენ და ამ „პროფესიასაც“, ხშირ შემთხვევაში, მშობლის დახმარებით ეუფლებიან.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**ნიკუშა,** *8 წლის:*

— ადრე აქ დედასთან ერთად დავდიოდი, მაგრამ ახლა მარტო ვარ. დედამ შვილი გააჩინა და ბაზარში მასთან ერთად მათხოვრობს.

— **მამა რას აკეთებს?**

— მამა არ მყავს. დედას სხვა ქმარი ჰყავს. მისი შვილიც მათხოვრობს.

— **სახლი გაქვს?**

— არა, 2 ოთახი გვაქვს ნაქირავები. ერთ ოთახში დედას და მის ქმარს სძინავთ, მეორეში — მე, ჩემს ორ დას და მამინაცვლის შვილს. დღეში 4 ლარს ვიხდით.

— **სკოლაში არ დადიხარ?**

— არა და არც მივლია. დილაობით აქ მოვდივარ და ღამემდე ვარ. კითხვა არ ვიცი, მაგრამ დედამ თვლა მასწავლა. ყოველდღე სახლში 6 ლარი უნდა მივიტანო. ადრე ბევრს ვაგროვებდი, პატარა რომ ვიყავი, ხალხს უფრო ვეცოდებოდი.

— **ფული რომ არ მიუტანო, გცემენ?**

— ფული სულ მიმაქვს, უბრალოდ, ზოგჯერ მეტს თუ დავაგროვებ, შოკოლადს ან წებოს ვყიდულობ და დედა ამიტომ მცემს. მეუბნება, ხალხმა რომ დაგინახოს წებოს სუნთქავ, ფულს აღარ მოგცემენო. ხშირად უფროსი ბიჭებიც მოდიან და ფულს მართმევენ.

— **რა გინდა, რომ გამოხვიდე?**

— არ ვიცი, მინდა, რომ სახლი მქონდეს.

**ნანა,** *გარე მოვაჭრე:*

— აქაურობა მაწანწალა ბავშვებითაა სავსე. პატარები მათხოვრობენ, მაგრამ როცა იზრდებიან და ფულს არავინ აძლევს, ქურდობას იწყებენ. სისხლს მიშრობენ. ყველს ვყიდი და ოჯახს ამით ვარჩენ, სულ ყურადღებით ვარ, რამე არ მომპარონ. პატრულით დამუქრება მაგათთან არ ჭრის. ამ პრობლემას როგორმე უნდა ეშველოს.

*„ქუჩის ბავშვების“ პრობლემების გადაჭრას ორგანიზაცია — „ბავშვი და გარემო“ ცდილობს, რომელმაც 2004-2010 წლებში 2500-მდე სოციალურად დაუცველ ბავშვს გაუწია დახმარება. პროგრამას ფონდი — Save the children აფინანსებდა, მაგრამ პროექტი დამთავრდა და 2 წელია, მათ ჯანდაცვის სამინისტრო ეხმარება.*

**ნანა როზაძე,** *ქუჩის ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის — „ბელურების“ დირექტორი:*

— **რამდენი ბავშვი ირიცხება ამჟამად „ბელურებში“?**

— გვაქვს დღისა და ღამის სარეაბილიტაციო ცენტრი. ამჟამად ღამის ცენტრში 15 ბავშვი ირიცხება, დღისაში — 10. ჩვენთან 6-დან 17 წლამდე მოზარდებს შეუძლიათ ყოფნა. პროგრამას ორგანიზაცია — „ბავშვი და გარემო“ ახორციელებს.

— **რა ტიპის რეაბილიტაციას გადიან ბავშვები დღის ცენტრში?**

— ვასწავლით წერას, კითხვას, სოციალურ უნარ-ჩვევებს. გვყავს ქორეოგრაფი, ხატვისა და სიმღერის მასწავლებელი. ვდგამთ სპექტაკლებს. მე-5 სპექტაკლის ჩვენება მარჯანიშვილის თეატრში გავმართეთ. ვაჟა-ფშაველას — „სათაგური“ დავდგით. ბავშვებთან მუშაობს ფსიქოლოგი და ექიმი.

— **პატარები ქუჩიდან ცენტრში ვის მოჰყავს?**

— ადრე პატრულთან მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა. ყველა ეკიპაჟი მეგობრობდა ბავშვებთან და ცენტრში მათ მოჰყავდათ. ახლა კი ჩვენთან აღარ ურთიერთობენ და სოციალური მუშაკის იმედად ვართ. როდესაც Save the children-ის დაფინანსება გვქონდა, ჩვენი მობილური ჯგუფი ქუჩაში მიდიოდა, ბავშვებთან მიგვქონდა საკვები, სასწავლო ნივთები, სათამაშოები. ექიმი მათ ადგილზევე სინჯავდა. ასეთი წერტილები იყო ქაშუეთის ეკლესიასთან, სიონთან და ცენტრალური რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე. დღეში 50-55 ბავშვს ვემსახურებოდით. ახლა კი კატასტროფულ ვითარებაში ვართ. 2 ოთახი გვაქვს დათმობილი. წყალზე მრიცხველი დაგვიყენეს. ქუჩიდან მოყვანილ ბავშვებს, მოგეხსენებათ, რა რაოდენობის წყალი ესაჭიროებათ, გადასახადი კი — 1.000 ლარს აჭარბებს. მალე რემონტი დაიწყება და ამის იმედად ვართ.

— **ძირითადად, რა პრობლემები აწუხებთ ბავშვებს?**

— პირველი და უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ 11, 12 და 15 წლის ბავშვებმა წერა-კითხვა არ იციან. არ აქვთ სოციალური უნარ-ჩვევები. გარდა ამისა, მათი უმრავლესობა მშობლის ან მეურვის მხრიდან ძალადობას განიცდის. მათ ურტყამენ, აიძულებენ იმათხოვრონ, ღამითაც


ვაჟა-ფშაველას „სათაგური“ დავდგით

გაგრძელება იხ. გვ. 12

# „გამომცემლობა პალიტრა L"-ის ახალი წიგნები



## წარმოიდგინე, რომ ხარ რაინდი

ფორმატი: 25X25
გვ. რაოდ.: 23
ყდა: მაგარი

ფასი: 22.99

წიგნი მამაცი ყმაწვილებისათვის. დაბრუნდი წარსულში და გაიგე ყველაფერი კეთილშობილი რაინდების საგმირო საქმეების შესახებ. გაეცანი რაინდის კოდექსს. შეიტყვე, როგორ ხდება რაინდად კურთხევის ცერემონია, როგორ უნდა ისპარეზოს ტურნირებში და დაიცვას ბრძოლის დროს თავი ჭეშმარიტმა რაინდმა.

ხმოვანი წიგნი

## მოეფერეთ პატარას



ფორმატი: 22X22
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ამ ხმოვან წიგნს პატარები მაშინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადაშლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

სიახლე!

ფასი: 15.99

## ჩემი პირველი დღიური



ფორმატი: 25X26
გვ. რაოდ.: 60
ყდა: ბალიშა
პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდელ ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

სიახლე!

ფასი: 14.99

## იყავი ყურადღებიანი



ფორმატი: 26X28
გვ. რაოდ.: 24
ყდა: მაგარი
ეს წიგნი თქვენს პატარას გულისხმიერებას, თანადგომასა და სიკეთის კეთებას ასწავლის. წიგნის წაკითხვის შემდეგ ისინი თანატოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები, უფრო მზრუნველები გახდებიან.

სიახლე!

ფასი: 8.99

# საოცარი ისტორიები „ბალიშა" წიგნების სერიიდან

3-დან 9 წლამდე

## რად აქვს კურდღელს მოკლე კუდი?



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 25, მუყაო
ყდა: ბალიშა
თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ კურდღელს ყოველთვის მოკლე კუდი ჰქონდა. იქნებ, წარსულში მას მელას მსგავსად გრძელი და ფაფუკი კუდი ამშვენებდა? წაიკითხეთ ეს მშვენიერი ზღაპარი და შეიტყობთ, რატომ აქვს კურდღელს მოკლე კუდი!

სიახლე!

ფასი: 7.99

## გიო აფრიკაში



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 25, მუყაო
ყდა: ბალიშა
წაიკითხე ეს წიგნი და იმოგზაურე აფრიკაში გიოსთან ერთად. იქ შეხვდები ლეოპარდს, მაიმუნს, მარმელადის მოყვარულ მარტორქას... გაიცნობ ზანგების ბელადს... ასე რომ, წინ საინტერესო მოგზაურობა გელით!

სიახლე!

ფასი: 7.99

## კომბლე



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 22, მუყაო
ყდა: ბალიშა
ეს შესანიშნავი ქართული ხალხური ზღაპარი მოგითხრობთ, როგორ ასწავლა კომბლემ გაუმაძღარ ბატონს ჭკუა და როგორ დაიბრუნა თავისი ჭრელა.

სიახლე!

ფასი: 7.99

## ხაჭაპური



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 22, მუყაო
ყდა: ბალიშა
წაიკითხე მხიარული ლექსი მარჯვე ბაჭიაზე და გაიგე, რა გადახდა მას თავისი დღეობის სამზადისში.

სიახლე!

ფასი: 7.99

**შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!**

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

დასაწყისი იხ. გვ. 10

კი ქუჩაში ყვავილებისა და ხატების გასაყიდად უშვებენ. არეული დღისა და ღამის გამო შერყეული აქვთ ჯანმრთელობა, ნერვული სისტემა.

— **როდესაც ძალადობის შესახებ იგებთ, გაქვთ თუ არა რეაგირების რაიმე საშუალება?**

— სამწუხაროდ, არა. თავად სამართალდამცავებიც ხელფეხშეკრულები არიან. მშობლის უფლების ჩამორთმევის პროცედურა რთულია. პრობლემას ისიც ართულებს, რომ ბავშვების მშობლებსაც არ გააჩნიათ დოკუმენტები. მათი უმრავლესობა სახლშია დაბადებული. ჩვენი სოციალური მუშაკი არქივსა და სამშობიაროში დადის და საბუთებს იქ ეძებს. მშობელთა უმეტესობისათვის პატარები შემოსავლის წყაროა. ცოტა ხნის წინ ტელევიზიით აჩვენეს, როგორ სცემდა დედა თავის შვილს. ამ ქალს კარგად ვიცნობთ. მისი 4 ბავშვი ჩვენთან გაიზარდა, ახლა მეექვსე გაუჩენია.

— **ბავშვები ადვილად ითვისებენ თქვენს პროგრამას?**

— მაპატიეთ ლირიკული გადახვევისათვის, მაგრამ ადამიანის აღზრდის პროცესი დიდ დროს მოიცავს და ასაკობრივადაა დაყოფილი. ჯადოსნური ჯოხი არავის აქვს, რომ ერთბაშად ყველაფერი ვასწავლოთ, თუმცა ნელ-ნელა მოგვყვებიან. ჩვენ არ ვართ, არც ბავშვთა სახლში, არც პოლიციური რეჟიმი გაგვაჩნია. მათ არჩევანის საშუალებას ვაძლევთ. ყოფილა შემთხვევები, რომ 5 თვე ვასწავლით, შემდეგ მშობელი მოვა და წაიყვანს, ამათხოვრებს, მერე კვლავ ჩვენთან მოდის და სწავლის პროცესი თავიდან იწყება.

**ლიკა ყიფიანი,** *ფსიქოლოგი:*

— **როგორ მოვიქცეთ, როდესაც ბავშვი ქუჩაში ფულს გვთხოვს?**

— რთული შეკითხვაა, მაგრამ პასუხი მაინც ერთმნიშვნელოვანია: ფული მათ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ. ეს ბავშვები მათი ოჯახის წევრებისათვის შემოსავლის წყაროები და ძალადობის მსხვერპლნი არიან.

— **ხომ შეიძლება, ამით ბავშვები უარეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ?**

— ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ მიერ გაღებული 10 თეთრი, მათ პრობლემას არ მოაგვარებს. ეს „დათვური სამსახურია“. გასაგებია, რომ ქვეყანაში ბევრი გაჭირვებული ადამიანია, თუმცა, ბავშვებით ბევრი ადამიანი მანიპულირებს. რატომ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენ მიერ გაღებული ფულით ის ბავშვი არ წავა და წებოს არ იყიდის? ფულის მიცემას, სჯობს, საკვები უყიდოთ და ამით დაეხმაროთ. ■



# „იმედი მაქვს, დამნაშავე ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებენ“...

**„უპრეცედენტო და შემაძრწუნებელი“ — ასე შეაფასეს სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის მიერ წარმოდგენილი, 2010 წლის ანგარიში, როგორც საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციონერებმა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. საპატიმროში გარდაცვლილი 140 ადამიანი, 2009 წელთან შედარებით 1600-ით მეტი პატიმარი, არაადამიანური პირობები ციხეებში, დევნილთა 45%-ისა და დაუსაქმებელ ადამიანთა 70%-ის გაურკვეველი ბედი — არასრული ჩამონათვალია იმ პრობლემებისა, რომლებიც 513-გვერდიან ანგარიშშია ჩამოთვლილი.**

*ხათუნა ბახტურიძე*

*საპარლამენტო უმცირესობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოხატავენ სასჯელაღსრულების უწყებაში მომხდარი, ადამიანის ღირსების შემლახავი ფაქტებისა და გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობის გაზრდის გამო. მათი თქმით, აუცილებლად უნდა დაისვას სასჯელაღსრულების მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან ის პენიტენციალურ სისტემას მიუღებელი მეთოდებით უძღვება. თავად სახალხო დამცველი პატიმართა შორის სიკვდილიანობის ზრდის ძირითად მიზეზებად ტუბერკულოზს, გულსისხლძარღვთა და სხვადასხვა ინფექციურ დაავადებას (მათ შორის C ჰეპატიტს) ასახელებს. „2010 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა „სიკვდილის ექსპორტს“ — ანგარიშში სწორედ ამ ტერმინით მოვიხსენიებ — როდესაც ფაქტობრივად გარდაცვლილი პატიმრები სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაჰყავდათ. ჩემს ანგარიშში სასჯელაღსრულების სისტემის არაერთი თანამშრომლის გვარი და სახელია მითითებული, რომლებიც შემჩნეული იყვნენ პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობაში. პირდაპირ გვარები და სახელებია მითითებული არასათანადო მოპყრობის თავში“, — აღნიშნავს ტუღუში.*

*ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია მინისტრ კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ნაადრევად მიიჩნევს და ამბობს, რომ ტუღუშის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული ფაქტები დეტალურადაა შესასწავლი.*

*შესაძლებელია თუ არა, სახალხო დამცველს დაუსაბუთებელ ფაქტებზე დაყრდნობით შეედგინა წლის ანგარიში? — ამ კითხვით პარლამენტარ* ***დიმიტრი ლორთქიფანიძეს*** *და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე* ***თამარ ჩუგოშვილს*** *მივმართეთ.*

**თამარ ჩუგოშვილი:**

— შეუძლებელია, ტუღუშის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოყვანილი ფაქტები რეალურ სურათს არ ასახავდეს. სახალხო დამცველი ყოველთვის ეყრდნობა როგორც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ისე ეროვნული პრევენციის მექანიზმით განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

— ეს დასკვნა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას რომ გამოეტანა, ეჭვს გამოვთქვამდი — ქულებს ხომ არ იწერს-მეთქი?.. სახალხო დამცველი კი მმართველი გუნდის ხმათა უმრავლესობითაა არჩეული და ამ გუნდს უფლება არა აქვს, მის ანგარიშს უნდობლობა გამოუცხადოს. სახელისუფლებო გუნდის ნაწილი (ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ სრული უმრავლესობა) იმ ფაქტმა გააოგნა, რომ სწორედ მათ მიერ მხარდაჭერილი ომბუდსმენის ანგარიშში არგუმენტირებულად არის გადმოცემული, თუ როგორ არღვევს ხელისუფლება ადამიანების სამოქალაქო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ-სოციალურ უფლებებს.

— **ტუღუშმა განაცხადა, რომ სასჯელაღსრულების სფეროს ჯანდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს პატიმრების ნორმალურ მკურნალობას, მაგრამ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე მის ბრალდებას მართებულად არ მიიჩნევს და ამბობს, რომ ჯანდაცვა და მედიკამენტები აბსოლუტურად ხელმისაწვდომია, პატიმრები კი ციხეებში მხოლოდ ხანდაზმულობის გამო კვდებიან.**

— ციხეში გარდაცვლილი 140 ადამიანიდან 3/4-ის სიკვდილის მიზეზი — ტუბერკულოზია, ყოველ მესამე გარდაცვლილს კი სხეულზე დაზიანების კვალი აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ 140 გარდაცვლილს შორის, მხოლოდ 19 იყო 61 წელს გადაცილებული. ეპიდემია მძვინვარებს 19 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. ეს ფაქტები უკვე ცხადყოფს მინისტრის განცხადების აბსურდულო-

ბას, — თითქოს დაწესებულებაში პატიმრები მხოლოდ ხანდაზმულობის გამო კვდებიან. ტუღუშის განცხადება „სიკვდილის ექსპორტთან“ დაკავშირებით, უტრირებული არ არის. ამის ბოლო მტკიცებულება რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი მალხაზ მუზაშვილია. ის ციხიდან ტუბერკულოზის ეროვნულ ცენტრში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათში გარდაიცვალა. ექთანი კი, რომელმაც მუზაშვილის დედას მისი შვილის ამ მდგომარეობაში შემოყვანის შესახებ შეატყობინა, სამსახურიდან დაითხოვეს. მაქვს ინფორმაცია, რომ სამოქალაქო კლინიკაში უკვე გარდაცვლილი პატიმარიც გადაუყვანიათ, სადაც ექიმს მკვდარ ადამიანზე ეპიკრიზი (ავადმყოფობის ისტორიის დასკვნა) დაუწერია!.. სახალხო დამცველი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამ მეთოდებით საერთაშორისო ორგანიზაციებიც შეცდომაში შეჰყავთ. ანგარიშში ყურადღება არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზეც არის გამახვილებული. რამდენიმე დღის წინ გლდანის მერვე საპყრობილიდან გამოსულმა ადამიანმა მიამბო, რომ საშხაპეებში, განურჩევლად, ყველა პატიმარს ურტყამენ; ის, ვინც ცემის დროს კვნესის ან ფაქტს აპროტესტებს, უფრო მძიმედ ისჯება. იგივე პრობლემებია რუსთავის 160-ე დაწესებულებაშიც, სადაც სხვადასხვა ციხიდან გადაყვანილ პატიმრებს მწკრივში ატარებენ და ისე ურტყამენ. არ ვიცი, საზოგადოებამ იცოდა თუ არა რამე გეგუთის ციხეში მომხდარი ტრაგედიის შესახებ: სახალხო დამცველისთვის 2010 წლის 26 თებერვალს გახდა ცნობილი, რომ გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა უმრავლესობამ შიმშილი გამოაცხადა; მიზეზი — კარცერში მოთავსებული მსჯავრდადებულის, გიორგი კვანტრიშვილის თვითმკვლელობა იყო. სახალხო დამცველის რწმუნებულმა პატიმრებთან შეხვედრისას გაარკვია, რომ სამართალდამცველები ხშირად, უმიზეზოდ ათავსებენ კარცერში და მათზე ფიზიკურ ზეწოლას ახორციელებენ. მინდა, კიდევ ერთი ტრაგიკული ამბის შესახებ მოგიყვეთ, რომელიც თბილისის მე-7 საპყრობილეში მოხდა. 2010 წლის 19 სექტემბერს სამართალდამცველებმა კანონიერ ქურდობაში ბრალდებული უშანგი გორდელაძე ცემით მოკლეს და უკვე გარდაცვლილი გადაიყვანეს ღუდუშაურის კლინიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ის 19 სექტემბერს მოკლეს, ექიმებმა მისი ბიოლოგიური სიკვდილი 21 სექტემბერს დააფიქსირეს. გორდელაძის გარდაცვალების მიზეზი მძიმე, ბლაგვი საგნის შედეგად გამოწვეული „ტვინში სისხლის ფართო ჩაქცევაა“. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, პატიმარს კისრიდან წვივებამდე, მომცრო ადგილიც კი არა აქვს დარჩენილი, მძიმე საგნით მიყენებული დაზიანებები რომ არ აღენიშნებოდეს. სახალხო დამცველმა პროკურატურას, სამართალდამცავების წინააღმდეგ საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართა. იცით, პროკურატურამ რა ქნა?! სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტის მუხლით აღძრა საქმე. ეს უბრალოდ ცინიზმია და მეტი არაფერი.


შეუძლებელია, ტუღუშის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოყვანილი ფაქტები რეალურ სურათს არ ასახავდეს

**— ქალბატონო თამარ, თქვენი სამოქმედო სფეროდან თუ აქვს სახალხო დამცველს მოტანილი დარღვევის ფაქტები?**

**თამარ ჩუგოშვილი:**

— დიახ, ანგარიშში ის სამართალდარღვევებიც არის ასახული, რომლებსაც ჩვენი ორგანიზაცია ხშირად აწყდება.

**— კონკრეტული ფაქტების დასახელება თუ შეგიძლიათ?**

— სასჯელაღსრულების სამინისტროსთან მიმდინარე აქციის დროს 7 პიროვნება დააკავეს; მათ შორის სამს ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს. მათ სასამართლოზე ჩვენი ორგანიზაცია იცავდა და არგუმენტირებულად ამტკიცებდა მათ უდანაშაულობას, მაგრამ სასამართლომ სრულიად უკანონო გადაწყვეტილება გამოიტანა. ორ ძალიან უცნაურ ფაქტსაც მოგახსენებთ: სასამართლომ ორი ახალგაზრდა — კალმის ქურდობის გამო, ხოლო 65 წლის დევნილი ერთი ფიცრის მოპარვისთვის გაასამართლა. ხშირ შემთხვევაში პროკურატურა ვერ ახერხებს, მტკიცებულებები წარმოადგინოს, მაგრამ სასამართლო მის პოზიციას მაინც იზიარებს. ბოლო დროს ძალიან გახშირდა საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტიც. სულ ახლახან გონიოში 200-ზე მეტ ადამიანს იძულებით ჩამოართვეს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

**— თქვენი ორგანიზაცია რამდენად ახერხებს სასურველი შედეგის მიღწევას ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლაში?**

— ჩვენი ორგანიზაცია პრეზიდენტის მიერ შექმნილი რამდენიმე უწყებათაშორისი საბჭოს წევრია და შესაძლებლობა გვაქვს, ჩვენი მოსაზრებები ხელისუფლების წარმომადგენლებს გავუზიაროთ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამით რაიმე შედეგის მიღწევას ვახერხებთ. ჩვენი ყველაზე მძლავრი ბერკეტი — ისევ საერთაშორისო ორგანიზაციებია. ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებული ხდებიან, მათი მოსაზრებები გაიზიარონ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არც ისე ხშირად ხდება.

**— ბატონო დიმიტრი, ცნობილი გახდა, რომ პარლამენტმა სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესასწავლად, ერთთვიანი ვადა დაადგინა. როგორ ფიქრობთ — დასვამს საკანონმდებლო ორგანო იმ მინისტრებისა და ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის საკითხს, რომელთა უწყებების თანამშრომლები ადამიანის სიცოცხლის, საკუთრებისა და შრომის უფლებებს ლახავენ?**

— საქართველოს პარლამენტი ვალდებულია, სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ კენჭი უყაროს დადგენილებას, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. იმედი მაქვს, საპარლამენტო უმრავლესობაში აღმოჩნდებიან გაბედული ადამიანები, რომლებიც პრინციპულობას გამოიჩენენ, სახალხო დამცველთან დაპირისპირებას, მასთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას არჩევენ და დამნაშავე ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებენ. ■



# „აისი“ — ამერიკული „ვესტ პოინტის“ კურსანტთა „სამჭედლო“

## ანუ როგორია 20-კილოგრამიანი ზურგჩანთით 30 კილომეტრის გავლა



**მას, ვინც დაინტერესებულია სალაშქრო და სამხედრო საქმის შესწავლით, სურს, გამოცადოს საკუთარი შესაძლებლობები, მიიღოს მონაწილეობა საინტერესო თავგადასავლებში და შეიძინოს ახალი მეგობრები, სიამოვნებას ანიჭებს ბუნებით ტკბობა ან უბრალოდ, ტურისტული მარშრუტის დასალაშქრავად ემზადება, იმედი მაქვს, ეს ინტერვიუ ძალიან დააინტერესებს. საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აისი“, რომელიც რამდენიმე წელია, რაც ჩამოყალიბდა, აერთიანებს უამრავ ადამიანს, რომელსაც უყვარს სამშობლო და ფეხით სიარული ან არ უყვარს ფეხით სიარული, მაგრამ სწავლობს, თუ როგორ აარიდოს თავი დისკომფორტს ბევრი სიარულის დროს... ორგანიზაცია პატრიოტიზმის გრძნობის გაღვივებასაც უწყობს ხელს. თუ როგორ ახერხებენ ამას და როგორია „აისური“, სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი ცხოვრება, „აისის“ გამგეობის წევრი, გიორგი მამუკაძე მოგვიყვება:**

ელენე ბასილიძე

— ჩვენი მიზანია, საზოგადოებაში, ძირითადად კი — ახალგაზრდა თაობაში გავაღვიძოთ მოქალაქეობრივი თვითშეგნება, აგრეთვე პოპულარიზაცია გავუწიოთ ცხოვრების ჯანსაღ წესს და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც ითვალისწინებს: კანონმორჩილებას, ბუნების დაცვას, პრინციპის — „სახელმწიფო — ჩემი სახლია“ ჩამოყალიბებას. ორგანიზაციაში ფუნქციონირებს ეკოლოგიის ჯგუფი, რომელიც ისტორიული ძეგლებისა და ამა თუ იმ ტერიტორიის წესრიგში მოყვანას ისახავს მიზნად. ყოველ წელს, გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხეებს ვრგავთ: გარემოს დაცვა — იგივე სამშობლოს დაცვაა, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, შენი ქვეყანა გარეშე მტრისგან დაზარალდება თუ შენივე უგუნურებისგან. მსურველებს შევასწავლით სალაშქრო წესებს, სამხედრო საქმის გარკვეულ ნიუანსებს. მაგალითად: სამხედრო-სალაშქრო მომზადებას, რომელშიც შედის ნავიგაცია და ტოპოგრაფიის საფუძვლები ანუ რუკის კითხვა; ადგილზე ორიენტირება, თვითგადარჩენის საშუალებები, პირველადი სამედიცინო დახმარება, ეკიპირების შერჩევა, იარაღის თეორიული შესწავლა, შეიარაღების ნომენკლატურა — ანუ რომელი იარაღი რას წარმოადგენს და რისთვისაა საჭირო; ცეცხლის დანთება, დასაბანაკებლად ადგილის შერჩევა და ა.შ. მივიჩნევთ, რომ ეს ყველაფერი საზოგადოებას მართლაც სჭირდება, რადგან მოსახლეობაში მსგავსი ცოდნა უკიდურესად მწირია, საჭირო დროს კი ნამდვილად გამოადგებათ. მაგალითისთვის გამოდგება 2008 წლის აგვისტო, როცა დაბნეულმა, პანიკაში ჩავარდნილმა მოსახლეობამ, ინფორმაციის უქონლობისა და მსგავს სიტუაციაში მოქმედების არცოდნის გამო, დიდი სტრესი გადაიტანა. კარგი იქნებოდა, ადამიანებს თეორიული ცოდნა მაინც ჰქონოდათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ შექმნილ ვითარებაში. ვცდილობთ, გამოცდილება ყველას გავუზიაროთ. ცოდნა ზედმეტი არასოდეს არის, მით უმეტეს, რომ ექსტრემალურ პირობებში ყველა შეიძლება აღმოჩნდეს.

— **ორგანიზაციას როდის ჩაეყარა საფუძველი?**

— მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში გვსურდა. აგვისტოს ომმა კი საამისოდ გადამწყვეტი ბიძგი მოგვცა. დავრეგისტრირდით, როგორც ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთა ორგანიზაცია. ჩვენი მოქმედების მაპროვოცირებელი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და ხელშეწყობის სურვილი გახლდათ. სწორედ ამიტომაც წამოიწია წინა პლანზე სამხედრო-სალაშქრო საქმის შესწავლამ. საკმაოდ დიდი ხანი მოვანდომეთ იმის შერჩევას, თუ რაზე უნდა გვემუშავა... მას შემდეგ, რაც ჩამოვყალიბდით და სწორ გზაზე დავდექით, ახალი წევრების მიღება დავიწყეთ და მიუხედავად იმისა, რომ მსურველთა მოსაზიდავად აქტიურ სარეკლამო კამპანიას არ ვეწევით, საკმაოდ ბევრი მოხალისე მოვიდა.

— **ძირითადად, რა მიზნით მოდიან?**

— არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებსაც სალაშქრო საქმის შესწავლა სურთ — უნდათ, ისწავლონ, თუ როგორ შეიძლება კარვის გაშლა, კომპასის მოხმარება, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, ნავიგაცია. ზოგს სამხედრო საქმის შესწავლა უნდა — საკუთარ მომავალს სამხედრო სფეროს უკავშირებს, სამხედრო აკადემიაში ჩაბარებას აპირებს და წინასწარ იღებს იმ ცოდნას, რომელიც შემდგომ აკადემიაში გამოადგება. სხვათა შორის, რამდენიმე ჩვენმა კურსდამთავრებულმა „ვესტ პოინტის“ (*სახელგანთქმული სამხედრო სასწავლე-*

ექსტრემალურ პირობებში ყველა შეიძლება აღმოჩნდეს



*ბელი აშშ-ში. — ავტ.)* აკადემიაში ჩააბარა და იქიდან გვწერდა, — რაც თქვენთან 3 თვეში ვისწავლეთ (ნავიგაცია და სამწყობრე მომზადება), პირველ კურსზე აქ ამაზე მეტს არაფერს გვაკეთებინებენო... მსურველთა ასაკი განსაზღვრული არ არის, გვყავს 60 წელს მიღწეული წევრებიც და 12-14 წლის მოზარდებიც... არასრულწლოვნებს მშობლების წერილობითი ნებართვით ვიღებთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი საქმიანობით ძირითადად ახალგაზრდები ინტერესდებიან. ჩვენთან მოსვლის შემდეგ ბევრი მათგანი მალევე ხვდება, რომ ყველაფერი მთლად ისე არ ყოფილა, როგორც მათ წარმოედგინათ. შესაბამისად, ზოგს უძლიერდება სურვილი, რომ სამხედრო საქმე საფუძვლიანად შეისწავლოს, ზოგს — სრულიად უქრება და ამბობს: ეს ჩემი საქმე არ ყოფილაო.

**— რა ინტენსივობით ტარდება მეცადინეობა?**

— მეცადინეობა კვირაში ორჯერ გვაქვს, საღამოს 6 საათის შემდეგ, რადგან მსურველთა უმრავლესობას სამსახური აქვს. რაც შეეხება ქალაქგარეთ ლაშქრობებს, ვცდილობთ, არასამუშაო დღეებსა და დღესასწაულებს დავამთხვიოთ, რადგან ამ დღეებში უმრავლესობა თავისუფალია. სწავლების კურსის დასრულების შემდეგ, „მარშგადასროლებს“ ვასრულებთ: 15-20-კილოგრამიანი ზურგჩანთით, 40-გრადუსიან სიცხეში 20-30 კილომეტრის გავლა სახალისო ნამდვილად არ გახლავთ. ნათელი წარმოდგენა გექმნება ყველაფერზე და აკეთებ არჩევანს: ან გინდა გააგრძელო ასეთი ცხოვრება, ან — არა. ჩვენთან აკრძალულია ალკოჰოლური სასმელი, აგრეთვე — ბილწსიტყვაობა, პოლიტიკაზე საუბარი; არასასურველია სიგარეტის მოწევა. დამყარებული გვაქვს საკმაოდ მკაცრი დისციპლინა, რომელიც ორგანიზებულობას უწყობს ხელს. რაც მთავარია, ადამიანმა, რომელსაც ეს სირთულეები გადალახული აქვს, იცის, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს პრობლემებს ექსტრემალურ სიტუაციაში.

**— როგორც ვიცი, მსგავსი ორგანიზაციები საკმაოდ ბევრ ქვეყანაში არსებობს...**

— კი, მართალია. ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში რამდენიმე მსგავსი ორგანიზაცია არსებობს. ბევრი მათგანი სახელმწიფოს დაკვეთით მუშაობს, ბევრიც — სამოყვარულოა, ზოგი — სპეციალიზებული. სიმართლე გითხრათ, ჩვენს ორგანიზაციაში არავის არაფერს ვავალებთ — ყველაფერი ნებაყოფლობითია. ვცდილობთ, ავუხსნათ, რატომ უნდა მიიჩნევდნენ თავს ვალდებულად, სამშობლოს დამცველები იყვნენ.

**— სადღეისოდ ორგანიზაციაში რამდენი წევრია?**

— კურსანტთა რაოდენობა, რომლებიც ჩვენთან სასწავლო კურსს გადიან, ყოველთვიურად იცვლება. ორგანიზაციაში დაახლოებით 100-მდე ადამიანია გაწევრებული. სასწავლო კურსი 3-დან 4 თვემდე გრძელდება და ახალ ნაკადს წელიწადში ორჯერ ვიღებთ.

**— ალბათ გოგონებიც გყავთ, არა?**

— კი, რამდენიმე გოგონამ სწავლების კურსი დიდი წარმატებით გაიარა და ერთ-ერთმა მათგანმა ისე აიმაღლა კვალიფიკაცია, დღეს ინსტრუქტორია და უკვე საკუთარ გამოცდილებას უზიარებს ახალმოსულებს.

**— ლაშქრობებს სად აწყობთ ხოლმე?**

— ძირითადად, თბილისის შემოგარენში: დიდგორის ველის, ლისის ტბის, წოდორეთის, მცხეთა-მთიანეთის, კოჯრის, წყნეთის მიდამოებში... გვაქვს როგორც სასწავლო და საგამოცდო გასვლები, აგრეთვე 2, 3 და 4-დღიანი ლაშქრობებიც. ქალაქგარეთ ტრანსპორტით მივდივართ, შემდეგ კი ფეხით — დანიშნულების ადგილამდე. იმედი გვაქვს, დროთა განმავლობაში უფრო მეტი მსურველი დაინტერესდება ჩვენი საქმიანობით და თანდათანობით „გავფართოვდებით“ კიდეც. ვფიქრობთ, კარგ საქმეს ვაკეთებთ. ■



# „როგორ ფიქრობთ, მამაჩემის ბიზნესის მეწილე არ ვიქნები?“



**პარლამენტარ ჯონდი ბაღათურიას ქონებრივ დეკლარაციას რომ გავეცანი, გულახდილად გითხრათ, გამიკვირდა მისი უქონლობა. ის სიმდიდრე, რაც ბიზნესმენობისა და დეპუტატობის დროს უგროვებია, იმდენად მცირეა, სულ რამდენიმე წინადადებაში ჩაეტევა. გაგონილს ნანახი სჯობსო, ხომ გაგიგონიათ. ჰოდა, „ქართული დასის“ შეფს ოფისში ვესტუმრე და პირველი შთაბეჭდილებაც უცებ გამიქარწყლდა...**

**დოსიე:**

ჯონდი ბაღათურია ბათუმში, 1964 წლის 30 მარტს დაიბადა (დაბადების დღეს მოგვიანებით ვულოცავთ დეკლარანტს). შეძლებული ოჯახი ჰქონდა. ბატონი ჯონდის დედა დღემდე დაწყებითი კლასის მასწავლებლად მუშაობს, მამა კი სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორის მოადგილე იყო, რამდენიმე სხვა ქარხნის დირექტორიც გახლდათ თურმე, ერთხანს აჭარის კონტროლის პალატის ხელმძღვანელიც ყოფილა. ასე რომ, პარლამენტარს არც ბავშვობაში აკლდა რამე და არც შემდეგ, ახალგაზრდობაში...

მეუღლე — ნათია ფოფხაძეც ბათუმელია, თუმცა ერთმანეთი თბილისში, სტუდენტობისას, საერთო მეგობრის მეშვეობით გაუცნიათ. 23 წლის ახალგაზრდა კაცს ნათია მაშინვე მოსწონებია და ერთ თვეში „მახეშიც გაუბია“. როგორც თვითონ მითხრა, — ჩემს შეტევებს დიდხანს ვერ გაუძლოო... მათ სამი შვილი ჰყავთ — 22 წლის თორნიკე, 15 წლის მაგდა და 7 წლის თეკლა.

*ნინო ჯავახიშვილი*

### „კრედიტი ავიღე და ძალიან ვინანე, თავში ვირტყამდი ხელებს“...

ბატონ ჯონდის კიდევ ორი ძმა ჰყავს. ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ, მაგრამ ახლა უკვე ყველას საკუთარი სახლი აქვს. პირველს სწორედ თვითონ შეუძინია ბინა 1991 წელს. რამდენიმე წლის მანძილზე ცოლ-შვილთან ერთად ვაშლიჯვარში, კერძო სახლში ცხოვრობდა. 4 წლის წინ კი, რადგან ოჯახმა კორპუსის ბინაში ცხოვრება არჩია ეზოიან სახლს, ბაღათურიებს სახლი გაუყიდიათ და გირაოთი გადასულან საცხოვრებლად. ამიტომაც დეკლარაციაში მითითებულია, რომ 33.000 დოლარი სესხის სახით აქვს გაცემული. წლევანდელ დეკლარაციაში კი პარლამენტარი უკვე ახალ საცხოვრებელ ადგილს მიუთითებს ვაკეში.

**— ბატონო ჯონდი, ვაშლიჯვრის სახლი თავის დროზე საკუთარი ფულით შეიძინეთ თუ ვინმე დაგეხმარათ?**

— მხოლოდ საკუთარი შემოსავლით — არა, ცოტას მშობლებიც დამეხმარნენ. თუმცა იმ დროს საკუთარი ბიზნესიც მქონდა. სხვათა შორის, ძალიან კარგი პერიოდი გამახსენეთ. მეგობრის მამასთან ერთად ბეტონმრევებისა და ნახევრად ავტომატიზებული ბლოკების დამამზადებელ საამქროს ვამუშავებდი. იმ პერიოდში ეს სიახლე იყო და ჩვენი ბიზნესი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ახალგაზრდა ვიყავი და ვერ მოვახერხე ბინის შესაძენად ფულის მოგროვება. უნდა ვაღიარო, ძალიან მხარჯველი ვარ.

**— თქვენი პირველი შემოსავალიც ალბათ მაგ კარგ პერიოდს უკავშირდება, არა?**

— არა, პირველი ხელფასი 16 წლისამ ავიღე. გაგიკვირდებათ და მცირე მექანიზაციის ქარხანაში მამაჩემის გადაწყვეტილებით ხარატის თანაშემწედ დავიწყე მუშაობა. კონსერვატიული ოჯახი მყავს, მაქსიმალური მონიტორინგის ქვეშ ვიყავი და მამამ გადაწყვიტა, ვიდრე უნივერსიტეტში ჩააბარებ, ქუჩაში უსაქმურად დგომას მუშაობა სჯობსო. სხვათა შორის, ჩემი ახალი პროფესია მომეწონა... მალევე დამაწინაურეს და ხარატად გადამიყვანეს. პირველი ხელფასი 130 მანეთი ავიღე და დღემდე კარგად მახსოვს, რომ იმ ფულით ჩემს მეგობრებთან ერთად კარგად გავერთე.

**— ესე იგი, შრომა გიყვართ?**

— დამიჯერებთ, რომ გითხრათ, თუ არ ვშრომობ, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ-მეთქი? ახლა უკვე ინტელექტუალური შრომა მიწევს, მაგრამ ადრე სოფელში რომ ჩავდიოდი, ვთოხნიდი კიდეც და ვბარავდი კიდეც. განსაკუთრებით, შეშის დაპობა მიყვარდა და ეს საქმე ყოველთვის მე მებარა ხოლმე.

**— პროფესიით ეკონომისტი უგზო-უკვლოდ მხარჯველი ყოფილხართ. როგორც ჩანს, ფული სულ გაქვთ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში რას დახარჯავდით?**

— (*იცინის*) მართლაც ძალიან მხარჯველი ვარ. ამიტომ ფული არასდროს მაქვს, ვერ ვაგროვებ. მქონია მსხვილი შემოსავალიც და რა თქმა უნდა, „ჩავარდნებიც“, მაგრამ ჭკუა ვერ ვისწავლე და მაინც ბოლო თეთრამდე ვიცი დახარჯვა. ასეა ეს ცხოვრება, დღეს თუ მე მაქვს და ვხარჯავ, ხვალ აღარ მექნება და სხვა დახარჯავს. აბა, მეგობრობა და ახლობლობა რა არის? შეიძლება, ფულმა დაგაავადმყოფოს, ფულის შეგროვების და დაზოგვის მანიით არ უნდა დაავადდე. სანამ ცოცხალი ხარ, თვითონაც უნდა ისიამოვნო და სხვასაც ასიამოვნო. არ მესმის, როგორ უნდა მოისვენო, როდესაც იცი, რომ შენი მეგობრის შვილებს რაღაც აკლიათ. არ დაეხმარები? ჩემი მეგობრების მხარჯველი ბუნებით მეც ხშირად მისარგებლია. ფინანსური პრობლემა არაერთხელ მქონია და მადლობა ღმერთს, რომ ჩემ ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებიც დამხმარე-



ბიან. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩემს ოჯახს სწორედ მეგობრები ინახავდნენ. უნდა გასცე და ერთი ათასად დაგიბრუნდება ამ ცხოვრებაშიც და იმ ცხოვრებაშიც...

**— კი, მაგრამ დასახმარებელი რა გჭირთ? დეკლარაციაში მითითებული მსუბუქი ავტომობილი 2002 წელს გამოშვებული ტოიოტას ჯიპი, ლენდკრუიზერი, იაფი სულაც არ ეღირება. თუ საიდუმლო არ არის, რა მიეცით?**

— ეს მანქანა ორი წლის წინ ვიყიდე 29.000 დოლარად, მაგრამ სინამდვილეში კიდევ უფრო ძვირი დამიჯდა. 5.000 ხელზე მქონდა, 24.000 კი კრედიტი ავიღე და ძალიან ვინანე. თავში ვირტყამდი ხელებს — რამ ამაღებინა ამხელა კრედიტი-მეთქი. ორმაგი გადავიხადე, მაგრამ ერთ წელიწადში, როგორც იქნა, დავფარე.

**— ბატონო ჯონდი, როგორც მითხარით, თქვენს უსახლკარობასაც მოეღო ბოლო. ახალი ბინა შეიძინეთ, ხომ?**

— ვაშლიჯვარში სახლი რომ გავყიდეთ, ნაწილით, როგორც გითხარით, ბინა დავიგირავეთ, ნაწილიც ხელზე მქონდა (*დეკლარაციაში ნაღდი ფულადი თანხა 57.000 დოლარი აქვს მითითებული. —ავტ.*). ოთხოთახიანი ბინა მშენებარე კორპუსში 65.000 დოლარად შევიძინეთ, მაგრამ სარემონტო იყო, ავეჯიც საყიდელი გვქონდა და კრედიტი კიდევ ავიღე.

**— მეუღლეს მზითევი არაფერი მოჰყვა? სიდედრ-სიმამრში არ გაგიმართლათ?**

— მზითევი თავის დროზე კი მოიტანა, მაგრამ სამი ბავშვის ხელში ყველაფერი დაიმტვრა. პრინციპში, მისმა მშობლებმა სახლი რომ გაყიდეს, ფულის რაღაც ნაწილი ჩვენც მოგვცეს. სხვათა შორის, იმიტომ არ ვამბობ, რაკი ფული მოგვცეს, მაგრამ მართლაც ძალიან კარგი სიდედრ-სიმამრი მყავს. სიდედრებზე ანეკდოტებს პრინციპულად არ ვუსმენ და არც ვყვები.

## „ფული იმისთვის არის, რომ დახარჯო"

**ბაღათურიების ოჯახის ერთადერთი მარჩენალი თავად ოჯახის უფროსი გახლავთ 2.400-ლარიანი ხელფასითა და მუდმივი კრედიტებით, თუმცა ოპტიმისტ პარლამენტარს ეს არ აშინებს. ამ ყველაფერს მოვერევიო, — იმედიანადაა. მეუღლეც გვერდით უდგას და ვალების გამო არ წუწუნებს. თავად ნათია უმუშევარია და მთლიანად ქმარ-შვილის მოვლა-პატრონობითაა დაკავებული.**

— ნათია არ მუშაობს. ისე მოხდა, რომ სამსახური „ვერ ვუჩალიჩე". ყველაფერზე მეტად დღეს სამუშაო ადგილები ჭირს. მადლობა ღმერთს, კარგი ოჯახი მაქვს და ნათია ყველაფერს გაგებით ეკიდება.

**— მეუღლე მომთხოვნი არ არის? არ უყვარს ძვირად ღირებული საჩუქრები?**

— საჩუქრები რომელ ქალს არ უყვარს? ფასს კი რა მნიშვნელობა აქვს? ვიცი, რაც მოსწონს და საჩუქარს იმის მიხედვით ვურჩევ ხოლმე. ფული იმისთვის არის, რომ დახარჯო და ახლობლები გაახარო. კიდევ იმიტომ, რომ ბევრი ბუკლეტი დაბეჭდო და მანქანაში მეტი საწვავი ჩაასხა, ხალხს ბევრჯერ რომ შეხვდე და ესაუბრო (*იცინის*)...

**— საუბრისას ახსენეთ, მამას ბათუმში ახლაც აქვს ბიზნესიო. თქვენ არ ხართ წილში?**

— როგორ ფიქრობთ, მამაჩემის ბიზნესის მეწილე არ ვიქნები? მაგრამ დეკლარაციაში ვერ ჩავწერ, რადგან მამაჩემზეა გაფორმებული. მე ამის უფლება აღარ მაქვს და ეს ძალიან სწორია. ბიზნესში როცა ხარ, პოლიტიკაში თავისუფლება გეზღუდება. ან ღვინო უნდა იყო, ან წყალი, ორივე ერთად ვერ იქნები, არაფერი გამოგივა. მამაჩემს ეკუთვნის ყოფილი რეზინაკაუჩუკის ქარხანა, ახლა სააქციო საზოგადოება „კაუჩუკი" ჰქვია. ფაქტობრივად, ბიზნესი ჩაუვარდა, რადგან უცხოურ მასალას კონკურენცია ვეღარ გაუწია. თანაც, საქართველოში არ არის ისეთი გარემო, ბიზნესი რომ აწარმოო. მთავრობა კი აცხადებს, ბიზნესის წამოწყება ადვილიაო, მაგრამ რეალურად შპს-ს დარეგისტრირებაა ადვილი და არა — ბიზნესის კეთება.

**— ბოლოს მინდა გკითხოთ ერთ-ერთ ბანკში გახსნილ ანაბარზეც, რომელზედაც მხოლოდ 22 დოლარი აღმოვაჩინე...**

— ანაბარი ძალიან კარგი რამ არის. 22 დოლარი კი არა, ბევრად მეტიც მქონდა — 25-30.000 დოლარი, მაგრამ გამოვიტანე და ნაშთი ხომ რჩება ხოლმე? ამ ერთი კვირის წინ ბანკში მითხრეს, რომ ანგარიშზე რაღაც თანხა მქონდა დარჩენილი. აღარც მახსოვდა ეს 22 დოლარი და ვკითხე: რამდენია-მეთქი? 77 დოლარიო, — მიპასუხეს. 22 დოლარს პროცენტი გარკვეული დროის მანძილზე ემატებოდა და გაჭირვების დროს გამომადგა. ჯიბეში ერთი თეთრიც არ მქონდა და მართლაც ძალიან გამიხარდა.

**პოსტსკრიპტუმის მაგიერ:**
**ბატონი ჯონდის თქმით, დაახლოებით მილიონის და კიდევ მეტის ქონება არ არის დარეგისტრირებული მის სახელზე და სწორედ ამიტომ არ შეაქვს დეკლარაციაში... ჩვენ ვიკითხოთ, თორემ ალბათ დეპუტატის წლევანდელ ქონებრივ დეკლარაციაში ახალ სახლთან ერთად სხვა შენაძენიც შევა და მისი მწირი დეკლარაციაც მის შემვსებთან ერთად კიდევ უფრო გამდიდრდება...** ■



# ერთი კავალრის ამარა დარჩენილი ქეთევან კანტიძე

## „ვფიქრობ, რომ ძალიან ლამაზი ვარ“...

**ქეთევან კანტიძე პროფესიით ხმის რეჟისორია, მაგრამ ბევრი როლი აქვს ნათამაშები. უკვე რამდენიმე წელია, მარჯანიშვილის თეატრის დასის ხელმძღვანელია. ინტერვიუზე სასაუბროდ თეატრში ვეწვიე. ქეთევანი მაკიაჟის გარეშე დამხვდა — წინა საღამოს მის მეუღლეს შვილიშვილი შესძენია და სამსახურში გამოუძინებელი მოვიდა. ენ-ერგიულმა და ხალისიანმა ქეთევანმა ამ ამბის გამოსწორება მაშინვე დაიწყო — გაუპრანჭავი ხომ არ ვიქნები თქვენს ჟურნალშიო და ინტერვიუს პარალელურად, შეღებვა დაიწყო.**

*მერი კობიაშვილი*

— **ბავშვობიდან გიყვარდათ გაპრანჭვა?**

— ძალიან მიყვარს შეღებვა. როცა გაპრანჭული ვარ, თავს კარგად ვგრძნობ. როცა ფორმაში არ ვარ, დეპრესია მემართება.

— **დიდ თანხას ხარჯავთ პარფიუმერიაში?**

— დაბადების დღეებზე მჩუქნიან ხოლმე და მერე წლობით მყოფნის. მეგობრებს ერთი არაჩვეულებრივი წესი გვაქვს — წინასწარ ვამბობთ, ვის რა საჩუქარი გვინდა.

— **თქვენ არჩევანს ყოველთვის პარფიუმერიაზე აკეთებთ?**

— წლევანდელ დაბადების დღეზე ტაფები და ქვაბები მიყიდეს. მე და ჩემი მეუღლე ახალ სახლში გადავედით და მეგობრების წყალობით, არაჩვეულებრივი ტაფებისა და ქვაბების ნაკრები მაქვს. სახლში რომ ვარ, მათ თვალს ვერ ვწყვეტ ხოლმე.

— **ზოგადად, როგორი გემოვნება გაქვთ?**

— მაღალი და აშხვართული გოგონები მომწონს, მაგრამ არ ვარ ასეთი და რა გავაკეთო?!. ერთხელ „ფეშენ ტვ“-ის ვუყურებდი. დავურეკე ჩემს მეგობარს და ვუთხარი, ახლა რომ გოგო გამოდის პოდიუმზე, ისეთი კაბა მინდა-მეთქი. სიცილით მოკვდა, სარკეში ჩაიხედეო, — მითხრა. ლამაზი ადამიანები მიყვარს და მომწონს.

— **გახდომა არ გიცდიათ?**

— ვფიქრობ, რომ ძალიან ლამაზი ვარ.

— **თქვენ ხომ მითხარით, გამხდრები მომწონსო.**

— სხვას რომ ვუყურებ, გამხდარი მომწონს, მაგრამ ჩემს თავს სარკეში რომ ვათვალიერებ, ვფიქრობ, რომ ლამაზი ვარ.

— **რადგან გამხდრები მოგწონთ, ვიფიქრე, თქვენც ხომ არ გინდათ, ისეთივე იყოთ-მეთქი.**

— ახალგაზრდობაში ძალიან გამხდარი ვიყავი. ჩემი ასაკისთვის ნორმალურად გამოვიყურები. წონის გამო არც ერთ რეჟისორს არ დავუწუნებივარ. სამუშაო სულ მაქვს.

ვანიკო სულ შიშველი არ იყო, მაგრამ ფილმში ასე გამოჩნდა





თუ რეჟისორი მთხოვს, 20 კილო მოიკელიო, აუცილებლად მოვიკლებ

ჩემი წონითაც საკმაოდ წარმატებული ვარ ჩემს საქმეში. თუ რეჟისორი მთხოვს, 20 კილო მოიკელიო, აუცილებლად მოვიკლებ. თუ საჭირო იქნება კინოსთვის, თავს გავწირავ და გავხდები.

— **დიეტის დროს რაზე დაგწყდებათ გული?**

— არაფერზე. როცა დიეტაზე ვარ, მგონია, რომ არაჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ამ დროს ვფლობ ჩემს სხეულს, ტვინსა და გონებას. ცოტა ხნის წინ ვამბობდი, სერიალის „გოგონა გარეუბნიდან“ სცენარისტებს უნდა ვუთხრა, რომ დოდოშკამ დიეტა დაიწყოს, მერე ჩემს თავსაც ვაიძულებ, რომ გავხდე-მეთქი.

— **სერიალში თაყვანისმცემლებით განებივრებული ხართ...**

— კი, მაგრამ ახლა მოვლენები ისე განვითარდა, მხოლოდ ვალერი დამრჩა და მისი ერთგული ვარ. შეიძლება, უახლოეს მომავალში ცოლადაც გავყვე, ვნახოთ.

— **მამაკაცებთან დაკავშირებით როგორი გემოვნება გაქვთ?**

— ყოველთვის მომწონდა მაღალი, გამხდარი მამაკაცები.

— **თქვენი მეუღლე როგორია?**

— ახოვანი და მხარბეჭიანი მამაკაცი მყავს გვერდით.

— **გამოდის, რომ ოცნება აგისრულდათ — ზუსტად ისეთი ქმარი გყავთ, როგორზეც ოცნებობდით.**

— არა, მე უფრო გამხდრები მომწონდა.

— **ამას თქვენს მეუღლეს არ ეუბნებით?**

— არა, ამას როგორ ვეტყვი?! რომ წაიკითხავს ამ ინტერვიუს, გადაირევა. არ უნდა წავაკითხო (*იცინის*). თან ახლა როგორიცაა, ისეთი ძალიან მომწონს.

— **მეუღლე რას გეუბნებათ, რამ მოხიბლა თქვენში?**

— ჩემი არაჩვეულებრივი ხასიათითა და უშუალობით, იუმორითა და კეთილშობილებით მოიხიბლა. მოკლედ, ჩემით მოხიბლული და დაცემულია. თავიდან ასე არ გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ მერე შეიცნო რა ჩემში მდიდარი სამყარო, გადაირია (*იცინის*).

— **რამდენი წელია, ერთად ცხოვრობთ?**

— სამი.

— **მეუღლეს კულინარიული შესაძლებლობებით აოცებთ?**

— სახლიდან დილის 9 საათზე გამოვდივარ და ღამის 11-ზე შევდივარ. თუ სახლში ვარ, კერძებსაც ვამზადებ და ყველაფერი მოსწონს. ძალიან კარგი ხელი მაქვს. დედა რაჭველი მყავს, საჭმელების მომზადება მან მასწავლა. არ მეშინია იმის თქმის, რომ ყველაფერს გადასარევად ვამზადებ.

— **სახლში საჭმელს ვინ ამზადებს? მეუღლე?**

— მეუღლე რუსთავში მუშაობს. ძალიან არაორდინარული ოჯახი ვართ. იშვიათად ვაკეთებთ სადილებს. ვცდილობთ, რომ დიეტაზე ვიყოთ. შემწვარ-მოხრაკულებს არ ვჭამთ.

— **მსახიობი არ ხართ, მაგრამ ხშირად გიწვევენ სხვადასხვა ფილმში. რომელ ჰოლივუდელ მსახიობთან ითამაშებდით?**

— არა, ასეთი „ნაგლიც“ არ ვარ (*იცინის*). ახლა ვთამაშობ არამ ფარაჯანოვის ფილმში — „ყველა წავიდა“, სადაც ჰოლივუდელ მსახიობებზე არანაკლები მსახიობი მყავს პარტნიორად — მიშა გომიაშვილი. ფილმში ასევე თამაშობენ ზურა ყიფშიძე, დათო დვალიშვილი, ლალი ბადურაშვილი. მიშა გომიაშვილი კი ჩემი უშუალო პარტნიორია.

— **ასევე თამაშობთ ფილმში — „ჭამა და სექსი“. ძალიან დამაინტრიგებელი სათაური აქვს ფილმს. მოგვიყევით, რა როლი გაქვთ?**

— ფილმში რამდენიმე ნოველაა. ერთ-ერთში სიდედრის როლი მაქვს.

— **ინტერნეტში ფოტო ვნახე, სადაც ვანიკო თარხნიშვილი შიშველია და თქვენ გაოცებული უყურებთ.**

— ვანიკო ჩემი სიძის როლს თამაშობს. სიდედრი ყოველდღე შედის შვილისა და სიძის საძინებელში საჭმლით და თან ეკითხება, კიდევ რა მოგიტანოთო. მოკლედ, სიძეს ცოლთან ურთიერთობას არ აცლის, სულ მათ ოთახშია. ბოლოს ვანიკოს გმირი ისე გადაირევა, ეტყვის, რა გინდა, ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეო და შიშველი წამოხტება. ჩემი გმირი ცოტა არასერიოზული ქალია. ამ ამბის მერე წუწუნებს, ამ ახალგაზრდებს ვერაფერი გავუგე, ზედ გადავყევი, ხან ცივ საჭმელს ვაჭმევდი, ხან ცხელს, მაგრამ ვერაფერი დავანახვეო. ვერ იგებს, რომ ახალგაზრდებს აწუხებს. ძალიან საწყალი პერსონაჟია. ვანიკო სულ შიშველი არ იყო, მაგრამ ფილმში ასე გამოჩნდა. სცენარის მიხედვით, იმისთვის უნდა მიმექცია ყურადღება, გაბრაზებული რომ იყო და ასეც ვიქცეოდი.

— **მოკლედ, ამ ორი ძირითადი ინსტინქტიდან, ჭამიდან და სექსიდან თქვენში ჭამის ინსტინქტია გაძლიერებული.**

— აბა, მე ისეთი სექსბომბა არ ვარ, სექსუალური ქალის იმიჯი რომ მოვირგო (*იცინის*). ძალიან მომწონს გიორგი ლიფონავასთან მუშაობა. თავის ფილმებში პატარა როლს აუცილებლად გამომიძებნის ხოლმე.

— **სერიალების მოყვარული ხართ?**

— სერიალს — „გოგონა გარეუბნიდან“, ინტერნეტში ვადევნებ თვალს. სხვა სერიალებს კი ნამდვილად ვერ ვუყურებ.

— **რომელიმე სერიალი თავიდან ბოლომდე გაქვთ ნანახი?**

— „მონა იზაურა“ და „მდიდრებიც ტირიან“ ნანახი მაქვს. „მონა იზაურა“ პირველად გავიდა ეთერში და ის მგონი ყველამ ნახა. საუნდტრეკიც კი მახსოვს.

— **თანხის დახარჯვა რაში არ გენანებათ?**

— არაფერში.

— **სახლში გაქვთ რაიმე კოლექცია?**

— ამ ბოლო დროს ქვაბებზე გავგიჟდი და უკვე ბევრი დამიგროვდა. ბევრი ფული რომ მქონდეს, დაახლოებით 20 მილიონ ნახატს ვიყიდდი და კოლექციონერი გავხდებოდი. ეს ჩემი ბავშვობის ოცნებაა.

— **ხატავთ?**

— ბავშვობაში მქონდა მცდელობა, რომ დამეხატა. ერთ ჩემს მეგობარს ჩემი ნამუშევარი დღემდე შენახული აქვს. შემოქმედი ადამიანი ვიყავი, ვწერდი ლექსებს, ჩემი მოთხრობები იბეჭდებოდა. მახსოვს, ვგიჟდებოდი ერნესტ ჰემინგუეიზე და ჯერომ სელინჯერზე.

— **მანქანა გყავთ?**

— კი, მაგრამ საშინელი მძღოლი ვარ. დრო არ მაქვს, რომ კარგად ტარება ვისწავლო. სამსახურში ჩემს მეუღლეს მივყავარ ხოლმე.

— **თქვენი ნება რომ იყოს, რომელი მარკის მანქანას აირჩევდით?**

— „მერსედესის“ დიდ ჯიპზე ვოცნებობ. ჯიპიდან რომ გადმოდიხარ, გრძნობ, რომ მანქანიდან გადმოხვედი. ■



# დილის გადაცემის ახალი სტრატეგია ანუ „ახლა აღარ იფლირტავებენ“

**ახალი საეთერო სეზონიდან, „იმედის დილის“ პროდიუსერად მომღერალი ირმა სოხაძე მოგვევლინა. მისი გამოჩენა დილის გადაცემას მაშინვე დაეტყო, რადგან „იმედიდან“ წასული ნუცა ჯანელიძეც ისევ ამ არხს დაუბრუნდა და ახალგაზრდა, გამოუცდელი მომღერლების სწავლა-გაპოპულარულებას შეუდგა... ქალბატონი ირმას გადაწყვეტილებით, გადაცემის წამყვანები საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეები არიან. დილის პროგრამის სხვა საინტერესო სიახლეებსა თუ ცვლილებებზე სასაუბროდ ქალბატონ ირმას შინ ვეწვიეთ...**



*ნათია ჟივიძე*

— **რამდენიმე წელია, რაც ტელევიზიაში აღარ გიმუშავიათ; ახლა კი „იმედის დილის“ პროდიუსერად მოგვევლინეთ. რას აკეთებდით აქამდე და როგორ აღმოჩნდით ამ თანამდებობაზე?**

— ტელევიზიიდან ორი წლის წინ წამოვედი, მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე შინ უსაქმურად არ ვმჯდარვარ — ეს ჩემთვის ყველაზე ბედნიერი ხანა იყო, რადგან შვილიშვილი შემეძინა. მოგეხსენებათ, ჩემი უფროსი ქალიშვილი პრაღაში ცხოვრობს. შესაბამისად, პატარა მაქსიც იქ დაიბადა. საკუთარი სურვილით გადავწყვიტე, მაქსის ძიძა ვყოფილიყავი. ხან აქ ვიყავით, ხან — ჩეხეთში და ვფიქრობ, ჩემს შვილს ძალიან დავეხმარე. თბილისში რომ დავბრუნდი, რამდენიმე თვე უმუშევარი ვიყავი.




— **„იმედში“ გიორგი არველაძის მიწვევით მოხვდით?**

— ბუნებრივია, ბატონი გიორგის თანხმობის გარეშე არაფერი მოხდებოდა... თავდაპირველად, ნოე სულაბერიძემ დამირეკა და მუსიკალური გადაცემის რედაქტორობა შემომთავაზა. მაშინვე სიხარულით ჩავერთე ჩემს ახალ სამუშაოში, რაღაცები მოვხაზეთ კიდეც, მაგრამ მოულოდნელად, ბატონმა თემურ ხუბულავამ დამირეკა და დილის პროგრამის პროდიუსერობა შემომთავაზა.

— **ალბათ ადვილად მოირგეთ ახალი თანამდებობა...**

— რასაკვირველია, ეს ჩემთვის ახალი არ არის. ტელევიზიაში პროდიუსერიც ვყოფილვარ, მუსიკალური რედაქტორიც და ა.შ. მაგრამ ყოველდღიური გადაცემა ნამდვილად არასოდეს მქონია. ეს ჩემთვის პირველია და ამით ძალზე კმაყოფილი ვარ, რადგან ყველაზე კარგი სამუშაო ეს ყოფილა...

— **ვიდრე ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, თქვენს ჟურნალისტს სამშაბათის გადაცემის გეგმებზე ესაუბრებოდით. გადაცემების თემებს რამდენიმე დღით ადრე გეგმავთ?**

— წინასწარ მთელი კვირის გეგმა გვაქვს დაწერილი. უამრავი მსურველი გვირეკავს და სხვადასხვა ღონისძიებაზე გვეპატიჟება. უამრავ სიუჟეტს ვიღებთ და მათ გასაშვებად გადაცემისთვის გამოყოფილი ორსაათ-ნახევარი არც გვყოფნის. მით უფრო, რომ საათში ერთხელ „ქრონიკა“ გადის და არაერთი სარეკლამო ჭრა გვაქვს. მოკლედ, მთელი კვირის ღერძი წინასწარ გვაქვს აგებული, მერე კი სიახლეების მიხედვით, ცარიელ ადგილებს ვავსებთ.

— **ვიდრე „იმედში“ მიხვიდოდით, დილის გადაცემის პროდიუსერი ინგა დადიანი გახლდათ, რომელიც ამჟამად ტელეკომპანია „მზეზე“ დილის გადაცემას ხელმძღვანელობს. რატომ წავიდა ინგა „იმედიდან“?**

— ამის შესახებ მართლა ვერაფერს გეტყვი. ინგას ვიცნობ და არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. როცა „იმედზე“ დილის ეთერს ხელმძღვანელობდა, გადაცემის სტუმრად არაერთხელ მივუწვევივარ. ეს სამუშაო რომ შემომთავაზეს, ინგა ამ არხიდან უკვე წასული იყო. მის მოვალეობას ნიკა დვალიძე ასრულებდა, რომელიც ჩვენთან დავტოვეთ და ახლა „იმედის დილის“ ტექნიკური რედაქტორი გახლავთ.

— **ყველასთვის ცნობილია, რომ ძირითადად, „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ თანამშრომლობდით. „იმედში“ ეს თქვენი პირველი სამსახურია?**

— არა. მაია ყიფიანმა პირველად „იმედის ტალღა“ რომ გააკეთა, მასში ვმონაწილეობდი. მერე გადაწყდა, რომ მეორე „იმედის ტალღაში“ მსახიობებისა და მომღერლების დუეტები შეიქმნებოდა. სწორედ იმ მეორე გადაცემის მუსიკალური რედაქტორი გახლდით, მაგრამ სეზონი რომ ჩავამთავრეთ, „იმედიდან“ წამოვედი. მოკლედ, „ტელევიზიონშიკობა“ ნებისმიერი ადამიანისთვის ცხოვრების დამლაა (კარგი გაგებით), რომელსაც ვერასოდეს მოიშორებს... მრავალსეგმენტიანი დილა გვაქვს. მაგალითად, აქამდე ამ თვალსაზრისით ცოტა პაუზა გვქონდა, მაგრამ ახლა ჩვენს დილაში ყოველ პარასკევს სხვადასხვა რესტორნის მზარეულები მოვლენ, რომლებიც დელიკატესებს ან სამარხვო კერძებს პირდაპირ ეთერში მოგვიმზადებენ. ასევე, გვეყოლება სპორტული კომენტატორი. ძალიან გვინდა, რომ მრავალფეროვანი პროგრამა გვქონდეს...

— **ამ სიახლეების იდეა თქვენ გეკუთვნით?**

## ორი განსხვავებული წყვილი გამოვიდა. კახა და მარიამი გაწონასწორებულები, ენაწყლიანები არიან. სალომე და ჯაბა კი — გიჟები

— ყველა ერთად ვცდილობთ, რომ პროექტი უფრო საინტერესო გავხადოთ. მაგალითად, გვაქვს ახალი რუბრიკა — „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს“. იდეა ჩვენს გენერალურ დირექტორს, ბატონ გიორგი ლომინაძეს ეკუთვნის.

**— თქვენი გადაცემის წამყვანები საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები არიან. რატომ გადაწყვიტეთ, რომ აქცენტი მაინცდამაინც მათზე გაგეკეთებინათ, რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ ისინი?**

— სერიალის — „შუა ქალაქში“ გმირები, ანანო და სანდრო ძალიან მომწონდნენ და მომივიდა იდეა, რომ ეთერში სწორედ ისინი დამესვა. ჩემს ძველ მეგობარსა და პარტნიორს, დათო გოგიჩაიშვილს დავუკავშირდი და ვკითხე, ეს ორი ადამიანი სერიალისთვის კიდევ სჭირდებოდა თუ არა. მითხრა, თუ შენ გჭირდება, წაიყვანე, რადგან მართლაც ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები არიანო. ასე მოვიწვიე ისინი ჩვენს გადაცემაში. მერე კასტინგი ჩავატარეთ, რომლის შედეგადაც სალომე გოგიაშვილი და კახა მიქიაშვილი შევარჩიეთ. არაერთი ძალიან კარგი პრედენდენტი იყო, ისინიც ცნობილი სახეები გახლდნენ, მაგრამ რატომღაც არჩევანი ამათზე შევაჩერეთ.

**— ნინო არაზაშვილს ყოველთვის ისეთი წამყვანები მოჰყავს, რომლებსაც საზოგადოება მაინცდამაინც კარგად არ იცნობს...**

— მიმაჩნია, რომ ის გზა, რომელიც მე ავირჩიე, გამართლებულია. თანაც ვერ ვხვდები, რატომ უნდა იყოს წამყვანი მაინცდამაინც „მის საქართველო“ ან უბრალოდ, ძალიან ლამაზი? მთავარია, სასიამოვნოდ მოსაუბრე იყოს, აზროვნებდეს და მეტყველებდეს. სალომე ჟურნალისტია და გამოცდილება აქვს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მარიამი მასზე ნაკლებად მეტყველებს. შესაძლოა, სტუმართან გაცილებით ლოგიკური კითხვა ჩამოაყალიბოს, თუმცა სალომეც ძალიან კარგია. იმდენად უშუალო და გახსნილია, ისეთი იუმორი აქვს, ეთერში ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვის, გვხოცავს სიცილით...

**— სალომე და კახა პირდაპირ ეთერში ფლირტაობდნენ კიდეც...**

— ახლა აღარ იფლირტავებენ, რადგან სალომე ეთერში ჯაბასთან ერთად იქნება. ერთი პერიოდი მარიამს გადაღებები ჰქონდა და რამდენჯერმე სალომეს მისი შეცვლა მოუხდა. რატომღაც მაყურებელს ჯაბას და სალომეს და მარიამისა და კახას დუეტი უფრო მოეწონა. ორი განსხვავებული წყვილი გამოვიდა. კახა და მარიამი გაწონასწორებულები, ენაწყლიანები არიან. სალომე და ჯაბა კი — გიჟები. როგორც პატარა ბავშვები, ისე იქცევიან, ვერ ვაოკებთ. ხანდახან ისეთ სისულელეზე ეცინებათ, გაგიჟდები. ყოველ „სრულ საათზე“ „ქრონიკაა“ და ყოველი „საათის ნახევარზე“ — ორწუთიანი „ქრონიკის“ ანონსები. ერთხელ რუსიკომ ჯაბას ყურში უთხრა, პაწაწუნა „ქრონიკა“ გამოაცხადეო და ის პირდაპირ ეთერში ისეთ დღეში ჩავარდა, ველარ ვაწყნარებდით. იმის მერე სულ ასე აცხადებს, პაწაწუნა „ქრონიკის“ დროაო. კახა უფრო სერიოზულია. მაგალითად, ასეთი სლოგანი მოიფიქრა: სჯობს დილას, ვიდრე — საღამოსო. მოკლედ, ჩვენი წამყვანები მართლაც ძალიან კარგები არიან. ერთმანეთს არ ჰგვანან და უბრალოდ, ტრაფარეტულ ტექსტებს არ კითხულობენ.

**— ამ ოთხიდან ყველაზე დაუმორჩილებელი რომელია?**

— ყველა საყვარელია. შესაძლოა, ყურში ვუთხრათ, რომ სამ წამში გადაცემას ვამთავრებთ, მაგრამ მას თავისი



წინადადება ჰქონდეს დასამთავრებელი და ვიდრე იმას არ დაასრულებს, მაყურებელს არ დაემშვიდობება. შესაბამისად, განსაზღვრულ დროსაც აჭარბებს. კახა მიქიაშვილი ყველაზე მოწესრიგებულია.


გვარს არ დავასახელებ, მაგრამ ფაქტია, რომ სხვაგან მიდიან და არც ახსენდებათ, რომ „ნუცას სკოლაში“ აიდგეს ფეხი

**— თუ არ ვცდები, „ნუცას სკოლა“ თქვენ დააბრუნეთ ეთერში...**

— არა, „იმედში“ რომ მივედი, უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ „ნუცას სკოლა“ უნდა დაბრუნებულიყო. სიმართლე გითხრათ, ამ ფაქტით ძალიან ბედნიერი ვარ.

**— მგონი, „ნუცას სკოლა“ „იმედის დილის“ ყველაზე ყურებადი ნაწილია...**

— მართალი ხარ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ დროს უფრო მეტი ადამიანი იღვიძებს. გარდა ამისა, ქართველებს ძალიან გვიყვარს მუსიკა და ნიჭიერი ახალგაზრდები. ამ ნაკადში კი მართლაც ისეთი ნიჭიერი ბავშვები გვყავნან, რომ ყოველ პარასკევს საგონებელში ვცვივდებით, ვინ გავუშვათ და ვინ დავტოვოთ, აღარ ვიცით. მაგალითად, ამ კვირაში ყველა მონაწილეს მაღალი ქულები ჰქონდა და არჩევანი ვერც ერთზე ვერ გავაკეთეთ. პროექტში ერთი გამარჯვებული SMS-ების რაოდენობით ვლინდება, მეორეს ჟიური ტოვებს. ამ შემთხვევაში, ორივე მონაწილე SMS-ების რაოდენობის მიხედვით დავტოვეთ, რადგან ჟიურიმ არჩევანი ვერ გააკეთა. პროექტი მაისში დასრულდება. მერე მინდა, რომ მონაწილეები არ გავუშვა და „ნუცას სკოლის სახელოსნო“ გავაკეთოთ, სადაც ამ ბავშვებს გავზრდით, ვასწავლით, ვამეცადინებთ. თანაც, „გამზადებული პროდუქტის“ სხვებისთვის მირთმევა გვენანება.

**— მართალია, „ნუცას სკოლელები“ მერე „ჯეოსტარის“ მონაწილეები ხდებიან...**

— არ ვაკონკრეტებ, სად მიდიან. „კოლმეურნეობის თავმჯდომარის“ გვარს არ დავასახელებ, მაგრამ ფაქტია, რომ სხვაგან მიდიან და არც ახსენდებათ, რომ „ნუცას სკოლაში“ აიდგეს ფეხი. რადგან ახსენე, მეც ვიტყვი, რომ შვიდმა ბავშვმა, ვინც დღეს უკვე „ჯეოსტარია“, „ნუცას სკოლაში“ დაიწყო სწავლა და ეს აუცილებლად ხაზგასასმელია. სხვაგანაც გამოჩნდნენ, რა პრობლემაა, მაგრამ „ნუცას სკოლა“ არ უნდა დაივიწყონ.

**— მკაცრი უფროსი ხართ?**

— ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება, ხელმძღვანელი მკაცრი იყოს, თანამშრომლებთან ჩხუბობდეს, ყვიროდეს და იყოს უხეში. ვინც ასე იქცევა, მგონია, რომ ის სუსტი ხელმძღვანელია, რადგან თანამშრომლებთან ურთიერთობის სხვა ბერკეტი და მოქმედების საშუალება არ გააჩნია. თანამშრომელს ხმამაღალი სიტყვა რატომ უნდა ვაკადრო? ხვალ შეიძლება ის გახდეს ჩემი უფროსი და მერე იმან უნდა მიყვიროს? ჩემთვის თანამშრომლებთან ურთიერთობა ძალზე ადვილია.

## ვერ ვხვდები, რატომ უნდა იყოს წამყვანი მაინცდამაინც „მის საქართველო“ ან უბრალოდ, ძალიან ლამაზი?

**— თქვენი კონკურენტი არხების დილის გადაცემებს თუ უყურებთ ხოლმე?**

— ჩვენი გადაცემის პარალელურ რეჟიმში, ხანდახან მათკენაც გავაპარებ ხოლმე თვალს. ზოგჯერ რეიტინგში თუ დიდი განსხვავება იქნება — ჩვენ ვაჯობეთ ან მათ გვაჯობეს, ვინტერესდები, თუ რის გამო მოხდა ასეთი სხვაობა და მაშინ ვუყურებ მათ გადაცემას თავიდან ბოლომდე.

**— რომელი არხის დილის გადაცემაა უფრო მიმზიდველი?**

— კონკრეტულად, რომელიმეს ვერ დავასახელებ. „ნუცას სკოლის“ სეგმენტში ნამდვილად ყველა არხს ვუგებთ. დანარჩენ დროს კი, თუ ჩვენ გვაქვს მაღალი რეიტინგი, მერე ორი დღე ვიჩაგრებით და შემდეგი ორი დღე „რუსთავი 2“ გვჯობნის; შემდეგ პირიქით ხდება და ა.შ.

**— თქვენი და „რუსთავი 2“-ის თემები თუ დამთხვევია ერთმანეთს?**

— რა თქმა უნდა, თემები ხშირად ემთხვევა. ან ჩვენ ვასწრებთ ერთი დღით, რაღაცის გაშუქებას, ან ისინი გვასწრებენ. სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვარ ორიენტირებული იმაზე, რომ ჩემს კონკურენტებს მაყურებელი წავართვა და ვაჯობო. მთავარია, რომ კარგი გადაცემა გავაკეთო. არ დაგიმალავთ, ზოგჯერ იმიტომ ვუყურებ კონკურენტ არხს, რომ მათ არ დავემსგავსოთ. რაც მათ უკვე ჰქონდათ, ის აღარ გვინდა... მოკლედ, რეიტინგი უდავოდ კარგი რაღაცაა — შენი პოპულარობის მაჩვენებელია, მაგრამ მეგობრული წრეებიდან რომ რეზონანსი მოდის და გეუბნებიან, სულ თქვენ გიყურებთ და კარგ გადაცემას აკეთებთო, ეს ნათქვამი შესაძლოა, რეიტინგის მონაცემებს სჯობდეს კიდეც.

**— თემას გადავუხვიოთ და მითხარით, სოლო კონცერტს თუ გეგმავთ?**

— კი, ძალიან მინდა, რომ 26 მაისს, რუსთაველის თეატრში „კლასიკური“ კონცერტი მოვაწყო, მაგრამ 28 მაისს „ნუცას სკოლას“ გალა-კონცერტი გვაქვს დაგეგმილი და არ ვიცი, ჩემს კონცერტზე მუშაობას რამდენად მოვასწრებ. თუ ახლა არა, მაშინ ამ კონცერტს შემოდგომაზე აუცილებლად შევთავაზებ ჩემს მსმენელს. ■



# „მგზავრების“ უკრაინული ვოიაჟი
## ანუ სად მიკი მაუსი და სად — რქები?!

**ჯგუფი „მგზავრების“ ცხოვრებაში ბევრი ახალი ამბავია — ბიჭები სულ რამდენიმე დღეა, უკრაინიდან ჩამოვიდნენ, სადაც წარმატებული კონცერტი ჩაატარეს. 1-ელ აპრილს გიგის დაბადების დღე ჰქონდა, მეორე დღეს კი მე ვესტუმრე და გამოუძინებელ „ნაიუბილარევთან“ ინტერვიუც ჩავწერე.**

*ელენე ბასილიძე*



**— პირველად ინტერვიუზე ზუსტად 2 წლის წინ მოვედი თქვენთან. მაშინ „მგზავრები“ წარმატების გარიჟრაჟზე იყვნენ. რა შეიცვალა მას შემდეგ?**

— პიროვნულად ჩვენში არაფერი შეცვლილა — ისევ ისეთები ვართ, როგორებიც ვიყავით. დროთა განმავლობაში, ჯგუფის თითოეული წევრისთვის „მგზავრები“ ყოველწუთიერი საფიქრალი გახდა; სულ ჯგუფის გარშემო ვტრიალებთ.

**— ალბათ სწორედ ამ ზრუნვის შედეგია, რომ დღეს ჯგუფს მთელი საქართველო იცნობს...**

— რა ვიცი, ალბათ ასეა... ხშირად ამბობენ, რომ პოპულარობა ჩვენმა ნიჭმა განაპირობა. ყოველთვის ვმუშაობდით და სიმღერებს ვწერდით. მგონია, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი თავისთავად მოხდა. ხალხის სიყვარული ჩვენთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და ამას ჩვენი ჯგუფის ყველა წევრი აცნობიერებს — მოშვების უფლება არ გვაქვს. თითოეულ ნაბიჯს ვზომავთ; ვცდილობთ, რამე ისე არ გავაკეთოთ, რომ არასწორად გაგვიგონ. შეძლებისდაგვარად, პასუხისმგებლობით ვეკიდებით ყველა საქმეს.

**— ხშირად აღგინიშნავს, როცა ადამიანები სითბოს გამოხატავენ ჩემ მიმართ, ძალიან მრცხვენია, რომ მეც ისეთივე სითბოთი და სიყვარულით ვერ ვპასუხობო...**

— ვაიმე, მაგ დროს საშინელ სიტუაციაში ვარ. მინდა, იმ ადამიანს გადავეხვიო, ჩავეხუტო, ხელში ავიყვანო და მთელი თბილისი მოვარბენინო. რა თქმა უნდა, მათ სითბოს ვუბრუნებ კიდეც, მაგრამ როგორც მე მინდა, ისე არ გამომდის. ძალიან კარგად მესმის, რომ დღეს საქართველოში ადამიანი თუ მოდის და შენ მიმართ სითბოს გამოხატავს, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს!

**— ახლახან უკრაინიდან დაბრუნდით; როგორ გადაწყდა თქვენი წასვლა?**

— ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ უკრაინაში მცხოვრები ბევრი ქართველი თავის უკრაინელ მეგობრებს ჩვენს მუსიკას ასმენინებდა, გვეუბნებოდნენ, აქ თქვენი სიმღერები ძალიან მოსწონთ და კონცერტი უკრაინაში ჩაატარეთო. მოხდა ისე, რომ ძალიან კარგი კონტაქტი დავამყარეთ იქაურ პროდიუსერებთან, მუსიკოსებთან, ჟურნალისტებთან, რომლებიც სტუმრად ჩამოვიდნენ ჩვენთან. ერთხელაც გადაწყვიტეს, უკრაინაში თქვენი კონცერტი უნდა ჩავატაროთო, თქვეს და ძალიან სერიოზული პიარკამპანიის ჩატარება დაიწყეს. რეკლამა, რომელიც ჩვენი კონცერტის შესახებ იუწყებოდა, 4 რადიოში 3 კვირის განმავლობაში ტრიალებდა. მერე უკრაინულ ჯგუფ „ტენეემკასთან“ ჩავწერეთ დუეტი. ეს საკმაოდ პოპულარული ჯგუფია უკრაინაში და მალევე აღმოვაჩინეთ, რომ დუეტი უკრაინელებს ძალიან მოეწონათ. ამ სიმღერას მსმენელი ძალიან ხშირად ითხოვდა რადიოში.

**— რა ენაზე მღეროდით?**

— ჩვენ ქართულად ვმღეროდით, ისინი — უკრაინულად. სიმღერის მხოლოდ მისამღერი ჩავწერეთ „მგზავრულ“ სტილში, რადგან ეს ჯგუფი ჰიპ ჰოპს მღერის და ცოტა არ იყოს, უცნაური დუეტი გამოგვივიდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს სიმღერა ყველას მოეწონება. შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი ექსპერიმენტი ჩავატარეთ — გვაინტერესებდა, როგორი გამოვიდოდა. მას შემდეგ, რაც თითქმის ყველაფერი მომზადდა, ჩვენი ჩასვლაღა იყო საჭირო და გავემგზავრეთ. ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, თუ რა საშინელებაა დილის 6 საათზე ადგომა და ღამის 3 საათზე დაძინება. ამასთან ერთად, ყოველი წუთი გაწერილი მქონდა და თავისუფალი დრო რას ნიშნავდა, სულ გადამავიწყდა. ტელევიზია, რადიო, ჟურნალისტები, ინერნეტპორტალი, დილის ეთერი, ღამის ეთერი... ყველაფრის ერთად მოსწრება ძალიან რთული იყო. ბოლოს კი ეს ყველაფერი კონცერტით დაგვირგვინდა...

**— როგორც ვიცი, 4 დღით იყავით წასული. რამდენ წევრი გაემგზავრეთ?**



— 17 კაცი წავედით და მანამ, სანამ ჩვენ წავიდოდით, ჩვენი პროდიუსერი და ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გაემგზავრნენ, რომ ყველაფერი მოეგვარებინათ და წინასწარ დაეგეგმათ, ვინ სად იცხოვრებდა და ვინ რას გააკეთებდა.

— **კონცერტი სად ჩატარდა?**

— ერთ ძალიან კარგ საკონცერტო კლუბში. დარბაზში გამოკრული ბანერების მიხედვით მივხვდით, რომ ჩვენ შემდეგ იქ „ტელეკომ მუსიკი“, „ვან რეფაბლიკი“ და „ჰერცი“ იმღერებდა. უკრაინაში გაიგეს, რომ „ვილაც“ ქართველები ჩავდიოდით, მაგრამ ჩვენ შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ. არის ასეთი ძალიან ცნობილი ჟურნალისტი — სლავიკ შუსტერი, რომელიც პოლიტიკურ თოქშოუს — „შუსტერ ლაივს“ უძღვება. ტოქშოუში კი საზოგადოებას ხშირად სთავაზობს მუსიკალურ ნომრებს. ეს გადაცემა უკრაინაში ძალიან პოპულარულია და თითქმის ყველა უყურებს. გაგვიმართლა და სწორედ იქ მიგვიწვიეს. სანამ მივიდოდი, ყველა მამშვიდებდა, არ ინერვიულო, მერე რა, რომ ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ გადაცემაში, პოპულარულ ადამიანთან მიდიხარ?! დაივიწყე ეს ყველაფერი, ეცადე, არ იღელვოო. სათქმელად იოლია, მაგრამ როგორ გინდა, არ ინერვიულო?! შუტერთან „გაიღვიძა ბუნებამ“ ვიმღერეთ, რომლის შესრულების შემდეგაც გამოაცხადა: — ხვალ ამა და ამ კლუბში ბიჭებს კონცერტი ექნებათო. მეორე დღეს მთელი დარბაზი გადაიტენა. თავად ორგანიზატორებიც კი არ ელოდნენ, რომ ჩვენს მოსასმენად 2000 კაცი მოვიდოდა. ბილეთები რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა, მაგრამ მაინც გვეუბნებოდნენ, კონცერტზე 500 კაცი თუ მოვიდა, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი ნორმალურადაა და მსმენელი შეკრებილიაო. ყველაზე მაგარი ის იყო, რომ კონცერტზე მხოლოდ ასიოდე ქართველი მოვიდა; დანარჩენები უკრაინელები გახლდნენ, რომლებიც ქართულ დროშებს აფრიალებდნენ.

— **კიდევ აპირებთ წასვლას?**

— კი, ვგეგმავთ... უკრაინიდან გვიკავშირდებიან და გვთხოვენ, არ დაგვივიწყოთ და თავი არ მოგვანატროთო. კიევში კიდევ ერთი კონცერტი 3 ივნისს გვექნება. ამჯერად, უკვე ღია ცის ქვეშ. უკრაინაში გამოსვლა საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა იყო, რადგან ყველა, როგორც საქართველოს სახეს, ისე გვიყურებდა.



**უკრაინაში გამოსვლა საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა იყო, რადგან ყველა, როგორც საქართველოს სახეს, ისე გვიყურებდა**

— **საქართველოში, სიმღერასა და სიმღერას შორის საუბრით ძალიან იოლად ახერხებ მსმენელის გახსნას და აყოლიებას. იქაც ელაპარაკე მსმენელს?**

— კი, თანაც იქ სამჯერ მეტი ვილაპარაკე, ვიდრე საქართველოში ვლაპარაკობ ხოლმე (*იცინის*). ვუხსნიდი თითოეული სიმღერის შექმნის ამბავს; რომელი რას შეეხებოდა. სხვათა შორის, ჩემმა მიდგომამ იქაც გაამართლა, ხალხი იოლად გაიხსნა და ბოლოს ერთად „შევიკარით“. საზოგადოებასთან ურთიერთობა და ლაპარაკი პირველ რიგში მე მჭირდება, რადგან მათთან საუბრისას მეც ვიხსნები. როცა ვუკრავთ, ადამიანი უნდა გაიხსნას, რომ ჩვენმა მუსიკამ პირდაპირ „გულში გაუაროს“. სხვათა შორის, გვაფრთხილებდნენ, აქ განსხვავებული პუბლიკა, სხვა შოუბიზნესია, როგორც საქართველოში გამოდიოდით, ისე ვერ გამოხვალთ, ვერც ისე ჩაიცვამთ კონცერტზე, როგორც საქართველოში იცვამთო... მე თუ ჩემს სამშობლოში ჩატარებულ კონცერტზე თმა შეიძლება არც დავივარცხნო, იქ თმა თუ არ „დაიუთოეს“, სცენაზე არ დადგებიან. პროდიუსერებს უნდოდათ, ჩვენთვის იმიჯიც შეეცვალათ. ჩასვლისთანავე გაგვაფრთხილეს, მეტისმეტად უშუალოები და თავმდაბლები ხართ, აქ ასე ვერ გაქაჩავთ, ძალიან ამბიციური შოუბიზნესიაო. ინტერვიუს რომ ვაძლევდით, ორგანიზატორები გიჟდებოდნენ, რაებს ამბობთ, რას ლაპარაკობთ?! თქვენ უნდა თქვათ, რომ ყველაზე მაგრები ხართ, ყველაზე კარგად უკრავთ და ა.შ... არ ვარ ასეთი მაგარი და რა ვქნა-მეთქი?! — ვპასუხობდი. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ჩვენმა ბუნებრიობამ ძალიან გაამართლა.

— **უკრაინელებს რომელიმე სიმღერა ხომ არ მოსწონებიათ განსაკუთრებულად?**

— კი, ძალიან მოეწონათ აგვისტოს ომზე დაწერილი სიმღერა. როცა ამ სიმღერას ვმღეროდით, დარბაზი გაისუსა და დასრულების შემდეგ, ბისზე სამჯერ გამოგვიძახეს. ალბათ ეს იმის დამსახურებაც იყო, რომ სიმღერის შესრულებამდე მათთან გავიხსენი და ვაგრძნობინე, რამხელა ტრაგედია იყო ომი ჩვენთვის. ამ სიმღერას ყოველთვის ემოციურად ვმღერი, რადგან სხვანაირად არ შემიძლია. როცა ბისზე გვიძახებდნენ, ტაშის დაკვრის პარალელურად ფეხებსაც აბაკუნებდნენ. ვაიმე, იცი, რა დამემართა?! თითქოს ბოლომდე ვერც მივხვდი, რა ხდებოდა. თავიდან, 2 წელი, სანამ სცენას შევეჩვეოდი, გაუცხოების შეგრძნება მქონდა, შუა სიმღერის დროს ვფიქრობდი, სადა ვარ, რა მინდა-მეთქი... თან ისე ვნერვიულობდი, დაკვრა სულაც აღარ მინდოდა! ამ კონცერტზეც ასე დამემართა.

— **ეჭვი მაქვს, უკრაინაში ბევრ თაყვანისმცემელ გოგონას გაიჩენდით.**

— ხშირად ამბობენ, შენ ოღონდ ჩადი და იქ გაიგონ, რომ ქართველი ხარ, ყელზე შემოგეხვევიანო, მაგრამ ასეც არ არის. ჩემი აზრით, ქალს ეროვნება არ აქვს. მართალია, ქართველი ქალი უკრაინელისაგან და უკრაინელი ქალი კი — მოზამბიკელისგან განსხვავდება, მაგრამ ქალი — ქალია. ქართველი მამაკაცები კი უყვართ, მაგრამ უმიზეზოდ — არა! თავი თუ მოაწონე, შენი წარმომავლობა კიდევ ერთი პლუსია შენთვის. სხვათა შორის, უკრაინელ ქალებს მოსწონთ ქართული სიჯიუტე. მაგალითად, როცა ეტყვი, რომ ეს ასე იქნება და მორჩა, არ გეწინააღმდეგებიან. როგორც ჩანს, მოჰბეზრდათ გენდერული თანასწორობა. ამასთან ერთად, უკრაინელი ქალები ძალიან ძლიერები არიან და

დამოუკიდებლობით ქართველ ქალებს სჯობნიან.

**— კონცერტის შემდეგ თუ ეცადნენ თქვენთან შეხვედრას?**

— კონცერტის შემდეგ ისეთი დაღლილი ვიყავი, საკონცერტო დარბაზის ბარში შევედი, რომ ცოტა დამესვენა. იქ ათამდე გოგონამ შემოაღწია და დიდი სითბო გამოხატეს ჩემ მიმართ. ბიჭები ამბობდნენ, გარეთ რომ გავედით, იმდენი ადამიანი შემოგვეხვია გარშემო, ველარ ვიგებდით, ვინ რის გამო გვკოცნიდა და გვეხვეოდაო.

**— მახსოვს, ერთხელ ამბობდი, კიევში ძველი ნაცნობი, ტანიუშას მოსაძებნად უნდა წავიდე, დამეკარგაო...**

— (*იცინის*) ტანიუშკა ერთ-ერთ კარაოკე კლუბში, მიმტანად მუშაობს. ჰოდა, ამ კლუბში რომ შევდიოდით და ვმღეროდით, ყველამ გაგვიცნო, ტანიუშკაც ძალიან დაგვიახლოვდა. კარგი გოგონაა, სხვათა შორის, დეკემბერში რომ ჩავედი, ვნახე. მე და ჩემი მეგობრები რომ დაგვინახა, ძალიან გაუხარდა...

**— გარდა იმისა, რომ კონცერტი ჩაატარეთ, ალბათ კიევში კარგადაც ერთობოდით...**

— მე „მონა“ ვიყავი. დილიდან საღამომდე ხან რომელ გადაცემაში მივდიოდი, ხანაც — რომელში. ყველა ინტერვიუზე მე დავჩანჩალებდი, აბა, 17 კაცი ხომ არ მივიდოდით ერთად?! ჩვენი ბიჭები ისეთ ამბებს ჰყვებიან, რომელიც იქ ყოფნისას არც მსმენია. — „აი, იქ რომ წავედით და ის რომ ვნახეთ“... გაკვირვებული ვეკითხები ხოლმე, სად იყავით, როდის მოასწარით წასვლა-მეთქი?! კონცერტის შემდეგ, 3 ადგილას მოეწყო „ავთერ ფართი“. ვიაიპი სტუმრებს შორის, ზოგი რომელი კლუბის დირექტორი და ზოგიც რომელი რესტორნის მფლობელი. ჰოდა, რომელს რომელი წევრი მიჰყავდა თავისთან დროის გასატარებლად, ვერ გაიგებდი. კიევში ყველაზე ცუდად ის მახსენდება, საცობში რომ მოვყევით. შუსტერის გადაცემაში შუადღისას უნდა მივსულიყავით, რომ სტუდიაში ხმა დაგვეყენებინა. ეს სტუდია კი, ქალაქის გარეუბანში იყო და იქ მისვლამდე გზაში ისეთ საცობში მოვყევით, 4 საათი ვიდექით. რომ მივხვდით, ამ საცობს არაფერი ეშველებოდა, მეტროთი წავედით, მეტროდან ტაქსით გავაგრძელეთ გზა და როგორც იქნა, მივაღწიეთ შუსტერამდე.

**— გავიგე, გიგი გეგელაშვილმა კიევში რქებიანი მიკი მაუსი აღმოაჩინაო...**

— (*იცინის*) ჰო, ევროპის მოედანზე სეირნობდა და ხარის ფორმაში გადაცმულ ბიჭს რომელიღაც ქუჩის მისწავლება სთხოვა. ისიც დაეხმარა და თან შესთავაზა, ფოტო გადავიღოთო. მერე ხარს სიმფსონიც შემოემატა და ფოტოსესიის შემდეგ, ხარმა უთხრა, მოიტა ახლა ფული, მე ასე ვმუშაობო... სახლში მოსული გიგი ბიჭებს უყვებოდა, მიკი მაუსთან ფოტო გადავიღე და რქებში მომაკიდებინა ხელებიო. გადაირივნენ ბიჭები, სად მიკი მაუსი და სად — რქებიო?! მერე დახედეს ბიჭებმა სურათებს და ხართან ჰქონდა ფოტო გადაღებული.

**— როგორც ვიცი, მალე ახალ ალბომს გამოუშვებთ.**

— კი, ამ ალბომში დაახლოებით ოცი სიმღერა შევა, მაგრამ სახელი რა ერქმევა, ჯერ არ ვიცით. შერეული ალბომი იქნება, შევა როგორც ძველი, ასევე ახალი სიმღერებიც. მათ შორის — ჩვენი და უკრაინული ჯგუფის დუეტიც. ალბომი 1 თვეში, საქართველოში გამოიცემა. ამასთან ერთად, უკრაინულ კომპანია — „მუნ რეკორდსთან“ გვაქვს მოლაპარაკება და შეიძლება, რომ ჩვენი დისკი უკრაინაშიც გამოვიდეს.

**— საქართველოში ხომ არ აპირებთ კონცერტის ჩატარებას?**

— გეგმები გვაქვს, თუმცა ჯერ არ ვახმაურებთ. 2-3 კვირაში უკვე გაირკვევა ყველაფერი და სიახლეს ყველას გავუმხელთ. ■





თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ტომი №58

შიო არაგვისპირელი

გაბზარული გული



წიგნის ფასი 3 ლარი!

7-დან - 14 აპრილამდე!

წაიკითხე წიგნები-

უკეთესად იქნები!

გამოიწერეთ გზა და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „ელვა.ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

# რას ზვერავდა ნანული სარაჯიშვილი თელავის ბაზარში?



**ნანული სარაჯიშვილი 8-9 წლის გახლდათ, როცა პირველ ფილმში გადაიღეს და მსახიობობის გემოც მაშინ შეიგრძნო, მაგრამ ამ პროფესიაზე არც ამის შემდეგ უფიქრია, რადგან საკმაოდ შრომატევად საქმედ მოეჩვენა. მასწავლებლობა უნდოდა, მაგრამ პროფესიად ისევ არტისტობა აირჩია და ამ გადაწყვეტილებას დღემდე არ ნანობს.**

## ძალიან ვნანობ, რომ ოჯახი არ შევქმენი

*ელენე ბასილიძე*

— ალბათ ყველამ იცის, რომ ჩემი კარიერა ფილმით — „მანანა“ დაიწყო. მახსოვს, ამ როლზე საქართველოს ყველა რეგიონიდან ხუთასზე მეტი ბავშვი გასინჯეს. ერთ დღეს, ბატონმა რეზო ჩხეიძემ ზაქარია გუდავაძესა და შალვა მატაშვილს („მანანაზე“ ისინი მუშაობდნენ) ურჩია, წადით და სარაჯიშვილების ბავშვი გასინჯეთ ამ როლისთვის, ლამაზი ბავშვი არ არის, მაგრამ ძალიან ცოცხალიაო. ასე წამიყვანეს სინჯებზე. სიმართლე გითხრათ, მსახიობობაზე არასოდეს მიოცნებია. როცა სინჯებზე მისულმა ლამაზ-ლამაზი ბავშვები დავინახე, აბა, მე ვინ ამიყვანს-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ როლზე დამამტკიცეს. ახლა რეჟისორს თუ მოეწონები, როლზე მაშინვე დაგამტკიცებს; მაშინ კი ამ პროცესში დიდი საბჭო მონაწილეობდა და „ცეკა-ტეკას“ გავლით გვაძლევდნენ როლს. როცა სახლში დარეკეს და როლზე ნანული დაამტკიცესო, გვითხრეს, ისე ვინერვიულე, სიცხე 40 გრადუსამდე ამეწია. ბედნიერი ვარ, რომ ამ ფილმში ისეთ ვარსკვლავებთან ერთად ვმონაწილეობდი, როგორებიც იყვნენ სესილია თაყაიშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, იპოლიტე ხვიჩია, მედეა ჩახავა, იაშა ტრიპოლსკი... არაჩვეულებრივ პროფესიონალებთან ერთად ვითამაშე და მათგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე.

— **მითხარით, რეჟისორებს რეზო ჩხეიძემ ურჩია ჩემი კანდიდატურაო. ბატონი რეზო თქვენი ოჯახის ახლობელი იყო?**

— ჩემი უფროსი და ფილმებში — „საბუდარელი ჭაბუკი“ და „ჩვენი ეზო“ — მონაწილეობდა. ამის გამო რეზო ჩხეიძესაც ძალიან დაუახლოვდა ჩემი ოჯახი. ერთ-ერთ ოჯახურ ქეიფზე კი, ისე ვიცეკვე და ვიმღერე, თავი დავამახსოვრე (*იღიმის*).

— **როგორც ვიცი, ფილმში მონაწილეობის შემდეგაც არ მოგინდათ მსახიობობა.**

— ფილმის გადაღების პროცესში მივხვდი, რომ მსახიობობა ძალიან რთული პროფესია იყო. პატარაობიდანვე მიყვარდა ბავშვები და პედაგოგობა მინდოდა. ეზოში საკლასო ოთახი მქონდა მოწყობილი; დედაჩემის მელიის ტყავს მოვისხამდი, ბავშვებს დავსვამდი და ვთამაშობდი, ვითომ ისინი მოსწავლეები, მე კი მასწავლებელი ვიყავი. მამაჩემს უნდოდა, სამედიცინო ინსტიტუტში შემეტანა საბუთები. მაშინ ექიმობა „მოდაში“ იყო. „მანანას“ გადაღების შემდეგ სესილია თაყაიშვილს დავუმეგობრდი. სკოლას რომ ვამთავრებდი, მკითხა, რას აპირებ, სად აბარებო? რა ვიცი, ქალბატონო სესილია, მამას სამედიცინოზე, მე კიდევ — პედაგოგიურზე მინდა ჩაბარება-მეთქი. — „ნი ვკოემ სლუჩაი!“ თეატრალურ ინსტიტუტში უნდა ჩააბარო, შენ გაქვს მონაცემები, რომ კარგი მსახიობი გამოხვიდეო, — მომიჭრა. ძალიან სიტყვაძუნწი ქალბატონი გახლდათ, არაჩვეულებრივად თამაშობდა, მაგრამ თავისივე შესრულებული როლები იშვიათად მოსწონდა, საქებარ სიტყვებსაც ხშირად არ იმეტებდა და ეს რომ მითხრა, ძალიან გახარებული მივედი სახლში. მაშინვე ვუთხარი დედაჩემს, სესომ მითხრა, სამსახიობოზე ჩააბარეო. დედას უნდოდა, მსახიობი ვყოფილიყავი, მაგრამ მამა სასტიკი წინააღმდეგი იყო. უწინდელი ხალხი თეატრალურ ინსტიტუტს არასერიოზულად უყურებდა. იმ დროს კონსერვატორიაში, სამხატვრო აკადემიასა და თეატრალურ ინსტიტუტში იმაზე ადრე ბარდებოდა გამოცდები, ვიდრე უნივერსიტეტში. დედამ მითხრა, — საბუთები შევიტანოთ თეატრალურ ინსტიტუტში, თუ მოხვდი, ხომ კარგი, თუ არა და, მერე სხვაგან ჩააბარეო. პირველივე წელს ჩავირიცხე. უკვე სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, მამას სიმართლე რომ გავუმხილე და ძალიან გაბრაზდა. კარგა ხანს გულს არ მიჩვენებდა, მაგრამ მერე, ჩემი მონაწილეობით სპექტაკლებსა და ფილმს რომ ნახავდა, ძალიან მოსწონდა.



ცხოვრების განმავლობაში ადამიანებს მხოლოდ გამოცდილება გვემატება, თორემ ჭკუა – არა

— **იმ დროს თეატრალური ინსტიტუტი ძალიან ცოტა სტუდენტს იღებდა, არა?**

— კი, სარეჟისორო ფაკულტეტზე 5 წელიწადში ერთხელ ცხადდებოდა მიღება და მხოლოდ 5 ადამიანს იღებდნენ.

— **სწორედ ამის გამო, ნიაზ დიასამიძეს მოსწრებულად უხუმრია თეატრალურ ინსტიტუტზე...**

— ჰო, ერთ დღეს, როცა გამოცდები ბარდებოდა, რუსთაველზე გამოუვლია და თავისი ნაცნობისთვის უკითხავს, სად აბარებო? — სარეჟისოროზე და მხოლოდ 5 კაცს იღებენო. — არა უშავს, თუ წელს ვერა, მომავალ წელს ცდი ბედსო, — დაუმშვიდებია ნიაზს. — არა, სტუდენტებს მხოლოდ 5 წელიწადში ერთხელ იღებენო, — შეუჩივლია ნაცნობს. ნიაზს ხელები გაუშლია, — ვაჰ, კაცო, ინსტიტუტია თუ „ლოტკაო“?! არაჩვეულებრივი პედაგოგები გვასწავლიდნენ — ხორავა, მრევლიშვილი, ბაბულია ნიკოლაიშვილი... ჩემს ჯგუფში გია ფერაძე, ავთო მიქაძე და დათო დვალიშვილი სწავლობდნენ. მეორე კურსზე ვიყავი, როცა სპექტაკლში — „ხანუმა“, ბაღდათურის ცეკვა შემომთავაზეს, რომელსაც მანამდე სოფიკო ჭიაურელი ცეკვავდა. მაშინ სოფიკო ცოტა ხანი თამაშობდა რუსთაველის თეატრში და მერე ისევ მარჯანიშვილის თეატრში დაბრუნდა. მის მაგივრად ცეკვა მე შე-

მომთავაზეს. მიუხედავად იმისა, რომ ცეკვაზე არასდროს მივლია, ეს საქმე მეხერხება და ასე დავთანხმდი რობიკო სტურუას შემოთავაზებას. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, უკვე 40 წელია, თეატრში ვმუშაობ... პარალელურად კინოშიც ვთამაშობ.

— **სწორედ კინოს საშუალებით გახდით პოპულარული...**

— მართალია, ყველამ იცის, სპექტაკლში 100 როლიც რომ ითამაშო, ქუჩაში არავინ გიცნობს; კინოში ერთი როლის შესრულებას კი დიდი პოპულარობა ახლავს თან. ძალიან მიყვარს ჩემი როლი, რომელსაც ფილმში — „ვერის უბნის მელოდიები" — ვასრულებ. დიდი ბედნიერებაა გიორგი შენგელაიასთან მუშაობა... მსახიობის პროფესიას დიდი შრომა და ჯაფა ახლავს თან, მაგრამ დაღლილობას მაყურებლის სიყვარული გავიწყებს. ახლაც, სერიალის — „გოგონა გარეუბნიდან" — გადაღებაზე ვიღლები, მაგრამ ჩემი როლი ძალიან მიყვარს. სერიალის ეს სეზონი რომ დასრულდება, ფილმსაც გადავიღებთ.

— **თეატრში შესრულებულ რომელიმე როლს ხომ არ გაიხსენებთ, რომელიც თქვენთვის განსაკუთრებულია?**

— სპექტაკლში — „ყვარყვარე", მე და ჯემალ ღაღანიძე წამყვანები გახლდით და ჩემს როლს დიდი სიყვარულით გავიხსენებ. იყო ასეთი სპექტაკლი — „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი", სადაც მე და მანანა გამცემლიძე ვთამაშობდით. მანანას ენა ებმოდა და მე მის ნალაპარაკევს ვთარგმნიდი. მოსამსახურის როლს ვთამაშობდი სპექტაკლში — „კავკასიური ცარცის წრე". ამ სპექტაკლით თითქმის მთელი მსოფლიო მოვიარეთ. მახსოვს, პირველად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მექსიკაში ვითამაშეთ. სპექტაკლს ყველგან დიდი წარმატება ხვდა წილად.

— **მოდი, ისიც გავიხსენოთ, როგორ შემოგთავაზათ მაროს როლი ზაზა კოლელიშვილმა ფილმში — „გარიგება".**

— ზაზამ სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა და მერე სარეჟისოროზე ჩააბარა. „გარიგება" მისი სადიპლომო ნამუშევარია. ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით და ერთხელ, ფილმის შესახებ მომიყვა. სცენარი ძალიან მომეწონა. მიტოს როლი ზაზასვე უნდა ეთამაშა, მაგრამ მერე უარი თქვა, პირველი ფილმია, რეჟისორიც ვიყო და მსახიობიც, რთულია, ვერ გავრისკავო. მაროს როლზე ერთი კახელი გოგოს დამტკიცება უნდოდა. არც ზაზას უფიქრია, ჩემთვის როლი შემოეთავაზებინა და არც მე გამჩენია ეს აზრი. ერთ მშვენიერ დღეს, ზაზა მირეკავს და მეუბნება, ნანულ, ჩემოდანი ჩაალაგე, კახეთში მივდივართო. ვერაფრით მივხვდი, რა უნდოდა. თურმე იმ გოგომ არ გაუმართლა იმედები. მერე მითხრა, — ახალგაღვიძებულზე მომაფიქრდა, რომ ყველაზე კარგად ამ როლს შენ შემისრულებდიო... წავედით კახეთში და ლადავ-ლადავით გადავიღეთ ფილმი. თელავში გვაშაყირებდნენ, ამ ფილმით „ოსკარი" უნდა აიღოთო. „ოსკარი" არა, მაგრამ საერთაშორისო ფესტივალზე ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის „ოქროს არწივი" კი მერგო. მოგეხსენებათ, ამ ფილმის გაგრძელებაც გადავიღეთ და ალბათ მასაც ისევე შეიყვარებს მაყურებელი, როგორც მისი პირველი ნაწილი შეიყვარა.

— **წარმოშობით კახეთიდან ბრძანდებით, მაგრამ როგორც ვიცი, იქ არასოდეს გიცხოვრიათ. არ გაგიჭირდათ კახელი ქალის როლის შესრულება?**

— ჩვენი გვარი წარმოშობით სიღნაღიდანაა, მაგრამ ჩემდა სამარცხვინოდ, პირველად სიღნაღში ფილმის — „აურზაური სალხინეთში" — გადაღებაზე ვიყავი. „გარიგებას" სოფელ აკურაში ვიღებდით, მაგრამ თელავში ვიყავით დაბინავებულები. ერთ დღეს, დილაადრიან ავდექი და ბაზარში წავედი. ვაკვირდებოდი, როგორ ლაპარაკობდა ხალხი, როგორი კილო ჰქონდათ და როგორ ურთიერთობდნენ ერთმანეთთან; დავდგებოდი ვაშლის გამყიდველებთან და ვაჭრობას ვუსმენდი... ყოველდღე ასე „ვზვერავდი" სიტუაციას და თელავის ბაზრიდან ბევრი რამ „ავკრიფე".

— **თქვენი ყველაზე ახალი როლი ვენერა ბებოა. არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ თქვენი პერსონაჟი გგავთ...**

— როგორც ყველა ქალს, ახალ-ახალი ამბები მეც მაინტერესებს, მაგრამ სერიალში ჩემი ცნობისმოყვარეობა ცოტა გადამეტებულია. მიყვარს ჩემი პერსონაჟი — კეთილი ქალია. როცა როლზე დასამტკიცებლად ჩემს კანდიდატურას განიხილავდნენ, ბებიობისთვის ახალგაზრდააო, უთქვამთ, მაგრამ მარინა კახიანი შეჰკამათებია, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მსახიობია და მოხუცსაც ითამაშებსო. წესით, უკვე ბებო უნდა ვიყო. ხშირად მეკითხებიან, ცხოვრება თავიდან რომ დაიწყოთ, რამეს შეცვლიდითო? სიმართლე გითხრათ, ცხოვრების განმავლობაში ადამიანებს მხოლოდ გამოცდილება გვემატება, თორემ ჭკუა — არა. არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ, პროფესიად ისევ მსახიობობას ავირჩევდი. სიმართლე გითხრათ, ჩემს ასაკს რომ გავიხსენებ, თავადაც მიკვირს, ნუთუ ეს მე ვარ, როდის გავიდა ამდენი წელი-მეთქი?!

— **შეიძლება ითქვას, რომ პროფესიას პირადი ცხოვრება მიუძღვენით.**

— ბოლოს ეგრე გამოვიდა (*იცინის*). სიმართლე გითხრათ, ძალიან ვნანობ, რომ ოჯახი არ შევქმენი, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი უკვე გვიანია. კარიერაზე ზრუნვაში ძალიან გავერთე, ხან გასტროლზე ვიყავი, ხან როლზე ვმუშაობდი... შეუძლებელი და მოუხერხებელი არაფერია; ადამიანი რასაც მოისურვებს, ყველაფერს შეძლებს. მთავარია, რომ მთელი გულით და სულით მოინდომო. მსახიობის ბედი ჭრელია, თუ გამუდმებით მაყურებლის თვალთახედვის არეში არ ხარ, ავიწყდები.

■



# „არ გამიკვირდება, ხვალ რომ შევიტყო — ია და სალომე გათხოვდნენ“

**დიდი ხანი არაა, რაც „ტელეიმედის“ ეთერში ახალი გადაცემა — „ყოფილი ცოლების კლუბი“ გამოჩნდა. ორ, არაერთგზის ყოფილ ცოლთან — ია ფარულავასა და სალომე გოგიაშვილთან ერთად, გადაცემას ნუკი კოშკელიშვილიც უძღვება, რომელიც გათხოვილი არასდროს ყოფილა...**

ეთო ყორღანაშვილი

— **ნუკი, ახალ გადაცემაში თავს კომფორტულად გრძნობ?**

— ძალიან. ხშირად მეუბნებიან, რომ ეს გადაცემა მხოლოდ ქმარგაყრილი ქალებისთვისაა განკუთვნილიო. „ყოფილი ცოლების კლუბი“ სახალხო, ქალური გადაცემაა. ის იმ ადამიანებისთვისაცაა (სქესს მნიშვნელობა არა აქვს), რომლებიც ჯერ არ დაოჯახებულან, რათა მათ მომავალი მეუღლე სწორად შეარჩიონ. პრობლემები ოჯახურ წყვილებსაც ექმნებათ, რამაც შეიძლება, მომავალში მათი დაშორება განაპირობოს. „ყოფილი ცოლების კლუბში“ ჭკუას არავის ვარიგებთ. უბრალოდ, სხვების შეცდომების მაგალითზე, მაყურებლებს ვაჩვენებთ, როგორ არ უნდა მოიქცნენ, ჩვენი გადაცემის სტუმრებს კი ვამხნევებთ...

— **გადაცემის სახელწოდებისა და მისი 2 წამყვანის ოჯახური მდგომარეობის გამო, მაყურებლები „ყოფილი ცოლების კლუბში“ შენი ყოფნით გაოცებული არიან და შენს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, კითხვები უჩნდებათ...**

— ეს გადაცემა მთელ მსოფლიოში აპრობირებულია — მას სამი, განსხვავებული მოსაზრების, ხასიათის მქონე წამყვანი უნდა ჰყავდეს. სალომეც და იაც განათხოვრები არიან, ორივე განსხვავებული აზრის მქონე ადამიანია. მე გათხოვილი არასდროს ვყოფილვარ. შემიძლია, გადაცემის სტუმარს ცხოვრების ოპტიმისტურად გაგრძელების სტიმული მივცე. ახალგაზრდა ვარ და მაყურებელთან ერთად ვსწავლობ, შეცდომა როგორ არ უნდა დავუშვა. მეც, სალომესაც და იასაც გარკვეული პირადული ამბები გვქონდა, ოღონდ — სხვადასხვანაირი.

— **ფიქრობ, ისეთი გამოცდილება გაქვს, რომ შეგიძლია, ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს რჩევები მისცე?**

— შეიძლება, ადამიანს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდეს, მაგრამ სხვას სასარგებლო რჩევა ვერ მისცეს. რჩევა მთავარი არ არის, მთავარი — სტიმულია. არ შეიძლება, ქალს, რომელსაც მეუღლე უყვარს, ვუთხრა: ქმარი აღარ გიყვარდეს-მეთქი. სამაგიეროდ, შემიძლია, ვუთხრა: მოუვლელი ხარ, საკუთარ თავზე იზრუნე ან ღამღამობით რომ ტირი, ამას შენი შვილებიც უყურებენ და დაფიქრდი-მეთქი. ყველას თავისი ცხოვრება, შეცდომები აქვს...


ახალგაზრდა ვარ და მაყურებელთან ერთად ვსწავლობ, შეცდომა როგორ არ უნდა დავუშვა

— **ასეთი ტიპის გადაცემის შექმნა ვისი იდეა იყო?**

— ტელევიზიიდან დაგვირეკეს, კასტინგი (სადაც საკმაოდ ბევრი ადამიანი იყო) გავიარეთ და ჩვენ სამნი გადაცემის წამყვანებად შეგვარჩიეს.

— **როგორ ფიქრობ — შენ რატომ შეგარჩიეს?**

— ალბათ, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებისადმი ჩემი დამოკიდებულების გამო. ეს საკითხი მართლა მადარდებს. სხვადასხვა გარემოების გამო, ზოგჯერ ქალები კარგ, მყარ ოჯახს ვერ ქმნიან. შეიძლება, ქალს მეუღლე გვერდით ჰყავდეს, მაგრამ ისეთი პრობლემები ჰქონდეს, როგორიც — ჩვენი გადაცემის რომელიმე გმირს. ამიტომ ეს გადაცემა ნებისმიერ ადამიანს დააფიქრებს. მაყურებელს შეუძლია, სხვისი შეცდომები გაითვალისწინოს, ნახოს, თუ როგორ მთავრდება უმოქმედობა... პირადად მე, ისეთი გადაცემები არ მიყვარს, რომელშიც მხოლოდ ცნობილი სახეები მონაწილეობენ.

— **ეთერში უკვე რამდენიმე გადაცემა გავიდა. ყველა სტუმარს მძიმე ამბავი გადახდა თავს. ეს შენზე როგორ მოქმედებს? მამაკაცების მიმართ მტრულად ხომ არ განეწყვე?**

— ჩვენი გადაცემა მამაკაცების წინააღმდეგ მიმართული არ არის. შეიძლება, „ყოფილი ცოლების კლუბში“ ისეთი ქალბატონი გვეწვიოს, რომელიც ოჯახის დანგრევაში დამნაშავე თავადაა. როცა ქალი ძალადობის მსხვერ-

პლია, ეს საშინელებაა, მაგრამ მძიმე ამბების მოსმენის შემდეგ, გული არ ამიცრუვდება, არ დავითრგუნები, რადგან ვიცი, ასეთი ამბები ყოველთვის ხდებოდა და მოხდება. კარგა ხანია, ადამიანები ოჯახურ ძალადობას ებრძვიან, მაგრამ სამწუხაროდ, ძალადობის ფაქტები დღესაც არსებობს.

— **გადაცემის გმირ ქალბატონებს იმ ნივთს უწვავ, უხევ ან მტკვარს ატან, რომელიც მათ ყოფილ ქმართან დაკავშირებულ მოგონებებს აღუძრავს. ამ რიტუალების ჩატარების იდეა საიდან დაგებადა?**

— ჯადოებს ნამდვილად არ ვაკეთებ. ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ხერხია: როცა ადამიანი თავის მწარე წარსულთან დაკავშირებულ ნივთს ინახავს, მას ტკივილი ყოველთვის „თან დაჰყვება“. თუკი მამაკაცს ახალგაზრდობის წლები შესწირე, სანაცვლოდ კი მისგან ჩაგვრის და კომპლექსების მეტი არაფერი მიგიღია, საჭირო არაა, ამ კაცის ნაჩუქარი ნივთი სულ თვალწინ გედოს. რაკი ქალი ჩვენს გადაცემაში მოდის, ე.ი. ახალი ცხოვრების დასაწყებად მზადაა. შესაბამისად, უსიამოვნო მოგონებებთან დაკავშირებული ნივთებისგანაც უნდა გათავისუფლდეს. უბრალოდ, ნივთების გადაყრაც შეიძლება, მაგრამ ჯობია, სიმწარეც თან გაატანო — აგრესია ნივთზე უნდა გადაიტანო.

— **ასეთ ნივთებს თქვენი გადაცემის გმირები რთულად ელევიან?**

— ნივთთან განშორება ყველას უჭირს: პირველ სტუმარს შარვალი ჰქონდა, რომელიც მართალია, მეუღლის ნაჩუქარი არ იყო, მაგრამ ქმართან თანაცხოვრებისას ხშირად ეცვა. ქალბატონი იმ შარვალს აღარ იყენებდა, მაგრამ მაინც ვერ ელეოდა — იმ დროს მახსენებსო... ვუთხარი: ის დრო რა გასახსენებელია, როცა ქმარი თოვლში გაგდებდა და გცემდა-მეთქი?! საბოლოო ჯამში, დავიყოლიე, რომ შარვალს შელეოდა. გადაცემის შემდეგ მითხრა: რაღაცნაირად გულზე მომეშვაო.

## მე გათხოვილი არასდროს ვყოფილვარ. შემიძლია, გადაცემის სტუმარს ცხოვრების ოპტიმისტურად გაგრძელების სტიმული მივცე.

— **გათხოვილი არ ყოფილხარ, მაგრამ ალბათ, ისეთი ადამიანებისგან საჩუქრები მიგიღია, რომლებთანაც ამჟამად ცუდი მოგონებები გაკავშირებს. ნივთების განადგურების რიტუალი შენთვის თუ გამოგიყენებია?**

— საბედნიეროდ, ისეთი შეყვარებული არასდროს მყოლია, რომლის მიმართაც ამჟამად ცუდად ვარ განწყობილი. ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ძალიან მიყვარდა. მასთან დაშორების (ჩხუბის გარეშე) შემდეგ, ბევრი მისი ნაჩუქარი ნივთი შენახული მქონდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ ის ნივთები მთრგუნავდა. ამიტომ გადავყარე და გულზე მომეშვა...

— **ნუკი, გადაცემაში გარკვეულწილად, ქალბატონების დასაქმებაზეც ზრუნავთ — მათ ახალი პროფესიის, უცხო ენის შესწავლის საშუალებას აძლევთ. შემდეგ თუ ინტერესდებით, თქვენი გადაცემის სტუმრებს რა ბედი ეწიათ?**

— კი, რა თქმა უნდა, მათთან კონტაქტი გვაქვს. ჩვენს გადაცემაში მოსული ნებისმიერი ქალბატონი ჩვენი კლუბის წევრი ხდება. მას მხარში ამოვუდგებით. ამჟამად, პირველი გადაცემის გმირი ინგლისურ ენას სწავლობს. წინათ ამას უბის წიგნაკით ცდილობდა. ის ძალიან ჭკვიანი გოგონაა, განათლების მიღებისკენ ისწრაფვის... ჩვენს გადაცემაში მოსასვლელად, აუცილებელი არაა, ქალი ღარიბი და ნაცემი იყოს.

## ბევრი მისი ნაჩუქარი ნივთი შენახული მქონდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ ის ნივთები მთრგუნავდა.

— **გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, რომელიმე სტუმარი ქალბატონის ყოფილი ოჯახის წევრები ხომ არ გამოგხმაურებიან?**

— არა, რადგან ეთერში გასვლამდე, ამბავს კარგად ვარკვევთ. შესაბამისად, არა მგონია, ყოფილი ოჯახის რომელიმე წევრმა დაგვირეკოს და გვითხრას: ქალმა ეს რა ილაპარაკა, როგორ არ რცხვენიათო?! ჩვენი გადაცემის გმირები სიმართლეს ამბობენ და მათ ვერ შეეკამათებიან. ყოფილი ოჯახის წევრებს შეუძლიათ, თავი ჩაღუნონ და მითითებული შეცდომები გაითვალისწინონ.

— **ნუკი, სალომე და ია როგორი პარტნიორები არიან?**

— კარგები, ერთმანეთისგან განსხვავებულები: სალომე ლმობიერი, უკონფლიქტო, დადებითი ადამიანია, ყველას აზრს ითვალისწინებს, ძალიან უყვარს ბავშვები, არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს; იას რაც შეეხება, ის ნიჭიერი ქალბატონია, რომლის რჩევაც ყოველთვის გასათვალისწინებელია. მერწმუნე, თუ იას დაუჯერებ, შენთვის მომგებიანი იქნება.

— **მომგებიანი იქნება რჩევები ისეთი ადამიანისგან, რომელსაც პირად ცხოვრებაში რამდენჯერმე არ გაუმართლა?**

— მიმაჩნია, რომ პირად ცხოვრებაში იასაც და სალომესაც გაუმართლათ. იმ ქალებს არ გაუმართლათ, რომლებიც ქმრებისგან ცემა-ტყეპას ითმენენ, სადღაც ჩაკეტილები არიან და კაბის ქვეშ შარვალი აცვიათ (ჩვენი გადაცემის ერთ-ერთ გმირს ქმარი მხოლოდ კაბის ქვეშ შარვლის ჩაცმის უფლებას აძლევდა). როცა წარმატებული კარიერა, პირად ცხოვრებაში გამოცდილება გაქვს, შვილი გყავს, ეს უკვე წარმატებაა! შეიძლება, ხვალ შევიტყო, რომ ია და სალომე გათხოვდნენ და ძალიან ბედნიერები არიან, ეს არ გამიკვირდება. მიმაჩნია, რომ გასათვალისწინებელი სწორედ იას და სალომეს რჩევებია, რადგან მათ გამოცდილება აქვთ და იციან, შეცდომა როგორ არ უნდა დაუშვან. ისინი უფრო ფრთხილები არიან. მე სწორედ მათ რჩევებს გავითვალისწინებდი. შეიძლება, ქალს პირველი ოჯახი ერთი კონკრეტული მიზეზის გამო დაენგრა, მეორე — სულ სხვა მიზეზის გამო და ა.შ. მომავალში, ასეთი ქალი უკვე დაშვებულ შეცდომებს აღარ გაიმეორებს.

— **დაბოლოს, წარმატებული პირადი ცხოვრებისა და კარიერისთვის ქალბატონებს შენ რას ურჩევ?**

— ის ქალბატონები, რომლებიც ქმრებს გაშორებულები არიან, აუცილებლად ჩვენთან — „ყოფილი ცოლების კლუბში“ მოვიდნენ! ჩვენ ყველას პირად ცხოვრებას პატივს ვცემთ და იმაზე არასოდეს ვლაპარაკობთ, რაც გადაცემის გმირს არ სურს. თუ ქალებს სურთ, ძლიერები იყვნენ, საკუთარ ცხოვრებაში რაღაც შეცვალონ, მაქსიმალურად დავეხმარებით. ვინც დაოჯახებული არაა, ვურჩევ: მეორე ნახევრები ფრთხილად შეარჩიონ და მატერიალურ გამორჩენაზე არასოდეს იფიქრონ. ყველაზე მნიშვნელოვანი — გრძნობებია. მყარი ურთიერთობის მთავარი გარანტი — სიყვარულია. ქალებმა თავი არავის უნდა დააჩაგვრინონ. თუ ვინმეს დაჩაგვრის საშუალება მისცეს, მერე საკუთარ თავს თავადაც დაჩაგრავენ... ■

# „საქმე ის არის, ცოცხლობდე მაშინ, როცა სიცოცხლე მართლა ძნელია“

## პრეზიდენტის სახელით უნარშეზღუდულები მოატყუეს

**დიდხანს ვფიქრობდი, მარტვილის ულამაზეს სოფელ სალხინოში მცხოვრებ სამ უნარშეზღუდულ ახალგაზრდასთან შეხვედრაზე. ცოდვა გამხელილი ჯობს, მათთან მისვლა და საუბარი ძალიან მიჭირდა. ჩემს მშობლიურ სოფელში, გონელი და ნათელა ბასილაიების ოჯახის გასაჭირი ყველამ იცის. მათ სახლში 3 ნიჭიერი, განათლებული და მოსიყვარულე ახალგაზრდა ცხოვრობს. მაია, მანანა და მანუჩარ ბასილაიები სხვებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ მათ სიარული არ შეუძლიათ.**

თეა ხურცილავა



ვუყურებდი მათ და ბავშვობა გამახსენდა

*ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ყოველ დილით, ყვითელი „ჟიგული“ სკოლის კარს მოადგებოდა და ყველამ ვიცოდით, რომ ჩვენს ბიბლიოთეკარს, სათნო ქალბატონს, ნათელას, 3 ბავშვი მანქანიდან საკლასო ოთახში ხელში აყვანილი უნდა შეეყვანა. უფროსკლასელები მის დახმარებას ვცდილობდით. ბევრჯერ ისინი ხელში აყვანილი მეც მიმიყვანია სკოლის მერხამდე... სკოლა ასე დაამთავრეს. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა.*

*ცოტა ხნის წინ, მანანა ინტერნეტით შემეხმიანა, ისეთივე თამამი და მოსიყვარულეა, როგორიც ბავშვობაში იყო. სახლში მისულს კი უკვე დაქალებული გოგონები დამხვდნენ, ჩემს მეხსიერებაში ჩარჩენილი გამხდარი, კაფანდარა, თაფლისფერთვალება მანუჩარი კი დავაჟკაცებულიყო. იგი დებზე უმცროსია — 27 წლისაა. მაია ინტერნეტში „ჩხირკედელაობდა“. ვუყურებდი მათ და ბავშვობა გამახსენდა. სკოლის დერეფანში ბავშვებთან მოსიარულე მანანას უჭირდა, მაგრამ მაინც დადიოდა. სამწუხაროდ, მეოთხე კლასში მანაც შეწყვიტა სიარული. ექიმებმა სამივეს ერთნაირი დიაგნოზი დაუსვეს — სპინალური ამიოტროფია.*

**ნათელა ბასილაია:**

— მაია უფროსია. ჩვეულებრივად, პრობლემის გარეშე ვიმშობიარე, ჯანმრთელობას არ ვუჩიოდი. ძუძუს ვაწოვებდი. წლისა და 1 თვის იყო, რომ გაიარა. პირველი შვილის პირველ ნაბიჯებს სიხარულით შევცქეროდით, ბედნიერები ვიყავით. ცოტა ხანში, მისი სიარული არ მომეწონა, თითქოს კოჭლობდა, ამიტომ თბილისში, ღუდუშაურის კლინიკაში ჩამოვიყვანე. ექიმებმა ფეხები თაბაშირში ჩაუსვეს. წუხდა, ასე ყოფნა არ მოსწონდა, მაგრამ ისე შეეჩვია, რომ თაბაშირიანი ფეხითაც დადიოდა. აქტიური ბავშვი იყო... მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. კარგა ხანს საავადმყოფოშიც ვიწექით, მერე გირები დაჰკიდეს... 4 წლის ასაკში, მოულოდნელად, კიდურები სულ მოუდუნდა და სიარული შეწყვიტა. ფეხებსაც იტკივებდა. ამ დროს მეორე ქალიშვილი, მანანაც მყავდა. წლისა და 2 თვის უკვე დადიოდა, არანაირი პრობლემა არ შემინიშნავს. ოჯახი მთლიანად მაიას მკურნალობაზე გადავერთეთ. ექიმები მაიმედებდნენ, რომ უპრობლემოდ გაივლიდა... მესამე შვილზეც დავფეხმძიმდი... მოგვიანებით, იგივე პრობლემა მანანასაც შევნიშნე, გამართულად ისიც ველარ დადიოდა. ექიმებმა ბავშვების ზღვაზე წაყვანა მირჩიეს. მე და ჩემს მეუღლეს გოგონები აფხაზეთში რამდენიმე წელი დაგვყავდა. იქ ჩემს მულთან ვცხოვრობდით. ერთ ზაფხულს, წლისა და 8 თვის მანუჩარი, სოფელში ბებიას დავუტოვეთ და გოგონები ზღვაზე წავიყვანეთ. მანუჩარიც ძალიან კარგად დადიოდა, მოძრავი ბავშვი იყო... ერთი თვე გაგრაში ვიყავით. სოფლიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ბავშვს მაღალი სიცხე ჰქონდა. სასწრაფოდ დავბრუნდით, ბავშვს კრუნჩხვა დაემართა. ექიმები არ დაგვიკლია. 10 დღე სულ ხელით დამყავდა. საოცრება მოხდა, ამ ავადმყოფობის შემდეგ უცებ, სიარული მანუჩარმაც შეწყვიტა. სასოწარკვეთილი ვიყავი, ველარ მივმხვდარიყავი, რა სჭირდათ. ექიმებთან სიარულს შედეგი არ მოჰქონდა. მანანა მეოთხე კლასამდე დადიოდა, მერე გაიზარდა, წონაში მოიმატა და მანაც შეწყვიტა სიარული... მაიას მკურნალ ექიმთან პრეტენზია მაქვს, თავიდანვე ნევროპათოლოგთან რატომ არ გამიშვა? იქნებ დახმარება შეიძლებოდა?! წლები უშედეგოდ დამაკარგვინა. მახსოვს, მაია ფეხებზე გირებჩამოკიდებული საავადმყოფოში მეწვა, ახალგაზრდა ექიმმა, გვარად ნემსიწვერაძემ, მითხრა, — ამათ ნუ უყურებ, ბავშვი ნევროპათოლოგს აჩვენე, მას თაბაშირი არ სჭირდებაო. სამწუხაროდ, მაშინ მკურნალ ექიმს ვენდე და ახალგაზრდა ექიმის ნათქვამს ყურადღება არ მივაქციე. წლების შემდეგ, როცა ექიმების კონსილიუმი შედგა, ის ექიმიც იყო და მისი სიტყვები გავახსენე... ამის შემდეგ ბავშვები ნევროლოგიის ინსტიტუტში წავიყვანე. მაია უკვე 6 წლის იყო, მანანა 5 წლის, მანუჩარი — 3-ის. მითხრეს, — ბავშვებს სპინალური ამიოტროფია აქვთო.

უამრავი ტკივილი და იმედგაცრუება გადავიტანეთ, ამის გახსენებაც აღარ მინდა... ახლა მედიცინა წინ წავიდა. მათთვის ტომოგრაფიის გადაღება მინდა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, ვერ მოვახერხე. გასულ ზაფხულს, პრეზ-

იდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩვენს სოფელს სტუმრობდა. სკოლაში მრავალრიცხოვანი დაცვის თანხლებით შედიოდა, მაგრამ მას ჩემი განცხადება მაინც გადავეცი. ჩემ თვალწინ გადაიკითხა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: — ქალბატონო, ნუ ინერვიულებთ, აუცილებლად დაგეხმარებითო. იმედი გამიჩნდა, სულ ზარს ველოდით. 3 თვის შემდეგ...

**პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან დარეკეს და ბავშვების თბილისში ჩამოყვანა მომთხოვეს, ტომოგრაფიას გადავუღებთო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვიღაც ზედიზედ სამჯერ გვესაუბრა. სამწუხაროდ, იმდენად ეიფორიაში ვიყავით, მისთვის არც გვარი გვიკითხავს, არც ტელეფონის ნომერი და არც თანამდებობა. ისე დარწმუნებით ლაპარაკობდა, მის ნათქვამში ეჭვი არ შეგვიტანია.**

თან დამაიმედა, — ქალბატონო, ნუ გეშინიათ, თუ აქ ვერ შევძელით თქვენი შვილების განკურნება, მათ საზღვარგარეთ წაყვანაშიც დაგეხმარებითო. ავიბარგეთ და მანქანით სამივე თბილისში ჩავიყვანე. მითითებულ საავადმყოფოში თითოეული ბავშვის გამოკვლევაზე 800 ლარი მომთხოვეს. ავუხსენი, რომ პრეზიდენტის დავალებით ვიყავით, მაგრამ უშედეგოდ, არავინ არაფერი იცოდა. ტელეფონში დაფიქსირებულ ნომერზე დარეკვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ყველანი ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციაში მივედით. არც იქ მოგვისმინეს. შემდეგ სადაზღვევო კომპანიაში მივედით. იქ მითხრეს, რომ ტომოგრაფიას ვერ დაგვიფინანსებდნენ.

*ქალბატონმა ნათელამ თავი ველარ შეიკავა და ატირდა. ცოტათი დამშვიდდა და საუბარი განაგრძო:*

— სამივე მის უწმინდესობასთან, ილია მეორესთან შეხვედრაზე ოცნებობს. ძალიან უნდათ, ისინი პატრიარქმა დალოცოს. საავადმყოფოდან გაწბილებულები რომ გამოვედით, მთხოვეს, სამების საკათედრო ტაძარში მიმეყვანა. ეტლის გარეშე ტაძარში როგორ შევიყვანდი და სამივე მანქანაში დავტოვე. მე და ჩემი მულისშვილი, გოგიტა ტაძარში შევედით. მისი უწმინდესობა წირვას ატარებდა. მის დანახვაზე მთელი სხეული ამიცახცახდა. მასთან ძალიან ახლოს ვიდექი, მინდოდა, მუხლმოდრეკით მისთვის, ჩემი შვილების სურვილი გამენდო, მაგრამ რიტუალის დროს მასთან მიახლოებას როგორ გავბედავდი?! უფალს შვილების კარგად ყოფნა შევთხოვე და გულდამძიმებული ისევ შვილებთან დავბრუნდი. ახლა ბავშვებს მათი მოძღვარი — მამა ილია დაჰპირდა, რომ პატრიარქთან შეახვედრებს... მადლობა ღმერთს, გონიერი შვილები მყავს. ძალიან აქტიურები არიან, ჭკვიანები, ერთმანეთი ძალიან უყვართ...

*ქალბატონი ნათელას ტკივილიანი ნაამბობის შემდეგ, მაიას ვესაუბრე:*

— ბავშვობიდან კითხვა იყო ჩვენი გატაცება. დედას ბიბლიოთეკიდან ხშირად მოჰქონდა წიგნები. თბილად მახსენდება სკოლის წლები, კარგი მეგობრები მყავდა. გადაადგილება არ შემეძლო, ამიტომ სულ ჩემს დახმარებას ცდილობდნენ. დასვენებაზეც გარეთ არ გადიოდნენ, არ უნდოდათ, მარტო დავეტოვებინე. მათ მხარდაჭერას მუდამ ვგრძნობდი.

*მაიას თვალები ცრემლით აევსო და ხმაში ბზარი გაუჩნდა, ამიტომ მანანასთან გადავინაცვლე. სკოლის წლები თვალებგაბრწყინებულმა გაიხსენა:*

— ბედნიერი იყო ის დრო, როცა ჩემს მეგობრებთან ერთად, დიდ დასვენებაზე ეზოში ჩასვლას და თამაშს ვახერხებდი. მერე ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ ცხოვრებაზე ხელი არასოდეს ჩაგვიქნევია. უფლის სიყვარული სამივეს გვეხმარება, რომ მხნედ ვიყოთ და გავძლიერდეთ. მეზობლის ბავშვებიც ხშირად ჩვენთან ერთად იყვნენ და ვთამაშობდით. როცა წამოვიზარდეთ, კითხვა დავიწყეთ. ახლა კომპიუტერმა ჩვენი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. მე და მაია სულ ვჩხირკედელაობთ. ვცდილობთ, დამოუკიდებლად ავითვისოთ კომპიუტერთან მუშაობა. „ვინდოუსის“ დაყენება ჩვენით ვისწავლეთ. სოფელში განცხადებაც გავაკარით და ახლა ბავშვებს კომპიუტერები ჩვენთან, სახლში მოაქვთ და „ვინდოუსს“ მათ ვუყენებთ — სხვებს ვეხმარებით.

*სამივე დედმამიშვილი მორწმუნეა. მოძღვარმა, მამა ილიამ მათ „ნოუტბუკი“ აჩუქა.*

**მანუჩარი:**

— მამაო ძალიან გვამშვიდებს. სულ მის გვერდით ყოფნა გვინდა, ძალიან გვიყვარს. ჩვენს სულიერად გაძლიერებაზე ზრუნავს. როცა თავისუფალი დრო აქვს, გვირეკავს და ჩვენც მასთან მივდივართ. მისმა საჩუქარმა ჩვენი ცხოვრება მართლაც შეცვალა. ინტერნეტით ბევრი მეგობარი გავიცანი, მათ შორის, ჩვენნაირი შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი. ჩემი დები თქვენი ჟურნალის „პროვოკატორსაც“ ესაუბრებიან. ცნობილ ადამიანებს ჩვენს პრობლემებზე ვუყვებით. იქნებ ვინმემ ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანოს და დაგვეხმარონ, დიაგნოზი მაინც გავიგოთ.

**მაია:**

— ნანუკა ჟორჟოლიანის გადაცემაში უნარშეზღუდულების შესაძლებლობით აღვფრთოვანდით. გული დაგვწყდა, მათ შორის რომ არ ვიყავით. ქალაქში რომ ვცხოვრობდეთ, ჩვენც გვექნებოდა იმის შანსი, რომ სხვებისთვის დაგვენახვებინა ჩვენი სულის სიმტკიცე, რომ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. სამწუხაროდ, ჩვენი ამბავი ამ სოფელს არ გასცდენია. დიდი ხანია გვინდა, სოფელში ინტერნეტკაფე გავხსნათ, ამით სხვებსაც დავეხმარებით და ჩვენთვისაც ერთგვარი სტიმული იქნება...

**მანანა:**

— მართლა გვინდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენი მდგომარეობის მიუხედავად, ცხოვრება მშვენიერია... ინტერნეტში ჩვენი მონაცემები განვათავსეთ, ერთ-ერთი ორგანიზაციიდან დაგვირეკეს და მდივნის ადგილი შემოგვთავაზეს, მაგრამ როგორ შევძლებდით? გვინდა, კომპიუტერული ცენტრისთვის სოფლის ცენტრში პატარა მიწის ნაკვეთი გამოგვიყონ. განცხადება დავწერეთ. ამ სურვილს თანხებიც სჭირდება, ამის საშუალება კი არ არის. ბევრ სახელმწიფო მოხელეს მივწერეთ „ფეისბუკზე“ ჩვენ შესახებ, მაგრამ მხოლოდ ლაშა ჟვანია გამოგვეხმაურა და გაგვამხნევა... აქტიურად

დავიწყეთ ინგლისურის შესწავლაც, მასწავლებელი არ გვყავს, ჩვენით ვსწავლობთ... მერწმუნეთ, საქმე ის არის, ცოცხლობდე მაშინ, როცა სიცოცხლე მართლა ძნელია...

*მაიასა და მანანას კერვაც ეხერხებათ, დედამ ასწავლა. ხატავენ. ფაქტობრივად, დროს უქმად არ კარგავენ, მუდმივად სიახლის ძიებაში არიან.*

*ახალგაზრდების მამა, ბატონი გონელიც მეორე ჯგუფის ინვალიდია. ცოტა ხნის წინ, მას კოქსართროზის ოპერაცია გაუკეთეს. კიდევ ერთი ოპერაცია სჭირდება. ოჯახში დღეს 4 შეზღუდული უნარის მქონე ადამიანი ცხოვრობს, სახელმწიფომ მათ სოციალურად დაუცველის სტატუსი მოუხსნა, რადგან სახლში მისულმა სოციალურმა მუშაკებმა მათთან მანქანა და კომპიუტერი ნახეს.*

*„მანქანა ახლობლების და მეგობრების დახმარებით შევიძინეთ, ეს გადასაადგილებლად ერთადერთი საშუალებაა, რადგან ჩვენ ეტლით არ დავდივართ. როცა კომპიუტერი ნახეს, გვითხრეს, — გვაჩვენეთ საბუთი, რომ მამამ გაჩუქათო“, — მითხრა მანუჩარმა.*

*ქალბატონ ნათელას შვილების მოვლაში მულისშვილი, 21 წლის გოგი ლიპარტელიანი ეხმარება. გამაოცა ამ ახალგაზრდის ქცევამ, მისმა თავდადებამ. იგი ფაქტობრივად უკვე რამდენიმე წელია მათ გვერდიდან არ შორდება, შეიძლება ითქვას, რომ ბიძაშვილების ცხოვრებით ცხოვრობს...*

*p.s. ამ ახალგაზრდებისთვის დახმარების გაწევის მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 899.158211.*

■




# კავკასიის ქედზე მებრძოლი ქართველი მეომარი

## რას ჰყვება მეორე მსოფლიო ომზე საუკუნის ტოლი ადამიანი

**მეორე მსოფლიო ომის დროს, სამხედრო საქმეში თითქმის გამოუცდელ, რიგით ჯარისკაცს, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად, ისეთი მნიშვნელოვანი დავალება მისცეს, რომლის შესრულებაც თანამედროვე სპეცრაზმელებსაც კი გაუჭირდებოდათ. გაუმართლათ და დავალება პირნათლად შეასრულეს... შოვინიზმში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს, როცა ამბობენ, მეორე მსოფლიო ომი ქართულმა ჭკუამ და გამბედაობამ მოიგოო... 91 წლის ბაბა (ნიკოლოზ) მუმლაძე, წლების შემდეგ, საბჭოთა ჯარისკაცის ცხოვრებასა და ომის რთულ დღეებს იხსენებს.**



პატარა ბიჭი ვიყავი, ომში რომ წავედი

*ლალი პაპასკირი*

*„ახალგაზრდობის დროინდელი ფოტოები სახლში, სოფელში მაქვს, ბაბუა. ამ ორ სურათს კი გულის ჯიბით ვატარებ. აქ ჩემს თანამებრძოლებთან ერთად ვარ გადაღებული და ჩემთვის ძვირფასია... მე და ეს ბიჭები სიკვდილს ერთად ვუყურებდით თვალებში“, — მითხრა და გულის ჯიბიდან გახუნებული ფოტო ამოიღო, სადაც ერთი და იმავე ასაკის, სამხედრო კამუფლაჟში ჩაცმული 3 ჯარისკაცია გადაღებული... — „აბა, მეორე ფოტოც მანახვეთ, ბაბუა“ — ცნობისმოყვარეობამ მძლია. — „ეს ჩემი მეუღლეა, ბაბუ, 14 წლის წინ გარდამეცვალა“, — მოხუცს თვალებში ცრემლი ჩაუდგა... სახლი მიწისძვრამ დაუნგრია, მაგრამ კერა მაინც არ გააცივა. თავისი დაკოჟრილი ხელებით, ეზოში, იმერული ოდა ააშენა და იქ დასახლდა. პატარა ბოსტანი აქვს, რომლის მოვლაშიც, იქვე, მეზობლად მცხოვრები შვილი და რძალი ეხმარებიან. მეორე შვილი კი თბილისში ცხოვრობს... იმერული, სხარტი იუმორით მოსაუბრე, თბილ და კეთილ მოხუცს, შვილის ბინაში ვესტუმრე. ასაკის მიუხედავად, საოცრად კარგი მეხსიერება აქვს და საკუთარი წარსული დეტალურად ახსოვს. — გამოვიზამთრებ, ბაბუა, და წავალ ჩემს სამოთხესავით სოფელში. ბუნება რომ აყვავდება, აქანა რა გამაჩერებსო?! — მითხრა...*

— იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში, საჩხერეში დავიბადე. ჩემს სოფელს ბაჯეთი ჰქვია. მიწისძვრამ არაერთხელ გაასწორა მიწასთან, მაგრამ ჩვენს ხალხში, საკუთარი ფესვებისადმი სიყვარული იმდენად დიდია, რომ იქაურობა მაინც არ დაცლილა. მოვხუცდი და ზამთარში მარტო ვერ ვძლებ. ამიტომაც ჩემი შვილი დამავლებს ხელს და თბილისში წამომიყვანს ხოლმე. ისე კი, სოფელშიც მყავს დასაყრდენი, — შვილი და რძალი იქ ცხოვრობენ... ახლა ბოსტნის დაბარვაში ისინი მეხმარებიან. ჯანი ძველებურად აღარ მომდევს, მაგრამ რაცხას შევძლებ და დავთესავ... მოსავალი ვერ ამაშენებს, მაგრამ ჩემი თბილი მიწის სურნელს ვიგრძნობ და ბებერ ძვლებს მზეს მივაფიცხებ...

— **თქვენს საომარ გამოცდილებაზეც მოგვიყევით...**

— პატარა ბიჭი ვიყავი, ომში რომ წავედი. სავალდებულო სამხედრო სამსახური არ მიწევდა, მაგრამ მეგობრების ხათრით, მოხალისედ წავედი. 1942 წელი იყო... ომი რა იყო, არც ერთმა არ ვიცოდით, მაგრამ ისეთი მოტივაცია გვქონდა, გვეგონა, გერმანიას ერთ დღეში დავამარცხებდით... საჩხერიდან აზერბაიჯანში, ზღვისპირა ქალაქ სუმგაითში წაგვიყვანეს. 1 თვე კარანტინში ვიყავით. შემდეგ კი ფიცი დავდეთ. რამდენიმე თვე გვამზადებდნენ, პოლიგონზე გავდიოდით და ვვარჯიშობდით. ქართველები, სომხები და აზერბაიჯანლები ერთად ვიყავით. ბევრმა რუსული არ იცოდა და მეთაურის ბრძანების შინაარსს ვერ იგებდა. მერე კი სტალინმა ნაციონალური დივიზიების შექმნის ბრძანება გასცა... მალე გერმანიისგან თურქეთზე თავდასხმის საფრთხე შეიქმ-

ნა და თურქეთ-საქართველოს საზღვარზე გადაგვიყვანეს. მერე კი ჩრდილო კავკასიაშიც დაიძაბა ვითარება, გერმანიის ჯარებმა ფრონტის ხაზი გაარღვიეს და ჩეჩნეთში, გროზნოში გვიკრეს თავი. პირველი საბრძოლო ნათლობა იქ მივიღე. მაშინ ვნახე, რა იყო ნამდვილი ომი — დაჭრილი ჯარისკაცები, სისხლი, შეტაკებები, დაბომბვისგან გადაბუგული ტერიტორიები... პირველად ყაბარდო-ბალყარეთის სოფელ კრასნოგედუკში დავიჭერი (*მოხუცი კეფაზე ნაიარევს მიჩვენებს. — ავტ.*), იმ გერმანელს ხელი 2 სანტიმეტრით რომ დაეწია, ახლა ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა... ნაწილში, სპეციალური ათეულის მეთაური ვიყავი და ისეთი იარაღი მებარა, რომლის 120 მმ-იანი ნაღმი ამ რამდენიმე ხნის წინ, ჩვენს ბიჭებს კრწანისის სამხედრო ბაზაზე წვრთნების დროს აუფეთქდათ და რამდენიმე სამხედრო დაიღუპა... ჩვენი ნაწილი, ქალაქ ბაქსანთან იყო დაბანაკებული. ერთ-ერთი როტაციის დროს, ქართული დივიზიის ქვედანაყოფი მოხსნეს და ფეხით ნალჩიკში ჩაგვიყვანეს. იქაურობას „ზაუკონცლერს“ ეძახდნენ. თოვდა. სასტიკად ყინავდა და ციოდა... ალპური ზონა იყო. ხეს ვერსად ნახავდით... სანამ ჩვენი დივიზია თავდაცვის პოზიციაზე იდგა, გერმანულმა ავიაციამ ჰაერიდან შემოგვიტია და ამ დროს ალყაშიც აღვმოჩნდით. მცირე შეტაკებები მიმდინარეობდა, მაგრამ დანაკარგი დიდი გვქონდა — 25 ათასამდე კაციდან 1500-მდე დავრჩით. ყველა ალყის დროს კი არ დახოცილა, უკან ბრძოლებით ვიხევდით და ბევრი თანამებრძოლი ამ დროს დავკარგეთ. ზოგს საველე პირობებში საჭირო დახმარება ვერ აღმოუჩინეს და ჭრილობისგან გარდაიცვალა... კვირაზე მეტხანს თითქმის მშივრები ვიყავით...

ნალჩიკიდან იალბუზის მთისკენ ფეხით წავედით. ვინც იქამდე ცოცხალი მივედით, მეთაურების ბრძანებით, რაც კი დაგვრჩა — იარაღი, ტყვია-წამალი და საბრძოლო მასალა, ყველაფერი ერთ ადგილას, მთის ძირთან შევაგროვეთ და დავწვით. მეთაურობამ გვითხრა, — კავკასიის გზის გავლით, საქართველოში, ბათუმში უნდა ჩახვიდეთო... კავკასიონზე თოვლი ზაფხულშიც არის და ხომ წარმოგიდგენიათ, ზამთარში რა კლიმატი იქნებოდა?!. იმ გზებზე ალპინისტები იღუპებიან, ჩვენ კი, ჩვეულებრივ, ჯარისკაცის ფორმაში ვიყავით ჩაცმულები... ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოვიარეთ... ტანჯვითა და წამებით, ცოცხალ-მკვდრები ჩამოვედით ზუგდიდამდე, სადაც მატარებელში ჩაგვსხეს და ბათუმში, თურქეთ-საქართველოს საზღვრამდე ჩაგვიყვანეს.

— **ვიცი, რომ იალბუზზე დაბრუნებამ მოგიწიათ...**

— დიახ... ნალჩიკიდან უკან დახევისას გერმანელები ფეხდაფეხ მოგვყვებოდნენ. მთელ ჩრდილოეთ კავკასიას აკონტროლებდნენ, ლამის სვანეთამდეც კი მოაღწიეს... ჩვენი ჯარების მეთაურობას, საბრძოლო მასალა, რომლის გადმოტანასაც მებრძოლები ვერ შეძლებდნენ, იალბუზის ძირში, ღია ცის ქვეშ, გაშლილ ადგილზე მოუგროვებია... ბათუმში ჩამოსვლის შემდეგ, პოლკის მეთაურმა გამოგვიცხადა, — ვინც უკან დაბრუნდებით და კავკასიონის ქედთან დატოვებულ ტყვია-წამალს წამოიღებთ, გმირობის ორდენით დაგაჯილდოებთ და ორკვირიან შვებულებასაც მოგცემთო... ერთი სიტყვით, სხვადასხვა ნაწილიდან, 17 სხვადასხვა სპეციალობის მებრძოლი მოგვაგროვეს, თან თითო ავტომატი და 2 დღის საგზალი მოგვცეს და იალბუზზე გაგვიშვეს. თითოეულს ორ-ორი ყუთი ტყვია-წამალი უნდა მოგვეკიდებინა ზურგზე...

— **ამ დავალებისთვის 2 დღე საკმარისი იყო?**

— არა, მაგრამ მაშინ ჯარს უჭირდა და რისი საშუალებაც ჰქონდათ, ის გამოგვატანეს და არც ერთს გაგვიპროტესტებია... ის სიმწრით „გადმოხოხებული“ გზა ისევ გავიარეთ... ჯგუფის ხელმძღვანელობასა და მეგზურობას მესტიელი სვანი გვიწევდა... გზაშივე გაგვიმართლა... მზიანი ამინდი იყო. უღელტეხილი ისე გადავიარეთ, თოვლის ფანტელიც არ ჩამოვარდნილა, თორემ სუსტი ქარიც რომ ამოვარდნილიყო, ისე ჩავიხოცებოდით, ვერასდროს გვიპოვიდნენ... იმ ადგილზე გერმანელები აღარ დაგვხვდნენ. როგორც ჩანს, სტრატეგიულ ადგილად არ ჩათვალეს და იქაურობა მალევე დატოვეს. ის ტყვია-წამალიც ხელუხლებელი დაგვხვდა. ალბათ იმ ადგილამდე არც კი მისულან... ერთი სიტყვით, ჩვენ-ჩვენი წილი ზურგზე მოვიკიდეთ და წამოვედით... თითქმის შეუსვენებლად ვიარეთ, მხოლოდ იმდენ ხანს ვჩერდებოდით, რამდენიც სულის მოსათქმელად გვჭირდებოდა. არც მახსოვს, რამდენი დღე-ღამე დაგვჭირდა იმ ჯოჯოხეთური დავალების შესასრულებლად. ნაწილში რომ დავბრუნდით, სიცივისგან ხელ-ფეხი გასივებული და სახე დამსკდარი გვქონდა. შიმშილისგან ძალაგამოცლილებმა ჭამაც ვერ მოვახერხეთ. ბათუმში დაბრუნებულებს, მეთაურობამ ჩვენს დანახვაზე გაოცება ვერ დაფარა. ტვირთი ჩამოგვართვეს და თავისუფალი ხართო, გვითხრეს.

— **ორკვირიან შვებულებაში არ გაგიშვეს?**

— არა... მეთაურობამ თათბირი ჩაგვიტარა, დავალების შესრულებისთვის შეგვაქო, მაგრამ შვებულებაზე კრინტიც არ დაუძრავს. ვერ მოვითმინე და დივიზიის წარმომადგენელს ვუთხარი, — ჯარში თუ ტყუილის თქმა შეიძლებოდა, არ მეგონა, დაჯილდოებას ვინ ჩივის, შეპირებული შვებულებაც დაივიწყეს-მეთქი... მან რაღაც ჩაიწერა, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამს. მეორე დღეს დივიზიის შტაბში გამომიძახეს. ბიჭებმა მითხრეს, — ცუდად არის შენი საქმე, ფრონტის წინა ხაზზე გაგგზავნიანო. ზოგჯერ ომში დაღუპული ჯარისკაცების ახალი ძალით შევსება ხდებოდა... ბათუმში კი ორკვირიანი შვებულებისთვის მომზადებული საბუთები დამახვედრეს და გამაფრთხილეს, — ნაწილში დროულად დაბრუნდიო... 1943 წელი იდგა. გაგანია ომი იყო. მე კი სამხედრო ნაწილიდან შვებულებით სახლში წავედი. საჩხერეში ყველას გამოპარული ვეგონე. იმავე ღამეს მილიცია დამადგა თავს, განყოფილებაში წამიყვანეს და დამკითხეს. ავუხსენი, საგმირო საქმე ჩავიდინე-მეთქი. საბუთებიც თან მქონდა. გაუკვირდათ, თან გაუხარდათ. მერე კი ხელმძღვანელობის დავალებით, სუფრაც გამიშალეს... ორი კვირის შემდეგ ნაწილში რომ დავბრუნდი, ყველას ფრონტის წინა ხაზზე წასული ვეგონე და ისე შემხვდნენ, როგორც მკვდრეთით აღმდგარს...

ასე რომ, ფრონტის წინა ხაზზე ბრძოლას გადავურჩი, მაგრამ კავკასიონის დალაშქვრას მგონი, პოზიციებზე ყოფნა სჯობდა... სახლში დაბრუნების შემდეგ კი უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე. ოჯახი შევქმენი, ორი ვაჟი და შვილიშვილები მყავს. საუკუნის ტოლი კი მოვიყარე, ბაბუა, მაგრამ სული ტკბილი ყოფილა და კიდევ მინდა ამ წუთისოფლის ცქერით დავტკბე...

— **ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ!..**

■



მე და ეს ბიჭები სიკვდილს ერთად ვუყურებდით თვალებში (მარჯვნივ — ბატონი ჯაბა)

# რა ჯდება თირკმლის გადანერგვა საქართველოში?

**თათია ბავშვთა საავადმყოფოში გავიცანი. 12 წლის გოგონას თირკმლის მწვავე უკმარისობა აწუხებს და კვირაში სამჯერ სისხლის გასაწმენდად საავადმყოფოს პალატაში 4 საათს ატარებს. გოგონა ახალი თირკმლის გადანერგვას ყოველდღე ელოდება. მას დონორობას საკუთარი დედა გაუწევს.**

**ორგანოთა ტრანსპლანტაციას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. პირველი ოპერაცია IV საუკუნეში გაკეთდა. წმინდა კოზმა და დამეანემ ღვთისმსახურს ახალგარდაცვლილი შავკანიანი გლადიატორის ფეხი გადაუნერგეს. ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა...**

**ამერიკელმა ქირურგმა მურეიმ და მისმა კოლეგებმა, თირკმლის ტრანსპლანტაციის პირველი შედეგიანი ოპერაცია 1954 წელს ჩაატარეს.**

**საქართველოში ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია 1997 წელს დაფუძნ-და. დღეისათვის, გადანერგილი ორგანოებით 111 ადამიანი ინარჩუნებს სიცოცხლეს, ამათგან უმრავლესობა თირკმელგადანერგილია, მაგრამ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ორგანოს ტრანსპლანტაცია 1000-ზე მეტ ადამიანს ესაჭიროება. ისინი თირკმლის რიგში წლებია, დგანან.**

*ლევან ჟორჟოლიანი*

**გია თომაძე**, *საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი:*

— იმისათვის, რომ თირკმელი გადაინერგოს, აუცილებელია დონორისა და რეციპიენტის (ადამიანი, რომელსაც ორგანოს უნერგავენ) შეთავსება. მოქმედი კანონმდებლობით, დონორი შეიძლება იყოს რეციპიენტის გენეტიკური ნათესავი ან მეუღლე. შესაძლებელია „ორგანოთა გაცვლაც", ოღონდ ეს სახელმწიფოს მხრიდან მკაცრად კონტროლდება, რათა საზღვარგარეთ ორგანოების გაყიდვა არ მოხდეს. გადანერგილი თირკმელი დაახლოებით 20-30 წელი მუშაობს და ფუნქციის დაკარგვის შემთხვევაში, განმეორებით ტრანსპლანტაციაცაა შესაძლებელი.

— **რამდენი ხანი გრძელდება ოპერაცია და რა პროცედურებს მოიცავს?**

— ტრანსპლანტაცია, დაახლოებით 3 საათის განმავლობაში, ორ საოპერაციოში პარალელურად მიმდინარეობს. თავდაპირველად დონორის ორგანიზმიდან თირკმელს იღებენ, შემდეგ გადასანერგ ორგანოს ამუშავებენ, ბოლო პროცედურა კი — ახალ სხეულში მისი გადანერგვაა.

— **რა ჯდება თირკმლის გადანერგვა?**

— თირკმლის გადანერგვა 15.000 ლარამდე ჯდება. ყოველ წელს 10-დან 15-მდე ოპერაციის ხარჯს სახელმწიფო ფარავს.

— **რას გვეტყვით გვამური ორგანოების ტრანსპლანტაციაზე?**

— კანონის თანახმად, გადასანერგად გარდაცვლილის ორგანოების გამოყენებაც დასაშვებია. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, სიცოცხლეშივე დაწეროს თანხმობა გარდაცვალების შემდეგ მისი ორგანოების უსასყიდლოდ გადანერგვის შესახებ. დონორთა ვინაობა მკაცრადაა გასაიდუმლოებული. ასეთი განცხადება დღემდე ასამდე ადამიანმა დაწერა. საქართველოში გარდაცვლილი ადამიანის ორგანოს ტრანსპლანტაცია ჯერჯერობით არ განხორციელებულა.



ტრანსპლანტაციის ცენტრის შესახებ მეგობრისგან შევიტყვე. გადაწყვეტილების მიღებაც არ გამჭირვებია

— **რა არის ამის მიზეზი?**

— მოსახლეობას ამ საკითხისადმი ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. 2007 წელს ჩვენ სოციოლოგიური კვლევა ჩავატარეთ. მართლმადიდებელი მრევლი ცოცხალი დონაციის მიმართ დადებითად იყო განწყობილი, მაგრამ გარდაცვლილი ახლობლის ორგანოს გადანერგვაზე უმეტესობამ კატეგორიული უარი თქვა. ნაწილმა მიზეზად რელიგიური ფაქტორი დაასახელა, ნაწილის თქმით, არ სურდა, გარდაცვალებულისთვის „დამატებითი ტრავმა" მიეყენებინა. ჩვენ ამ საკითხზე ხშირად ვმართავთ შეხვედრებს სასულიერო პირებთან.

*ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ცოცხალი ადამიანის მიერ ორგანოს უსასყიდლოდ გადაცემას მხარს უჭერს. დავა მაშინ იწყება, როდესაც საქმე გარდაცვლილის ორგანოს გადანერგვას ეხება. ექიმებსა და სასულიერო პირებს სიკვდილის დადგომასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება აქვთ: ექიმები მიიჩნევენ, რომ ადამიანი მაშინ კვდება, როდესაც თავის ტვინი წყვეტს მუშაობას, ამ დროს კი შესაძლოა გული ფეთქავდეს. სამღვდელოების ნაწილის აზრით კი — თუ გული ფეთქავს, ადამიანი ცოცხალია და მისი გადანერგვის უფლება არავის აქვს. წმინდა სინოდს ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია, ამიტომაც სამღვდელოების აზრი იყოფა.*

**მამა კონსტანტინე** *(გიორგაძე) წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელი:*

— სხეული შექმნილია ღვთის მიერ და მას ეკუთვნის, ამიტომ როცა ადამიანი თავისი სხეულის ნაწილს ყიდის, ის დიდ ცოდვას სჩადის. ის ეწინააღმდეგება მცნებას: „არა იპარო".

— **თუ ადამიანი სიკვდილის შემდეგ ორგანოს სხვას გადასცემს გადასანერგად?**

— ამ ფაქტს აბსოლუტურად ვემხრობი. როდესაც ვინმეს ორგანოს უსასყიდლოდ გადასცემ, ეს მოყვასის სიყვარულზე მიუთითებს და უდავოდ, დიდი მადლია.

*19 წლის ანა ერთ-ერთია მათ შორის, ვინც დონორის განცხადება შეავსო და ამით, გარდაცვალების შემდეგ მისი ორგანოების გადანერგვაზე თანხმობა დაადასტურა.*

— **რატომ გადაწყვიტე დონორი გამხდარიყავი და საიდან შეიტყვე ამ წესის არსებობა?**

— ყველას ბევრჯერ გვინახავს ჰოლივუდური ფილმები, სადაც ორგანოს დონაციაა ასახული. მთავარი პერსონაჟი უკურნებელი დაავადებით იტანჯება და მას ორგანოს გადანერგვა ესაჭიროება, დონორი კი არ ჩანს. დარწმუნებული ვარ, მსგავსი მელოდრამები გულგრილს არავის ტოვებს. მაგრამ ფილმი მთავრდება და არ გვაფიქრდება, რომ საქართველოშიც უამრავი ადამიანია, ვინც ორგანოს გადანერგვას რეალურად საჭიროებს. ტრანსპლანტაციის ცენტრის შესახებ მეგობრისგან შევიტყვე. გადაწყვეტილების მიღებაც არ გამჭირვებია.

— **მშობლები როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?**

— დედა ექიმი მყავს, ამიტომ გადაწყვეტილება მომიწონა. ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ უბედური შემთხვევისგან დაზღვეული არავინაა. ჩემი გარდაცვალების შემდეგ, მეორე ადამიანს სიცოცხლის შანსს მივცემ. ვფიქრობ, რომ ამით ერთ კეთილ საქმეს გავაკეთებ. ტრანსპლანტაციის ასოციაციასაც ხომ ასეთი სლოგანი აქვს: „გაიღე ორგანო — გადაარჩინე სიცოცხლე". ■

# რატომ „შეაწერეს“ კახელ კონკურსანტს 20 ლიტრი ღვინო...

ნინო ჯავახიშვილი

**გიორგი ჩალათაშვილმა პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობა ახლობლების დაჟინებული რჩევით გადაწყვიტა და არც შეცდა. მისი მეგობრები ხუმრობენ — ყვავის სიმღერა შეასრულა და ბულბული გახდა, მეტი რაღა უნდაო?!. კახელი კაცის ნამღერმა ერთნაირად მოხიბლა დარბაზიცა და ჟიურიც. ვანო ჯავახიშვილმა და გეგა ფალავანდიშვილმა კი 20 ლიტრი კახური ღვინო „შეაწერეს“ კონკურსანტს — ეს იმიტომ, ასეთი ნიჭის პატრონს დღემდე რომ არ გიცნობდითო... სამაგიეროდ, გოგიტას (ასე ეძახიან თანასოფლელები) საკუთარ კუთხესა და რაიონში კარგად იცნობენ.**

— სიმღერა ბავშვობიდანვე მიყვარდა, მაგრამ რატომღაც მრცხვენოდა და არ ვმღეროდი. მეშვიდე კლასში ვიყავი, როდესაც გურჯაანის რაიონში ბავშვთა ანსამბლში მივედი. ბას-გიტარაზე ვუკრავდი. ჩემი პირველი მასწავლებელი სურენ ირემაშვილი იყო, რომელმაც მითხრა: რაც ვიცოდი, ყველაფერი გასწავლე, კარგი მონაცემები გაქვს და ახლა შენს თავს თვითონვე მიხედეო. მირჩია, ლაგოდეხში გიტარის კარგი პედაგოგი — კობა გელაშვილი მუშაობს და მასთან მიდიო. ასეც მოვიქეცი. სკოლის დამთავრების შემდეგ კი თბილისში ჩამოვედი და სრულიად მოულოდნელად, ანსამბლ „ბერმუხაში“ მოვხვდი. ქუჩაში ანსამბლის ხელმძღვანელი, „როკის მამად“ წოდებული — ბაჩი ქიტიაშვილი დავინახე და ბევრი არც მიფიქრია, მივედი და ვუთხარი: — თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ და თუ შეგიძლიათ, გიტარაზე კარგად დაკვრა მასწავლეთ-მეთქი. დამთანხმდა და სხვათა შორის, ანსამბლშიც მალევე მიმიღო, ბას-გიტარაზე ვუკრავდი. ერთი წლის შემდეგ რაიონში დავბრუნდი და დროებითი ანსამბლი ჩამოვაყალიბე — რაიონის ნიჭიერი მუსიკოსები და მომღერლები შევკრიბე და სრულიად უფასოდ, ხალხის გასამხიარულებლად, კონცერტებს ვაწყობდით.

— **შენმა მონათხრობმა ცნობილი ქართული ფილმი — „გარიგება“ გამახსენა.**

— (*იცინის*) კი, დაახლოებით ასე იყო — ჩვენს ჭიას ვახარებდით, თორემ სხვა არაფერი. მერე მუსიკოსი შალვა მუმლაძე და საქსოფონისტი — მერაბ კვანტალიანიც გავიცანი და სამივემ ერთად ბარებში დაკვრა დავიწყეთ. „კვალიფიკაციის ამაღლების“ მიზნით, ერთხანს ქუჩაში — მიწისქვეშა გადასასვლელებშიც ვუკრავდით. რა გვექნა? გაჭირვება იყო, ერთ თეთრსაც ვერ ვშოულობდით და ოჯახების შესანახად სხვა გზა ვერ ვიპოვეთ. სამ ხმაში „გავაჯაზეთ“ — გიტარაზე, საქსოფონსა და ჩასაბერ „გარმოშკაზე“ ვუკრავდით.


11 და 9 წლის გოგონები მყავს, ნაბოლარა ბიჭი კი 4 წლისაა

მსმენელი ყოველთვის გვყავდა. ერთი სიტყვით, თან ვმუშაობდით და თან, შემოქმედებით ჭიასაც ვიკლავდით. ხალხი გვეკითხებოდა: ვინ ხართ, ასე კარგად რომ მღერით? თქვენ ქუჩაში რა გინდათო?! შალვამ ერთხელ ამ კითხვაზე ასე უპასუხა: ვინ ვართ და ქუჩაში გადაყრილი მარგალიტებიო!.. პროფესიული მუსიკალური განათლებაც კი არ მაქვს, მაგრამ სულითა და გულით მუსიკოსი და მომღერალი ვარ, სხვა შემოსავალი არასდროს მქონია. ბევრი მაქვს თუ ცოტა, ამაზეც ღმერთს მადლობას ვწირავ. სხვათა შორის, ფულის გულისთვის არასდროს მიმღერია, გუნება-განწყობილების გამოსაკეთებლად ჩემთვის ყველაზე კარგი წამალი სიმღერაა.

— **არადა, შენი სიმღერით 3 შვილის შენახვა ალბათ გიძნელდება, ხომ?**

— 11 და 9 წლის გოგონები მყავს, ნაბოლარა ბიჭი კი 4 წლისაა. უკვე ჭიდაობს და გაიძახის — მაგარი მოჭიდავე და ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო. ასე რომ, საქართველოს ბაგრატის სახით კარგ ვაჟკაცს ვუზრდი. მეუღლე და ჩემი ქალიშვილებიც მღერიან. სხვათა შორის, მე და ხათუნამ „ოჯახური“ დუეტებიც ჩავწერეთ. როგორც იქნა, ისიც ავამღერე.

— **ახლა ის მითხარი, მეგობრები ნიკალას რატომ გეძახიან?**

— (*იცინის*) ნიკალას დაუფასებელი ნიჭისა და სიალალის გამო მეძახიან... თან ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ რესტორანში სცენა კიბის ქვეშ იყო მოწყობილი და ფაქტობრივად, მეც კიბის ქვეშ მიწევდა მუშაობა. ადმინისტრატორს ვუთხარი: იცოდი, ნიკალას რომ მეძახდნენ და აქ ამიტომ დამსვი-მეთქი?

— **საუბრისას ახსენე, რომ მეგობრებთან ერთად არაერთ ელიტურ ქორწილშიც გიმღერია. ასეთი შემოთავაზება ხშირად გაქვს? ცნობილი ადამიანებისგან ვის ქორწილში ყოფილხარ?**

— ძალიან ბევრ ქორწილში გვიმღერია, სადაც მთავრობისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლებს უთამადიათ, ნუ დამაკონკრეტებინებ...

— **ვისი რჩევით გადაწყვიტე „ნიჭიერში“ მონაწილეობა?**

— მეგობრებმა მოსვენება არ მომცეს და მეც დავთანხმდი. სხვათა შორის, ვიდრე თბილისში ჩამოვიდოდი, ერთი ჩემი თანასოფლელი (ნოდარი ჰქვია და მეტსახელად „ყურშას“ ვეძახით) რამდენჯერაც შემხვდებოდა, იმდენჯერ მეტყოდა: ნიჭიერო, შენი ადგილი ქალაქშია, ისევ აქ ხარ? ჯერ კიდევ არ წასულხარო? ჰოდა, აი, იმდენი მეძახა „ყურშამ“ — ნიჭიერი ხარ, თბილისშია შენი ადგილიო, — რომ წლების შემდეგ ახდა მისი წინასწარმეტყველება.

— **გიორგი, ხალხის ასეთ რეაქციას თუ ელოდი?**

— არ ველოდი და ძალიან დავიბენი, როდესაც დავინახე, მთელი დარბაზი ფეხზე როგორ წამოდგა. უბედნიერესი ვიყავი. როგორც იცით, სიმღერა ასე მთავრდება: „ჰოდა, მე თუ გავბოროტდი, არის საზოგადოების ბრალი!“ გეგამ მითხრა, საზოგადოების ბრალი კი არა, შენი ბრალია, ამდენ ხანს რომ არსად ჩანდიო. ვანომ კი ჯარიმაში 20 ლიტრი კახური ღვინო „შემაწერა“.

— **ესე იგი, ღვინო გაქვს საკისრებელი, ხომ? რას აპირებ?**

— (*იცინის*) რას ვაპირებ და სამივეს კახეთში დავპატიჟებ. ვნახოთ, ვინ როგორი მსმელია... ხომ იცით, კახელებს როგორ გვიყვარს ქეიფი და პურის ჭამა ალაზნის პირას...

■

# რისი ეშინიათ კაცებს

## „კაცები დადედლდნენ, ქალები კი მამლები გახდნენ“

**მოგეხსენებათ, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვწერენ ცოლ-ქმრის ურთიერთობასა და ძალადობაზე. საინტერესოა, საქართველოში ქალები მართლა ასეთი დაჩაგრულები არიან თუ საზოგადოება მხოლოდ ერთეულების მაგალითებით მსჯელობს? სუსტი სქესის წარმომადგენლებს მართლა არა აქვთ უფლებები? ჩვენ მოზარდებში ჩავატარეთ გამოკითხვა და თითოეულს დავუსვით შემდეგი კითხვა: როგორ ფიქრობთ, ქართველი ქალები დაჩაგრულები არიან და მამაკაცებს მათზე მეტი უფლება აქვთ? როგორც უნდა გაგიკვირდეთ, მოზარდების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ქართველი ქალები და კაცები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ბევრმა კი ისიც თქვა, რომ მის ირგვლივ მყოფი მამაკაცების უმეტესობა „დადედლებულია“ და ისინი ქალებზე ბატონობას ვერ ბედავენ; მეტიც — თურმე სუსტი სქესის წარმომადგენლები მათზე ბევრად მეტი პრივილეგიითა და უფლებებით სარგებლობენ.**

*ლიკა ქაჯაია*



**გიზო:**

— შეიძლება, ქალების 10% მართლაც დაჩაგრულია და შინაა გამოკეტილი, მაგრამ მერწმუნეთ, სუსტი სქესის წარმომადგენლების 90% დასაქმებულია და ეს მაშინ, როცა მამაკაცების 50% უმუშევრობამ დააჩნევროზა, გაალოთა. ჰოდა, ახლა თქვენ იმსჯელეთ, ამ ქვეყანაში კაცები მეტი უფლებით სარგებლობენ თუ ქალები?

**— შენი აზრით, რატომ იმატა დასაქმებული ქალებისა და უმუშევარი მამაკაცების რიცხვმა?**

— მართალია, მეც კაცი ვარ და ამის თქმის მრცხვენია, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას — ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ კაცები დადედლდნენ, ქალები კი მამლები გახდნენ. მყავს მეზობელი, რომელიც მართლაც, მახათით ერთობა, მისი ცოლი და ორი ქალიშვილი კი მიწას ცხვირით ჩიჩნიან, რათა ერთი უმაქნისი კაცი შეინახონ. ვიცი, იმ კაცს თავმოყვარეობა არა აქვს, მაგრამ არც ამ ქალების მესმის — რად უნდათ ასეთი ქმარი და მამა? კაცს, რომელსაც იმის თავიც არა აქვს, რომ ოჯახში პური მიიტანოს, შარვალი არ უნდა ეცვას!

**ნინიკო,** *18 წლის:*

— ქალების უმეტესობა რომ ძალადობის მსხვერპლია, ამას ლაპარაკი არ უნდა. ქართველ კაცებს ჰგონიათ, მათი ცოლები ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ გაჩნდნენ, რომ მეუღლეებს წინდები ურეცხონ; თუ მათ შეეწინააღმდეგები, ცხვირში მუშტი გარანტირებული გაქვს. ჰოდა, ამ ფონზე რომელ გენდერულ ბალანსზეა ლაპარაკი? ბევრი ამბობს: ახლა ძირითადად, ქალები მუშაობენ, კაცები კი უმუშევრები არიანო. თქვენ გგონიათ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქალებს მეტი უფლება აქვთ? არა, ბატონებო, კაცები სუსტი სქესის წარმომადგენლებს ამუშავებენ, თავად კი მხარ-თეძოზე არიან წამოწოლილები; ბევრი კაცი ელოდება, როდის დაბრუნდება ცოლი სამსახურიდან, რათა მას საჭმელი აჭამოს, სიგარეტი მიუტანოს და ა.შ. თქვენი აზრით, რა ჰქვია ამას? ცხადია, საქმე გვაქვს ტრეფიკინგთან, მაგრამ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი არავის სურს.

**ნინი,** *17 წლის:*

— ცხადია, ქალები მეტი უფლებით ვსარგებლობთ, მაგრამ კაცებს ამის აღიარება არ სურთ. თუ გნებავთ, ჩავატაროთ სოციოლოგიური გამოკითხვა და დარწმუნდებით, რომ 100-დან 90 ოჯახს ქალი არჩენს. ე.წ. სუსტი სქესის წარმომადგენლები მბრძანებლები გავხდით, კაცებს ჩვენს ჭკუაზე ვათამაშებთ. ნუ, რა თქმა უნდა, ისეთი ოჯახებიც მოიძებნება, სადაც ქმრები „გრიმიტობენ“, მაგრამ დღეს ეს იშვიათობაა.

**— მაშინ, ასე ხშირად რატომ ლაპარაკობენ დაჩაგრულ ქალებზე, რატომ ამბობენ, რომ ქართველი მამაკაცების უმეტესობა ცოლზე ძალადობს?**

— ქალზე ძალადობს ისეთი კაცი, რომელმაც უფლებები დაკარგა და ეშინია, ახლა ცოლიც არ გაექცეს. მას ძალადობით სურს, მასზე ბევრად მეტი უფლების მქონე ქალს დაუმტკიცოს, რომ ძლიერია, მბრძანებელია და თუ დასჭირდება, ქალს სიცოცხლესაც მოუსწრაფავს. მოკლედ, ძალადობით ცდილობს ოჯახის შენარჩუნებას და იმას კი არ ფიქრობს, რომ შეიძლება, ამ მეთოდით მეორე ნახევარს უფრო დაშორდეს... ჩემი აზრით, დღეს ქალები მეტი პრივილეგიითა და უფლებით სარგებლობენ და ამაზე დავა ან კამათი სისულელე მგონია.

**გოგა,** *19 წლის:*

— როგორ შეიძლება, ქალი მამაკაცის მბრძანებელი იყოს? ვფიქრობ, ქართველები გონს დიდი ხნის წინ მოვედით და ახლა ქალისა და მამაკაცის უფლებები დაბალანსებულია. თუ ადრე ქალებს სამზარეულოდან ცხვირის გამოყოფაც ეკრძალებოდათ, დღესდღეობით მათი უმეტესობა დასაქმებულია; ქალებმა მოიპოვეს იმის უფლებაც, რომ სუფრასთან მამაკაცების გვერდით დასხდნენ; მათ შეუძლიათ, თავიანთი მოსაზრება გაუზიარონ მამაკაცებს და თუ ჭკვიანურ იდეებს გადმოაფრქვევენ, მათი იდეის მიღება სირცხვილად აღარ მიიჩნევა ანუ არავინ გეტყვის: ქალის ჭკუაზე როგორ გაიარეო? აი, ხომ ხედავთ, რამდენი რამის უფლებას გაძლევთ, რა კარგები ვართ ძლიერი სქესის წარმომადგენლები...

**— რატომღაც მგონია, რომ ეს ყველაფერი არ მოგწონს. შენი აზრით, ქალის ადგილი სამზარეულოშია? მას მუშაობის, თავისი მოსაზრების დაფიქსირების უფლება არა აქვს?**

— როგორ არა, შეუძლია საძინებელ ოთახშიც შევიდეს და ბაზარშიც წავიდეს, სურსათ-სანოვაგის საყიდლად; საკუთარი მოსაზრების გამოთქმაც შეუძლია, მაგრამ ხომ იცი, ბოლო სიტყვა მამაკაცს ეკუთვნის. მერწმუნეთ, როგორც უნდა ვეცადოთ, თანაბარუფლებიანები ვერასდროს გავხდებით, ძლიერი სქესის წარმომადგენლები ყოველთვის მეტი პრივილეგიით ვისარგებლებთ და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ცოტანი ვართ და თქვენ ვალდებულნი ხართ, ხელისგულზე გვატაროთ (*იცინის*).

**ელისო,** *19 წლის:*

— მგონი, თანაბარი უფლებები გვაქვს. ადრე ბალანსი დარღვეული იყო, ქართველი ქალები დაჩაგრულები გახლდნენ, მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. თუ დებილი არა ხარ, ქმრის წინაშე თავს დასაკლავი ცხვარივით არასდროს ჩაღუნავ. ნებისმიერ ქალს აქვს უფლება, ის გააკეთოს და ისე იცხოვროს, როგორც თავად უნდა.

**— ამაში ვერ დაგეთანხმები, რადგან**

**საზოგადოების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ქალს ბევრი ისეთი რამ არ ეპატიება, რაც მამაკაცს შეიძლება, ნორმალურ ქმედებად ჩაეთვლის.**

— ვიცი, რასაც გულისხმობ. მერწმუნე, ღალატი არც ქალს ეპატიება და არც — კაცს. მგონია, ასე მხოლოდ ის ფიქრობს, ვინც ძველმოდური და ვითომ ტრადიციების მიმდევარია.

**ელდარი,** *17 წლის:*

— სამწუხაროდ, მამაკაცებმა უფლებები დავკარგეთ და ეს ყველაფერი იმ კაცების ბრალია, რომლებსაც კაცის სახელი პირობითად აქვთ, სინამდვილეში კი შარვალში გამოწყობილი დიაცები არიან. ვფიქრობ, ახლა ჩვენზე მეტი პრივილეგიით ქალები სარგებლობენ: ისინი უფრო შოულობენ სამსახურს, ვიდრე კაცები, მათ სიტყვას ფასი აქვს, კაცებისას კი — აღარ. ეს ყველაფერი საშინელებაა!..

— **შენი აზრით, ქალები უფლებონი უნდა იყვნენ?**

— რასაკვირველია, არა, მაგრამ არც ის ვარგა, ქალი კაცს თავზე რომ აზის.

*P.S. ამ რუბრიკის ერთგული მკითხველებისგან ხშირად მომდის საყვედურებით სავსე მესიჯები, სადაც მწერთ, რომ არ მოგწონთ, ინტერვიუს რომ არ გთხოვთ, რადგან იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებსაც ვაშუქებ, ბევრი რამ გაქვთ მოსაყოლ-გასახსენებელი. გადავწყვიტე, თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილო და წინასწარ გაცნობოთ თემა, რომელსაც უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ. მაშ ასე, როგორ ფიქრობთ, როცა მშობელი სახლიდან მიდის და ბედს სხვა ადამიანს უკავშირებს, ის მოღალატეა? სიყვარულის სახელით მშობელს შეუძლია იმ ფაქტის გამართლება, რომ ოჯახი მიატოვოს? ამ თემასთან დაკავშირებული სხვისი ან საკუთარი თავგადასავალი შეგიძლიათ მომწეროთ ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com.* ■

# თინეიჯერები გვწერენ

**რუისპირი** (GREEN):

„13-14 წლის ასაკში გათხოვება XXI საუკუნის ტენდენციად იქცა. სხეულის მომწიფებისა და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გაჩენისთანავე, გოგონები გათხოვების გადაწყვეტილებას იღებენ და ფაქტიც სახეზეა — მედიასაშუალებები ყოველდღიურად, ახალი ძალადობის მსხვერპლის შესახებ გვიამბობენ... არასასურველი ფეხმძიმობა, აბორტების სიმრავლე (თურმე, არასრულწლოვნები ამას ხშირად მიმართავენ), სასოწარკვეთილი ბიჭების ამაზრზენი და პრიმიტიული დამოკიდებულება მეგობარი გოგონების მიმართ ან „მუცლის დასამალად“ შექმნილი ოჯახები — ეს ის თემაა, რომელზეც ამ ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ და რა გასაკვირია, რომ იქმნება აგრესიული და ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ოჯახები; შემდეგ ჩნდებიან ბავშვები და დროის გასვლასთან ერთად, კაცს ყველაფერი ყელში ამოსდის... პირადად მე, ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო იმ ადამიანთან ერთად, რომელიც არ მიყვარს და რომელთანაც მხოლოდ ვალდებულება მაჩერებს. თუ გოგო გულით გიყვარს, მასთან ქორწინებამდე არ დაწვები, მოთმინებითა და პატივისცემით გამოხატავ მისდამი სიყვარულს...

ერთი წამითაც არ ვამართლებ მოძალადე კაცებს, მაგრამ ეს მხოლოდ მამრობითი სქესის ბრალი ნამდვილად არ არის (ფსიქიკურად გაუწონასწორებელ და ეჭვით დაავადებულ მამრებს არ ვგულისხმობ). როცა წყვილმა სიტყვა „ოჯახის“ განმარტება არ იცის, როცა პატარძალს „ოჯახი“ რომელიმე სალათის სახელი ჰგონია და როცა თოჯინებით მოთამაშე გოგონა დიდი სახლის პატარა დიასახლისი ხდება, ის არა მარტო საკუთარ თავს, არამედ შვილსაც უდიდეს ტკივილს აყენებს. სწორედ ასეთი მშობლების შვილები ოცნებობენ მშვიდ, წყნარ, ერთმანეთზე შეყვარებულ, ჰარმონიული ურთიერთობის მქონე მშობლებზე. მერე ჩნდება არასრულფასოვნების კომპლექსი და პატარა საკუთარ თავში იკეტება... პირადად მე, მიუხედავად იმ ნაკლისა, რომელიც ჩემს მშობლებს აქვთ, სხვა დედ-მამაზე არასდროს მიოცნებია. დღეს თუ რამეს წარმოვადგენ, თუ სწორი მიმართულებით მივდივარ (და მიმაჩნია, რომ მივდივარ) და საერთოდ, რომ ვარსებობ, ეს იმ მშობლების დამსახურებაა, რომელთა შეცდომებმაც „გამომაწრთო“...

იდეალური მშობლები არასდროს მყოლია (ჩემი აზრით, ამქვეყნად არავინ და არაფერია იდეალური) და ახლა ვფიქრობ, რომ მე უნდა ვიყო ჩემი შვილებისთვის იდეალური მამა! იმ ცუდმა დღეებმა, რაც პატარაობიდან დამამახსოვრდა, ფარ-ხმალი კი არ დამაყრევინა, არამედ მიმახვედრა, რა არ უნდა გავაკეთო და რაში არ უნდა ჩავიჭრა მომავალ ცოლ-შვილთან ურთიერთობისას... კარგი იქნება, თუ ბევრი მოზარდი იფიქრებს ასე და ღარიბი, ინვალიდი, ყრუ, ბრმა, ავადმყოფი მშობლის ყოლის კი არ შერცხვება და სხვაზე კი არ იოცნებებს, არამედ ამაყად ეტყვის საზოგადოებას: ისინი ჩემი მშობლები არიან და მე ვამაყობ მათით!

*P.S. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (მე უფრო საბედნიეროდ მგონია), შვილები მშობლებს არ ვირჩევთ...*

*P.P.S. ვისაც ჩემი ნათქვამი რომელიმე სიტყვა გაგაღიზიანებთ, ონკანის წყალზე გეპატიჟებით...“* ■

# „ცხოვრებამ მე და დედა ძალიან დაგვჩაგრა“

**უცნობი:**

„მინდა, დახმარება გთხოვოთ. ცხოვრებამ მე და დედა ძალიან დაგვჩაგრა. მამამ ცოლი დიდი ხნის წინ ანუ მაშინ მიატოვა, როცა მე დაბადებულიც არ ვიყავი, მერე კი სხვა შეირთო. დედა ბევრს შრომობდა, რათა ყველაფერი თუ არა, ელემენტარული რაღაცები მაინც მქონოდა. მოკლედ, წვალებით გამზარდა. ახლა 16 წლის ვარ. რამდენიმე ხნის წინ დედაც გათხოვდა. რა თქმა უნდა, მეც თან წამიყვანა. მამობილი ძალიან კარგი კაცია, კარგად მექცევა. დედა ახალშეძენილ ნათესავებს თან ჰყვებოდა, ძვირფას საჩუქრებს უკეთებდა, მაგრამ ეს არ დაუფასდა — მადლობის ნაცვლად, ლანძღეს, გაებუტნენ; მე ხომ საერთოდ, ყურადღებასაც არ მაქცევდნენ, რადგან მათი ნათესავის ღვიძლი შვილი არ გახლდით. ეს იმდენად არ მტანჯავს, რამდენადაც დედაჩემის ტანჯვის ყურება. ბოდიში, მგონი, ძალიან დავწვრილმანდი, მაგრამ რჩევა მჭირდება და ახლა თქვენი იმედი მაქვს. მირჩიეთ, ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა მოვიქცე? ღმერთმა დაგლოცოთ“. ■

# „ამ გოგოს გამო ბევრჯერ მცემეს...“

**შეყვარებული ბიჭი:**

„გამარჯობა. 2 წელია მიყვარს კლასელი გოგო, რომელიც ძალიან ლამაზი და ჭკვიანია. მეგობრებისგან გავიგე, რომ მას ასაკით უფროსი ბიჭები მოსწონს და მირჩიეს, მისთვის თავი დამენებებინა. ამ გოგოს გამო ბევრჯერ მცემეს, მაგრამ საყვარელი ადამიანისთვის თავის დანებებას მაინც არ ვაპირებ. უმორჩილესად გთხოვთ, განსაკუთრებით გოგონებს, მირჩიეთ, ღირს თუ არა ნინოს გამო „სინიაკების“ ატანა? წინასწარ გიხდით მადლობას“. ■

*P.S.* ***მაშ ასე, თუ უცნობისა და შეყვარებული ბიჭის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.***



# სამყარო

## ვარდების ბაღი — პატარა სამოთხე პლატოზე

*თამუნა კვინიკაძე*

**წინ ვარდობისთვეა, ამიტომაც ავირჩიე, „სურნელოვანი" სტატიის მოსამზადებლად, ბრეგვაძეებს ვწვეოდი, მათი ხელით ნუცუბიძის პლატოზე შექმნილი, ვარდების პლანტაციაში. შეუძლებელია ერთდროულად აყვავებული, სხვადასხვა ზომისა და ფერის ათასობით ვარდი ნახო და არ აღფრთოვანდე. მგონი, ცოტა გაუგებრად დავიწყე, მაგრამ არა უშავს, ყველაფერს გზადაგზა აგიხსნით.**

*ოჯახის უფროსი — ვალერი ბრეგვაძე პროფესიით დეკორატორია. როცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა, გამწვანების დეკორაციის ფაკულტეტიდან სტუდენტები პრაქტიკაზე სანერგე მეურნეობებში ხშირად დაჰყავდათ. ბატონმა ვალერიმ თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინა და მცენარის მყნობა საფუძვლიანად შეისწავლა. რადგან ვარდები ბავშვობიდანვე გამორჩეულად უყვარდა, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ მხარეში — ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეში ვარდნარი გააშენა.*

**ვალერი ბრეგვაძე:**

— მაშინ საძირეები არ მქონდა, ტყეში დავდიოდი და დასამყნობად ასკილის ბუჩქებს ვეძებდი. ვცდილობდი, პლანტაცია თანდათან ახალი ჯიშებით გამემდიდრებინა. როცა ჩემი ხეივანი რაიონის ხელმძღვანელებმა ნახეს, ძალიან მოეწონათ, დაინტერესდნენ, ჩემთან თანამშრომლობა მოინდომეს და რაიონის კეთილმოწყობის სამსახური ჩამაბარეს. საბავშვო ბაღების, სანატორიუმების, კულტურის სახლის გამწვანება, მოპირკეთება — ყველაფერი მე მევალებოდა, კარგი თანამშრომლები მყავდა. სხვა რაიონებიდანაც კერძო შეკვეთებს ვიღებდი. მერე კოლმეურნეობიდან ნაკვეთი ავიღე. მაშინ გლეხების დიდ ნაწილს ლობიო და სიმინდი მოჰყავდა, მე ამ კულტურების ნაცვლად ვარდები გავამრავლე. ჩემმა შემოსავალმა მათ შემოსავალს ბევრად გადააჭარბა. მოგების 30%-ს კოლმეურნეობას ვაძლევდი, დანარჩენს ვიტოვებ-


მამა-შვილი ბრეგვაძე თავიანთ პატარა სამოთხეში

დი. არცთუ ისე ურიგო თანხა იყო. ბოლოს ეს კოლმეურნეობაც დაიშალა და სამსახურიც გაუქმდა.

*90-იანი წლებიდან, როცა ქვეყანაში მდგომარეობა აირია, როგორც თავად ამბობს, აღარავის ევარდებოდა, 2 შვილთან ერთად, დედაქალაქში გადმოვიდა საცხოვრებლად. უფროსი ქალიშვილი — მირანდა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, თავად კი „მარშრუტკაზე" მუშაობა დაიწყო. იმ უბანში დადიოდა, სადაც ახლა ცხოვრობს, — ნუცუბიძის პლატოზე. მისი ყურადღება იმ სათბურებმა მიიქცია, რომლებიც შპს „გამწვანება 94"-ს ეკუთვნოდა (დირექტორი თემურ გელოვანი გახლდათ). სათბურებს შორიდან აკვირდებოდა, იქ მაშინ რემონტს აკეთებდნენ.*

**აზა ჩუბინიძე**, *მეუღლე:*

— ამ დროს მე უმცროს ბიჭთან ერთად ჭიათურაში ვიყავი. 20 წელი პედაგოგად ვმუშაობდი, თან მეურნეობასაც ვუძღვებოდი.

**ვალერი:**

— 2 კვირაში ერთხელ ჩავდიოდი. სამარშრუტო ხაზზე მუშაობა ბევრ დროსა და მკაცრი გრაფიკით მუშაობას მოითხოვდა, ამიტომ თავი დავანებე და საკუთარი მანქანით „ტაქსაობა" დავიწყე. პარალელურად, ვარდების მეურნეობას მივუბრუნდი. მერე თემურ გელოვანთან მივედი და დაველაპარაკე. ამ დარგის სპეციალისტი ვარ, შემიძლია, ვარდის 4000-მდე ნერგი მოვიტანო-მეთქი. ჩვენი თანამშრომლობა შედგა. ახლა ეს სათბური არენდით მაქვს აღებული, უამრავი ჯიში გამოგვყავს.

— **აქ რამდენი სახეობის ვარდი ხარობს?**

— 250-მდე.

— **ფერები?**

— ბუნებაში რა ფერიც არსებობს, ყველა გვაქვს, მაგალითად: ყვითელი ვარდის 7 სახეობა გვაქვს; ისეთი ვარდებიც გამოვიყვანეთ, რომლის ყვავილიც ზოლებად 2 ფერში ყვავის; ერთ ბუჩქზე შინდისფერი და ყვითელი ვარდი იშლება და ა.შ.

*ვალერი ბრეგვაძე დღესდღეობით ერთადერთია საქართველოში, ვისაც ვარდების ასეთი დიდი მეურნეობა აქვს. ამ საქმეში მთელი ოჯახია ჩაბმული. მირანდამ სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, პროფესიით მუშაობაზე უარი თქვა და მამის კვალს გაჰყვა.*

**ვალერი:**

— ერთ დღეს მითხრა, — მამა, მე საპატრიარქოსთან არსებულ დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის ინსტიტუტში საბუთები შევიტანეო. ახლა თეორიულად, ის ჩემზე უკეთესი პროფესიონალია. მყნობა ჩემმა ბიჭმაც იცის, უნივერსიტეტში IV კურსის სტუდენტია. ასე, ერთობლივად ვშრომობთ ყველანი. ვარდებს ერთი წუთი ვერ ვტოვებთ

— მორწყვა, გასხვლა, გასუფთავება შრომეტევადი საქმეა.

— **დღეს ეს ბიზნესი ისეთივე მომგებიანია, როგორიც კომუნისტების პერიოდში იყო?**

— შეიძლება, უფრო მეტადაც, მთავარია, მოთხოვნა იყოს. თუ უცხოური ბაზარიც გაიხსნება, ამას რა აჯობებს.

— **წლის მანძილზე სარეალიზაციოდ დაახლოებით რამდენ ძირ ვარდს ახარებთ?**

— 10 ათასამდე. თუ მოთხოვნა იქნება, შეგვიძლია, ეს ციფრი 50 ათასამდეც კი გავზარდოთ. დიდი შეკვეთების მიღების შემთხვევაში, ხალხსაც დავასაქმებ: ამდენს მხოლოდ ჩვენ ვერ შევძლებთ. რაც მთავარია, საქმე ვიცი და საძირეები მაქვს.

— **დღესაც ყველა ძირს ასკილზე ამყნობთ?**

— დიახ. თუ შტამბოვანი (რომელიც ხესავით იზრდება და თავზე ბუჩქივით იკეთებს) ვარდი გინდა, ასკილი უნდა გაზარდო, საამისოდ რომ გამოდგეს, 3-4 წლის მაინც უნდა იყოს. სპეციალური პლანტაციები იმერეთშიც მაქვს.

— **უმეტესად რა სახის შეკვეთები გაქვთ?**

— ყველაზე ხშირად, ეზოების გამწვანებას გვიკვეთენ.

**მირანდა:**

— ეკლესია-მონასტრებთან გვაქვს ურთიერთობა. რამდენიმე წლის წინ, კათოლიკოს-პატრიარქი გვესტუმრა: მისი უწმინდესობისთვის თურმე ჩვენი არაერთი ნერგი საჩუქრად მიუტანიათ. პატრიარქს ნერგისთვის შეუხედავს თუ არა, დედაოსთვის უთქვამს, — ჩემთვის მორთმეული ვარდები ერთი ხელიდან მოდის; ვინ არის, იქნებ მომიძიოთო. მერე დედა სოფიომ ჩემს მეგობარს ჰკითხა, საიდან ჰქონდა მიტანილი, მან კი ჩვენი ოჯახის შესახებ უამბო. ერთ დღეს დედა სოფიო მართლაც გვესტუმრა, ვარდების პლანტაცია დაათვალიერა და წასვლისას გვითხრა, აქ პატრიარქი უნდა მოვიდესო; 2 კვირის შემდეგ უწმინდესი მობრძანდა: ეს 5 წლის წინ, გიორგობის დღესასწაულის მეორე დღეს — 7 მაისს იყო. აქაურობა საოცრად ლამაზი გახლდათ, ყველა ვარდი ყვაოდა.

— **ცნობილია, უწმინდესს ყვავილები განსაკუთრებით უყვარსო...**

— ალფრთოვანდა და თქვა, უცხოელ სტუმრებს ამაზე კარგი რა უნდა ვაჩვენოთო?! დაგვლოცა, კურთხევა მოგვცა, რომ გამოფენები გავაკეთოთ. ამის შემდეგ ჩავაბარე საპატრიარქოსთან არსებულ დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის ინსტიტუტში. მერე უწმინდესმა დამიბარა, 2 ბეჭედი მაჩუქა წარწერით: „ღმერთმა დაგლოცოს. ილია II“. სულ მიკეთია, მხოლოდ მუშაობის დროს ვიხსნი. საპატრიარქოს ბაღი და პატარა ორანჟერეა ჩამაბარა. სამებაში ვარდების მომვლელებს კონსულტაციას ვუწევდი, იქ ძალიან ბევრი ვარდი ხარ-



ისეთი ჯიშები მაქვს, რომლებიც საქართველოში საერთოდ არ არსებობდა



ობს, რამდენიმე სახეობა გერმანიიდანაც ჩამოიტანეს. საპატრიარქოში სასულიერო პირებს დავუახლოვდი, მონასტრების წინამძღოლებთან ახლაც მაქვს ურთიერთობა. ახლახან ვარდები შევწირეთ სვეტიცხოველს. ხშირად ჩავდივარ ბოდბის მონასტერში, დედაოებს ყვავილების მოვლაში ვეხმარები. ალავერდში წითელი ხვიარა ვარდების ხეივანი გავაკეთეთ.

— **მირანდა, ახალი ჯიშები საზღვარგარეთიდან შემოგაქვს?**

— დიახ, ინტერნეტით მოვიძიებ ხოლმე. ერთხელ აქ მოვიდა ადამიანი, რომელიც ვარდებით არის დაინტერესებული. დავმეგობრდით. ის სხვადასხვა ქვეყანაში ხშირად მოგზაურობს, ჩემი თხოვნით ჩამოაქვს ხოლმე. საერთოდ ნერგებს აკლიმატიზაციის პერიოდი რთულად გადააქვს, მაგრამ გარემოს ნელ-ნელა ვაგუებთ.

— **თქვენს სათბურში არაერთი უნიკალური ჯიში ხარობს, განსაკუთრებით მწვანე ვარდი მომეწონა, ის როგორ მოხვდა საქართველოში?**

— მწვანე ვარდიც მან ჩამოგვიტანა, მაგრამ იმდენად პატარა იყო, მამაჩემის გარდა ალბათ ვერავინ გადაარჩენდა.

**ვალერი:**

— დღე და ღამე ვუტრიალებდი, არ ვშორდებოდი, მერე მისგან 8 ძირი გამოვიყვანე და გავამრავლე.

— **ქალბატონო აზა, სანამ დაოჯახდებოდით, მომავალი მეუღლე ვარდების თაიგულით არ განებივრებდათ?**

— როგორ არა?! ჩვენ ერთი სოფლიდან ვართ, ერთი სკოლა გვაქვს დამთავრებული, სტუდენტობის დროს თბილისიდან რაიონში უმეტესად მატარებლით ჩავდიოდი, სადგურზე ვარდების ვეებერთელა თაიგულით მხვდებოდა, გოგონები შემომნატროდნენ, რა ბედნიერი ხარო.

**ვალერი:**

— ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი 6 წელს გრძელდებოდა, ვპირდებოდი, ოღონდ გამომყევი და სულ ვარდებში გაცხოვრებ-მეთქი.

— **ვარდი ის ყვავილია, რომელიც ალბათ ყველა ადამიანს უყვარს, თავად რა უყვარს ყვავილების დედოფალს?**

**ვალერი:**

— მოვლა. ბევრი წყალი არ უნდა დაუსხათ, ნიადაგი უნდა გაუფხვიეროთ. ის ცოცხალი ორგანიზმია, მისი უნდა გესმოდეს. ისეთი ჯიშები მაქვს, რომლებიც საქართველოში საერთოდ არ არსებობდა.

**მირანდა:**

— თავიდან მხოლოდ 15 სახეობა გვქონდა, ერთ-ერთის სახელი მე მქვია, მირადი — ეს არის ცნობილი შავი ხავერდისებური სურნელოვანი ვარდი, 1945 წელსაა გამოყვანილი და სახელი — „მირანდა“ მამამ ამ ვარდის გამო დამარქვა. ჩვენ გვაქვს: სუპერსტარი, როიალ სანსეტი, ნიუ დაუნი... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

— **უმეტესად რომელი ქვეყნიდან შემოგაქვს ხოლმე?**

— გერმანიიდან, რუსეთიდან. საქართველოში არაერთი კოლექციონერია, რომელიც ვარდების სახეობებს აგროვებს.

— **შემოტანა ძვირი გიჯდებათ?**

— ადგილზე ძვირი არ ღირს, განბაჟება უფრო მეტი ჯდება. მწვანე ვარდში 70 ევრო გადავიხადეთ.

— **თავად როგორ ყიდით?**

— ჩვენთან 10-დან 50 ლარამდე ღირს, ძირს გააჩნია.

— **სულ ვარდის რამდენი სახეობა არსებობს?**

— ხვიარა, რომელიც ნიადაგს ფარავს, მინიატიურული ანუ ოთახის ვარდი, ბუჩქოვანი, რომელსაც გაზონებისთვის იყენებენ, ხვიარის მეორე სახეობა, რომელიც კარგია შენობების ფასადის გასაფორმებლად და შტამბოვანი, რომლითაც ეზოებში ხეივნებს აკეთებენ.

— **რომელი ფერის ვარდზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა?**

— ჭრელ ვარდებზე. ზოლიანი ვარდები მოსწონთ, ორფეროვანიც და შინდისფერი, ყვითელზოლიანიც მოსწონთ.

— **შენ თუ გიყვარს გამორჩეულად რომელიმე?**

— ჟუჟა ვარდები მიყვარს. ზამთარში აივანზეც რომ დატოვო, არ იყინება. გაზაფხულიდან ნოემბრის ბოლომდე ყვავის და ძალიან ლამაზია. ■

# ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ამბავი

**XX საუკუნის პირველი ათწლეულის შუახანებში, რუსეთის იმპერიაში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა და ქვეყნის თითქმის ყველა მხარეში (განსაკუთრებით კი — კავკასიის სამეფისნაცვლოში) ცარისტული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. ქართველ სასულიერო პირთა პატრიოტულად განწყობილმა ნაწილმა იმხანად რუსულ წმინდა სინოდს დაქვემდებარებული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი მთელი სიმწვავით წამოჭრა. აღსანიშნავია, რომ მათ, როგორც მოსალოდნელიც იყო, მხარი დაუჭირეს ეროვნულმა ძალებმა, რომელთაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. მისი თანადგომით, 1905 წლის 29 მაისს ავტოკეფალისტებმა ტფილისის სასულიერო სემინარიაში საგანგებო კრებაც კი მოიწვიეს, რომელმაც შესაბამისი პეტიცია მიიღო, მაგრამ ეგზარქოს ალექსის ბრძანებით, დელეგატები კაზაკებმა დაარბიეს. ამან კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სრულიად რუსეთის სინოდი იძულებული გახდა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი ფართო სამსჯავროზე გამოეტანა.**

*მიხეილ ლაბაძე*

1906 წელს სანქტ-პეტერბურგში, სინოდის სასახლის საკონფერენციო დარბაზში მორიგი საეკლესიო კრების მოსამზადებლად საგანგებო სემინარები დაიწყო. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მომხრეებმა, ეპისკოპოსებმა — კირიონმა, ლეონიდემ, ექვთიმემ და სხვებმა წმინდა სინოდის მესვეურებს პირდაპირ განუცხადეს, რომ რუსული საეკლესიო მმართველობის პირობებში, კავკასიაში მართლმადიდებლური სარწმუნოების დანერგვისა და განმტკიცების მისია მიზანს ვერ აღწევდა — რუსი სასულიერო პირები ქართველ მორწმუნეებს ქედმაღლურად ეპყრობოდნენ და მათ ეროვნულ გრძნობებს შეურაცხყოფდნენ, რის შედეგადაც ხალხი ურწმუნოების ჭაობში ეფლობოდა; სიძველეთა კონსერვაცია და რესტავრაცია ქართულ ეროვნულ ტრადიციათა სრული უგულებელყოფით მიმდინარეობდა; ეს კი, თავის მხრივ, ქართველ და რუს ღვთისმსახურებს შორის მწვავე დაპირისპირების საფუძველი ხდებოდა.


იოსებ ჯუღაშვილი, იგივე „კობა“ 1907 წელს

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ სემინარებზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, სამღვდელოთა გარდა, მხარს უჭერდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორებიც: ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი; აგრეთვე ზოგიერთი რუსი მეცნიერიც. ისინი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობას იოლად ასაბუთებდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარეს — სასულიერო პირებსა და რეაქციულად განწყობილ მეცნიერებს, ბუნებრივია, სინოდში უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავდათ. სწორედ ამის გამო, საქართველოს ეკლესიის თაობაზე დებატების გაგრძელება მათ საჭიროდ აღარ მიიჩნიეს და, მიუხედავად იმისა, რომ გამოსვლები მეტ-ნაკლებად კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა, სხდომები შეწყვიტეს. ამავდროულად, ავტოკეფალიის მომხრეებს აღუთქვეს, რომ მალე საგანგებო საეკლესიო კრებას მოიწვევდნენ, მაგრამ დაპირება არ შეასრულეს.

სწორედ მაშინ, როდესაც სანქტ-პეტერბურგში ქართული ეკლესიის ბედი წყდებოდა, ახალ ეგზარქოსად დაინიშნა არქიეპისკოპოსი ნიკონი (სოფიისკი), რომელიც მანამდე, ვლადიმირ-სუზდალის ეპარქიას ხელმძღვანელობდა. იგი ტფილისში 1906 წლის 26 აგვისტოს ჩამოვიდა. სიონის საკათედრო ტაძარში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე ნიკონს რუსი სასულიერო პირები ეახლნენ, ქართველთაგან კი მხოლოდ გორის ეპისკოპოსი პეტრე მივიდა, რომელმაც, სხვათა შორის, მისასალმებელ სიტყვაშივე დაუფარავად განაცხადა, რომ ახალი სამწყსო ეგზარქოსს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისადმი მხარდაჭერას სთხოვდა. თავის მხრივ, ნიკონმა იმთავითვე არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ამ მოთხოვნას არასდროს შეასრულებდა, რის გამოც მას ქართულმა სამღვდელოებამ ბოიკოტი გამოუცხადა.

წმინდა სინოდის სემინარების დასრულებისთანავე — 1906 წლის დეკემბერში ნიკონმა ქართველ ავტოკეფალისტთა აღიარებული წინამძღოლი, აფხაზეთის ეპისკოპოსი კირიონი (შემდგომში — კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II) სანქტ-პეტერბურგში დააბეზღა, ბრალად აფხაზების გაქართველების მცდელობა დასდო და მიაღწია იმას, რომ 1907 წლის 27 იანვარს, წმინდა სინოდის საგანგებო ბრძანებით, კირიონი ლიტვაში — ქ. კოვნოში (ამჟამინდელი კაუნასი) გადაიყვანეს და იქაური ეპარქია ჩააბარეს. ნიკონმა სხვა ავტოკეფალისტებიც დიდად შეავიწროვა და მათ გასანეიტრალებლად, 1907 წელს წამოაყენა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საქართველოს საეგზარქოსოს რუსული და ბერძნული სამრევლოები უშუალოდ რუსულ ეპარქიებს უნდა შეერთებოდა, ქართულ სამრევლოებს კი გარკვეული თვითმმართველობა მიეღო. ცხადია, ეს პროვოკაციული და ანტიქართული თვალსაზრისი ჩვენმა სამღვდელოებამაც და საზოგადოებამაც მაშინვე უარყვეს. ნიკონი იძულებული გახდა, თავისი შემოთავაზება უკანვე წაეღო; სამაგიეროდ შეეცადა, ტაძრებში ისედაც შეზღუდული ქართულენოვანი წირვა-ლოცვა აღეკვეთა — ძველი ქართული საღვთისმსახურო წიგნების „გადახედვისა და შესწორების“ საბაბით, 1907 წლის გაზაფხულიდან, სიონის გარდა, თითქმის ყველა ტაძარში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა „დროებით“ შეწყდა.

აღსანიშნავია, რომ სანამ ნიკონი ეკლესიაში ქართველ ავტოკეფალისტებს ებრძოდა, ერში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის ბიუროს წევრები აქტიურობდნენ. ისინი ავტოკეფალისტთა უმთავრეს პოლიტიკურ მხარდამჭერებს — ე.წ. „სამოსტოინიკებს“ უპირისპირდებოდნენ და საქართველოს ეროვნულ თვითგამორკვევაზე სიტყვის გაგონებაც კი არ სურდათ; თუმცა, ცარისტულ რეჟიმს ყველა საშუალებით, მათ შორის იარაღითაც უპირისპირდებოდნენ. სოციალ-დემოკრატები მთელ საქართველოში საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ — მათ საგანგებოდ გაწვრთნილი და კარგად აღჭურვილი ტერორისტული რაზმები ჰყავდათ, რომელთა წყალობით, ფინანსები არ აკლდათ და თავიანთი იდეების პროპაგან-

დას ყველა მიმართულებით ეწეოდნენ.

აქედან გამომდინარე, ეკლესიის წიაღში დაწყებული დაპირისპირება მალევე, ერში გაგრძელდა — ერთმანეთს ეროვნული თვითგამორკვევისათვის მებრძოლთა წინამძღოლი, ილია ჭავჭავაძე და სოციალ-დემოკრატთა ე.წ. „ზომიერი“ ფრთის ლიდერი, ნოე ჟორდანია დაუპირისპირდნენ. სხვათა შორის, დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ილია 1906 წელს სახელმწიფო დუმის წევრად აირჩიეს; შესაბამისად, იგი იქიდან შეეცადა, საქართველოსთვის ავტონომია მოეპოვებინა, რამაც ნოე ჟორდანია ძალიან გააღიზიანა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რადიკალი სოციალ-დემოკრატები (ფილიპე მახარაძე, იოსებ ჯუღაშვილი და სხვანი) ილია ჭავჭავაძესთან იმთავითვე დაპირისპირებულნი იყვნენ და თავიანთ გაზეთებშიც ერის მამას უშვერად ლანძღავდნენ, მაგრამ რამდენადაც ხალხში პოპულარობით ვერ სარგებლობდნენ, ამ ყველაფერს საზოგადოებაში განხეთქილება არ გამოუწვევია; ნოე ჟორდანიას კი მხარს ბევრი უჭერდა და ამიტომაც, ილიასთან მისი დაპირისპირება ნამდვილი ეროვნული კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდა — ქართული ეროვნული მოძრაობა დაიქსაქსა, დასუსტდა და 1907 წლის ზაფხულის დასაწყისში თითქმის მთლიანად გაქრა.

მიუხედავად ამისა, ილია ფარ-ხმალს არ ყრიდა — ეროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიის მოპოვებისთვის ბრძოლას აგრძელებდა, ქართველ ავტოკეფალისტებსაც მხურვალედ უჭერდა მხარს. ქართული წირვა-ლოცვის შეწყვეტის გამოც მან პროტესტი ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა და საზოგადოებას მოუწოდა, ეგზარქოსის თვითნებობას არ შეჰგუებოდა. საბოლოოდ, წმინდა ილია მართალი ცარისტულ რეჟიმთანაც და სოციალ-დემოკრატებთანაც თანაბრად დაპირისპირებული აღმოჩნდა, რასაც მალევე ტრაგიკული შედეგი მოჰყვა — 1907 წლის 28 აგვისტოს ტერორისტთა ექვსკაციანმა ჯგუფმა საქართველოს უგვირგვინო მეფე სიცოცხლეს გამოასალმა.

მას შემდეგ, რაც „რეაქციონერი თავადი“ ჭავჭავაძე თავიდან მოიშორეს, სოციალ-დემოკრატთათვის მთავარ წინაღობად, რამდენად უჩვეულოდაც უნდა ჟღერდეს, სწორედ ავტოკეფალისტი სასულიერო პირები აღმოჩნდნენ: თუ ისინი მიზანს მიაღწევდნენ (რაც არცთუ ისე შეუძლებელი იყო, რადგანაც ავტოკეფალისტებმა რუსული ინტელიგენციის მხრიდან გარკვეული მხარდაჭერა ჯერ კიდევ 1906 წლიდან მოიპოვეს), ვერაგულად მოკლული ილიას იდეები კვლავ აქტუალური გახდებოდა და სოციალ-დემოკრატებს მხარდამჭერები დიდად მოაკლდებოდათ. უპირველეს ყოვლისა, ეს კარგად განჭვრიტა რადიკალთა ლიდერმა იოსებ ჯუღაშვილმა, რომელიც 1907 წლისთვის უკვე ბაქოში



ეგზარქოსი ნიკონი და კავკასიის მეფისნაცვალი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი (ზის ეგზარქოსისგან მარცხნივ) კავკასიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ტფილისი, 1907 წელი

იყო გადაბარგებული და იქ პარტიის ადგილობრივ კომიტეტს მეთაურობდა. ამასთანავე, საქართველოსთანაც კვლავ მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს, ს-დ მუშათა პარტიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა ტფილისში მოქმედი რელიგიური გაერთიანება — ე.წ. „დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტი“, რომლის წევრებიც სიტყვით ავტოკეფალისტების იდეებს იზიარებდნენ, საქმით კი საპირისპირო პოზიციებზე იდგნენ. არსებითად, ეს გაერთიანება შექმნილი იყო მხოლოდ იმისთვის, რომ ს-დ პარტიის უმაღლეს მესვეურებს ყველაფერი სცოდნოდათ ავტოკეფალისტების გეგმების თაობაზე, რათა შემდგომში უფრო ადვილად მოეხდინათ მათი დისკრედიტაცია. ამ „კომიტეტის“ წევრები ძირითადად იყვნენ ის სასულიერო პირები, რომლებიც არცთუ ისე უმწიკვლო რეპუტაციით გამოირჩეოდნენ და, სოციალ-დემოკრატებსაც, უპირველესად, ძალაუფლების წყურვილის გამო მიჰკედლებოდნენ. სხვათა შორის, ისინი არც ტერორისტულ საქმიანობას თაკილობდნენ — ჯერ კიდევ 1907 წელს ორჯერ დაესხნენ თავს ანჩისხატის ტაძრის ერთ-ერთ მღვდელს, ვინმე კარბელაშვილს, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს; 1908 წლის 12 აპრილს კი მოკლეს წმინდა მარინეს ეკლესიის რუსი მღვდელმონაზონი, ვინმე გავრილა, რომელიც უკიდურესად შოვინისტური შეხედულებებით გამოირჩეოდა.

სწორედ მღვდელმონაზონ გავრილას მკვლელობასთან დაკავშირებით, ტფილისის ჟანდარმერიის ანონიმი ინფორმატორი საიდუმლო ანგარიშში წერდა, რომ „დიაკონთა და მედავითნეთა კომიტეტს“ იარაღით ბაქოდან ამარაგებდნენ: „როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, სოციალ-დემოკრატები მათ თავად ეგზარქოსის მოკვლისკენაც კი მოუწოდებენ“, — ნათქვამია ინფორმატორის ანგარიშში. ამდენად, ტფილისის ჟანდარმერიამ და პირადად კავკასიის მეფისნაცვალმა — გრაფმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა ადრევე შეიტყვეს, რომ ეგზარქოსის მკვლელობა მზადდებოდა და ნიკონს დაცვა გაუძლიერეს. ამავდროულად, შეთქმულთა გამოაშკარავებისა და დაპატიმრებისთვის თავი არ შეუწუხებიათ: საქმე ის იყო, რომ ეგზარქოსზე თავდასხმა ავტოკეფალისტთა საბოლოოდ ასალაგმავად საუკეთესო საბაბი იყო, რასაც ხელიდან ვერ გაუშვებდნენ.

თავის მხრივ, შეთქმულების მთავარი სულისჩამდგმელი — იოსებ ჯუღაშვილი ასევე ცდილობდა, როგორმე ისეთი ვითარება შეექმნა, რომ ნიკონის მომავალი მკვლელობა არა მარტო ჟანდარმერიას, არამედ ფართო საზოგადოებრიობასაც უპირატესად, სწორედ ავტოკეფალისტების დაგეგმილი ჰგონებოდა. სხვათა შორის, არქივში დაცულია ფრიად საყურადღებო დოკუმენტი — სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტის, ვინმე არსენა ქარსიძის მიერ ჟანდარმერიისადმი მიწოდებული ინფორმაცია, საიდანაც ვიგებთ, რომ ჯერ კიდევ 1905 წელს, ავტოკეფალისტებმა საეკლესიო კრების დარბევის გამო, ეგზარქოსის მოკვლა დაგეგმეს, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს, რადგან ისინი ვილაცამ გასცა. შემდგომში გამცემლობა ერთ-ერთ სასულიერო პირს (გვარად გურგენიძეს) დააბრალეს და ლიკვიდაციაც დაუპი-



ეგზარქოსი ნიკონი (სოფიისკი)


ავტოკეფალიის მომხრეთა მანიფესტაცია ტფილისში, 1905 წელი

რეს. ამ უკანასკნელმა ავტოკეფალისტებს სთხოვა, არ მოეკლათ და სამაგიეროდ, ეგზარქოსის მკვლელის გამოძებნა იკისრა. ქარსიძის თქმით, ეს იყო ვინმე ეფიმ ქუჩუკი, წარმოშობით — წალკელი ბერძენი, რომელიც მაშინ სასულიერო სემინარიის ბოლო კურსზე სწავლობდა და ანარქისტული პარტიის წევრი გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ არსენა ქარსიძე იოსებ ჯუღაშვილის მარჯვენა ხელი იყო და მისი დავალებით, ტფილისში დეზინფორმაციას ხშირად ავრცელებდა. ზემოთ ხსენებულ დოკუმენტშიც არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ტერორისტ ეფიმ ქუჩუკს არა ქართველი ავტოკეფალისტები, არამედ სწორედ ჯუღაშვილი დაუკავშირდა, თანაც — არა მღვდელი გურგენიძის, არამედ ვინმე ალექსი ქართველიშვილის მეშვეობით; ეს უკანასკნელი მაშინ (1908 წლის დასაწყისში) ქუჩუკთან ერთად, მეტეხის ციხეში იჯდა, როგორც „მეფისა და ღვთის მოწინააღმდეგე“. ეფიმ ქუჩუკი ციხეში ბანქოს თამაშობდა და მუდმივად აგებდა, რის გამოც „თავნის ჩასაბარებლად“ ფულს ქართველიშვილისგან სესხულობდა. დროთა განმავლობაში, ვალმა რეკორდულ თანხას მიაღწია და ქუჩუკიც საგონებელში ჩავარდა. ალექსი ქართველიშვილმა ის „შეიბრალა“ და ვალის გამოქვითვის სანაცვლოდ, „ერთი კაცის მოკვლა“ შესთავაზა. „თანახმა ვარ, მაგრამ აქედან როგორ გავაღწიო?“ — ჰკითხა მას ეფიმ ქუჩუკმა. „დარდი ნუ გაქვს, მაგას მოვაგვარებთ!“ — დააიმედა ალექსიმ.

მეტეხის ციხიდან პატიმართა გაქცევა იოსებ ჯუღაშვილმა და მისმა ხალხმა — ტურიკო მაისურაძემ, ილიკო იმერლიშვილმა და ვინმე მათიაშვილმა 1908 წლის 11 მაისს მართლაც საუცხოოდ განახორციელეს: წინადღეს, მათიაშვილმა ციხის კართან რამდენჯერმე „მარსელიეზას“ სიმღერით აიარჩაიარა, რის გამოც მაშინვე დააპატიმრეს და იქვე — ციხის ეზოში მდებარე პატარა „ნაობახტში“ ჩაკეტეს. როგორც შემდგომში გაირკვა, მათიაშვილს თან ჰქონდა „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი, თუმცაღა რიგიანად არ გაჩხრიკეს და მანაც, იარაღი „ნაობახტიდან“ ვიღაც ლოთ სალდათს ერთი ბოთლი არყის საფასურად, ციხეში ქართველიშვილთან გაატანა. საღამოს ციხის კომენდანტმა „მეამბოხე მომღერალს“ პანღური უთავაზა და ქუჩაში გააგდო. მათიაშვილი მეორე დილით კვლავ დაბრუნდა, თანამეინახე სალდათს არაყი მიუტანა და სამადლობელოდ სთხოვა — ორიოდე წუთით, ამა და ამ ტუსაღს დაუძახეო. სალდათმა თხოვნა აასრულა.

სწორედ იმ დროს, როდესაც მათიაშვილის მიერ დასახელებული ტუსაღი ციხის კართან მოიყვანეს, ალექსი ქართველიშვილმა, რომელიც წინასწარ გაფრთხილებული იყო და ქუჩუკთან ერთად, ეზოში სეირნობდა, სალდათს კეფაში ესროლა; ამავდროულად, გარედან მათიაშვილმა მეკარესა და მცველებს მოუღო ბოლო. ტუსაღებმა ციხის კარიბჭე გაანგრიეს და გაიქცნენ. ტფილისის ჟანდარმერიის მესვეურთა ცნობით, გაქცეულთა რაოდენობა 20 კაცს აღემატებოდა. რასაკვირველია, მათ შორის იყვნენ ეგზარქოს ნიკონის დაგეგმილი მკვლელობის მონაწილენი — ალექსი ქართველიშვილი, ეფიმ ქუჩუკი და ზაქრო ტურიკიანცი, რომლებმაც სოლოლაკში მდებარე კონსპირაციულ ბინას შეაფარეს თავი.

საინტერესოა, რომ ამ დროს ჟანდარმერია მღვდელმონაზონ გავრილას მკვლელობის საქმეს ჯერ ისევ იძიებდა. მისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ ტერაქტი „დიაკონთა და მედავითნეთა კომიტეტმა“ მოაწყო, თუმცაღა არსენა ქარსიძის მაგვარი ორმაგი აგენტების „წყალობით“, ამ ყველაფრის შემკვეთად, ცხადია, ავტოკეფალისტები წარმოჩნდებოდნენ. საზოგადოებას ჭორების არ სჯეროდა, ამიტომ „ცხელ კვალზე“, სასწრაფოდ, ეგზარქოსი ნიკონიც უნდა მოეკლათ; იოსებ ჯუღაშვილმაც ყველაფერი ისე მოაკვარახჭინა, რომ ჟანდარმერიას ეჭვი მასზე კი არა, „დიაკონთა და მედავითნეთა კომიტეტზე“ (ირიბად — ავტოკეფალისტებზე) აეღო და ტუსაღებიც სწორედ მაშინ გააქცია ციხიდან. უნდა აღინიშნოს — არსენა ქარსიძე გაკვრით ახსენებს, რომ ალექსი ქართველიშვილმა ეგზარქოსის მკვლელობის თაობაზე ყველაფერი იცოდა; ამავდროულად კი, როგორც ითქვა, ქარსიძევე ირწმუნება, თითქოსდა ეფიმ ქუჩუკს „ავტოკეფალისტი“ გურგენიძე დაუკავშირდა, მაგრამ ყურადღებას განგებ აღარ ამახვილებს იმაზე, როდის მოხდა ეს — ციხეში ყოფნისას თუ გაქცევის შემდეგ.

ერთი სიტყვით, სწორედ იმ დროს, როცა ჟანდარმერიის ანონიმმა ინფორმატორმა ბაქოში მყოფი იოსებ ჯუღაშვილი „დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის“ წაქეზებაში დაადანაშაულა, ეგზარქოსი ნიკონი მართლაც მოკლეს: 1908 წლის 28 მაისს, შუადღისას, მას ეფიმ ქუჩუკმა და ზაქრო ტურიკიანცმა მაშინ ესროლეს, როცა „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის“ (მდებარეობდა დღევანდელი საპატრიარქოს გვერდით; ამჟამად დარჩენილია მხოლოდ კედლები) კიბეზე ადიოდა. ქუჩაში მდგარმა „გოროდოვოიმ“ თვალი მოჰკრა ტერორისტებს და დადევნებაც დააპირა, მაგრამ მათ ატეხილი აურზაურით ისარგებლეს და მიიმალნენ. „გოროდოვოიმ“ ზაქრო ტურიკიანცის გარეგნობა დაიმახსოვრა, მაგრამ მისი აყვანა ვეღარ მოახერხა — ეგზარქოსის მოკვლიდან მეორე დღეს, მეტეხის ციხიდან გაქცეული მძარცველები ტფილისის საბაჟოს დაესხნენ თავს და 30.179 მანეთი წაიღეს. საბაჟოს მცველებმა მოკლეს ორი მათგანი, რომელთა ვინაობაც მალევე იოლად დაადგინეს: ერთი — ილიკო იმერლიშვილი, მეორე კი ზაქრო ტურიკიანცი აღმოჩნდა. იმავე დღეს დააპატიმრეს ალექსი ქართველიშვილიც, რომელსაც ციხეში ეფიმ ქუჩუკმა 25 მანეთი და ბარათი შეუგზავნა: „ჩვენ გავაკეთეთ, რასაც გვეუბნებოდი“.

***P.S.*** *ეგზარქოსის მკვლელობის საქმეს გაგრძელებაც მალე მოჰყვა — გამომძიებელს, როტმისტრ კარაულოვს ვიღაც უცნობმა ორჯერ ესროლა და თავში დაჭრა. ამის შემდეგ საქმე მიფუჩეჩდა: მკვლელობაში „დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის“ წევრები — მღვდელი და დიაკონი დაადანაშაულეს, თუმცაღა ვერაფერი დაუმტკიცეს. სამაგიეროდ, ბევრი ქართველი ავტოკეფალისტი (მათ შორის, ეპისკოპოსი კირიონიც, რომელიც მაშინ ტფილისში საერთოდ არ იმყოფებოდა) დასაჯეს.* ■

# ხარება იქმნა დასაბამად კაცობრიობის ხსნისა

**7 აპრილს მართლმადიდებლური სამყარო მთავარანგელოზ გაბრიელისგან ყოვლადწმინდა მარიამისადმი ხარებას ეგებება, როდესაც წმინდა ქალწულს განეცხადა, რომ მასზე იყო უდიდესი წყალობა ღვთისა — უნდა ეშვა ხორცშესხმული ღმერთი. სწორედ ხარებით დაედო დასაბამი ხსნას, რომელსაც ცოდვის წყვდიადში დანთქმული კაცობრიობა ათასწლეულები ელოდა. გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).**

*შორენა მერკვილაძე*

**— გავიხსენოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ ხარებამდე გამოვლილი გზა. წმინდა ქალწული 4 წლის ასაკიდან იერუსალიმის ტაძარში იზრდებოდა. რატომ უნდა აღზრდილიყო წმინდა მარიამი ტაძარში?**

— სახარებაში არის ადგილი, სადაც მაცხოვარი ქადაგებს და ერთ-ერთი დედაკაცი მიმართავს: „ნეტარ არს რომელმან გშვა შენ“. მაცხოვარი კი მიუგებს: „...არა, არამედ რომელმან დაიმარხნა და აღასრულა მცნებანი ჩემნი“. წმინდა იოანე ოქროპირი ასე განმარტავს ამ ადგილს: ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იმიტომ შეიქნა ღირსი, მისგან შობილიყო კაცობრიობის მხსნელი, რომ ყველა ადამიანზე მეტად (ადამიდან მოყოლებული, ბოლო ადამიანამდე, რომელიც მეორედ მოსვლის ჟამამდე იშვება დედამიწაზე), მოისმინა, დაიმარხნა გულსა შინა და აღასრულა ღვთის მცნებები. ე.ი. ყველაზე ღირსეული, ყველაზე ზეალმატებული ჭურჭელი იყო ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი და ამის გამო იშვა მისგან მაცხოვარი. ასეთი ადამიანისთვის, მის მშობლებს აღთქმაც რომ არ ჰქონოდათ დადებული ღვთის წინაშე, რომ შვილს უფალს შესწირავდნენ, წარმოუდგენელი იქნებოდა სახლში ცხოვრება, რადგან მისი გონება განუყრელად იყო უფალთან, განუწყვეტლივ უფალზე ფიქრით იყო დაკავებული. მამათა გადმოცემით ვიცით, რომ ტაძარში ყოფნის პერიოდში წმინდა ქალწული არაერთგზის გახდა ღირსი ანგელოზთა გამოცხადებისა, თავად ანგელოზები აწვდიდნენ სულიერ საზრდოსაც კი.

**— იერუსალიმის ტაძარში ყოფნის პერიოდში მარიამმა ღვთის წინაშე ქალწულობის აღთქმა დადო, რაც ძველი აღთქმის პერიოდში იშვიათად ხდებოდა; ყველა დედაკაცი ვალდებული იყო, ოჯახი შეექმნა. ამასთან, მოხდა მისი მართალ იოსებზე დაწინდვა. რატომ იყო საჭირო ქალწულობის აღთქმის ქვეშ მყოფი მარიამის დაწინდვა?**

— მართლაც, ძველ სჯულში არსად იყო მინიშნებაც კი იმაზე, რომ ადამიანს შეეძლო, ღვთის წინაშე ქალწულობის აღთქმა დაედო და ამ გზით შეეწირა თავი უფლისთვის, მაგრამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ზეალმატებული იყო არა მარტო ძველ აღთქმაში მცხოვრებ ადამიანებზე. ის სულით გრძნობდა ამას და განემზადებოდა სწორედ იმისათვის, რომ მისგან იშვებოდა ხორციელად, კაცობრიობის მხსნელი. როდესაც ადამიანის გონება, გული და სული ამგვარ მდგომარეობაშია, მას უბრალოდ არ შეუძლია, წუთისოფლისთვის იცხოვროს და ოჯახი შექმნას... წმინდა მარიამი 15 წლამდე იზრდებოდა იერუსალიმის ტაძარში; ამის შემდეგ, ძველი აღთქმის სჯულის თანახმად, დადგა დრო, რომ დაქორწინებულიყო. მღვდელმთავარმა ზაქარიამ იცოდა, რომ მარიამს ქალწულობის აღთქმა ჰქონდა დადებული, ამასთან, აუცილებელი იყო, აღსრულებულიყო სჯული, ამიტომ, ღვთის შთაგონებითა და ნებით მოიფიქრა ასეთი რამ: შეკრიბა დავითის შტოს (ანუ იმ ტომის, რომლიდანაც ყოვლადწმინდა ქალწული იყო) ყველა უხუცესი ებრაელი და უყარა წილი, თუ ვისზე უნდა დაწინდულიყო წმინდა ქალწული. წილი მართალ იოსებს ხვდა, რომელიც იმ დროს 80 წლის იყო. მართალ იოსებს პირველი ქორწინებიდან უკვე 6 შვილი ჰყავდა — 4 ძე და 2 ასული. მართალმა იოსებმა უწყოდა, რატომ მიჰყავდა წმინდა ქალწული, ეს სწორედ ღვთის ნების აღსრულებისთვის გააკეთა და არა — ცოლის შერთვის სურვილით... ძველი აღთქმის პერიოდში არსებული წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ ქალწულისგან იშვებოდა კაცობრიობის მხსნელი, იცოდა დაცემულმა ანგელოზმაც და მზად იყო, შეჰბრძოლებოდა და გაენადგურებინა განკაცებული მხსნელი. ღვთის განგებულებით, ერთ-ერთი და მთავარი მიზეზი ღვთისმშობლის დაწინდვისა ისიც იყო, რომ ამ გზით ბოროტისაგან დაფარული ყოფილიყო მაცხოვრის ჩასახვისა და განკაცების საიდუმლო.

დაწინდვის შემდეგ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი საცხოვრებლად გადავიდა მართალი იოსების სახლში, გალილეის მხარეში, რომელიც იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარეობს. იქვე აღესრულა ერთ-ერთი უდიდესი სასწაულთაგანი, დასაბამი კაცობრიობის ხსნისა — ხარება წმინდა ქალწულისადმი მთავარანგელოზ გაბრიელისაგან. პირველად, მარიამს მთავარანგელოზი წყაროსთან გამოეცხადა, როდესაც ის წყლის წასაღებად იყო მისული; მან იმდენად სიმდაბლით მიიღო ეს გამოცხადება, რომ არ გაჩერებულა, თავისი საქმე გააგრძელა — წყალი აიღო და შინ წავიდა. ამის შემდეგ, მთავარანგელოზი უკვე სახლში გამოეცხადა.

**— სახარებაში მოთხრობილი ხარების ეპიზოდიდან ჩანს, რომ გაკვირვებული მარიამი მიმართავს მთავარანგელოზს: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არ ვიცი?“**

— ყოვლადწმინდა ქალწულმა უწყოდა, რომ უფალმა იცოდა მისი აღთქმა უქორწინებლობის შესახებ და სწორედ ამას ეკითხებოდა ანგელოზს, — ეს როგორ მოხდება, მე ხომ მამაკაცი არ ვიციო!. როდესაც ანგელოზმა განუცხადა — „სული წმიდაი მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაი გფარვიდეს“, — ანუ დარწმუნდა, რომ აღთქმა, რომელიც წმინდა ქალწულს ჰქონდა დადებული, არ ირღვეოდა და ამ აღთქმაში აღასრულებდა თავის მისიას, — ამის შემდეგ განაცხადა თანხმობა... ამის შემდეგ მთავარანგელოზი განეშორება მას. ყოვლადწმინდა ქალწულზე კი მეყსეულად გარდამოვიდა სულიწმიდა და მის წიაღში ჩაისახა წმინდა ნაყოფი.

**— ხარება მიწიერად ნაზარეთში მოხდა, რომელიც გალილეის მხარეში მდებარეობს. ნაზარეთის შესახებაც ვისაუბროთ...**

— როგორც ვთქვით, გალილეის მხარე იყო ჩრდილოეთ ისრაელის ტერიტორია, სადაც იუდეველებთან ერთად, წარმართებიც ცხოვრობდნენ. მართალი იოსებიც ამ მხარეში, ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდა და როდესაც ქალწული მარიამი მართალ იოსებზე დაიწინდა, საცხოვრებლად მის სახლში გადავიდა. „ნაზარეთი“ — „რჩეულს“, „განცალკევებულს“ ნიშნავს. წმინდა ოჯახის საცხოვრისი კლდეში, ერთმანეთის თავზე ამოკვეთილი ორი ოთახისგან შედგებოდა. ზემო ოთახში ღვთისმშობელი ცხოვრობდა, პატარა ეზოში კი იოსების სახელოსნო იყო. ამჟამად, წმინდა ოჯახის საცხოვრებელი სახლის ადგილზე კათოლიკური ტაძარი დგას. თავდაპირველად, მართლმადიდებლების მიერ აგებული მცირე ეკლესია მდგარა, რომელიც დაინგრა; მის ადგილას, შუა საუკუნეებში ჯვაროსნებმა ახალი ტაძარი ააგეს, მაგრამ ჩვენამდე არც ამ ტაძარს მოუღწევია. წმინდა ოჯახის სახლიდან ერთი კილომეტრის სავალზე არსებობდა წყარო, საიდანაც ღვთისმშობელი წყალს ეზიდებოდა. სწორედ ამ წყაროსთან გამოეცხადა წმინდა ქალწულს პირველად მთავარანგელზი გაბრიელი. ეს წყარო დღემდე არსებობს, იგი ერთადერთია ნაზარეთში. ამჟამად წყაროსთან მართლმადიდებლური ტაძარი დგას.

■

# „რატომ მტანჯავ, რა დაგიშავე?“

**ბოლო წლებში, დროის უქონლობის გამო, ახალ ნაწარმოებებს ხშირად ველარ ეცნობა. აქტიური მკითხველი სკოლაში სწავლის დროს იყო, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების შემდეგ, პიესებმა უფრო გაიტაცა. ამბობს, რომ ძალიან კარგი მეხსიერება აქვს, როლებსაც იოლად იმახსოვრებს. ბავშვობაში ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე გიჟდებოდა, მისი საყვარელი წიგნი „ქართული პროზის“ სერიის 21-ე ტომია, რომელიც ერთ დროს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისგან ინათხოვრა, უკვე წლებია სახლში ინახავს და ენანება, რომ დაუბრუნოს. თავს ბედნიერ კაცად ჩათვლიდა, თუ მეგობრად დონ-კიხოტისნაირი ადამიანი ეყოლებოდა, მასში ყველაზე მეტად რაინდული ბუნება ხიბლავს, კითხვაზე — თავად რით ჰგავხარ სერვანტესის გმირს? მპასუხობს — ჩვენი დევიზია სიყვარული. მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარი მსახიობი ლაშა რამიშვილი გახლავთ.**

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის

**— ლაშა, არაერთ პროექტში მიგიღია მონაწილეობა, წარმატებული მსახიობი ხარ, „მეზობლებში“ როგორ მოხვდი?**

— დათო იმედაშვილმა დამირეკა და მითხრა, ახალ სერიალზე ვიწყებთ მუშაობასო და კასტინგზე მისვლა მთხოვა. დათქმულ დროს მართლაც მივედი, მაგრამ ჩემ გარდა იქ არავინ იყო.

**— ანუ ეს ფორმალურად გააკეთეს, როლზე თავიდანვე შენ იყავი შერჩეული.**

— დათომ მითხრა, შენს პერსონაჟთან დაკავშირებით, 10-იანში გავარტყითო.

**— როგორ ფიქრობ, ეს სერიალი წარმატებულია?**

— ჩემი შვილი — ლაშა-გიორგი რომ დაიბადა და პირველად ვნახე, არ მომეწონა. ახლა რომ შეხედო, ალენ დელონს ჯობს. ბალში რომ მიდის, გოგონები კანფეტებით ელოდებიან. ამ სერიალს მაყურებელი თანდათან შეიყვარებს.

**— რამდენჯერმე ვცადე, მეყურებინა, მაგრამ არ დამაინტერესა.**

— დასაწყისში ბევრი ლაფსუსი გვქონდა. პირველი სერიები გაცნობითი ხასიათის იყო. აწი უფრო საინტერესო გახდება, „მეზობლების“ რეიტინგი იზრდება.



**— შენთვის მომზადებული კითხვარი ერთი ჩინური ანდაზით იწყება: ვიდრე სახლს ამოირჩევდე, ვინ გაიცანიო, რას გვირჩევენ ჩინელები?**

— არ ვიცი. სახლის მეპატრონე?

**— მანამდე მეზობელი გაიცანიო.**

— (*იცინის*) ა!!! მეზობელი, მეზობელი, ახლა გაფართოებას ვაპირებ და ამ რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ.

**— ფეხბურთი გიყვარს?**

— ძალიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტადიონზე ვუყურებ. მამა ყოფილი ფეხბურთელია.

**— სტადიონზე ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად შევედი, ისეთ ადგილზე დავჯექი, ჩემგან მარჯვენა მხარეს იყო თბილისის „დინამო“, მარცხნივ — ზესტაფონის „ზესტაფონი“. თამაშის პირველი ნახევარი მარჯვენა მხარის გამარჯვებით დამთავრდა, ანგარიშით 2:1, ხოლო თამაშის მეორე ნახევარი მარცხენა მხარის სასარგებლოდ 2:0. აბა გამოიცანი, რომელმა გუნდმა მოიგო და რა ანგარიშით?**

— (*იცინის*) ახლა თავიდან დაიწყე ყველაფერი, რა თქვი როგორ იყოო? (*კითხვის გამეორების შემდეგ*) ანგარიში იქნებოდა 3:1.

**— დარწმუნებული ხარ?**

— (*ფიქრობს*) უიმე! 4:1 დამთავრდებოდა. თავს ასე რატომ იტანჯავ?

**— მე — არა, ჩემი რესპონდენტები უფრო იტანჯებიან ხოლმე.**

— მართალია, მე მტანჯავ, თავად კარგად ერთობი.

**— ახლა მითხარი, რა ფერია თეთრი დათვის ტყავი?**

— ნუ გადამრიე, რა ფერი უნდა იყოს? თეთრი იქნება.

**— ცდები, მათ შავი ტყავი აქვთ.**

— ჩემი დაბნევა გინდა?

**— არა, მართლა ასეა.**

— არ ვიცოდი, დათვების წინაშე ბოდიშს ვიხდი.

**— მხატვართა ბიოგრაფიები კარგად იცი?**

— შემამოწმე.

**— რომელ მხატვარს უწოდებდნენ „შუქჩრდილების დიდოსტატს“?**

— არ ვიცი.

**— მიგანიშნებ, ის 1606 წლის 15 ივლისს ქ. ლეიდენში მეწისქვილის ოჯახში დაიბადა, ის იყო ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელმაც მთელ ჰოლანდიურ ფერწერაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა, თანამედროვეებმა ვერ დააფასეს, უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა. რომელ მხატვარზეა ლაპარაკი?**

— სავარაუდო პასუხი მაქვს, რემბრანდტზე ხომ არა?

**— გამოიცანი. რა უფრო მძიმეა — 1 კილოგრამი ბამბა თუ 1 კილოგრამი რკინა?**

— ტოლია.

**— ამ ტროპიკული ტყის ფართობი 5 მილიონი კვადრატული კილომეტრია. მისი 60% ბრაზილიაში მდებარეობს, 13% — პერუში. ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი კოლუმბიის, ვენესუელის, ეკვადორის შემადგენ-**

**ლობაში შედის. ამ ტყეს ხშირად „მსოფლიოს ფილტვსაც“ უწოდებენ. რომელ ტყეზეა ლაპარაკი?**

— ვერ გეტყვი.

— **ამაზონის ტყე.**

— ეს გაგონილი მაქვს, მაგრამ ფართობით ასე დიდი თუ იყო, არ ვიცოდი, ჩემს სოფელში — ვანის რაიონში არის თხილაკნის ტყე, ულამაზესია, არაჩვეულებრივია, ვიფიქრე, მასზე ხომ არ არის-მეთქი ლაპარაკი.

— **ვანს ბრაზილია და პერუ ესაზღვრება?**

— (*იცინის*) შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ.

— **ადამიანის რომელი ჯირკვალი გამოყოფს ადრენალინს?**

— არ ვიცი, მაგრამ ის პროცესი, როდესაც ადრენალინი გამოიყოფა, ძალიან მომწონს. პირველი ავტომობილი სწორედ ზედმეტი ადრენალინის გამოყოფას ემსხვერპლა.

— **მთავარია, ახლა კარგად ხარ. ადრენალინს თირკმელზედა ჯირკვალი გამოყოფს. რომელმა ლიტერატურულმა გმირმა იმოგზაურა ლილიპუტების ქვეყანაში?**

— გულივერმა.

— **ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გამარჯვებულ პრომაქოსს მეფემ გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა, მაგრამ მან 3 დღეზე მეტი ველარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრება ალექსანდრე მაკედონელმა?**

— არ ვიცი.

— **ღვინის სმაში.**

— არ გადამრიო, არადა, ერთ სუფრაზე, ჩემი სიმამრის ნაჩუქარი ჯიხვის რქით, რომელშიც 1 ლიტრი და 300 გრამი ჩადის, ორჯერ დავლიე.

— **რა იყო, შენც ვინმეს ეჯიბრებოდი?**

— სიმამრის დაბადების დღე იყო. დალევის ხასიათზე ვიყავი, მაგრამ გადაღებაზე უნდა წავსულიყავი და ...დამირეკეს, წვიმა დაიწყო და ამის გამო გადაღება გადაიდო, აღარ მოხვიდეო. მეც მეტი რა მინდოდა? ერთი სადღეგრძელო მისი დავლიე, მეორე — დედების. ალბათ როგორ დაიმსახურეს, არა?

— **როგორია ნასვამი ლაშა რამიშვილი?**

— საერთოდ, თბილი ადამიანი ვარ, ბახუსის ტყვეობაში უკეთესი ვხდები. ისე არასდროს დავმთვრალვარ, რომ გონი დამეკარგა, მეორე დღეს ყველაფერი მშვენივრად მახსოვს. ყოველ დილით 6 საათზე ვიღვიძებ (5-ზე რომ დავიძინო, მაინც) და ერთ ჭიქა არაყს ვსვამ. მე ღვინიანიძის და რამიშვილის ნაჯვარი ვარ.

— **რომელ ფილმში განასახიერა იპოლიტე ხვიჩიამ თავისი მოსახელე გმირი?**

— „მხიარულ რომანში“.

— **რომელ ქვეყანაში იყო ფაშის ტიტული?**

— ოსმალეთში.

— **დემეტრე I, ალექსანდრე I (დიდი), თეიმურაზ I, ერეკლე II — ჩამოთვლილთაგან რომელი ქართველი მეფე არ აღკვეცილა ბერად?**

— (*ფიქრობს*) ერეკლე II.

— **რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი?**

— ვაიმე, არ მახსოვს.

— **რუმინეთში. სადაური იყო დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დამაარსებელი დავით გარეჯელი?**

— ასურელი, არა?

— **დიახ. რომელი კომპოზიტორის მუსიკა დაედო საფუძვლად საქართველოს ჰიმნს?**

— ზაქარია ფალიაშვილის.

— **ვინ არის ტექსტის ავტორი სიმღერისა „ტრიალებს“ ფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები“?**

— ტრიალებს, ტრიალებს, ბედის ბორბალი ტრიალებს (*ღიღინებს*), მორის ფოცხიშვილი.

— **რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანამის არხმა?**

— არ ვიცი.

— **წყნარი. დაასახელე სპორტის სახეობა, რომლის წარმომადგენლებსაც ნომრები ქუდებზე აწერიათ.**

— წყალბურთი.

— **რას ვეძახით ნატრიუმის ქლორიდს?**

— არ ვიცი.

— **დაფიქრდი, რთული კითხვა არ არის. მას ყოველდღიურად ვიყენებთ.**

— არაყს?

— **არა.**

— აბა, არ ვიცი, მითხარი, რაღას მაწვალებ.

— **მარილს.**

— (*იცინის*) პირველად გავიგე.

— **მოსწავლეს 4 ფანქარი რომ ეყიდა, 5 თეთრი დარჩებოდა, ხოლო იმავე თანხით 8 ფანქარი რომ ეყიდა, 7 თეთრი დააკლდებოდა. რა თანხა ჰქონია მოსწავლეს?**

— მთელი დღე რომ ვიფიქრო, მაინც ვერ გამოვიცნობ.

— **17 თეთრი ჰქონდა. 1 ფანქარი რამდენი თეთრი ღირებოდა?**

— რატომ მტანჯავ (*იცინის*), რა დაგიშავე?

— **მაინც ვერ დაიანგარიშე? ფანქრის ღირებულება 3 თეთრია. სიცოცხლის ბოლო წლებში, რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა ჩარლი ჩაპლინი?**

— არ მახსოვს.

— **შვეიცარიაში. რომელი ქართველი მწერალი მოღვაწეობდა გერმანიაში?**

— გრიგოლ რობაქიძე.

— **ბერძნულ მითოლოგიას კარგად იცნობ?**

— ბარემ ამაშიც გამომცადე.

— **რომელ ყვავილად გადაიქცა ჭაბუკის გარდაცვლილი სხეული, რომელმაც უარყო ფერია ექოს სიყვარული, რის გამოც ღმერთებმა დასაჯეს და საკუთარი თავი შეაყვარეს.**

— ნარცისად გადაიქცა. არ ვიცოდი, თუ ვიცოდი.

— **1915 წელს ისლანდიაში მშრალი კანონი შემოიღეს, 1932 წელს კი გააუქმეს, აკრძალვა მხოლოდ ერთი სახეობის სასმელზე დატოვეს, რომელიც პოლიტიკოსთა აზრით, ქვეყნის ალკოჰოლიზაციას იწვევდა. რომელ სასმელზეა ლაპარაკი?**

— არაყზე?

— **არა, ამ არაყს რას გადაეკიდე?**

— აბა, ლუდზე? ეს სასმელი ძალიან მიყვარს, მაგრამ ლუდით დათრობაა საშინელება.

— **გამოიცანი. ქართული თეატრის ისტორია საუკუნე-ნახევარზე მეტს მოიცავს. პირველი სპექტაკლი 1850 წლის იანვარში გაიმართა. რომელ შენობაში წარმოადგინეს „გაყრა“?**

— თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში.

— **რა პროფესიის იყო ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი?**

— არ ვიცი.

— **მფრინავი იყო. II მსოფლიო ომის დროს სადაზვერვო ფრენის დროს დაიღუპა. რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?**

— „ძალა ერთობაშია“.

— **დაბოლოს, დაასრულე სოლომონ დოდაშვილის გამონათქვამი: „ადამიანს ისე არაფერი ამძიმებს, როგორც...“**

— დანაშაულის გრძნობა.

— **„...როგორც ცარიელი თავი“.**

■

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

ქუმლეჟუნელი თემყუ იუანიძე

1. ბიბლიოფობია წიგნების შიშია.
2. ცხელი წყალი ცივზე მეტს იწონის.
3. „დურაკოვ ი ვ ცერკვი ბიუტ", — ამბობენ რუსები.
4. გარი კასპაროვი ბაქოშია დაბადებული და გაზრდილი.
5. ოთარ მამფორია ქუთაისს იუმორის ნაკრძალს ეძახდა.
6. პრინცესა დაიანა პრინც ჩარლზზე 12 წლით უმცროსი იყო.
7. კურსკის ბრძოლა ყველაზე დიდი სატანკო ბრძოლა იყო ისტორიაში.
8. „მოდა გადადის მოდიდან, სტილი კი რჩება", — ამბობდა კოკო შანელი.
9. ქართულ ეროვნულ ვალუტას სახელწოდება „ლარი" ლევან ღვინჯილიამ შეურჩია.
10. პროფესიონალურ რინგზე გამოჩენამდე როკი მარჩიანო ბარებში აწყობდა ბრძოლებს.
11. ერთი გრამი ოქროსგან 3,5 კილომეტრი სიგრძის მავთულის გაჭიმვაა შესაძლებელი.
12. ტრილიონი 12 ნულით იწერება, კვადრილიონი — 15 ნულით, კვინტილიონი — 18-ით.
13. შეერთებულ შტატებში ყოველ 12 წუთში ერთი ადამიანი იღუპება ავტოკატასტროფაში.
14. სათავადაზნაურო ბანკი დღევანდელი საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში იყო განთავსებული.
15. ერთი 75-ვატიანი ნათურა უფრო მეტ სინათლეს იძლევა, ვიდრე სამი 25-ვატიანი ნათურა.
16. „ღვთის მადლით, აღვასრულე ჩემი ვალი", — აღმოხდა სიკვდილის წინ ადმირალ ნელსონს.
17. 1932 წელს დაარსებულ აბასთუმნის ობსერვატორიას 60 წლის მანძილზე ევგენი ხარაძე ხელმძღვანელობდა. რიჰარდ ვესტმა ერთ-ერთ აღმოჩენილ პლანეტას მისი სახელი დაარქვა.
18. სვია დიდი თევზია ზუთხისებრთა ოჯახისა. რუსები მას ბელუგას ეძახიან. ამ თევზის ხიზილალა კოსმონავტების კვების რაციონშია შესული.
19. „ნუ იდავებთ სულელთან, ხალხმა შესაძლოა, თქვენ შორის განსხვავება ვერ შენიშნოს", — ამბობდნენ ძველი ბერძნები.
20. ჩინეთის დაპყრობისას მონღოლები იქაური ქალაქების ასაღებად თხრილში ცოცხლად ყრიდნენ ტყვეებს და მათ სხეულებზე გადადიოდნენ. ქალაქებში შეჭრილნი კი აბსოლუტურად ყველას ხოცავდნენ, ძაღლებსა და კატებსაც კი.
21. „სცენაზე პრეტენზიები დაგლუპავს", — ამბობდა კარლო საკანდელიძე. რობიკო სტურუა ჰყვებოდა: კარლოს „ყვარყ-

# BMW-ს ახალი ჰეჩბეკი

ინტერნეტგამოცემა „ავტობლოგმა" BMW-ს ახალი მოდელის ტესტ-ეგზემპლარის არაოფიციალური ფოტოები გაავრცელა. სავარაუდოდ, სურათებზე მომავალი თაობის „ჰეჩბეკის" ძარიანი 3-Series-ია აღბეჭდილი, რომლის დებიუტიც როგორც ადრე იუწყებოდნენ, Grand Turismo-ს სახელით 2013 წლის მარტში შედგება. წინასწარი ინფორმაციით, მომავალი თაობის BMW 3-Series-ი ახალ შასიზე იქნება აწყობილი. ასეთი მანქანის ძრავათა ხაზში მოდერნიზებული ბენზინის 1,6 და 2,0-ლიტრიანი „ოთხიანია" — შესაბამისად 136 და 252 ცხძ-ის სიმძლავრით. ასევე ახალი 3-Series-ისთვის ხელმისაწვდომი იქნება ანალოგიური მოცულობის მქონე 150 და 245 ცხძ-იანი ტურბოდიზელები. როგორც მოსალოდნელია, პირველად ბაზარზე ახალი თაობის სედანი BMW 3-Series 2012 წლის მარტში გამოჩნდება. მას 2012 წლის სექტემბერში მოჰყვება უნივერსალი, 2013 წლის სექტემბერში კუპე და 2014 წლის მარტში — კაბრიოლეტი. ასევე არც ისაა გამორიცხული, რომ ამ არაოფიციალურ ფოტოებზე გამოსახულია მოდელ 4-Series-ის ერთ-ერთი ადრეული პროტოტიპი. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, ასეთი მანქანა სულ რაღაც 3 სმ-ით გრძელი და 6 სმ-ით




დაბალი იქნება 3-Series-ზე და მას ოთხკარა კუპეს სტილის ძარა დაუყენდება. მეოთხე სერია 2014 წელს გამოჩნდება და კონკურენციას გაუწევს Audi A5 Sportback-ს, ასევე მომავალ ანალოგიურ „მერსედეს ბენცს".

# Samsung SM7 სედან SM5-ს ჩაენაცვლება

კომპანია „რენომ" კონცეპტ-ავტო Samsung SM7-ის გამოსახულება გამოაქვეყნა. ეს მანქანა სედან SM5-ს ჩაენაცვლება. სავარაუდოდ, ავტომობილი მომავალი თაობის Nissan Teana-ს (აშშ-ში Nissan Maxima) პროტოტიპად იქცევა. სიახლის პრემიერა სეულში 1-ელ აპრილს შედგა. კონცეპტ-ავტოს შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია ამ ეტაპზე არ ვრცელდება. წინასწარი მონაცემებით, ავტომობილი Samsung SM5-ის დაგრძელებულ პლატფორმაზე აიგება. ახალი სედანის სერიული წარმოება 2011 წლის მეორე ნახევრისთვის იგეგმება. როდის გამოჩნდება ბაზარზე მისი „ტყუპი", — Teana და Maxima, — ჯერჯერობით უცნობია. „რენოს" კუთვნილი კორეული მარკა Samsung, სედან SM5-ს 2003 წლიდან უშვებს. აზიურ ბაზრებზე იგი Nissan Teana-ს სახელით იყიდება, ხოლო ჩრდილო ამერიკაში მას ავტომოყვარულები იცნობენ, როგორც — Renault Latitude-ს. ■



# Bugatti Veyron-Grand Sport ავარიაში მოყვა

საფრანგეთის სამხრეთში ჰიპერკარ Bugatti Veyron-Grand Sport-ის ღია მოდიფიკაციის პირველი სერიული ეგზემპლარის მონაწილეობით ავტოავარია მოხდა. გამოცემა „ავტო პლუსი“ იუწყება, რომ მისი მფლობელი სან-ტროპეში საკუთარ ვილას შეეჯახა. მანქანის ძარას მარჯვენა მხარე სერიოზულად დაუზიანდა, მძღოლი კი უვნებელი გადარჩა. ადრე გავრცელებული ცნობით, „ბუგატი ვეირონ გრანდ სპორტის“ პირველი ეგზემპლარი კალიფორნიაში აუქციონ Goodfing&Company-ზე გაიყიდა. ლოტის ფასმა 2,9 მილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა მყიდველს 3,19 მილიონის გადახდამ მოუწია. ეს ვაჭრობის ორგანიზატორთათვის ჯამური ღირებულების 10%-იანმა საკომისიომ განაპირობა.



ასეთი „ვეირონი“ მისი მფლობელის ინდივიდუალური შეკვეთით აიწყო. ღია „ბუგატი ვეირონი“ 16-ცილინდრიანი, 4-ტურბინიანი, 1001 ცხძიანი ძრავათია აღჭურვილი, 7-საფეხურიანი, წინასელექტიური სიჩქარის გადაცემათა კოლოფით მუშაობს და 349 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო რბილსახურავიანი ვარიანტის მაქსიმალური სიჩქარე 180 კმ/სთ-ია. Grand Sport-ის ვერსიით, სულ 150 „ვეირონი“ გამოვა. ევროპაში ასეთი ავტომობილის ფასი 1,4 მილიონი ევროდან დაიწყება. ■



# Ferrari 512BB Berlinetta Boxer-ს აუქციონზე გაყიდიან

ბრიტანული სააუქციონო სახლი Bonhams აპრილის დასაწყისში გასაყიდად 1978 წელს გამოშვებულ სპორტავტო Ferrari 512BB Berlinetta Boxer-ს გაიტანს. ეს ავტომობილი ფორმულა 1-ის გუნდ „მაკლარენის“ პილოტსა და შარშანწინდელ მსოფლიო ჩემპიონ ჯენსონ ბატონს ეკუთვნის. სპორტავტო 1977 წლის დეკემბერში შეუკვეთეს. მანქანის თავდაპირველი ფასი დაახლოებით 90-110 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება. მისი პირველი მფლობელი სტეფორდ პემბერტონი იყო. ბოლო 33 წლის განმავლობაში მან ავტომობილზე 94 ათასი გირვანქა სტერლინგი დახარჯა და სრულიად განუახლა ძარა და ინტერიერი. გასულ წელს კი სპორტული ავტომობილი ჯენსონ ბატონმა შეიძინა, თუმცა მრბოლელის თქმით, „ფორმულა 1“-ის შეჯიბრებებში მონაწილეობის გამო მას „ფერარით“ მოძრაობისთვის თავისუფალი დრო აღარ დარჩება. სააუქციონო სახლის წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული მანქანის მიერ გავლილი მანძილი 49155 მილს (78,6 ათასი კილომეტრი) შეადგენს. ამასთან „ფერარი“ ჩინებულ მდგომარეობაშია. ავტომობილს გასული წლის სექტემბერში სრული ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა.




■

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

ვარე თუთაბერში“ ტიტე ნატუტარის როლი შევთავაზე და იწყინა. როგორც ჩანს, ვილაცამ გააღიზიანა, როდემდე უნდა ითამაშო მეორეხარისხოვანი როლებიო, თორემ თვითონ ისეთი თავმდაბალი ადამიანი იყო, რომ არაფრის დიდებით უარს არ იტყოდა. როცა სპექტაკლი ნახა, ჩემთან მოვიდა და მითხრა, სულელი ვიყავი, რომ არ დაგთანხმდიო.

22. ნიკოლო პაგანინი ეკონომიურად არაერთხელ დახმარებია ჰექტორ ბერლიოზს. „რომეო და ჯულიეტაზე“ მუშაობისას ფრანგ კომპოზიტორს პაგანინიმ 20.000 ფრანკი მისცა, რითაც უამრავი ყოფითი საზრუნავი მოუხსნა და საშუალება მისცა, მხოლოდ ოპერაზე ემუშავა.

23. მიხეილ ჯავახიშვილს ბევრ ისეთ ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა, რომლებსაც შემდგომ მისი ნალაპარაკევი ჩეკაში მიჰქონდა. ასეთი ხალხი მის სახლშიც კი დადიოდა სტუმრად. ერთხელ ქუჩაში საუბრისას ერთმა მწერალმა უთხრა: რა ლაღი და კარგი დროება დაგვიდგაო. ჯავახიშვილს მწარედ გაეცინა: რომელ კარგ დროზე მელაპარაკები, ჩეკისტი გვადგას თავზეო (ცხადია, ბერიას გულისხმობდა). როცა 1937-ში ჯავახიშვილი დააპატიმრეს, დაკითხვის დროს მის ცემასა და წამებაში ლავრენტი ბერია პირადად მონაწილეობდა. იატაკზე დაცემულ მწერალს ბერიამ მკერდზე ფეხი დაადგა და ნიშნი მოუგო: აი, ახლა გადგას ჩეკისტი თავზეო.

24. ისრაელ-ეგვიპტის ომის დროს ორმა ებრაელმა პილოტმა დავალება მიიღო, თავიანთი „მირაჟებით“ იორდანიის მხარეს გაფრენილიყვნენ, ისრაელის მიმართულებით მომავალ თვითმფრინავს დახვედროდნენ და თავიანთ აეროდრომამდე მიეცილებინათ. გზაში მათ ჰორიზონტზე შავი წერტილი შენიშნეს. ეს წერტილი ნელნელა გაიზარდა და ებრაელმა მფრინავებმა საბჭოთა წარმოების „მიგ-21“ იხილეს, რომელიც მანამდე არც ერთ ებრაელ მფრინავს არ ენახა. ეს ისრაელის სადაზვერვო სამსახურის, მოსადის ოპერაციის ბრწყინვალე დაგვირგვინება იყო. მათ „მიგ-21“ ერაყიდან სარწმუნოებით ქრისტიან მფრინავს მოატაცებინეს. „მიგის“ მფრინავი „მირაჟებზე“ მსხდომ ებრაელ პილოტებს ხელის აწევით მიესალმა და მათთან ერთად ისრაელის ბაზისკენ აიღო გეზი. მოგვიანებით, ებრაელი მფრინავი-გამომცდელი დანი შაპირა ჰყვებოდა, ყურებს არ დავუჯერე, როცა ბიჭებმა რაციით შემატყობინეს, სასწრაფოდ გამოცხადდი, საბჭოთა „მიგ-21“ უნდა გაჩვენოთ, ახლახან მოვიტაცეთო. მას შემდეგ შაპირას არაერთხელ მოუწია „მიგ-21“-ის მართვამ. იგი თანამებრძოლებს ამ თვითმფრინავისგან თავის დასაღწევი ვირაჟების კეთებაში ავარჯიშებდა.

# შეხვედით გაზაფხულს მოხდენილი

**გაზაფხულზე ადამიანის ორგანიზმი ავიტამინოზს განიცდის. თითქოს არაფერი გაწუხებთ, არაფერი გტკივათ, მაგრამ თავს კარგად მაინც ვერ გრძნობთ. ეს საგაზაფხულო დეპრესიაა. კანი, თმა „გადაღლილია" უამინდობით. ყველაფერს კი ვიტამინებისა და მინერალების უკმარისობაც ემატება, რომლებიც ორგანიზმისთვის, კანისა და თმისთვის აუცილებელია. ზაფხულში ნებისმიერი ქალი, უბრალოდ, ვალდებულია, მთელი თავისი მშვენიერებით წარდგეს ბუნებისა და გარშემო მყოფთა წინაშე. ამისთვის კი საჭიროა, ზამთრის შემდეგ, გარეგნობაზე განსაკუთრებულად იზრუნოთ.**



### თაფლიანი რძის აბაზანა

აიღეთ 2 მუჭი ზღვის მარილი და ჩაყარეთ ცხელ აბაზანაში. ჩაუმატეთ 1 ჩ/ჯ თაფლში გახსნილი 1 ლ რძე და ჩაწექით 15 წუთით. შემდეგ თბილი წყალი გადაივლეთ და ტანი რბილი პირსახოცით შეიმშრალეთ.

### ფორთოხლის არომატული აბაზანა

3 ფორთოხლის კანი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, მიღებულ მასას დაასხით ზეითუნის ზეთი და რამდენიმე საათით გააჩერეთ. შემდეგ ხსნარი ცხელ აბაზანაში ჩაასხით. ასეთი აბაზანა ენერგიისა და ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ, კანი რბილი და ნაზი გაგიხდებათ.

აბაზანის მიღებისას შეეცადეთ, სასიამოვნო განწყობილება შეიქმნათ:

ა) ირწმუნეთ საკუთარი ძალების და შეეცადეთ, აუტოტრენინგის დახმარებით ცხოვრებას იმედიანად შეხედოთ.

ბ) გონებაში აღიდგინეთ ყველა სასიამოვნო მომენტი, რაც განგიცდიათ და იფიქრეთ, რომ ამგვარი — კიდევ ბევრი გელით მომავალში;

გ) ნუ იფიქრებთ მატერიალურ პრობლემებზე, იფიქრეთ შენაძენებზე. წარმოიდგინეთ, რა მოხდენილი იქნებით ახალ, ლამაზ სამოსში;

თუ აბაზანამ სიამოვნება მოგანიჭათ, განაგრძეთ მისი რეგულარულად მიღება, თან რამდენიმე წვრილმანიც გაითვალისწინეთ:

აბაზანის მიღებისას ყურადღება მიაქციეთ მის ხანგრძლივობას. ასევე სასურველია, რომ წყალი არ ფარავდეს გულმკერდის არეს. ჯანმრთელი ადამიანისთვისაც კი ცხელი აბაზანის მიღება 10-15 წუთზე მეტხანს რეკომენდებული არ არის. თუ გულსისხლძარღვთა სისტემა გაწუხებთ, ცხელ აბაზანაზე უარი უნდა თქვათ.

თბილი აბაზანა კი პირიქით, დადებითად მოქმედებს ნერვულ, გულ-სისხლძარღვთა სისტემებზე, აუმჯობესებს საოფლე და ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციონირებას, კანს მკვრივსა და ნაზს ხდის. ბევრს ეს პროცედურა დაძაბულობას უხსნის და ძილს უუმჯობესებს. თუ აბაზანაში წიწვოვანთა ექსტრაქტს ჩაამატებთ, მისი დამაწყნარებელი ზემოქმედება გაძლიერდება. თბილი აბაზანა აყუჩებს ტკივილს, ხსნის კუნთების დაძაბულობას.

თუკი რამდენიმე კილოგრამის დაკლება გსურთ, აბაზანის მიღებისას 5-7 მარტივი ვარჯიში გააკეთეთ. განსაკუთრებით ეფექტურია მუცლის კუნთების ვარჯიშის ჩატარება. ■

# მომხიბვლელი ზურგის საიდუმლო



ზურგამოჭრილი კაბების ჩაცმა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყეს, მანამდე კი ზურგი კორსეტით იყო დაფარული.

ფსიქოლოგების აზრით, ყველაზე სექსუალური და ამავე დროს, გამოსასვლელი კაბა ის არის, რომელიც ზურგს „აშიშვლებს". კაბა ამოჭრილი ზურგით — ეს პროვოკაციაა: წინა მხარეს ყველაფერი დაფარულია, უკან კი ღია...

ზამთრის პერიოდში სხეულზე კანი შრება, იფიტება და იქერცლება. ამიტომ, კანი რომ იდეალური — გარეგნულად სუფთა და გლუვი, შეხებით კი ხავერდოვანი იყოს, ზურგის გასუფთავება-დატენიანებაზე უნდა იზრუნოთ. ზურგი არანაკლებ მგრძნობიარეა, ვიდრე მკერდი. მასზე ასობით ნერვული დაბოლოებაა განლაგებული. ამიტომაცაა, რომ ყველა ხერხემლიან ძუძუმწოვარას ფხანა და ზურგზე ხელის გადასმა ძალზე სიამოვნებს.

ზურგის დასაბანად გამოიყენეთ ჯაგრისი ან სახეხი. პროცედურის შემდეგ კი სხეულზე კრემი შეიზილეთ ან კოსმეტიკური რძე წაისვით.

ზურგის კანისთვის შეიძლება გამოიყენოთ იგივე ნიღაბი, რასაც სახისთვის იყენებთ; ძალზე ეფექტიანია პილინგიც.

სანამ ზურგამოჭრილ კაბას ჩაიცვამდეთ, იზრუნეთ მის მაკიაჟზეც: მცირე ლაქები და სიწითლე ოქროსფერი ტონალური კრემით დაიფარეთ. ■



## როგორ ჩანთას ანიჭებ უპირატესობას?

**ქალის ნივთებში არის ისეთი წვრილმანები, რომლებიც პატრონის ხასიათზე მეტყველებს. ამჯერად, ჩანთის სტილსა და მისი ტარების მანერაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.**

• ვინც პატარა ზომის ხელჩანთას ატარებს, თავდაჯერებული ეგოისტია. მასთან ურთიერთობა არცთუ ისე იოლია. ამ ტიპის ქალს მამაკაცები მასწავლებლებს ადარებენ და არცთუ მაინცდამაინც სწყალობენ.

• ის, ვინც მდიდრულ, დახვეწილ ჩანთას ატარებს, თვითონაც დახვეწილი მანერებით გამოირჩევა; დიდ დროს უთმობს ჯანმრთელობასა და გარეგნობაზე ზრუნვას. სამუშაოს მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებს. სიყვარულში რეალისტია და არა — ფანტაზიორები.

• დიდი ზომის ჩანთები უმეტესწილად კარიერისტი ქალების გატაცებაა. განსაკუთრებით სიამოვნებთ, როცა მათ ჩანთას სასიამოვნო „კომპლიმენტით ამკობენ“.

• მკაცრი სტილის ჩანთას კონსერვატორი ქალი ირჩევს. ის ელეგანტური ჩაცმის სტილს ანიჭებს უპირატესობას, ჭკვიანია და მასთან ურთიერთობა საინტერესოა.

• თუ ქალი ჩანთას გულზე მიკრულს ატარებს, შესაძლოა, რაიმე მნიშვნელოვანს მალავდეს და გარშემო მყოფთ არ ენდობოდეს.

• თუკი ქალს ჩანთა ცალი კუთხით უჭირავს, იგი თავდაჯერებულია. ჩანთის ამგვარი ტარების მანერა, უმეტესწილად, პრეტენზიულ ქალებს ახასიათებს.

• მხარზე გადაკიდებულ ჩანთას ძირითადად მხიარული ქალები ატარებენ. საერთო ჯამში, ამ ტიპის ქალი კმაყოფილია საკუთარი თავით და ზოგადად, ცხოვრებითაც.

• წელზე მიბნეულ ჩანთას, კარგი მეოჯახე ქალები ატარებენ.

• ქალი, რომელიც ჩანთას ალიაში ამოჩრილს ატარებს, საკუთარ თავში ჩაკეტილი და უთქმელია. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# გამწვავებები გაზაფხულზე

**გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად რედაქციაში იმატა ზარებმა — გვირეკავენ ჰიპერტონიკები, ინფარქტგადატანილები, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებულები, სახსრების პათოლოგიის მქონე ადამიანები და სხვა. მათ აინტერესებთ, თუ როგორ აიცილონ თავიდან იმ ქრონიკული დაავადებების გამწვავება, რომლებიც გაზაფხულის დასაწყისში იჩენს თავს. ამიტომ დღეს იმ დაავადებების შესახებ ვისაუბრებთ, რომლებიც გაზაფხულზე მწვავდება.**



გაზაფხულზე ნებისმიერი თერაპიული ქრონიკული დაავადება მწვავდება. ყველაზე მეტად კი:

— ჰიპერტენზიული დაავადება;

— გულის იშემიური დაავადება (ხშირია ინფარქტი, სტენოკარდიული შეტევა);

— კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება;

— ალერგიული დაავადებები;

— სახსროვანი პათოლოგიები;

გაზაფხულის დასაწყისში, როგორც წესი, ყველა ეს პათოლოგია მწვავდება, თანაც ხშირად სპონტანურად, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე.

### რა იწვევს გამწვავებას

გაზაფხულის დასაწყისში ადგილი აქვს ამინდის ცვალებადობას: დაბალი ატმოსფერული წნევა, ჰაერის მაღალი ტენიანობა, მოღრუბლული და წვიმიანი ამინდი, ჰაერის ტემპერატურის მერყეობა, ატმოსფერული წნევის ცვლილებები, ორგანიზმის იმუნური სისტემის დაქვეითება. ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს ქრონიკული თერაპიული დაავადებების გამწვავებას. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ ნებისმიერი მეტეოროლოგიური ცვლილება მოქმედებს გულის იშემიური დაავადების მქონე ავადმყოფებზე. ხოლო მათ, ვისაც აწუხებს სახსრები, ამინდის ცვალებადობის ბარომეტრებსაც კი უწოდებენ. განსაკუთრებით ყურადსაღებია ე.წ. მაგნიტური დღეები.

### გამწვავებების თავიდან აცილება

ვისაც ეს ქრონიკული დაავადებები აწუხებს, პროფილაქტიკის მიზნით, პირველ რიგში უნდა მოიწესრიგოს ცხოვრების წესი, კერძოდ: საყოფაცხოვრებო პირობების სწორი ორგანიზაცია, ზომიერი ფიზიკური აქტივობა, ზედმეტი წონის მოშორება, ფსიქოემოციური დაძაბულობის მოხსნა, ალკოჰოლის ჭარბად მიღებისა და თამბაქოს მოწევისაგან თავის შეკავება. ავადმყოფებმა უნდა მოიწესრიგონ ძილი, შრომა და დასვენება შეუთავსონ ერთმანეთს. დიდი ყურადღება მიაქციონ სწორ კვებას.

### არტერიული ჰიპერტენზია

ადრე გაზაფხულზე ძალიან ხშირია არტერიული წნევის მაჩვენებლების მკვეთრი მატება. შეგახსენებთ, რომ არტერიული ჰიპერტენზია არის პათოლოგია, რომლის დროსაც წნევის მაჩვენებლები მომატებულია. ამ მდგომარეობას ხშირად ახლავს პაციენტის სუბიექტური შეგრძნებებიც — თავის ტკივილი უპირატესად კეფის არეში, უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში ან გულის ფრიალი, სახის წამოწითლება და ა. შ. თუმცა ყველა პაციენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ზოგჯერ არტერიული წნევის მომატებას შეიძლება დაავადებული ადამიანი საერთოდ ვერ გრძნობდეს. შესაბამისად, გაზაფხულზე არტერიული წნევის მატება ზოგჯერ შეიძლება ხასიათდებოდეს ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების მკვეთრი, შემაწუხებელი გამოვლინებით, მაგრამ სამწუხაროდ რიგ შემთხვევებში, პაციენტი შეიძლება ვერ გრძნობდეს, რომ მას მაღალი წნევა აქვს. სწორედ პაციენტთა ამ ნაწილს ემლევა წნევის ხშირი კონტრ-

ოლის რეკომენდაცია, მათ არ უნდა დაუშვან წნევის მკვეთრი მატება ნორმასთან შედარებით, რაც ხშირად ჰიპერტონიული კრიზის, გულის იშემიური დაავადების გამწვავებისა და მიოკარდიუმის ინფარქტის ჩამოყალიბების, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის მიზეზია. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ მათი მაღალი პროცენტული რაოდენობა სწორედ ადრე გაზაფხულზე აღინიშნება.

ჰიპერტონიული კრიზი — არტერიული წნევის უეცარი მკვეთრი მატება. ამ დროს წნევა მკვეთრად (სისტოლური — ხშირად 200-220 მმ.ვწყ.სვ-მდე, ხოლო დიასტოლური — 120 მმ. ვწყ. სვ-მდე) იმატებს, რასაც თან ახლავს ძლიერი თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულისრევა, ღებინება. მოსალოდნელია მხედველობის მოშლა, გარდამავალი დაქვეითება, თვალების წინ მნათი წერტილები. აღნიშნული ჩივილები მაღალი არტერიული წნევის ფონზე თავის ტვინის დაზიანებას მოწმობს. ამ უკანასკნელზე მეტყველებს აგრეთვე კიდურების დაბუჟება, ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება, სისუსტე, კრუნჩხვები. არცთუ იშვიათად აღნიშნული ჩივილები თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლაზე მიუთითებს. თუ მან მყარი ხასიათი მიიღო, ინსულტზე საუბრობენ.

ჰიპერტონიული კრიზის დროს ხშირია კარდიული ჩივილებიც — ტკივილი გულის არეში, გულის ფრიალი, გულისცემის, გამოვარდნის შეგრძნება, ქოშინი. ამ მოვლენებს არცთუ იშვიათად ერთვის შემცივნება, კანკალი, ოფლიანობა, აგზნება. მაღალი წნევის ფონზე მსგავსი სიმპტომების არსებობისას უნდა მივმართოთ სასწრაფო დახმარებას ან სტაციონარს, რათა პაციენტს გადაუდებელი მკურნალობა ჩაუტარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, თავის ტვინსა და გულში შეუქცევადი ცვლილებები განვითარდეს, რაც პაციენტისათვის საბედისწერო იქნება.

### გამწვავებისგან დაცვა

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ზოგჯერ წნევის მომატება სრულიად შეუმჩნეველია, ამიტომ, განურჩევლად სუბიექტური შეგრძნებების არსებობა-არარსებობისა, ჰიპერტენზიით დაავადებულმა გაზაფხულზე გამუდმებით უნდა იკონტროლოს არტერიული წნევა. ამ პერიოდში უნდა გამოირიცხოს ჰიპერტენზიის მაპროვოცირებელი ფაქტორების (თამბაქოს, მარილიანი საკვების, ჭარბი ალკოჰოლის, ზედმეტი სითხის, სტრესის) ზემოქმედება, პაციენტმა რეგულარულად უნდა მიიღოს ჰიპოტენზიური (წნევის დამწევი) საშუალებები. იმ მედიკამენტებით, რომლებიც ზამთარში ან ზაფხულში ეფექტიანია, გაზაფხულზე არტერიული წნევის ნორმალური მაჩვენებლების შენარჩუნება ხშირად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში პაციენტმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს ადრე შერჩეული მკურნალობის სქემის კორექციისთვის. ექიმის სათანადო დანიშნულებით თანამედროვე პრეპარატების კომბინირებული გამოყენება ჰიპერტენზიით დაავადებულს საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გაატაროს გამწვავების ეს პერიოდი.

### გულის იშემიური დაავადება

გულის იშემიური დაავადების დროს გულს სისხლის მეშვეობით გაცილებით ნაკლები ჟანგბადი მიეწოდება, ვიდრე საჭიროა მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის. გულის იშემიური დაავადება შეიძლება გამოვლინდეს გულის რიტმის დარღვევით — სხვადასხვა სახის არითმიით, სტენოკარდიით, ზოგ შემთხვევაში მიოკარდიუმის ინფარქტითაც. გაზაფხულზე გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ არითმიამ, რომელიც კარგა ხანია აღარ აწუხებდათ, კვლავ შეახსენა თავი და ადრინდელზე უფრო შემაწუხებელიც გახდა. ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც ჩაგიტარებთ აუცილებელ გამოკვლევებს, რათა დროულად შეფასდეს თქვენი მდგომარეობა და დაინიშნოს სათანადო მკურნალობა. ზოგჯერ პაციენტის ერთადერთი ჩივილი არითმიაა, მის მიღმა კი მიოკარდიუმის ინფარქტი იმალება, ამიტომ ეს სიმპტომი უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

სტენოკარდიით (გულის იშემიური დაავადების ერთ-ერთი ფორმა) დაავადებულთათვის საყურადღებო პერიოდია მარტი. სტენოკარდიას ახასიათებს მოჭერითი ხასიათის ტკივილის აღმოცენება ფიზიკური დატვირთვის დროს მკერდის ძვლის ოდნავ მარცხნივ. ტკივილი გაივლის დატვირთვის შეწყვეტის შემდეგ ნიტროგლიცერინის ტაბლეტის მიღებისას, ზოგჯერ — თავისთავადაც. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ პაციენტს დატვირთვის სტენოკარდია აქვს. არსებობს მოსვენების სტენოკარდიაც, რომელსაც ახასიათებს ტკივილის აღმოცენება ფიზიკური დატვირთვის გარეშე. ზოგ შემთხვევაში კი პათოლოგია ღამით აღმოცენებული ქოშინით ვლინდება.

სტენოკარდიის გამწვავებას თან სდევს შეტევების გახშირება, გახანგრძლივება, შეტევის პროვოცირებას ადრინდელზე გაცილებით ნაკლები ფიზიკური დატვირთვა იწვევს, მის მოსახსნელად კი ნიტროგლიცერინის მეტი ტაბლეტია საჭირო. სტენოკარდიის მიმდინარეობის ასეთი ცვლილება საკმაო საფუძველია კარდიოლოგთან დაუყოვნებელი ვიზიტისთვის, რათა დროულად დაისახოს სამკურნალო ღონისძიებების გეგმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ინფარქტია მოსალოდნელი.

### დაცვა

გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტებმა გაზაფხულზე აუცილებლად უნდა მიმართოთ კარდიოლოგს, რათა მან გამოკვლევების საფუძველზე შეაფასოს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და კორექტივები შეიტანოს მკურნალობის სქემაში.

### კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებულები

წყლულოვანი დაავადება გაზაფხულსა და შემოდგომაზე მწვავდება. წყლულოვანი დაავადების გამწვავებას ახასიათებს ტკივილი ეპიგასტრიუმში ან მარჯვენა ფერდქვეშა არეში, რომელიც შეიძლება საკვების მიღებამდე აღმოცენდეს (ე. წ. მშიერი ტკივილი), ჭამის შემდეგ შესუსტდეს, შემდეგ კი განახლდეს. დამახასიათებელია ტკივილის აღმოცენება ღამის საათებშიც. ზოგჯერ ტკივილის შეგრძნება იმდენად ძლიერია, რომ ღებინებაც კი მოსდევს. ზოგ შემთხვევაში ტკივილი ჯერ პიკს აღწევს, შემდეგ ოდნავ მცირდება. დამახასიათებელია, რომ წყლულოვანი დაავადებისას ტკივილს ერწყმის გულძმარვა. მადა პაციენტებს ჩვეულებრივი აქვთ, ზოგ შემთხვევაში — გაძლიერებულიც კი, მაგრამ ტკივილის შიშით საკვების მიღებას არცთუ იშვიათად თავს არიდებენ. დაავადების შორს წასულ შემთხვევებში, ტკივილმა შეიძლება მუდმივი ხასიათი მიიღოს, რაც წყლულოვანი დეფექტის მეზობელ ორგანოში (მაგალითად, პანკრეასში) შეღწევის, ე. წ. პენეტრაციის მაჩვენებელია.

### დაცვა

კუჭისა თუ თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული ძალიან ხშირად უკავშირდება მიკროორგანიზმს, რომელსაც ჰელიკობაქტერია ეწოდება. მის საწინააღმდეგოდ ტარდება მკურნალობა ანტიბიოტიკებით. გარდა ამისა, არსებობს წყლულის სამკურნალო საკმაოდ ძლიერმოქმედი პრეპარატები, რომლებიც კუჭის მჟავე წვენის სეკრეციას თრგუნავს და ჰელიკობაქტერიის საწინააღმდეგო ეფექტსაც ავლენს. პაციენტმა, რომელმაც იცის,

რომ წყლულოვანი დაავადება აქვს, აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს, რათა დროულად ჩაუტარდეს სათანადო გამოკვლევა და დაენიშნოს თანამედროვე მკურნალობა, თვითნებურად შერჩეულ საშუალებას კი შეიძლება მხოლოდ დროებითი ეფექტი ჰქონდეს.

მნიშვნელოვანია დიეტა. არ არის სასურველი სანელებლებით მდიდარი კერძები, ხორცის კონცენტრირებული ნახარში, შებოლილი სურსათი, ყავა, შოკოლადი, გაზიანი სასმელი. მნიშვნელოვანია არა მარტო აკრძალული საკვების გამორიცხვა, არამედ დროული კვებაც — დღეში რამდენჯერმე, მცირე ულუფებითა და მოკლე ინტერვალებით.

თამბაქოს მოწევა კატეგორიულად აკრძალულია, რასაც ერთხმად აღიარებენ როგორც ძველი, ისე თანამედროვე მკვლევრები. გარდა ამისა, წყლულიანმა პაციენტმა შეძლებისდაგვარად თავი უნდა აარიდოს ზედმეტ ემოციებს.

ყურადღებით!!! გამწვავებისას ტკივილი ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ პაციენტი შრომის უნარს კარგავს, მისი ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად უარესდება. გარდა ამისა, დადგენილია, რომ კუჭის წყლულის საშიში გართულება — პერფორაცია (ანუ გასკდომა, როგორც უბრალო ენით მას უწოდებენ) ან წყლულიდან სისხლდენა ხშირად სწორედ გამწვავების პერიოდში ვითარდება. ამიტომ ძლიერი ტკივილისას ან შავი ფერის განავლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს!

## ქრონიკული ბრონქიტი

გამწვავების შემთხვევაში ხველა, რომელიც ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულს მუდმივად აწუხებს, მკვეთრად ძლიერდება, იზრდება გამოყოფილი ნახველის ოდენობა, იცვლება მისი ხასიათი — ის ჩირქოვანი, მოყვითალო ხდება, ქოშინი ძლიერდება, სუნთქვა ჭირს, მსტვენი ხდება, იმატებს სხეულის ტემპერატურა. სუნთქვის გაძნელება და მსტვენი ხიხინის აღმოცენება ბრონქების ობსტრუქციის (სანათურის შევიწროების) მაჩვენებელია. მას ახასიათებს ამოსუნთქვის გაძნელება. ხიხინი ძლიერდება ფიზიკური დატვირთვისას.

ქრონიკული ბრონქიტის გამწვავებისას შესაძლოა, საჭირო გახდეს ნახველის ანალიზი, გულმკერდის რენტგენოგრაფია, სისხლის საერთო ანალიზი. ობსტრუქციის შესახებ ობიექტურ ინფორმაციას გვაწვდის გარეგანი სუნთქვის ფუნქციის შესწავლა სპირომეტრიის მეშვეობით. ისევე, როგორც სხვა დაავადებების შემთხვევაში, ქრონიკული ბრონქიტის დროს საჭირო კვლევის გეგმა ექიმმა უნდა შეადგინოს.

### დაცვა

ვინაიდან ქრონიკული ბრონქიტის გამწვავება არსით ბაქტერიული ანთებაა, გამოიყენება ანტიბაქტერიული პრეპარატები, ბრონქების ობსტრუქციისას კი — მედიკამენტები, რომლებიც ბრონქების სპაზმს მნიშვნელოვნად ამცირებს. სხვა ქრონიკული პათოლოგიების მსგავსად, საუკეთესო მეთოდი ამ შემთხვევაშიც პროფილაქტიკაა — ქრონიკული ბრონქიტით დაავადებული უნდა მოერიდოს სასუნთქი გზების ინფექციას, გრიპის ეპიდემიისას კი თავის დაცვის მიზნით დამცავი ნიღაბი — რესპირატორი ატაროს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:
8(99) 30.35.97
ან ელფოსტაზე:
nino.char@yahoo.com.

თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან" ერთად




სერიის მომდევნო თემები:
№3 ყველაფერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ
№4 ყველაფერი ალერგიის შესახებ
№5 ყველაფერი სტენოკარდიისა და ინფარქტის შესახებ

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## შირაქის გზაზე

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო!

*ხალხური*



# სახსოვარი



## კონსტანტინე გამსახურდია

◆ ◆ ◆

„ახალგაზრდობას ცუდი აღზრდა აფუჭებს, კარგ სურათებს — უგემური მიშტერება, კარგ ჩაის — ცუდი ჭურჭელი და კარგ წიგნს — ცუდი მკითხველი“.

◆ ◆ ◆

„ადამიანი შეკითხვებშიც ისევე ამჟღავნებს თავის რაობას, როგორც პასუხებში“.

◆ ◆ ◆

„ომი ყველა კაცს არ შეუძლია და ინტრიგობა კი ყველას ძალუძს“.

◆ ◆ ◆

„არასოდეს არავინ გამხდარა ოსტატი, ვინც კარგი შეგირდი არ ყოფილა, მაგრამ არც ის გახდება ოდესმე ოსტატი, ვინც თავის ოსტატის ნათქვამს თუთიყუშივით იმეორებს მარადჟამს“.

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით 1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### კ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-13, 2011

**კოშტი** — გამკვრივებული, გამაგრებული გუნდა ან ნაჭერი (სანთლისა, გამდნარი ქონისა).

**კოწმახი** — მეტისმეტად მჟავე.

**კოწახური** — ეკლიანი ბუჩქი, ისხამს მჟავე ნაყოფს, რომელიც იჭმება.

**კოწიაწი** — 1. წრიალი, ტრიალი; 2. უწესოდ ჭიდაობა, გაწევ-გამოწევა, ბღლარძუნი.

**კოწიწი** — გატეხილი ჭურჭლის დასაწებებელი ნივთიერება (რძეში გახსნილი კირი ან კვერცხის ცილა, რომელსაც ბამბა ან კანაფის ძენძი ურევია).

**კოწიწა** — დასაკოწიწებლად გამოსადეგი ნივთიერება.

**კოწოლი** (ძვ.) — თმის ნაწნავი, დალალი.

**კოწოლი** (კუთხ.) — 1. კორიანტელი; 2. ცეცხლის ალი.

**კოწოლა** (კუთხ.) — ოხშივარი.

**კოწოლა** (კუთხ.) — იგივეა, რაც წოწოლა (მაღალი, ტანწვრილი).

**კოჭა** — 1. ტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე — ჯანჯაფილი: 2. ამ მცენარის ფესვი, ხმარობენ სანელებლად.

**კოჭაკი** — 1. კარის ჩამოსაბმელი დედალი ანჯამა; 2. კარ-ფანჯრის საკეტი ერთი ნაწილი, რომელსაც გადაეცმება რაზა და გაეყრება ბოქლომი.

**კოჭაყლა** — ერთად დალაგებული ხუთი ძნა მინდორში; ძნის ხუთეული (იციან მთიულეთში).

**კოჭბროლი** (კუთხ.) — იგივეა, რაც კავშა (თეთრფეხა (ცხენი)).

**კოჭბურა** — ღვინის ამოსაღები პატარა კოჭობი (იციან ქართლში).

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მორიგანი
## აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-13, 2011

მარი ჯაფარიძე

სანდროს ჩემი გაბრაზება სასაცილოდ არ ეყო. ხმამაღლა გადაიხარხარა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უეცრად განმაიარაღა. საჩხუბრად მომზადებულს, ბრაზი გამინელდა. სკამზე დავეშვი და დავფიქრდი, იქნებ მართლაც ვთქვი რაიმე სასაცილო ან სანდროს ნათქვამი სწორად ვერ გავიგე და იმიტომ გაეცინა-მეთქი?

— მაოცებ შენი მიამიტობით! ვერ ხვდები, რომ ეს თხოვნა კი არა, ბრძანებაა, რომელიც „ზემოდან" მოდის? — თითი ჭერისკენ აიშვირა.

— და თუ მაგ ბრძანებას არ დავემორჩილები, რა იქნება მაშინ? — უკვე მივხვდი, რამ გაამხიარულა სანდრო და ხელახლა ავპილპილდი.

— მაგას იქ გადაწყვეტენ, სადაც ამ კაცის ამბავი გადაწყდა, — მაგიდაზე დადებულ, მისივე მოტანილ სურათს თითი დაადო.

— რა შეგიძლია, ამ კაცის შესახებ მითხრა? — ტუჩი მოვიკვნიტე და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე.

— მიშა ტუღუში — ბიზნესმენი, საქართველოში სამშენებლო მასალის შემოტანითაა დაკავებული.

— დვალიშვილებთან რა კავშირი აქვს?

— მოკლული მამა-შვილი მისი კუთვნილი ბიზნესიდან წილს იღებდა. ერთ დროს, წლების წინ, როცა ტუღუში საქმეს იწყებდა, მათ 1.000 დოლარი მიუციათ. მაშინდელი, სიტყვიერი მოლაპარაკების საფუძველზე, მოგებული თანხის ნახევარი მათი იყო. პრინციპში, „პოლნი" წილში ჩაუსხდნენ, რადგან მიშას მართლა მცირე თანხით დაუწყია საქმე და ის 1.000 დოლარი ბიზნესისთვის საჭირო თანხის ორ მესამედს შეადგენდა. მიშა დღე და ღამეს ასწორებდა, მუშაობდა, დვალიშვილებს კი ფული მისდიოდათ. რამდენიმე წელიწადში მოგებამ უკვე მილიონი შეადგინა. ამის შემდეგ ტუღუშმა მამა-შვილის მოშორება გადაწყვიტა. ვერა და ვერ შეთანხმდნენ, რამდენი იქნებოდა მათი ოფიციალური წილი. ტუღუში 5%-ს სთავაზობდა, ისინი კი წინააღმდეგი იყვნენ და ნახევარს ითხოვდნენ.

— პრინციპში, არც უნდა დათანხმებულიყვნენ, რადგან მინიმუმ, ნახევარი მაინც ეკუთვნოდათ.

— ეგ ჩვენი გასარჩევი არაა, ჩვენი საქმე ისაა, რომ დავადგინოთ — ამ დავის საფუძველზე ტუღუშმა მკვლელობა შეუკვეთა და დვალიშვილები თავიდან მოიშორა.

— მაგას დამტკიცება უნდა.

— ეგ იოლია, ნამდვილ დამნაშავეებს დააკავებ და, მცირე სასჯელის სანაცვლოდ, ტუღუშზე ილაპარაკებენ — ხელს დაადებენ, რომ მკვლელობა მისი დაკვეთით მოხდა და ეგაა, საქმე „შეკერილია"!

— კი, მაგრამ მკვლელებიდან რომელიმე ვაჟკაცი რომ აღმოჩნდეს და უარი თქვას უდანაშაულო კაცის „გაფუჭებაზე"?

— დამიჯერე, როგორი ვაჟკაციც უნდა იყოს, მამაკაცი, რომელსაც 20-წლიანი პატიმრობა ემუქრება განზრახ მკვლელობისთვის, ყველაფერს გააკეთებს, რომ 5-6 წელი აკმარონ და დანარჩენი იმისთვის აპატიონ, რომ ვიღაც ფულის ტომარა ტუღუში გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს. შესაძლოა, სიამოვნებითაც კი დათანხმდეს და არა — იძულებით.

— რატომ უნდა მოხვდეს ტუღუში ციხეში?

— ეს ჩვენი საქმე არ არის და არც არავინ გეტყვის. შესაძლოა, სადღაც წილი არ მიაქვს ან ვინმეს გზაზე გადაეღობა. ბოლომდე არავინ ჩაგახედებს. შენ გაქვს დავალება, რომელიც პირნათლად უნდა შეასრულო. როგორც წესი, ასეთი დავალების შემსრულებლებს ისე არ ტოვებენ — ჯილდოდ, ჩინს მოგიმატებენ ან თანამდებობას.

— წარმომიდგენია, რამდენი ასეთი დავალება გაქვს მიღებული და შესრულებული, — სანდროს ჩინი და თანამდებობა გამახსენდა.

— სიმამრი მიმყოფოს კარგად ღმერთმა და არც ერთი მომაკლდება და არც — მეორე. შენგან განსხვავებით, აქამდე მოსვლას წლები მოვანდომე.

— „მიგეცა" შენც ვინმესთვის და ერთი ნახტომით აღმოჩნდებოდი რბილ სავარძელზე, — დავასწარი და მისი სათქმელი ვთქვი.

სანდრომ ჩაიცინა, ჯარისკაცივით ქუსლებზე დაბზრიალდა და ოთახიდან გავიდა.

კარგა ხანს დავყურებდი ტუღუშის სურათს. ვინ იცის, იქნებ ახლა საქმიან მოლაპარაკებაზეა, შვილიშვილს ასეირნებს სადმე ან ძაღლს; იქნებ ცოლს, შვილს ან საყვარელს ახლავს შოპინგზე... მისი ბედი კი უკვე გადაწყვეტილია და დღეს-ხვალ „გასროკავენ". შემეცოდა უდანაშაულო ადამიანი და პროტესტის გრძნობა გამიჩნდა. შიგნით, გულსა თუ გონებაში, რაღაც აჯანყდა. მტკიცედ გადავწყვიტე, ამ საქმეზე უარი მეთქვა. თუმცა წინასწარ ვიცოდი, რომ არაფერი გამოვიდოდა. მაინც მაიძულებდნენ, ისე გამეკეთებინა ყველაფერი, როგორც „ზევით" სურდათ.

თავი ხელებში ჩავრგე და დავფიქრდი. მივხვდი, ამის გაკეთებას ვერ შევძლებდი. იმასაც მივხვდი, რომ ეს არ იქნებოდა პირველი და უკანასკნელი. სულ რამდენიმე კვირა იყო, რაც მუშაობა დავიწყე და უკვე იმდენ უსამართლობას გადავაწყდი, დარდით ღამეები არ მეძინა. კარგი, ლიზას გადავარჩენ, შანტაჟითა და დაშინებით ან ლევანის კეთილგანწყობით ვისარგებლებ და რაღაცას მივაღწევ; ამას რაღა ვუყო?! — სურათი ხელში ავიღე, — რაღაც წვრილმანის (ან იქნებ „მსხვილმანის") გამო 20-წლიანი პატიმრობისთვის უნდა გავწირო! ამისთანა კიდევ ბევრი იქნება, ყველას მხსნელად ვერ მოვევლინები და ბოლოს იმას მივაღწევ, რომ ტუღუშის მსგავსად, ჩემი სურათი აღმოჩნდება რომელიმე მაღალჩინოსნის კაბინეტში, „ზევიდან" მოსული დავალებითურთ და აღარავინ დამინდობს. ალბათ რამდენი ადამიანია ასე უსამართლოდ „გაფუჭებული", „შეკერილი" საქმეებით რომ „ზის" და სასჯელს უდანაშაულოდ იხდის. მივხვდი, რომ აქ მუშაობა ჩემი საქმე არ იყო. ფურცელი ავიღე

და განცხადების წერა დავიწყე. აქედან უნდა წავსულიყავი, თან — რაც შეიძლება მალე... მაგრამ მერე გადავიფიქრე, ფურცელი დავჭმუჭნე და ურნაში ჩავუძახე. ლიზას ქმრისა და ტუღუშის საქმე მქონდა დასამთავრებელი. ამ ორ ადამიანს გადავარჩენ და მერე წავალ-მეთქი, — გავიფიქრე. სად წავიდოდი, გადაწყვეტილი არ მქონდა, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცოდი — ასეთ უდანაშაულო ადამიანებს დაცვა სჭირდებოდა და სწორედ ამ საქმისთვის უნდა მომეკიდა ხელი. ადვოკატობა უფრო იყო ჩემი საქმე, ვიდრე — პოლიციაში მუშაობა.

თანაშემწეს დავურეკე და ტუღუშის შესახებ ინფორმაციის მოგროვება ვთხოვე.

დვალიშვილების მკვლელობის გახსნას წინ ალარაფერი ედგა. მკვლელების ვინაობა და მათი ადგილსამყოფელი დადგენილი იყო. ოპერატიული ჯგუფისთვის ბრძანების გაცემა იყო საჭირო, მაგრამ ვაყოვნებდი. ჯერ ლიზას ქმრის საქმე იყო ბოლომდე მისაყვანი. ლევანმა თათბირზე რამდენჯერმე შემახსენა დვალიშვილების საქმე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზი მოვიგონე და ისე ავუხსენი, რატომ ჭიანურდებოდა დამნაშავეების დაკავება. თან, ვშიშობდი, მკვლელებს რაიმე არ ეყნოსათ და არ დამალულიყვნენ, მაგრამ მათთვის კაცი მყავდა მიჩენილი და იმედი მქონდა, რომ სიტუაციას ვაკონტროლებდი.

ლიზას ქმარი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. იმავე საღამოს, მადლიერმა ქალმა დამირეკა და ათასი მადლობა გადამიხადა.

მეორე დღესვე დვალიშვილების მკვლელების დაკავების ბრძანება გავეცი. ოთხივე აიყვანეს. იმ დღიდანვე მოუსინჯეს კბილი, იყვნენ თუ არა გარიგებაზე წამსვლელები. მათ დაკითხვას მე და სანდრო ვესწრებოდით. ცხადი გახდა, რომ სამი მათგანი იოლად წამოვიდოდა გარიგებაზე — ისეთი შეშინებულები იყვნენ, საკუთარ მამასაც კი დაადებდნენ ხელს, არამცთუ ვიღაც ტუღუშს. მეოთხე შეუვალი ჩანდა. ჩვენებასაც არ იძლეოდა. კუშტად გვიყურებდა ყველას და მზერით გვბურღავდა.

— ეს ჯერ უნდა გავტეხოთ და მერე უფრო იოლად დაგვთანხმდება, — ჩაილაპარაკა სანდრომ, როცა ოთახიდან გამოვედით.

„გატეხა“ ნიშნავდა, რომ ისეთ კამერაში მოათავსებდნენ, სადაც საშინელ პირობებს შეუქმნიდნენ, სცემდნენ კიდეც და ამის შემდეგ, ესეც „ჯიბეში“ ეყოლებოდათ.

ერთხელ დილით, თათბირის შემდეგ, სანდროს დავურეკე და ჩემთან მოსვლა ვთხოვე.

დვალიშვილების საქმის გარშემო არსებულ ყველა დეტალზე დაწვრილებით ველაპარაკე, ტუღუშის დაკავების ამბავიც არ დამვიწყებია, დაწვრილებით ვათქმევინე, როგორი ჩვენებები უნდა მიეცათ დაკავებულებს. ეს ყველაფერი დიქტოფონზე ჩავიწერე.

იმავე დღეს წასვლის შესახებ განცხადება დავწერე და ლევანს მაგიდაზე დავუდე.

— ეს რა არის? — ფურცელი ბოლომდე ჩაიკითხა.

— უნდა წავიდე, — დამნაშავესავით ჩავიბურტყუნე.

— რატომ მიდიხარ, მარგო? რა ხდება? რა არ მოგწონს?

— ეს ჩემი საქმე არაა, ამ სისტემაში მუშაობა არ შემიძლია, გული მერევა...

— ტუღუშის საქმემ შეგაშინა? — ხმამაღლა გაიცინა ლევანმა.

— არა მარტო ტუღუშის, მომავალმა საქმეებმა შემაშინა. ამ სისტემაში დარჩენას ვერ შევძლებ.

— მარგო...

— ტყუილად ეცდები ჩემს დაყოლიებას, ვერ გადამათქმევინებ, — გულხელი დავიკრიფე და ისე შევხედე.

— კარგი, დატოვე განცხადება და მოსაფიქრებლად ერთ კვირას გაძლევ.

— არავითარი 1 კვირა, მოაწერე ხელი, დღესვე მივდივარ, — შევბრუნდი და კაბინეტიდან გამოვედი.

ჩემი ნივთები ჩავალაგე და შინ ტაქსით წავედი.

ლალი გაოცებული მიყურებდა, როდესაც ბარგით დატვირთული დამინახა.

ვიცოდი, რომ ცნობისმოყვარეობა კლავდა — აინტერესებდა, რა მოხდა. მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ჩემი ნებით წამოვედი სამსახურიდან, ლევანთან ყველაფერი ძველებურად იყო და ახალი ცხოვრების დაწყებას ვაპირებდი. ბოდიში მოვუხადე და ოთახში შევედი.

საწოლზე გაუხდელად მივეგდე და თვალები დავხუჭე. ახლა კარგად უნდა მომეფიქრებინა, პირველ რიგში რას გავაკეთებდი. როდესაც ჩემი მომდევნო ქმედებები და რამდენიმე კვირა დავგეგმე, ღრმად ჩამეძინა და დილამდე გვერდიც არ შემიცვლია.

დილით მე და ლალი სამზარეულოში შევხვდით და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. ჩემი პოზიცია გაიზიარა, შემაქო და მითხრა, რომ კარგად მოვიქეცი და რომ ჩემს გადაწყვეტილებას მიესალმება.

გამიხარდა, რადგან ჭკვიანი ადამიანისგან მივიღე მხარდაჭერა. მის აზრს ყოველთვის ვაფასებდი და მჯეროდა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში მისგან მხოლოდ სასარგებლო რჩევას მივიღებდი.

— დღეს რას აპირებ? — მივხვდი, ლალი სამსახურში წასვლას არ აპირებდა.

როდესაც დილას ამ კითხვით იწყებდა, როგორც წესი, ის დღე მაღაზიებში სიარულსა და გართობაში გადიოდა ხოლმე.

— რაღაც მქონდა დაგეგმილი...

— საქმეს მოასწრებ, დღეს დავისვენოთ, მარტო ხეტიალი მეზარება.

— კარგი, — გადავწყვიტე, საქმეები მეორე დღისთვის გადამედო.

— თანაც, კარგად მოვიფიქრებთ, როგორ უნდა მოიქცე.

— მე კი არა, ეშმაკსაც კი აცდუნებ, — გამეცინა.

მთელი დღე მართლაც უსაქმურად გავატარეთ. მაღაზიები მოვიარეთ, საღამოს ბარში დავსხედით და ყველა გავჭორეთ... შინ მოგვიანებით დავბრუნდით. ჭიშკართან ლევანის მანქანა იდგა.

— მოსულა, — მხარი გავკარი ლალის.

— შენს წასაყვანად იქნება მოსული.

— გამარჯობა, გოგონებოოო, — მანქანას ვაკვირდებოდი, ლევანმა კი იქვე, ყურში მხიარულად ჩაგვძახა. ორივეს ხელი მოგვხვია და შინ შემოგვყვა.

— ლალი, რა ვუყოთ ამ ახტაჯანას? — თავი ჩემკენ გადმოაქნია.

— ვერ მოარჯულე? — ქაფქაფა ყავა ფინჯნებში დაასხა და მაგიდაზე ფრთხილად დადგა.

— ცხოვრების აზრზე არ არის: ამას ჰგონია, ია-ვარდითაა მოფენილი. ღმერთმა იმის შანსი მისცა, რომ გუშინდელი ბავშვი ასეთ თანამდებობაზე დაინიშნა, საქმესაც თავს მშვენივრად ართმევდა, ეს კი მაღალ მატერიებზე, სინდისზე, ნამუსსა და „შუბლის ძარღვზე“ მელაპარაკება. გუშინ მორიგი „გმირობა“ ჩაიდინა, იცი?

— კი, მოკლედ მიამბო.

— ნეტავ იცოდე, რამდენი ადამიანი ელოდა ამ სკამს! ამისთვის დავითრიე, ამან კიდევ, რამდენიმე კვირა იმუშავა, განცხადება დაწერა და წამოვიდა. არადა, უფროსები მადლობას მიხდიდნენ ასეთი თანამშრომლის მოყვანისთვის, პერსპექტიული გოგონაა, გონიერი და იქნებ ცოტა ხანში დავაწინაუროთ კიდეცო.

— რაღას დამაწინაურებდნენ?! შენს ადგილზე თუ დამსვამდნენ, არ ვიცი და...

— შესაძლებელია, ასეც მომხდარიყო...

— კარგი, რა, ლევან, ზღაპრებს მოეშვი, — ხელი ჩავიქნიე.

— ისე, მარგო, რომ იცოდე, განცხადებაზე ხელი არ მომიწერია და კიდევ 2 კვირა არ მოვაწერ. იქნებ დაბრუნება მოგინდეს?!

— არავითარ შემთხვევაში! — ხელები გავასავსავე.

— აბა, რას აპირებ?

— რას და — ადვოკატობას! თქვენ რომ უსამართლოდ დაიჭერთ, იმ ხალხს დავიცავ.

— ჰა-ჰა-ჰა, — ხმამაღლა გაიცინა ლევანმა, — და გგონია, რომ სამართალს მიაღწევ? ნუთუ ისევ „ვარდისფერი სათვალით“ უყურებ ცხოვრებას? როგორ ფიქრობ, ჩვენი „შეკერილი“ საქმეების „დარღვევა“ იოლი იქნება? — სიცილისგან სული ძლივს მოითქვა.

— თქვენ წინააღმდეგ საბრძოლველად თქვენივე ბინძურ მეთოდებს გამოვიყენებ. კარგად ჩავიხედე სისტემაში და ზუსტად ვიცი, რომელ საქმეში საიდან „დაუბერავს ქარი“.

— ნუ იქნები ასე დარწმუნებული. ლალი, უთხარი, რომ მართალი ვარ, — საშველად უხმო, — თანაც, ჩემ გვერდით ყოფნა არ ერჩივნა? დღის განმავლობაში რამდენჯერმე ვხვდებოდით, ახლა კი მარტო საღამოობით გნახავ. თანაც, შესაძლოა, შენმა დაუფიქრებელმა საქციელმა ჩემს კარიერასაც ავნოს.

— იცი, ლევან, რაღაცაში გეთანხმები, მაგრამ „ბრალდების“ გარკვეულ ნაწილში — არა, — ლალიმ ჩემი დაცვა გადაწყვიტა.

— მოიცა, მოიცა, — გავაწყვეტინე ლაპარაკი, — საქმე ისაა, რომ არც ერთის აზრი არ მაინტერესებს. ბოდიშს ვიხდი ასეთი უხეში გამოსვლისთვის, მაგრამ სიმართლე ესაა. ჩემი აზრი მაქვს, რომელსაც ვერავინ შემაცვლევინებს და გთხოვთ, ამ თემაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე და არასოდეს ვინანებდი. ლევანის შეგონება, რომ სამსახურში დავბრუნებულიყავი, ამაო იყო.

მეორე დღეს დილითვე გამოვედი შინიდან. ათასი საქმე მქონდა მოსაგვარებელი.

პირველ რიგში, ტუღუშის ოფისს მივადექი. კაბინეტში დამხვდა. როგორც კი მდივანმა მოახსენა, ახალგაზრდა გოგონა გკითხულობთო, მაშინვე მიმიღო.

— გამარჯობა, — ხელი გავუწოდე.

— გაგიმარჯოს, გოგონა, — დამცინავი ღიმილი აღებეჭდა სახეზე და მარჯვენა შემაგება.

ცოტა ხანს შევჩერდი, ვიფიქრე, დაჯდომას შემომთავაზებდა, მაგრამ არც უფიქრია, ზრდილობა გამოეჩინა.

— შეიძლება, დავჯდე? — ყასიდად ვიკითხე, სკამი ხმაურით გამოვწიე და დავჯექი.

ცალი წარბი აზიდა. როგორც ჩანს, ჩემი თამამი საქციელი არ მოეწონა.

— რამ შეგაწუხა? სათხოვარი გაქვს რამე?

— დიახ, სათხოვარი მაქვს, — ფეხი ფეხზე გადავიდე.

— გისმენ, — მიშამაც გადაიდო ფეხი ფეხზე და უფრო მედიდური იერი მიიღო, ვიდრე აქამდე ჰქონდა, — საინტერესოა, რა გინდა?

— სხვებს რა უნდათ ხოლმე?

— ზოგს ფული უნდა, ზოგს — სამსახური, ზოგს — წილი.

— მაგალითად, დვალიშვილებს უნდოდათ წილი, არა? — ახლა მე მივიღე მედიდური იერი, მისი გამომეტყველების დანახვისას.

— დვალიშვილებს რა უნდოდათ, ეგ საიდან იცი?

— გაცილებით მეტი რამ ვიცი, ბატონო მიშა, ვიდრე წარმოდგენა შეგიძლიათ.

— ვინ მოგაგზავნა?

— ვის უნდა მოვეგზავნე?

— მგონი, ვიღაც შანტაჟს მიწყობს და შენ შუამავალი ხარ.

— დამშვიდდი, ბატონო მიშა, შანტაჟი ყველაზე „საუკეთესო“ ცუდი ამბავი იქნებოდა თქვენთვის. გაცილებით უარესის სათქმელად ვარ მოსული.

— ბოლოს და ბოლოს, ამიხსნი, რა ხდება?

— რა თქმა უნდა. ჩვენ დვალიშვილების მკვლელები დავაკავეთ...

— ვინ — თქვენ? — სიტყვა გამაწყვეტინა.

ჩემი თანამდებობა დავუსახელე. ტუღუშს თვალები შუბლზე აუვიდა.

— არ გჯერა? — გამეცინა.

— ასე პატარა გოგო ამხელა თანამდებობაზე ვინ დაგნიშნა?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! მოკლედ, ასე... მკვლელები დავიჭირეთ, ისინი კი ხელს თქვენ გადებენ, — მკვლელობა ტუღუშმა დაგვიკვეთა, რადგან დვალიშვილები წილს სთხოვდნენო.

— ტყუილია, — ძლივს ამოიკვნესა მიშამ და თვალები ისე ამოატრიალა, გული გამისკდა, არ მოკვდესმეთქი, — არ მომიკლავს ის ხალხი, არაფერში მჭირდებოდა მათი გასაღება.

— ვიცი, მაგრამ ამის დამტკიცება უჩემოდ გაგიჭირდება.

— რამდენი უნდა გადავიხადო? — მაშინვე გარიგება სცადა.

— არანაირი თანხა არ გიშველის, „ლაფატკაზე“ ზიხარ: 4 ადამიანი გადებს ხელს.

— არ მჯერა.

— კი, ბატონო, ნუ დაიჯერებ, არავინ გაძალებს. ეს ჩემი ტელეფონის ნომერია, — მაგიდაზე სავიზიტო ბარათი დავუდე, — როცა დაიჯერებ, დამირეკე ან შენი ოჯახის წევრებმა დამირეკონ, რადგან ჩემ გარდა ვერავინ გიშველის.

ისე წამოვედი, აღარაფერი უთქვამს. როგორც ჩანს, მაინც არ დაიჯერა ჩემი ნათქვამი.

მიშასგან ნაცნობთან გავიარე, რომელმაც დამარიგა, რითი უნდა დამეწყო ადვოკატობა. მივხვდი, რომ ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა და დასახმარებლად ისევ ლევანს მივმართე. საღამოს მასთან რომ მივედი, საუბარი ამით დავიწყე. ცოტა ხანს იბუზღუნა, იწუწუნა, მაგრამ მერე შემპირდა, რომ ამ საქმეს 1 კვირაში მომიგვარებდა და მუშაობის დაწყებას შევძლებდი.

სიტყვა მართლაც შეასრულა და 1 კვირაში უკვე ადვოკატთა ასოციაციის წევრის საბუთი და მუშაობის უფლება მქონდა. თავიდან იოლი საქმეების აღებას ვაპირებდი, პრაქტიკა რომ გამევლო, მაგრამ პირველივე საქმე ისეთი რთული აღმოჩნდა, 2 წელი გაიწელა და ბოლოს მაინც მოვიგე.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*






რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა" №51, 2010 – 1-13, 2011

— ახლა ვხვდები, ციხეში ჯდომა რა საშინელებაცაა, — თავისთვის ჩაილაპარაკა ფანჯარასთან მდგარმა ლელამ, რომელიც ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს სევდიანად ათვალიერებ-და.

— აბა, რას ამბობ? — გოგონას მიუახლოვდა და წელზე ხელები შემოხვია გოგლამ. — ციხისგან ღმერთმა დაგვიფაროს. განა იქ ვინმეს საყვარელ ადამიანთან ერთად სვამენ? თანაც, გამომძიებელმა ხომ გვითხრა, რომ ეს რამდენიმე დღე თუ გაგრძელდება.

— მესმის, მაგრამ ეს დღეები ხომ მაინც სახლში გამოკეტილებმა უნდა გავატაროთ.

— შენი არ ვიცი და, პირადად მე, ასეთი გამოკეტვა მომწონს, — გოგონას თმაზე ნაზად აკოცა ლაღიძემ, — მთავარია, შენ მყავხარ გვერდით, თანაც — სრულიად უვნებელი, დანარჩენს კი მოევლება.

— შენ გვერდით ყოფნა მეც არასდროს მომწყინდება, მაგრამ ასე დიდხანს რომ ვერ გავაგრძელებთ, ჩემზე უკეთესად იცი. მე ლექციები მიცდება, შენ საქმეს ხარ მოწყვეტილი. ისე, ეს კოტე მაინც სად დაიკარგა?

— ეგ მეც მაწუხებს, — შუბლი შეიკრა გოგლამ, — არც თვითონ ჩანს და არც ტელეფონს პასუხობს. ასე როგორ შეიძლება? ფული სულ 2-3 დღით მთხოვა, არადა, უკვე კვირაზე მეტი გავიდა. უფულოდ რა გავაკეთო?

— იქნებ კოტეს გამოჩენამდე შემორჩენილი ანტიკვარული წვრილმანის გასაღებაზე გვეფიქრა.

— რა წვრილმანის?

— აი, თუნდაც ამის, — მანერჰეიმის ძველებური რევოლვერი აიღო ხელში ლელამ.

— მაგასთან ცოტა ფრთხილად! გახსოვს, შუბლი რომ კინაღამ გამიხვრიტე?

— ნუ გეშინია, ამჯერად დაუტენავია. ისე, მიკვირს, ან მაშინ როგორ გაისროლა?

— გაისროლაო?.. იცი, რომ ტორშერის ნამსხვრევებს დღემდე ვაგროვებ?

— ტორშერის კი არა, ტორშერის ნათურის.

— აუ, რამხელა შეღავათია? კიდევ კარგი, პირდაპირ მე არ დამიმიზნე.

— ამის გამო ხომ უკვე მოგიხადე ბოდიში, — თვალები აუწყლიანდა ლელას.

— კარგი, კარგი, გეხუმრე, — გოგონა გულში ჩაიკრა ლაღიძემ.

ამ დროს ტელეფონიც აწკრიალდა...

— ნეტავ, კოტე ხომ არ რეკავს? — დაინტერესდა ლელა.

— შეიძლება, — იმედი მიეცა გოგლასაც, — ხომ გაგიგონია, ძაღლი ახსენეო და...

ყურმილში სხვა ადამიანის ხმა გაისმა.

— ალო, გოგლა ლაღიძე ბრძანდებით?

— დიახ.

— გამომძიებელი ჩაჩანიძე ვარ.

— ვინ?

— ამ ცოტა ხნის წინ, იაშვილის სურათთან დაკავშირებით რომ ვიყავი თქვენთან.

— მაგრამ ხომ გითხარით, რომ...

— ნუ ღელავთ. კარგად მახსოვს, რაც მითხარით, მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა და იმიტომ გირეკავთ.

— მაინც რა მოხდა?

— ერთ-ერთ ოჯახში მოპარული სურათები ალმოვაჩინეთ, რომელთა შორის, მგონი, ერეკლე იაშვილის ნამუშევრებიცაა.

— ასეც რომ იყოს, მე რა შუაში ვარ?

— ახლავე აგიხსნით.

— დამავალებთ.

— საქმე ისაა, რომ მხატვრის უახლოესი ნათესავები ამჟამად ქალაქში არ არიან და, ამიტომაც, ამოცნობაზე თქვენი მოწვევა გადავწყვიტეთ.

— ჩემი? — გაოცდა გოგლა. — კი, მაგრამ რატომ?

— იმიტომ, რომ ამ მხატვრის ნამუშევრებს თქვენც კარგად იცნობთ.

— იაშვილის შემოქმედების ცოდნით ნამდვილად ვერ დავიკვეხნი. სულ რამდენიმე ნამუშევარი თუ მაქვს ნანახი.

— ეს სრულიად საკმარისია.

— იქნებ მაინც სპეციალისტისთვის მიგემართათ. სხვათა შორის, მეც ვიცნობ ერთ კარგ...

— ბატონო გოგლა, — ისევ გააწყვეტინა ჩაჩანიძემ ლაღიძეს, — სულ ნახევარი საათით მოგაცდენთ და იმის პირობასაც გაძლევთ, ამის შემდეგ საერთოდ აღარ შეგაწუხებთ.

— კარგი, — მაინც უხალისოდ დაეთანხმა მამაკაცს გოგლა, — როდის მოვიდე?

— ახლავე. შეგიძლიათ?

— შევეცდები.

— მაშინ ქალაქის სამმართველოში დაგელოდებით. საშვს ახლავე დავუშვებ.

— ვინ რეკავდა? — დაინტერესდა ლელა.

— ისევ ის გამომძიებელი, — ტელეფონის ყურმილი უკმაყოფილი სახით დადო გოგლამ, — იაშვილის სურათების ამოცნობა მთხოვა.

— კონკრეტულად რომელი ნამუშევრების?

— წარმოდგენა არ მაქვს. შეიძლება, იმათი, იაშვილის ქალიშვილთან რომ ვნახე, ანდა სულაც იმის, შენი ძმის ბინიდან რომ გაქრა.

— არ მომწონს ეს ყველაფერი, — შუბლი შეიკრა ლელამ, — რაღა მაინცდამაინც შენ უნდა ამოიცნო? იქნებ არ წასულიყავი.

— არც ვაპირებდი, მაგრამ შემპირდა, თუ ახლა მოხვალ, აღარ შეგაწუხებო.

— გეხვეწები, არ წახვიდე! გული რაღაც ცუდს მიგრძნობს, თან, მარტო დარჩენისაც მეშინია, — თავისას არ იშლიდა ლელა.

— კარგი, რა, — ლოყაზე ხელი ნაზად ჩამოუსვა მას გოგლამ, — სულ ნახევარი საათის საქმე თუ იქნება. მოწყენას ვერ მოასწრებ, რომ აქ გავჩნდები. ოღონდ, იცოდე, ლეკიშვილს უჩემოდ არ დაურეკო, თორემ ვიეჭვიანებ.

— ნეტავი შენ, რომ გეხუმრება...

— სერიოზულად კი გირჩევ, ჩემს მოსვლამდე ტელევიზორს თვალი არ მოაცილო.

— რატომ?

— დრო ასე სწრაფად გავა, — გაეღიმა გოგლას...

სადარბაზოდან გასულმა ლაღიძემ

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოასწრო, რომ ფეხებთან მანქანა გაუჩერეს.

— გოგლა ლაღიძე ხართ, ხომ? — ჰკითხა მას მძღოლმა.

— დავუშვათ. მერე?

— თქვენს წასაყვანად გამომგზავნეს.

— ვინ?

— გამომძიებელმა ჩაჩანიძემ. წეღან რომ გელაპარაკეთ.

— მანქანის გამოგზავნაზე რომ არაფერი უთქვამს?

— თქვენთან ლაპარაკის შემდეგ რაღაცები შეიცვალა, მე აქვე ვიყავი და გამოგიარეთ.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ გოგლა მანქანაში მაინც ჩაჯდა... მალე ქალაქსაც გასცდნენ და გაკვირვებულმა ლაღიძემ მამაკაცს ჰკითხა:

— სამმართველოში არ უნდა მივსულიყავით?

— ხომ გითხარით, რაღაცები შეიცვალა-მეთქი.

— ახლა სად მივდივართ?

— აქვე, დიღმის აგარაკებზე. სურათები ერთ-ერთი დამნაშავის აგარაკზე აღმოაჩინეს და ჩვენც პირდაპირ იქ უნდა მივიდეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანამ ცენტრალური გზიდან აგარაკებისკენ გადაუხვია, მალე ერთ მდიდრულ სახლთან გაჩერდა. მძღოლმა დაასიგნალა. ჭიშკარი ავტომატურად გაიღო და მანქანა ეზოში შეიყვანა მძღოლმა.

— კარგად უცხოვრიათ, — მანქანიდან გადმოსვლის შემდეგ სახლი შეათვალიერა გოგლამ.

— და მერე როგორ, — კვერი დაუკრა მძღოლმა, — თუმცა ლაღიძეს, რატომღაც, სახლისკენ კი არა, მის ქვეშ მოწყობილი ავტოსადგომისკენ გაუძღვა: — სურათები აქ ჰქონდათ გადამალული და გამომძიებელიც აქვე გელოდებათ.

იმან, რაც ავტოსადგომში შესვლისას დაინახა, გოგლა კინაღამ შოკში ჩააგდო. უამრავი ძვირფას ჩარჩოში ჩასმული თუ სულაც უჩარჩოო ტილო კედლებთან დაუდევრად იყო მიყრილი, ზოგი კი პირდაპირ ბეტონის იატაკზე ეყარა.

— მაინც ვის მოუბრუნდა ხელი ამის გასაკეთებლად? — ერთ-ერთი სურათის ასაღებად დაიხარა ლაღიძე. — ეს ხომ ნამდვილი შედევრია.

ამის თქმა იყო და, თავში რაღაც მძიმედ დაეცა და მაშინვე გათიშა.

გოგლა გონს სიცივემ და აუტანელმა თავის ტკივილმა მოიყვანა. თვალის გახელის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ნახევრად ჩაბნელებულ ნესტიან სარდაფში, ლითონის მაგიდაზე სრულიად შიშველი იწვა და ხელ-ფეხი ტყავის თასმებით ჰქონდა დაბმული. ლაღიძემ ინსტინქტურად გაიბრძოლა და თასმებისგან თავის დახსნა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამ დროს კარმა გაიხმაურა და ვიღაცამ შუქიც აანთო. კაშკაშა სინათლემ გოგლას თვალი მოსჭრა.

— მაინც მაგარი ყისმათა ხარ, ანტიკვარო, — მოესმა შემდეგ მანქანის მძღოლის ნაცნობი ხმა, — მიდი ახლა და რამდენიც გინდა, იმდენი ჭერი და კერე. შენ კიდევ ინსტრუმენტები მიუმარჯვე.

მძღოლს სარდაფში ორი მამაკაცი შემოჰყვა და ორივე მაშინვე მაგიდას მიუახლოვდა. მათ შემხედვარე გოგლას ძარღვებში კინაღამ სისხლი გაეყინა, რადგან თავზე სწორედ ის უცნობები წამოადგნენ, ცოტა ხნის წინ ლელას გატაცებას რომ ცდილობდნენ. „დავიღუპე, — გაიფიქრა ლაღიძემ, — ესენი აქედან ცოცხალს აღარ გამიშვებენ“.

— წავედი ახლა და აბა, თქვენ იცით, — დაფაცურდა მძღოლი.

— მოიცა, მეც მოვდივარ. ეს ყველაფერი უკვე გულს მირევს, — მაგიდას მაშინვე მოშორდა ერთ-ერთი უცნობიც, მეორემ კი, მძღოლმა რომ „ანტიკვარად“ მოიხსენია, მაგიდის გვერდით მდგარ ტუმბოზე ახალთახალი ვერცხლისფერი კეისი დადო და შემდეგ კართან მისულებს მიუბრუნდა:

— გარბიხართ, ხომ, ლაჩრებო? გაიქეცით, გაიქეცით. ძლივს ნაღდი საქმე გამომიჩნდა და თქვენ ხელს თუ შემიშლით.

მამაკაცებმა სარდაფი სწრაფად დატოვეს, „ანტიკვარი“ კი ისევ მაგიდისკენ შებრუნდა.

— ვინ ხართ? — ძლივს ამოილუღლუღა გოგლამ.

— მე? — მაგიდაზე განრთხმული ლაღიძე მუშტრის თვალით გაზომა მამაკაცმა. — მე ექიმი ვარ და ახლავე გიმკურნალებ.

— ექიმი? — დაიბნა გოგლა. — მაშ, „ანტიკვარი“...

— „ანტიკვარი“ ჩემი მეტსახელია, რადგან ანტიკვარებზე ვსპეცდები, — საზიზღარ ღიმილს სახიდან არ იშორებდა მამაკაცი და, თან, კეისიდან ქირურგიულ ინსტრუმენტებს ფრთხილად ალაგებდა...

გოგლას წასვლიდან თითქმის 2 საათი გავიდა, ის კი არა და არ ჩანდა. ლელა ოთახში ნერვიულად გადი-გამოდიოდა და, თან, საკუთარ თავს გაუთავებლად უმეორებდა: „თავი ხელში აიყვანე. მალე დაბრუნდება, ანდა დარეკავს მაინც.“ მაგრამ დრო გადიოდა, გოგლა კი არათუ არ ჩანდა, ლელას ზარსაც კი არ პასუხობდა. ბოლოს გოგონას მოთმინების ძაფი გაუწყდა და ოთარ ორდენიძის მობილური ტელეფონის ნომერი აკრიბა. ეს უკანასკნელი უკვე სამსახურიდან გამოდიოდა და ასლუკუნებული გოგონას ნაამბობი რომ მოისმინა, მაშინვე მის დამშვიდებას შეუდგა:

— კარგი, კარგი, ნუ ნერვიულობ. ალბათ, შენი მეგობარი სამმართველოში შეაყოვნეს. ასე ხშირად ხდება.

„ესლა მაკლდა, — ლელასთან დამშვიდობებისთანავე გაიფიქრა ორდენიძემ, — მაინც სად უნდა წასულიყო ეს ბიჭი? არა მგონია, რომელიმე გამომძიებელს ამდენ ხანს გაეჩერებინა. თუმცა ახლანდელ გამომძიებლებს რას გაუგებ...“ ამასობაში ორდენიძის მობილურმა ისევ დარეკა, უცნობი ნომერი იყო. „ნეტავ, ეს ვინღაა?“ — შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა მან.

— ალო, გისმენთ.

— ოთარ ორდენიძე ხართ?

— დიახ. ვის ველაპარაკები?

— მეზობელი ვარ.



— რომელი მეზობელი?

— ერთმანეთს ჯერ არ ვიცნობთ, ახალი გადმოსული ვარ თქვენს ეზოში და, ჩემდა საუბედუროდ, თქვენ ქვემოთ ვცხოვრობ.

— ჩემ ქვემოთ? კი, მაგრამ გელაშვილები სად წავიდნენ?

— ალბათ, დიდი ხანია, რაც აქ არ ყოფილხართ. გელაშვილების ბინა მე ვიყიდე...

— ჩემი ტელეფონის საიდან გაიგეთ?

— საპატრულოში დავრეკე და იქ მითხრეს.

— თქვენი სახელი?
— სოსო მქვია.
— გისმენ, სოსო, რაშია საქმე?
— დილიდან წყალი ჩამომდის. რემონტი ახალი გაკეთებული მაქვს



და ყველაფერი ჩამოირეცხა.
— მოიცა, წყალი ნამდვილად ჩემი ბინიდან ჩამოდის?
— კი. არ მინდა, მეზობლობა ჩხუბით დავიწყოთ, მაგრამ თუ დროზე არ მომხედავ, ალბათ, ჩხუბი მოგვიწევს.
— კარგი, ახლავე გამოვდივარ.

ორდენიძე დიდი ხანი არ იყო ნამყოფი თავის ძველ ბინაში, რომლის წყალგაყვანილობასაც მისთვის პრობლემები ადრეც შეუქმნია. ამიტომ მაშინვე ლეკიშვილს დაურეკა, გოგლას მოძებნა დაავალა და თვითონ შინისკენ გაქანდა. თუმცა ეზოში შესულს ახალი მეზობლის კარი დაკეტილი დახვდა, საკუთარ ბინაში კი არათუ „წყალდიდობა“, წყლის წვეთიც კი ვერ აღმოაჩინა და შვებით ამოისუნთქა. „როგორც ჩანს, ვიღაც ბოროტად გამეხუმრა, მაგრამ თუ გავუგე, ვაი მისი ბრალი!“ — სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა შეფიქრიანებული ორდენიძე. შემოსასვლელში უეცრად რაღაცამ გაიხმაურა. გამომძიებელმა ინსტინქტურად მიიხედა და უკვე თითქმის თავს წამომდგარი ტანდაბალი და ფართობეჭებიანი მამაკაცი დაინახა, რომელსაც უკან რამდენიმე კაცი მოჰყვებოდა.

ორდენიძე ფეხზე გაკვირვებული წამოდგა, მაგრამ სანამ ხმის ამოღებას მოასწრებდა, ფართობეჭებიანმა ჯიბიდან რაღაც საბუთი ამოიღო და ისე დაიწყო:
— ალბათ, ხვდებით, საიდანაც ვართ. ასე რომ, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ აქვს.
— ამის გაკეთება არც მიფიქრია, მაგრამ ამიხსენით, რა ხდება?
— ახლავე აგიხსნით, ოღონდ, მანამდე მოწმეები უნდა შემოვიყვანოთ.
— რომელი მოწმეები? — მაინც ვერაფერს მიხვდა ორდენიძე.

ოთახში მისი 2 კარის მეზობელი შემოვიდა.
— ესენი არიან მოწმეები? — ჰკითხა გამომძიებელმა ფართობეჭებიანს.
— დიახ.
— რა უნდა დაამოწმონ?
— თავს ტყუილად იკატუნებთ. სიგნალი მივიღეთ, რომ ბინაში ნაძარცვ ნივთებს ინახავთ.
— რაო? — გაოგნდა გამომძიებელი. — გესმით, რა სისულელეს მეუბნებით?
— ამას ახლავე შევამოწმებთ, — უპასუხა მამაკაცმა და შემდეგ ხელქვეითებს მიუბრუნდა: — ბინის ჩხრეკას შეუდექით!

ჩხრეკის დაწყებიდან რამდენიმე წუთიც კი არ იყო გასული, რომ ერთ-ერთმა პოლიციელმა ლამის საზეიმო ხმით გამოაცხადა:
— მოწმეები ახლოს მოვიდნენ!

ორდენიძემ იგრძნო, გულმა ბაგაბუგი როგორ დაუწყო.

„რა ნაძარცვ ნივთებზე მელაპარაკება ეს ხალხი? საკუთარი ნივთებიც კი თითზე ჩამოსათვლელი მაქვს და რაც ოდნავ ვარგისი იყო, უკვე მარისთან გადავიტანე“.

ამასობაში ერთ-ერთმა პოლიციელმა კარადიდან გაზეთში გახვეული რაღაც შეკვრა გამოიღო.
— როგორც ჩანს, ტყუილი სიგნალი სულაც არ ყოფილა, — კმაყოფილება ვერაფრით დამალა ფართობეჭებიანმა.

ორდენიძეს ზუსტად ახსოვდა, რომ ჩასაცმელად სრულიად გამოუსადეგარი ორიოდე ნივთის გარდა, კარადაში არაფერი ედო.
— ეს თქვენია? — დაინტერესდა მამაკაცი.
— პირველად ვხედავ, — გამომძიებელმა სიმშვიდის შენარჩუნება სცადა. ფართობეჭებიანმა შეკვრა მოწმეების თვალწინ გახსნა და 3 მცირე ზომის ნამუშევარი და 1 ძველებური ხატი გამოაჩინა.
— ისევ ამტკიცებთ, რომ ეს ყველაფერი თქვენ არ გეკუთვნით? — ირონიულად ჰკითხა მან ორდენიძეს.
— წარმოდგენა არ მაქვს, ეს ნივთები აქ როგორ მოხვდა.
— მაშინ ვითარების გარკვევამდე, უნდა დაგაკავოთ...

წინასწარი დაკავების საკანში მოხვედრილი ორდენიძე ვერაფრით მიმხვდარიყო, ასე ოსტატურად ხაფანგში მაინც ვის უნდა გაება. თუმცა მის ბინაში მომხდარისა და გაუჩინარებული კოლექციონერების საქმის ურთიერთკავშირში უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა: „გამოდის, ამ საქმისგან ჩემს ჩამოშორებას ყველანაირი საშუალებით ცდილობენ და მგონი, გამოუვიდათ კიდეც“. ამის გაფიქრება იყო და საკანში ბადრაგმა შემოიხედა:
— ორდენიძე! გამომძიებელთან დაკითხვაზე!

გამომძიებელი ოცდახუთიოდე წლის ჩია ტანის, ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, გვარად — გოგოლაშვილი.

„ალბათ, სტუდენტის მერხიდან პირდაპირ ამ გაუგებრობაში ამოყო თავი, — სევდიანად გაიფიქრა ორდენიძემ, — მეტი არაა ჩემი მტერი, ამან რამე გამოიძიოს“.

ყველა საჭირო ფორმალობის დაცვის შემდეგ, გოგოლაშვილმა როგორც იქნა, ეჭვმიტანილს დაჯდომის ნებაც დართო და მის დაკითხვას შეუდგა:
— სურათები და ძველებური ხატი, რომლებიც თქვენს ბინაში აღმოჩნდა, ცნობილ კოლექციონერ იორამ იორდანიშვილს ეკუთვნის. როგორ ახსნით ამ ფაქტს?
— ვიმეორებ, რომ არ ვიცი, როგორ მოხვდა ეს ნივთები ჩემს ბინაში. ალბათ, ვიღაცამ მომიგდო.
— იორდანიშვილს თუ შეხვედრიხართ?
— დიახ, მის სახლში შევხვდით ერთმანეთს.
— რაზე ისაუბრეთ?
— მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გავაფრთხილე.
— მაინც ვინ ემუქრებოდა?
— არ ვიცი.
— ეს თუ გეცნობათ? — საქაღალდიდან რაღაც ფურცლის ნაგლეჯი ამოიღო გოგოლაშვილმა.
— დიახ, ეს ფურცელი იორდანიშვილს დავუტოვე.
— რატომ?
— მასზე იმ კოლექციონერების გვარებია, ვისი გაფრთხილებაც ვთხოვე.
— ანუ იმის თქმა გინდათ, რომ ამ ადამიანებსაც საფრთხე ემუქრებოდათ?
— ემუქრებოდათ კი არა, ემუქრებათ.

გოგოლაშვილს ირონიულად გაეღიმა:
— თქვენც ხომ გამომძიებელი იყავით, ბატონო ოთარ და განა რომელიმე ეჭვმიტანილის ნათქვამს სისულელეს დაიჯერებდით?

გოგოლაშვილმა სიტყვას — „იყავით“ გაუსვა ხაზი, რამაც ორდენიძე გააღიზიანა: „ესე იგი, უკვე ჩამომწერეთ ხომ, ბიჭებო? ვნახოთ, ვნახოთ...“ გოგოლაშვილი კი ისევ თავისას განაგრძობდა:
— ახლა კი მომხდარის ნამდვილი სურათის აღდგენას შევეცდები.

— ყურადღებით გისმენთ.

— თქვენ, ბატონო ოთარ, ყოველთვის ხელმოკლედ ცხოვრობდით: არც ნორმალური ბინა გქონიათ, არც მანქანა და აგარაკი...

— არ მესმის, ამით რის თქმა გინდათ? — შუბლი შეიკრა ორდენიძემ.

— იმის, ბატონო ოთარ, რომ სიდუხჭირემ ბანდიტ ავთანდილ თვალჭრელიძესთან დაგაკავშირათ და კოლექციონერიც ერთად გაძარცვეთ, მაგრამ მოკლულის ბინაში შემთხვევით ეს ფურცელი დაგივარდათ თუ დაგრჩათ...

ორდენიძემ გაცოფებისგან ხელები მომუშტა:

— თქვენი მსჯელობიდან გამოდის, რომ მკვლელობის ადგილზე შემთხვევით სია დამრჩა, თვალჭრელიძეს კი — მკვლელობის იარაღი, ხომ?

— უკვე თანამზრახველის დაცვასაც ცდილობთ?

— დიახ, ჩვენ, ორივემ, დანაცა და ნაძარცვიც ისეთ გამოსაჩენ ადგილზე დავტოვეთ, რომ მათ საპოვნელად ოპერმუშაკებს მცირედი ჯაფაც კი არ დასდგომოდათ.

— თქვენი ირონია სრულიად უადგილოა, რადგან ჩემს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა იშვიათი არ არის, მით უფრო მაშინ, როცა ასეთ საქმეს თქვენნაირი დილეტანტები ჰკიდებენ ხელს.

— რომელ პრაქტიკაში, შე ცხვირმოუხოცავო?! — მდგომარეობიდან გამოვიდა ორდენიძე. — ვის ეძახი დილეტანტს, შე მართლა დილეტანტო და უვიცო? ლამის შენი ხნის მუშაობის სტაჟი მაქვს და მე ვარ დილეტანტი?

— აბა, აბა, შეურაცხყოფას მორჩით! — მაგიდას მუშტი უხერხულად დაჰკრა გაწითლებულმა გოგოლაშვილმა.

„ამ უბედურს ჯერ მაგიდაზე მუშტის წესიერად დაკვრაც კი ვერ უსწავლია“, — გაიფიქრა ორდენიძემ, თუმცა ხმამაღლა სულ სხვა რამე თქვა:

— ახალგაზრდა და გამოუცდელი ხარ, ამიტომ ასჯერ უნდა გაზომო და ერთხელ გაჭრა. დასკვნების გამოტანისასაც ფრთხილად უნდა იყო, რადგან შეიძლება, ჯერ ვერ ხვდები, მაგრამ ადამიანების ბედთან გაქვს საქმე!

— ჩემს დასკვნებში შეცდომას ვერ ვხედავ. თუმცა შემიძლია, სხვა ვარიანტიც შემოგთავაზოთ.

— კარგი ერთი!..

— იორდანიშვილი მარტომ მოკალით, ნივთმტკიცებები კი თვალჭრელიძეს მიუგდეთ.

ამ სიტყვების გამგონე ორდენიძემ მძიმედ ამოიოხრა:

— უკვე მართლა აღარ ვიცი, რით დაგეხმარო, მაგრამ მაინც ვცდი: ნუ დაიზარებ და კარგად დაჰკითხე იორდანიშვილის მეზობლები. იქნებ რომელიმე მათგანმა შემთხვევით ნამდვილ მკვლელს მოჰკრა თვალი. ჩემსა და თვალჭრელიძის ბინებში აღმოჩენილი ნივთებიდან თითის ანაბეჭდები აიღე. ჩაატარე ამ ბინების კარების საკეტების ექსპერტიზა. ხომ შეიძლება, ისინი ვიღაცას ისე ოსტატურად გაეღო, რომ უბრალო დათვალიერებით არაფერი შესტყობოდა...

— მორჩით რა, ბატონო ოთარ! — გააწყვეტინა ორდენიძეს გოგოლაშვილმა. — გგონიათ, ვერ ვხვდები, რომ გამოძიების გაწელვას ცდილობთ? მაგრამ არაფერი გამოგივათ, რადგან ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია. თქვენ წინააღმდეგ სამხილების ცვენაა, ამიტომაც აღიარებითი ჩვენების გაკეთებას გირჩევდით.

— ალბათ, მართლა ვერაფერს მიხვდი, — ხელი დანანებით ჩაიქნია ორდენიძემ.

— ესე იგი, გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებთ, ხომ? კი, ბატონო, ოქმშიც ზუსტად ასე ჩავწერ, — კალამი მოიმარჯვა ცოტა არ იყოს, ნირწამხდარმა გამომძიებელმა...

დაკითხვის შემდეგ ორდენიძე ისევ საკანში დააბრუნეს. ორიოდე საათში კი საკნის კარის საკეტმა ისევ გაიხმაურა და ზღურბლზე ანდრო ლეკიშვილი გამოჩნდა.

— აქ საიდან გაჩნდი? — გაოცება ვერ დამალა ორდენიძემ.

— იქიდან, — საჩვენებელი თითი ჭერისკენ აღმართა ეშმაკურად მოღიმარმა ლეკიშვილმა და კარი სწრაფად მიხურა, — ჰა, რას შვრები, ისვენებ?

— დასვენება მართლა არ მაწყენდა, მაგრამ ვინ დამასვენა? შემჭამეს უაზრო დაკითხვებით.

— ისე მშვენივრად მოწყობილხარ, ხომ იცი! — საკანი მოათვალიერა ლეკიშვილმა. — მთლად ცალკე ლუქსი გამოუყვიათ და რა გაწუწუნებს?

— კარგი, ხუმრობა იქით იყოს და, მართლა როგორ შემოაღწიე აქ?

— სხვა დროს გეტყვი.

— გარეთ რა ხდება?

— კარგი არაფერი. „ჩამშვებებით“ აივსო ქვეყანა.

— ეს რა ლაპარაკია?

— აბა, რა დავარქვა იმათ, ვინც შენ აქ გამოგამწყვდია?

— ჯერ არ ვიცი, აქ ვინ გამომამწყვდია, ამიტომ ისევ ჩვენს საერთო საქმეს მივხედოთ.

— ვერც ეგ საქმეა კარგად.

— რა მოხდა?

— აბა, რა გითხრა... — მხრები აიჩეჩა ანდრომ. — შენი გოგლა საერთოდ აღარ გამოჩნდა. ალბათ, სახლიდან ვიღაცამ გაიტყუა.

— საიდან დაასკვენი?

— გავარკვიე, რომ ოფიციალურად არსად არანაირ ამოცნობასა და დაკითხვაზე არ დაუბარებიათ.

— ცუდია.

— გეთანხმები. მის გოგოს ჯერ საფრთხე ნაკლებად ემუქრება. ბიჭებს ვთხოვე და სახლთან იმორიგევებენ.

— სწორად მოქცეულხარ. სხვა?

— ერთი ცუდი ამბავიც მოხდა.

— რა ამბავი?

— კიდევ ერთი კოლექციონერი მოკლეს.

— ვინ?

— ილია კბილაშვილი.

— მაინც დაიწყო, — ამოიოხრა ორდენიძემ...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*





# ნაადრევი ენძელები

## სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა" №2-13

ზურას ბოლო ხანებში სულაც არ მოსწონდა ნუკის საქციელი, მაგრამ ვერაფერს ეუბნებოდა. თითქოს ინტუიციით გრძნობდა, გოგონა რომ რაღაცას მალავდა, თუმცა რას, მისთვის ჯერჯერობით გაურკვეველი იყო. ბოლო დღეებია, სახეზე კმაყოფილი დაბნეულობა ახატია, ასეთი ოცნებააშლილი ჯერ არ უნახავს იგი...

მამაკაცმა ღრმად ამოიხვნეშა და სააბაზანოში შევიდა, სახე ცივ წყალს შეუშვირა. საშინლად იყო გაღიზიანებული. ხვდებოდა, რომ მისი სანუკვარი „მირანდა" (მეტაფიზიკური) ხელიდან უსხლტებოდა. სწორედ ამის ეშინოდა, ეშინოდა და გამართლდა კიდეც მისი შიში. ალბათ ვიღაც გაიცნო... ვიღაც შეუყვარდა... მისი ტოლი, მისი სწორი... ზურა დაამარცხა საკუთარმა გაუბედაობამ (იქნებ ასაკმა?), მოსპო, გაანადგურა. სარკეში ჩაიხედა და თავისმა გამომეტყველებამ გააოცა: განადგურებულის არაფერი ეტყობოდა, არაფერი ჰქონდა საერთო იმ ნანგრევებთან, რომელზეც მისი უბადრუკი სული ესვენა. არა, ეს არ იყო დამარცხებულის (თუ თავს არ უტყდებოდა?) სახე, მასზე მხოლოდ დაღლილობა იკითხებოდა, მაგრამ თვალების სიღრმეში (ფსკერზე), ძალიან ღრმად, რაღაც მსგავსი (დამარცხების ალმნიშვნელი) შეინიშნებოდა. რა იყო ის რაღაც? ბედს შეგუება? თუ ფარული კმაყოფილება, რომ ბოლოს და ბოლოს, აღარ გადაექცეოდა ტანჯვად, ამოეთქვა გულისნადები. განდობოდა თუ არა ჯონ უოტერჰაუსის გაცოცხლებულ ოცნებას...

ღმერთმა ხელი მოუმართოს. მან თავისი საქმე გააკეთა — უძრაობიდან გამოიყვანა ნუკი და გზა უჩვენა. დანარჩენი თვითონ იცის, დანარჩენი მისი საქმეა... ჰო, სწორად მიხვდა. ეს სწორედ ის იყო... სიკეთე, რისი დამარცხებაც შეუძლებელია. ადამიანებს რატომღაც ავიწყდებათ, რომ თუკი სიკეთეს თესავ, ცხოვრება — მთელი თავისი დაბრკოლებებით — მაინც მშვენიერია.

ენით აუწერელი განცდაა: დაეხმარო სხვას, როცა თავად საჭიროებ შველას. გაეცინა... არადა, სწორედ იმიტომ გაუწოდა ხელი, რომ თავისად დაიგულა. წამოიყვანა, თავშესაფარი მიუჩინა და შემდეგ... შემდეგ ყოყმანი დაიწყო, როგორც ჩვიდმეტი წლის ბიჭმა — ვუთხრა, არ ვუთხრა, ვუთხრა, არ ვუთხრა... თურმე ჭაღარას, გამოცდილებას, შეცდომებს და წლებს მნიშვნელობა არ ჰქონია. ყოველ ჯერზე, როცა ნუკი შინ არ დახვდებოდა, ყმაწვილივით გულაჩქროლებული ელოდა მის დაბრუნებას. ის მოვა, მოვა, მოვა... მოვა და ეტყვის... ყოველ წუთს არწმუნებდა თავის თავს... მაგრამ ის მოვიდოდა და კვლავ უკან იხევდა. ასაკი ბოჭავდა ყველაზე მეტად (და შეუძლებლობის განცდაც). ოჰ, ეს ასაკი! მას კარგი აღზრდა ჰქონდა მიღებული, რასაც შემდგომში ევროპული ეთიკის წესების ცოდნა დაემატა... ეს კი ისე კედელივით აღიმართა მათ შორის, ნორმიდან ამოვარდნის უფლებას არ აძლევდა. სწორედ ამან აიძულა, უკან დაეხია და მთავარი სათქმელი გულში ჩაეტოვებინა...

არა უშავს, დრო გავა და დამშვიდდება, სინანული ხინჯად აღარ დარჩება გულში. რა თქმა უნდა, ყველაფერი არ გაივლის, ცოტა რაღაც დარჩება, იცოცხლებს მოგონებებში, მაგრამ გახსენება ისე მტკივნეულად აღარ აუტოკებს გულს, როგორც ახლა. ასეა, როცა ყველაფერი გაივლის, ეგუები არსებულ ვითარებას და აგრძელებ ხვალინდელი დღის რწმენას...

ამ ფიქრებით გულდამძიმებულმა ვერც კი გაიგო, როდის შემოვიდა ნუკი.

— არ წახვედი? — გაოცებული მზერა მიაპყრო გოგონას.

— კი, როგორ არა, ვიყავი და მოვბრუნდი, — ნუკიმ ამოიოხრა და ჩანთა ტახტზე მიაგდო.

— რატომ?

— თათული გასვენებაში წავიდა, მე კი საქმე არაფერი მქონდა. მარტო მომბეზრდა ყოფნა. თანაც, დღეს შაბათია და...

— მერედა, შაბათს მეტი ალბათობა არ არის, რომ კლიენტი მოგადგეთ? ვფიქრობ, აჯობებდა, რომელიმე მაინც ყოფილიყავით იქ, — შენიშნა მამაკაცმა.

— არ აჯობებდა. ვიცი, რაც ჯობია, — თავდაჯერება გაისმა მის ხმაში, — გშია?

— არა, — უკმაყოფილოდ გადააქნია მამაკაცმა თავი, — მაინც არ მესმის თქვენი... ჯერ წესიერად მუშაობა არც დაგიწყიათ და უკვე...

— დამშვიდდი, ზურა, — გულგრილად გააწყვეტინა გოგონამ, — რამდენიმე დღეც და აღარ შეგაწუხებ ჩემი აქ ყოფნით.

— ეგ რა შუაშია? — თვალები გაუფართოვდა მამაკაცს.

— ვიცი, რაც გაწუხებს... წარამარა ფეხებში რომ გედები. მალე გადავალ, — უპასუხა გოგონამ და თითქოს მოცახცახე ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე.

რა სულელია! საიდან მოიტანა? არა, სულაც არ არის ეგრე! ზურას მართლა არ უნდა, ნუკიმ აქაურობა დატოვოს. ასე ადვილად ვერ შეელევა მას. ის იმდენად განსაკუთრებულია, იმდენად არაჩვეულებრივი, რომ... რომ... ბროლის პეპელას ჰგავს — ხელი თუ შეუშვი, დავარდება და ნამსხვრევებად იქცევა.

რა ემართება? რამდენჯერაც თვალებში შეხედავს ამ საოცრებას, იმდენჯერ სურვილი უჩნდება, მკლავები მოხვიოს და გულში ჩაიკრას. რა მოხდება, ასე რომ მოიქცეს ახლა, ამწუთას? მაგრამ თავი რომ ვერ შეიკავოს? მაგრამ მხოლოდ გულში ჩაკვრით რომ არ დამთავრდეს ეს მკლავების მოხვევა? ამის წარმოდგენაც კი საკმარისი გახდა, აღგზნებულიყო. სხეული აუმხედრდა თითქოს, მთელი არსებით ნუკისკენ იწევდა... ფრთხილად, ყმაწვილო! — შეუძახა თავის თავს, — ჯენტლმენური ზრდილობის წესები ხომ არ დაგავიწყდა? დაოკდი, ზურიკ!

— მოდი, არ იჩქარო გადასვლა, კარგი? — რაც შეიძლებოდა, დაყვავებით უთხრა, — მე არაფერში მეშლება ხელი. არც გაიფიქრო მსგავსი რამ. პირიქით, ისე შეგეჩვიე, ვერც წარმომიდგენია, უშენოდ როგორ უნდა ვიცხოვრო მარტო, — სწრაფად მიაყარა წინადადებები ერთმანეთს და როცა დაამთავრა, თავადაც გაუკვირდა, როგორ შეძლო ასე გონივრულად მოეყარა თავი სათქმელისთვის.

— ასე მგონია, ამირანივით გულში მღერი: „ჭრელო პეპელა, ნურც მოფრინდები, ნურც გაფრინდები“, — დამცინავად გაიღიმა ნუკიმ და ენა ხმაურიანად გაატკლაცუნა (თითქოს ფლოქვების თქარათქურის ხმა გამოსცა) და ზურამ ყურადღებით (ვნებანარევით) შეხედა მის პრიალა (ვარდის ფურცელივით) ტუჩებს... რამდენი დღეა, არ უკოცნია? სამი? ოთხი? იქნებ რვა ან ცხრა?..

და წარმოიდგინა (ლამის ცხადად) როგორ ხარბად დააკვდებოდა ამწუთას სხეულის ამ ყველაზე მოძრავ (უფრო მგრძნობიარე) ნაწილს (თუ ორგანოს). ამის გაფიქრებამ ოდნავ დაუამა თავის ტკივილი, რომელიც წუხანდელი ღამის შემდეგ არ განელებია. ამის გამო დღეს სამსახურშიც არ წავიდა. მორჩა, ალარაფერი ეშველება... ყურებამდეა ჩაფლული ამ სასიამოვნო (თან უსიამოვნო) გაუგებრობაში. ახლა მხოლოდ იმაზე უნდა იფიქროს, რაც შეიძლება, ნაკლები „დანაკარგის“ გარეშე დაიძვრინოს თავი ამ ულამაზო ისტორიიდან. უნდა დაიძვრინოს, მაგრამ...

— მაოცებ... — მხოლოდ ეს წარმოთქვა და ისეთი გამჭოლი მზერა ესროლა გოგონას, ეს უკანასკნელი ადგილს მიელურსმა.

კარგა ხანს მისჩერებოდნენ ერთმანეთს და არც ერთი ხმის ამოღებას არ აპირებდა. ისევ ზურამ სცადა ჯიუტი (თუ უხერხული) დუმილის დარღვევა.

— დიდხანს უნდა ვიყოთ ასე?

— როგორ — ასე? — აგდებული ტონით იკითხა ნუკიმ.

— საჩხუბრად გამზადებული მამლებივით, — გაღიმება სცადა.

— სულაც არ გეჩხუბები, — მხრები უდარდელად აიჩეჩა გოგონამ, აშკარად გრძნობდა უპირატესობას.

— მაშინ კრიჭაში რატომ მიდგახარ?

— არც კრიჭაში გიდგავარ. უბრალოდ, ჩემი სათქმელი გითხარი. ვიცი, რაც გაწუხ...

— შენ არაფერიც არ იცი! — მისდა უნებურად დაიყვირა ზურამ და თვალები რისხვით აენთო. — და ნუ თამაშობ ჩემს ნერვებზე, — საჭიროზე მეტი სიმშვიდით დაამატა ბოლოს.

ნუკისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა მამაკაცის ასეთი უეცარი გარდასახვა. შენელებული კადრით რომ შეეხედა ამწუთას მისთვის ვინმეს, ნათლად შეამჩნევდა, როგორ გაუფართოვდა გოგონას გუგები და ამავდროულად, გაოგნებისგან ტუჩებიც გაეპო (ერთდროულად).

სწორედ ამ დროს ნუკის მობილური ტელეფონი აწკრიალდა. გოგონამ თვალებით ჩანთას დაუწყო ძებნა. დაბნეული მივარდა ტახტზე მიგდებულ ჩანთას და ანერვიულებულმა კარგა ხანს ეძება ტელეფონი. როგორც კი ამოიღო და ეკრანს დახედა, ალმურმა გადაჰკრა სახეზე — დისპლეიზე დაწერილი ნომერი პლუს 7-ით იწყებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გია ურეკავდა მოსკოვიდან. ლამის სირბილით შევარდა საძინებელში, სასწრაფოდ გამოაღო ფანჯარა და რაფას ნახევარი ტანით (ლამის მთელი სხეულით) გადაეკიდა, რომ მისი ხმა მაქსიმალურად გარეთ გასულიყო, სივრცეში და ზურას არ გაეგონა.

— გისმენთ, — ამოთქვა სუნთქვაშეგუბებულმა.

— აბა? სადა ვართ და როგორ ვართო? — სითბოდ ჩაეღვარა სხეულში მამაკაცის ბუბუნა ხმა.

— რომელი ხარ? — ყასიდად მაინც ჰკითხა, გაიკეკლუცა.

— გია ვარ, გოგო, რა გჭირს!

— გია, შე-ენ? როგორ გამახარე, რომ იცოდე! არ ველოდებოდი შენს ზარს.

— არ ელოდებოდი? ვითომ რატომ? ხომ გითხარი, ჩავალ და დაგირეკავ-მეთქი.

— უკვე რამდენი დღეა, ჩახვედი, მაგრამ დღემდე არ დამირეკე. მეგონა, დამიმესიჯებდი მაინც, არც ეს გააკეთე..

— მაგასაც ვიზამ, როცა საჭიროდ მივიჩნევ. როგორ ხარმეთქი, — გიამ „დაურეკაობის“ ახსნა-განმარტებას ოსტატურად აარიდა თავი.

— კარგად, ახლა კარგად ვარ.

— ახლა? აქამდე რა გჭირდა?

— ახლა შენი ხმა გავიგონე და იმიტომ ვარ კარგად.

— აჰა... ეგ კარგია. სად ხარ?

— აქ ვარ.

— სად აქ?

— შენთან, შენ გელაპარაკები.

— გენაცვალეო მე შენ! — ენამოჩლექით გამოთქვა მამაკაცმა და აბუზუნდა. — როგორი ეშმაკი მყავხარ.

— შენ როგორ ხარ?

— მეც არა მიშავს რა. ჯერჯერობით ვზვერავ სიტუაციას.

— მოაგვარე საქმეები?

— ვაგვარებ ნელ-ნელა. ხვალ მაქვს შეხვედრა, დილის 11 საათზე.

— რა ხმაური ისმის? — ნუკის არეული ხმები ესმოდა მობილურიდან.

— ბარში ვართ ბიჭები, ლუდს ვსვამთ, სიხ.

— ააა! ესე იგი, ცელქობ.

— არა, რას ვცელქობ, „ვლუდაობთ“ ცოტას. ისე რუსის ნაშები კი გვაბამენ შორიდან. თან ინგლისურად ვლაპარაკობ და მთლად გაგიჟდნენ, უცხოელები ვგონივართ! — მისებურად გაიცინა გიამ.

— მერე შეები შენც, რას კარგავ? — აჰყვა ხუმრობაში გოგონა.

— აბა, კი! მეტი საქმე არა მაქვს, ახლა ამათთვის დავხარჯო დრო და ენერგია.

— რატომ, რატომ, სლავებს კარგი ქალები ჰყავთ.

— როცა შენნაირი მელოდება თბილისში, ესენი რა ჭირად მინდა, ნუუკ. ჩემი სიცოცხლე ხარ შენ.

ნუკი სიამოვნებისაგან დაიღვენთა, თან შებოჭილად გრძნობდა თავს, ასე ეგონა (უფრო უნდოდა), ზურა კარს იყო მოყურადებული და მის საუბარს ისმენდა.



— შენ კი ჩემი, — ვერ მოითმინა თვითონაც.

— გენაცვალე მაგ ლამაზ გულში. წავედი ახლა და ჭკვიანად იყავი. იცოდე, არ გამაბრაზო.

— რამდენ ხანში ჩამოხვალ? — დაიწუწუნა გოგონამ.

— მალე, ნუკი, მალე ჩამოვალ. დამელოდე და არ იცელქო იცოდე, იქ, — კვლავ გაიცინა გიამ.

— თუ მალე ჩამოხვალ, არ ვიცელქებ, თუ არა და, ვერ შეგპირდები, — კიდევ უფრო აკეკლუცდა გულანთებული.

— ნუ მაბრაზებ, თორემ მოგხვდება ერთ ადგილას, იცოდე! — შორიდან მიესიყვარულა გია. — აბა, წავედი და ჭკვიანად, სიცოცხლევ!

— გკოცნი უთვალავს.

— მეც გკოცნი ბევრზე ბევრს... დაგიმესიჯებ.

ნუკი გონზე არ იყო. თითქოს ფრთები შეესხა. უცნაურად ამსუბუქებულმა (და ალტყინებულმა) ფანჯარა მიხურა, ტელეფონი საწოლზე დაუდევრად მიაგდო და თვითონაც გარდიგარდმო გადაემხო არაბულ ტახტზე, საბანში ცხვირპირჩარგული. უყვარს, უყვარს, უყვააააარს! რა კარგი გრძნობაა, ღმერთო, რა სასიამოვნო! სად იყო აქამდე? უნდოდა ემღერა, ეცეკვა, ეყვირა, ციბრუტივით ეტრიალა, ოღონდ კი დაეხარჯა ეს სიხარული, ოღონდ კი გაეზიარებინა ვინმესთვის, მაგრამ... სამწუხაროდ, ერთი ადამიანიც არ ჰყავდა (არც ეგულებოდა) გვერდით ისეთი, ვისაც თავის განცდებს (და საიდუმლოს) გაუზიარებდა. აქ კი ჩაფიქრდა. ნუთუ მართლა არავინაა მის გარშემო ასეთი? ნელი? არა, ნელის ვერ ეტყვის, ნელი ვერ გაიგებს ამას. მას მხოლოდ მაშინ გაანდობს, როცა საქმე სერიოზულ ურთიერთობამდე მივა. აი, მაშინ კი დააყენებს მეგობარს ფაქტის წინაშე. ზურას ხომ ვერ ეტყვის და ვერა. სხვა კი მართლა არავინ ჰყავს. აი, ეკას რომ არ დაშორებოდა, მას გადაუშლიდა გულს (თანაც როგორი სიამოვნებით). რა ქნას აბა, მისი სიფრიფანა გული ვერ იტევს ამხელა სიხარულს მარტო. ვიღაცას უნდა გაუზიაროს (თუ გადაუნაწილოს) იგი. ამას წინათ კი შეეხმიანა ეკა „ოდნოკლასნიკებში“, მოიკითხა, ბოდიშიც მოუხადა, მაპატიე, რომ უნებლიეთ დაგწამე ცილიო. ნუკი ამას ნამდვილად არ ელოდა მისგან. ის კი არა, ისე გაუხარდა, ეკამ რომ მოსწერა, რომ სანამ ბოდიშს მოუხდიდა, ლამის მანამდე აპატია შეურაცხყოფა, ისეთი აღტაცებით შეხვდა. სულ კოცნები და გულები უგზავნა. ახლოს მაინც იყოს, მოუყვებოდა თავის ამბავს. იქნებ ჯერ არ ღირს? წამით დაფიქრდა. ზედმეტად ხომ არ არის აცეტებული?

მოულოდნელად მესიჯის სიგნალი გაისმა. „აჰა, უკვე მომწერა! ველარ ითმენს ისიც. რა კარგია ხანდახან სიშორე, ძლიერი მონატრება იცის“, — გაიფიქრა ყურებამდე გაღიმებულმა და ტელეფონს სტაცა ხელი. ამჯერად შეცდა, თუმცა არანაკლებ სასიხარულო წერილი მოუვიდა. რატი იყო, მისი ახალგამოჩენილი (თუ აღმოჩენილი), ლამაზხმიანი უმცროსი ძმიკო.

„ნუკი, როგორ ხარ? გვენატრები ძალიან. როდის გვინახულებ? დედამ შემჭამა, მას შემდეგ, რაც დაგირეკე, სულ ტირის, ისე უნდა შენი ნახვა. მეც ძალიან მინდა ეს“, — სწერდა ბიჭი.

„ჩემო სიხარულო, არ იცი, მეც როგორ მინდა შენი გაცნობა. ძალიან მაინტერესებს, როგორი ხარ. ცოტაც მაცალე და აუცილებლად ჩამოვალ. აი, ნახავ. სულ ცოტა ხანი მაცალე, კარგი?“ — გაუგზავნა პასუხი და თვალები ცრემლით აევსო, თუმცა დედა მაინც არ მოიკითხა, არც კი ახსენა. არადა, ვინ იცის, როგორ ელოდებოდა ჯულიეტა შვილისგან სწორედ ამ მოკითხვას. დედის ხსენება კი არა, მხოლოდ რატის გარშემო იტრიალა მისმა დაწერილმა სიტყვებმა.

რა კარგია, ძმა რომ ჰყავს. მალე გაიცნობს და ყველაფერს უამბობს. ის გახდება ნუკის მესაიდუმლე. ვინ იცის, იქნებ დედაც... ნეტავ, როგორ გამოიყურება დედამისი? თავის დროზე ლამაზი ყოფილა, ნუკიზე ლამაზიც კი. თავს არ უტყდება, თორემ ძალიანაც აინტერესებს, როგორი ქალია დედამისი, როგორ გამოიყურება. არა უშავს, სადაც აქამდე ითმინა, ცოტას კიდევ მოითმენს. ერთხელაც დაურეკავს რატის, მოვდივარო, — ეტყვის და გაემგზავრება. წამით წარმოიდგინა, როგორ დახვდებოდნენ სადგურზე დიდი ხნის უნახავ დას (და შვილს) ძმა და დედა... იქნებ მეზობლებიც? მთელი უბანი (და ნათესაობაც) რომ გამოვიდეს მის დასახვედრად. გასაკვირი არაფერია.

კვირას ზურას არ უწევდა მუშაობა, მაგრამ მაინც წავიდა ოფისში. ეს ბევრად უსაფრთხო იყო, ვიდრე მთელი დღე შინ, ნუკის სიახლოვეს ჯდომა. იგი მაქსიმალურად გაურბოდა ამას. თუმცა, შუადღე მოახლოვდა თუ არა, საკუთარი თავი იმაში დაიჭირა, რომ სამსახურშიც ვერ ძლებდა, იქაც აუტანელი გამხდარიყო ყოფნა... ადგა და წამოვიდა. როგორც კი ბინის კარი შეაღო, უთომომარჯვებული ნუკი შეამჩნია სასტუმრო ოთახში, რომელიც მის პერანგებს აუთოებდა.

— დღე მშვიდობისა! — მხიარულად შესძახა მან, როგორც კი ზურა დაინახა. — ასე ადრე არ გელოდი.

მამაკაცმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და საყვედურით სავსე ტონით მიმართა.

— რა დღეში ხარ, ნუკი? იმისთვის კი არ წამოგიყვანე მცხეთიდან, რომ ჩემთვის იმუშაო. თვითონ მივხედავდი მაგას.

— ვერ ამჩნევ, რომ ბოლო ხანებში ჯუჯღუნა გახდი? ადრე ასეთი არ იყავი. ასე ძალიან გიშლი ხელს? — გოგონას წელანდელი მხიარული ტონი სადღაც გამქრალიყო.

ზურამ პერანგის საყელო შეიხსნა და სავარძელში ჩაჯდა.

— როდის ადრე? — ინტერესით შეეკითხა.

— ნუ... იცი შენ... როდის.

— არა, არ ვიცი. რატომ არ გინდა, მითხრა?

— რა თქმა გინდა? არც ქობულეთში იყავი ასეთი და არც მცხეთაში. რაც აქ ჩამოვედით, სულ მთლად შეიცვალე.

— აჰა... სულ მთლად, ესე იგი, არა? და როგორ გგონია, რამ შემცვალა?

— ეგ შენ უნდა იცოდე, მე რას მეკითხები.

„შენმა სიახლოვემ“, — გაიფიქრა მამაკაცმა და ღრმად ამოიხვნეშა, თქმით არაფერი უთქვამს.

— ნუკი, — შეცვლილი ხმით დაიწყო უცებ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, — რაღაც მინდა გკითხო, ოღონდ გულწრფელად მიპასუხე, კარგი?

— კარგი. მკითხე.

— მაშინ, ბავშვობაში, მოგწონდი?

გოგონა არ ელოდა ამ შეკითხვას და დაბნეულმა უაზროდ ააფახულა წამწამები. ერთხანს ფიქრობდა, სიმართლე ეთქვა თუ მოეტყუებინა. ზურა დაჟინებით უყურებდა, თვალს არ აცილებდა დაბნეულს.

— თუ სიმართლე გაინტერესებს, ცოტას ვეჭვიანობდი კიდეც სხვა გოგოებზე, — აღიარა ბოლოს წამოჭარხლებულმა, — მინდოდა, ცოტათი უფროსი ვყოფილიყავი ასაკით და ცოტათი უფრო ლამაზიც, რომ შენ შეგემჩნიე.

— ყოველთვის გამჩნევდი, — შენიშნა ზურამ.

— მატყუებ. ერთხელ გამიღიმე ადამიანურად და მკითხე, როგორ ხარო. ეგ იყო სულ.

— და შენ რა მიპასუხე? — ფართოდ გაეღიმა მამაკაცს.

— რა უნდა მეპასუხა? შემრცხვა და გავიქეცი, — ნუკისაც გაეღიმა.

— მაგრამ მე სულ კიკინებზე გექაჩებოდი. ასე არ იყო? როგორ გგონია, რატომ? მეც მომწონდი და იმიტომ.

ნუკიმ თავი ასწია, თმა უკან გადაიყარა და გამჭოლი მზერა ესროლა. მამაკაცმა მრავლისმეტყველად გაუღიმა.

— რა, არ გჯერა?

— კი, როგორ არა, — ირონია გაისმა მის პასუხში.

— შენ რატომ არ წახვედი სამ-

უშაოზე? — სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი ზურამ.

— თათულიმ მითხრა, დღეს მე დავრჩებიო. აწი ასე გავაკეთებთ, შაბათ-კვირას მორიგეობით დავრჩებით, რომ კვირაში თითო დღე დავისვენოთ, სანამ საბოლოოდ გადავალ იქ, — ბოლო წინადადება ხაზგასმით წარმოთქვა.

— შენც შეიცვალე ბოლო ხანებში, — შესამჩნევად ხმადაბლა გამოუვიდა მამაკაცს, როცა მისთვის საჭირბოროტო თემას შეეხო.

— მე-ე? — კვლავ წამოჭარხლდა ნუკი. — რატომ? რაზე მეტყობა?

— ყველაფერზე... რაღაცნაირი გახდი.

— რანაირი რაღაცნაირი?

— შენ უკეთ გეცოდინება, — მხრები აიჩეჩა ზურამ, სამზარეულოში გავიდა, რათა პირგამშრალს (ნერვიულობისგან) წყალი დაელია და რამდენიმე წუთში კვლავ შემობრუნდა (უკვე შესამჩნევად დამშვიდებული).

რა ემართება? შემთხვევით, ხომ არ შეუყვარდა ეს ძნელად მოსარჯულებელი გოგო? ფაქტია, ეჭვიანობს. თუ ეჭვიანობს, ესე იგი, ცუდად არის საქმე. არა, არ უნდა მიიყვანოს სიყვარულამდე ეს ურთიერთობა, თორემ თავის მთავარ (მამოძრავებელ) პრინციპს გადაუხვევს — არასდროს დავქორწინდებიო. რაში სჭირდება ცოლი? არ ღირს გარისკვად. ზედმეტი საზრუნავია (უფრო პასუხისმგებლობა) მისთვის. ცხოვრობს კომფორტულად (და თავისუფლად), ტვინს არავინ უბურღავს, აქვს საინტერესო სამუშაო... წრე, რომელშიც ტრიალებს, სრულიად მისაღებია მისთვის და არც სათავგადასავლო (თუ სასიყვარულო) ამბები (თუმცა ხანმოკლე) აკლია. რამდენი წელი დასჭირდა, ამ ყველაფრისთვის რომ მიეღწია და ახლა, ამ ასაკში საკუთარი ნებით გაყოს თავი ყულფში? არავითარ შემთხვევაში!

მაგრამ... მაგრამ ადრე მსგავსი რამ არც განუცდია. მას არასდროს უცხოვრია სახლში, სადაც, სამსახურიდან დაბრუნებულს, სიმყუდროვე, ცხელი სადილი და ვნებიანი ქალი დახვდებოდა. ესეც ხომ კარგია? უნდა აღიაროს, რომ კარგია (უფრო მეტიც, არაჩვეულებრივი). საინტერესოა, რომ სცოდნოდა, ასეთ დღეში ჩავარდებოდა, წამოიყვანდა ნუკის თავისთან? ასე მორჩილად გაებმებოდა თავისსავე დაგებულ მახეში?.. დაფიქრებული მზერა მიაპყრო გოგონას, რომელიც დაუთოებულ პერანგს საგულდაგულოდ კეცავდა... ალბათ (უეჭველად) წამოიყვანდა. თუ აღიარებაა, აღიარება იყოს.

— იცი, ასე რატომ შევიცვალე? — ზურასთვის მოულოდნელად ალაპარაკდა ნუკი.

მამაკაცმა წარბები აზიდა, არ მოელოდა.

— არ ვიცი, — შეეცადა, რაც შეიძლებოდა, მშვიდად წარმოეთქვა.

— ამას წინათ ჩემი ძმა გავიცანი, — გააგრძელა ნუკიმ, თითები იქვე მდგარ წყლიან ჯამში დაისველა და შემდეგი პერანგის დანამვას შეუდგა.



— ძმაა? აბა, ძმა! შენ რა, დედმამიშვილიც გყავს?

— მყოლია თურმე... მეც არ ვიცოდი.

— და საიდან გაიცანი? ვინ გითხრა, რომ შენი ძმაა?

ნუკიმ რატის ამბავი უამბო. გაოცებული ზურა მდუმარედ უსმენდა, სანამ გოგონა სათქმელს დაამთავრებდა.

— ახლა რას აპირებ?

— რა ვიცი... წავალ ალბათ.

— ეს კარგი ამბავია... ძალიან კარგი, — დაბნეული ალაპარაკდა მამაკაცი, — უნდა წახვიდე, აბა, რა... გინდა, მეც წამოგყვე?

— შე-ენ?

— ჰო, მანქანით წავიდეთ. რატომ უნდა იარო ავტობუსით ან მატარებლით... წავალთ და წამოვალთ, თუკი ეს შენთვის....

— არა, რატომ... კარგი აზრია, ძალიან კარგი. წავიდეთ ერთხელაც. როცა... როცა...

— რა როცა? — ვერ მიუხვდა.

— როცა ცოტა ფულს მოვაგროვებ. ხელცარიელი ხომ ვერ ჩავალ, — მზერა აარიდა გოგონამ და მთელი ძალით გაუსვა უთო თეთრ პერანგს.

— გასაგებია. შენ, მთავარია იცოდე, რომ მზად ვარ. თუ რამეში დაგჭირდე, ყველაფერში დაგეხმარები... ფულითაც კი, სხვათა შორის, — შეაპარა ბოლოს და მალულად გახედა.

— ვიცი. დიდი მადლობა, ისედაც დავალებული ვარ შენგან. მოვიფიქრებ, ჯერ ცოტათი დაბნეული ვარ.

— ეგ სასიამოვნო დაბნეულობაა, ბედნიერი ხარ, ძმა რომ გამოგიჩნდა. მეც ვინატრებდი შენს ადგილას ყოფნას, — თბილად გაუღიმა მამაკაცმა და როცა გააანალიზა, რომ ნუკის ბოლოდროინდელი „ოცნებააშლილობა“ სიყვარულის სამკუთხედს არ უკავშირდებოდა, შვებით ამოისუნთქა, ოღონდ ისე, რომ ნუკის არ შეემჩნია.

ოქტომბერი უფრო თბილი აღმოჩნდა, ვიდრე შემოდგომას „ეკადრებოდა“. ნუკიმ უკვე აუღო ალღო სამუშაოს. მოუმრავლდათ ქალებს შეკვეთები. საქმე თავზე საყრელად ჰქონდათ. გოგონა ხშირ შემთხვევაში გვიანობამდე რჩებოდა სამკერვალოში, ხანდახან ღამითაც კი. ზურა თითქოს შეეჩვია კიდეც მის ასეთ გრაფიკს. ნუკის საქციელში ბოლო ხანებში საეჭვოს ვერაფერს ხედავდა. ასე რომ, „მესამე ზედმეტის“ არსებობა უკვე გამორიცხა.

არადა, ნუკი გიასთან ურთიერთობას მესიჯებით აგვარებდა. დღე არ გავიდოდა, მამაკაცს თავი არ შეეხსენებინა. ხანდახან მთელი ღამე მესიჯობდნენ, სანამ რომელიმე მათგანს არ ჩაეძინებოდა. მეორე დღეს კი ამაზე ერთმანეთს დასცინოდნენ. აი, გუშინწინაც დიდხანს გზავნეს წინ და უკან შეტყობინებები. მამაკაცი ჰპირდებოდა, მალე ჩამოვალო, მაგრამ ეს „მალე“ არა და არ დგებოდა.

გოგონა თან ფიქრობდა, თან გამალებული კერავდა. ხვალ დილით უნდა ჩაებარებინა კლიენტისთვის საღამოს კაბა და მოსწრებაზე იყო. მუშაობა მობილურის ზარმა გააწყვეტინა. უნებურად შეწყვიტა კერვა და მიაყურადა. ხომ არ მოეჩვენა? გიას აქაურ ნომერზე განსხვავებული ზარი ეყენა. მოსკოვის ნომერი კი ცალკე ჰქონდა ჩანიშნული, როგორც დროებითი. ახლა კი ზარი აშკარად ქართული ნომრიდან შემოდიოდა. ნუთუ ჩამოვიდა? ლამის გაუჩერდა გული...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# გზავნილები

## ყველაზე მხიარული ამბავი

მარი ჯაფარიძე

**მივესალმები მკითხველს და მთელი გულით მოვიკითხავ. არა და არ გვეღირსა გაზაფხულის მოსვლა, მაგრამ ხომ იცით, იმედი ბოლოს კვდება და მეც ვიმედოვნებ, რომ მალე დათბება და გაზაფხულს მთელი თავისი მშვენიერებით შევიგრძნობთ. მაგრამ გაზაფხულს უამრავი სიახლეც მოჰყვება ხოლმე და ჩემს ცხოვრებაშიცაა რაღაც ახალი, რასაც ახლა გაგიმხელთ: დარწმუნებული ვარ, არ გეცოდინებათ, რომ მე სტრატეგიული გეგმების შემუშავების დიდოსტატი ვარ... თქვენ საიდან გეცოდინებათ, მეც ახლახან, წინა კვირაში გავიგე. ვინ მითხრა და.... ვინმე გორელმა ქალბატონმა, რომელმაც ტელეფონით დამირეკა და ირონიული ტონით დამანამუსა: არ გრცხვენია, გორელ ინგას რომ ემესიჯები? გაბმული გაქვთ აბლაბუდა და ერთ ამბავში ხართო? ჯერ მეგონა, ვიღაც ხუმრობდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ სრულიად სერიოზულად მელაპარაკებოდა. ქალბატონო, უსაქმური ხომ არ გგონივართ, გორელ ინგასთან სამესიჯოდ კი არა, თავის მოსაფხანად არ მცალია-მეთქი. რა ვიცი, სტრატეგიულ გეგმებს კი კარგად ადგენ, თუ არ გცალია, მაგას როგორ ახერხებ? მე შენთან სალაპარაკოდ არ მცალია და ჭკუით იყავი, ჭკუიდან არ გადამიყვანოო, დამემუქრა, გამომლანძღა და ყურმილი დაკიდა. კარგა ხანს ვრეკავდი იმავე ნომერზე, მაგრამ ქალბატონმა ჩემთან ლაპარაკი აღარ ისურვა. ყურმილს აიღებდა (ქალაქის ტელეფონით დარეკა), ჩემს ხმას გაიგონებდა და ისევ თიშავდა. მოკლედ, ძალიან მინდა დავადგინო, რა უნდოდა ამ ქალს და რომელ სტრატეგიულ გეგმაზე მელაპარაკებოდა; ან რატომ გავილანძღე უსამართლოდ? ჰოდა, რადგან ჩემთან ლაპარაკი არ სურს, იქნებ თქვენ მაინც გაგცეთ პასუხი. აგერ, მისი ნომერი და ძალიან დამავალებთ, თუ რამეს დაადგენთ — 8-370-7-03-69. ახლა კი თქვენს მხიარულ ამბებს მივხედოთ.**

## უპატარძლო ქორწილი

„ლაშა შავებში ჩაცმულ ხალხთან ერთად იჯდა „მარშრუტკაში“ და მდუმარედ შეჰყურებდა სკამებს შორის ჩაჭედილ, უამრავ სახეჩამოღვენთილ ადამიანს... საერთოდ, ჩემი და ჩემი მეგობრების მთავარი პრობლემა ამდენი მოწყენილი, დეპრესიული ადამიანის ყურებაა და ყოველთვის ვცდილობთ, დაძაბული სიტუაცია იუმორით განვმუხტოთ... უძრავ ტრანსპორტში ამან არ გაჭრა... ნელ-ნელა, ტყავგადაქერცლილ სავარძლებს შორის სახეჩამოღვენთილთა რიცხვმა იმატა და „მარშრუტკაც“ დაიძრა (უცნაური დამთხვევაა, მაგრამ ჩემმა მეგობარმა ლაშამ, რომლის შესახებაც თქვენთვის არაერთხელ მომიყოლია, ცხოვრების ორივე სიყვარული „მარშრუტკაში“ იპოვა).

— გააჩერეთ, გთხოოვთ, გააჩერეთ! — ხელის ქნევით გადმოჭრა გზა ახალგაზრდა გოგონამ და სირბილისგან გულაჩქარებული ამოვიდა, „მოწყენილობის სუნით“ გაჟღენთილ ტრანსპორტში...

— გადმობრძანდით, დაგსვამთ, — ჯენტლმენობა გამოვიჩინე.

სანამ მე წელში მოხრილობა მტანჯავდა და გონებაში დაბალჭერიანი ავტოს შემქმნელს „ვლოცავდი“, ლაშამ არნახული დიალოგი გააბა „ამოსწრებულთან“ და უკვე ქორწინებაზეც ალაპარაკდნენ... მეგი ყველანაირად ჯდებოდა საძმაკაცოს გემოვნებაში... კონტაქტური, საყვარელი, მხიარული... ერთი სიტყვით, ჯიგარი გოგო აღმოჩნდა, რა...

— გიო, როგორ ხარ, ბიჭო, დიტო ვარ, — დილით როხროხა მეგობრის ხმამ გამომაღვიძა...

— კარგად, დიმიტრი, შენ? — ნახევრად აზრზე მოსულმა ვუპასუხე...

— რა ვი, ბიჭო, ახალი ამბავი არ გაგიგია? ლაშას ახალი წევრი შეუვიდა ოჯახში და — ბიჭებს გააგებინე, საღამოს გელოდებითო, დაგვიბარა. ჰა, არ დავასველოთ? — „მუცელაღრუტუნებულობა“ ისმოდა მის ხმაში...

— ვააა, რა მაგარია, ე! მიდი ძიმკა, ჩვენს ბიჭებს დაურეკე და საღამოსკენ დავაცხრეთ თავს ცოლიან კაცს, — უკვე გონზე მოსულმა, სიცილით ვუპასუხე და ტელეფონი გავთიშე...

საძმაკაცოში ჩამოცხა... ატყდა ერთი ვაი-ვიში — რა ვუყიდოთ, რომელ საათზე წავიდეთ, ტაქსით ჯობია თუ „მარშრუტკით“, საჩუქარი შევფუთოთ თუ არაა საჭირო? უამრავი საზრუნავი გაჩნდა, მაგრამ სურვილი და სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ ყველაფერმა უსწრაფესად ჩაიარა...

— ლაშ, გილოცავ, ძმა!

— გაიხარე, გიუშ, ჯიგარი ხარ!

— ჰა, როგორ გრძნობს თავს ახალ ოჯახში, ხომ არ ნერვიულობს და უჭირს? — დავუსვი კითხვა, რომელზე პასუხიც შესანიშნავად ვიცოდი...

— მერცხალივითაა, მერცხალივით, — ნათქვამს გულიანი სიცილი მოაყოლა...

— კაი, ლაშ, საღამოს მოვდივართ და იმიტომ დაგირეკე...

— კარგი, გიო, სახლში ვართ და გელოდებით...

ინტერესით აღსავსენი მივედით ქორწილში (ჩვენს საძმოში, ლაშა

ყველაზე გაბედული აღმოჩნდა)... სუფრა — ფანტასტიკური, ღვინო — უმაგრესი... გარემო, საყვარელი ადამიანები, გიტარა და რა უნდა მეტი ადამიანს იდილიისთვის? კარგად დაკვირვების შემდეგ მივხვდით, რომ აქაურობას რაღაც ნამდვილად აკლდა... სუფრას — ტყემალი? არა, აქვეა... ხაჭაპურიც ადგილზეა, ხელსახოციც... ააა, ხილი არ არის! ნაირა ბებო ვაზით ხელში უახლოვდება სუფრას...

— კი, მაგრამ ოჯახის ახალი წევრი სად არის? — წამოვიყვირე აღმოჩენით გაკვირვებულმა...

— არ იცი, ამ სოფლელი ბიჭების ამბავი, გიო? ცოტა ხნით წაიყვანეს და ხან ერთი შემოაჯდება ზედ, ხან — მეორე, წაიგდეს, რააა, — სრული სერიოზულობით მიპასუხა ლაშამ...

დიტოს ლუკმა გაეჩხირა ყელში, ნინი ჭიქიანად გაშეშდა, ლევანი სკამიდან გადავარდა, თქვენი მონა-მორჩილი კი სიცილისგან კინაღამ დაიხრჩო...

უხერხული დუმილი ისევ „სიძემ“ დაარღვია და შოკში ჩავარდნილ, უპატარძლო ქორწილში მისულ საზოგადოებას ამცნო: დედამ გერმანიიდან „ბეემვე“ გამომიგზავნა და იმის ჩემს ოჯახში შემობრძანებას აღვნიშნავთო. ყველამ დიტოს დავაბრალეთ ჩვენი უვიცობა. სად იყო და სად — არა, მეგიც მოვიდა და მომხდარზე გულიანად ვიცინეთ... ერთი კია, ქორწილისთვის საჩუქარი უკვე გამზადებული გვაქვს... მთელი სამეგობრო მოუთმენელად ველით „ორიგინალ“ ქორწილს და საქვეყნოდ გთხოვთ, მეგობარო: სთხოვე ხელი მეგის, ჩვენ დავიწვით თქვენი შემხედვარენი. P.S. საჩუქარი ისეთი შევარჩიეთ, რომ ცოტა ხანში გამოუსადეგარი გახდება და იმიტომ გვინდა თქვენი დაჩქარებული ქორწილი, მეტი კი არაფერი. რუისპირი (GREEN)“.

## ღარიბი კლიენტი

„აჭარაში ერთი ბიზნესმენი ცხოვრობს. ასაკოვანი კაცია — 60 წელს კარგა ხნის გადაცილებული იქნება. ფული და სიმდიდრე ჯერ კიდევ ძველთაგან მოსდგამს და ახლაც საკმაოდ მსუყედ ცხოვრობს. თუმცა, ვერც ადრე და ვერც ახლა, მისი გარეგნობით ვერ მიხვდები, რომ დიდი ფულის პატრონია. ყოველთვის ჩვეულებრივად აცვია, თმაც სულ გაბურძგნილი აქვს და სხვა პენსიონერებისგან — რომლებიც თვიდან თვემდე 70 ლარს ელოდებიან — არაფრით განსხვავდება. ჰოდა, ამ ჩვენს მდიდარ ბაბუას რამდენიმე შვილიშვილიც ჰყავს. ერთ-ერთს 18 წელი რომ შეუსრულდა, ბაბუმ თბილისში, „ტოიოტას“ ცენტრში წაიყვანა მანქანის საყიდლად. ისეთ დროს შევიდნენ, როცა ყველა კონსულტანტი ერთი გაბღენძილი კაცის გარშემო იყო თავმოყრილი. ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი კლიენტი მედიდურად დადიოდა აქეთ-იქით და თანამშრომლებს უამრავ კითხვას უსვამდა — ფასდაკლება თუ შეიძლებოდა, განვადების პირობები აინტერესებდა და ა.შ. ეს ჩვენი ბაბუა-შვილიშვილი კი დადიოდა ვიტრინაში გამოდგმულ მანქანებს შორის და ათვალიერებდა. კონსულტანტებმა ერთი კი გახედეს „ღარიბ“ კლიენტს, რომელსაც ქუსლმოღრეცილი ფეხსაცმელი ეცვა და იფიქრეს, შემთხვევით შემოეხეტაო და ისევ გაბღენძილ კაცს მიუბრუნდნენ (გაყიდული მანქანიდან კონსულტანტები პროცენტს იღებენ). ბაბუამ ერთ შავ ჯიპს დაადგა თვალი, რომელსაც ფასი — 60 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარებშიო, ეწერა.

— მოგწონს? — ბიჭს ჰკითხა.

— კი, — თავი დაუქნია შვილიშვილმა.

— კაი, ვიყიდოთ მაშვინ... აქ ვინაა? — სალაროსთან მივიდა და კონსულტანტებს გასძახა. — ფული ვის გადავუხადო? — ქურთუკის შიგნითა ჯიბიდან „პაჭკა-პაჭკა“ დოლარები ამოიღო და დაანახვა. — დროზე მომხედეთ, კაცო, აქ დასადგომად არ მცალია.

ყველამ მიატოვა ის ბღენძია კლიენტი და ეცნენ ამ მოხუცს გაოცებულები. დღემდე იხსენებს ჩემი მეგობარი ამ ამბავს, რომელიც მართალია, კარგა ხანია, იქ აღარ მუშაობს, მაგრამ მაინც არ ავიწყდება ის აჭარელი. მარკიზა“.

## მოდელირებული ქორწილი

„ერთი სახალისო ამბავი მაქვს თქვენთვის. მეზობლად ერთი ქალი ცხოვრობდა, რომელსაც ჩმორი ქმარი ჰყავდა. ცოლი მუშაობდა, ქმარს არჩენდა და



ესეც ხმას არ იღებდა. ქალი მუდამ გაპრანჭული და „გაკოხტავებული“ დადიოდა, ქმარს კი ერთი და იგივე ტანისამოსი ეცვა. ყველას უკვირდა ხოლმე, როცა ვასო თავის ცოლს თვალებში შესციცინებდა და მის სურვილებს უსიტყვოდ ასრულებდა. თქმაც კი არ სჭირდებოდა, ცოლი თვალებით აძლევდა ბრძანებებს. რაც მართალია, მართალია, მზიას მხრიდან ოჯახისა და ქმრის ღალატი არავის გაუგონია და არც არავის მოუბრუნდებოდა ენა, რომ მასზე აუგი ეთქვა. ერთ მშვენიერ დღეს მზიამ ვასოს გამოუცხადა, უცხოეთში ვაპირებ წასვლას, იქაური მოქალაქეობა უნდა მივიღოო. ვასო რას ეტყოდა? დაეთანხმა. მზია ყველასთან ამას ამბობდა, მალე მნახავთ, ევროპაში „გაჭენებულს“, საქართველოში ჩემს შესაძლებლობებს სრულად ვერ ვავლენ და ასპარეზი მჭირდებაო. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. შემდეგ მზიამ შინ მაღალი კაცი და ქერა, პუტკუნა ქალი მოიყვანა და ქმარს გააცნო: ეს ვახოა, ეს კი — მისი ცოლი მაია; ვახო ქართველია, მაგრამ უცხოეთის მოქალაქეა, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მასთან ყალბ ქორწინებას გავაფორმებ და ამერიკის მოქალაქე გავხდებიო. რამდენიმე ხანი დასჭირდათ საიმისოდ, რომ ვახოს — ცოლთან, მზიას — ვასოსთან განქორწინება გაეკეთებინა. შემდეგ, აქაოდა, ამერიკის საელჩო უნდა დავარწმუნოთ, რომ ნამდვილად ცოლ-ქმარი ვართო, მოდელირებული ქორწილის გადახდაც გადაწყვიტეს. ჰოდა, მზიკოს ქმარი, ვახოს ცოლი და ახლო მეგობრები ესწრებოდნენ ქორწილს. თეთრ კაბაში გამოწყობილი პატარძალი მორცხვად იღიმოდა, სურათიც ბლომად გადაიღეს და... აღმოჩნდა, რომ მართლა გაგვითხოვდა ჩვენი მზია... თურმე რა მოდელირებული ქორწილი, რის მოდელირებული ჯვრისწერა... ნაღდი ქორწილი გადაუხდიათ მტრედებს. ერთმანეთი ჰყვარებიათ ნამეტნავად და ასეთი გზა მოუძებნიათ ოჯახის შესაქმნელად. არ ვიცი, რამდენად სასაცილოა ეს ამბავი თქვენთვის, მაგრამ ვასოს და ვახოს ცოლს რომ არ გაეცინებოდათ, მაგაში დარწმუნებული ვარ. ადელფანი“.

## მერე რა...

„გამარჯობა ყველას. მე მთლად ახალი ვარ. ვიცი, რომ რაც ახლა დავწერე, წინა თემის შესაფერისია, მაგრამ მაშინ ველარ მოვასწარი გამოგზავნა და გადავწყვიტე, ახლა მოგწეროთ. მარიამ, იმედია, არ მიწყენ, რომ თემას არ ეხება და დამიბეჭდავ. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთ დილას ლოგინიდან მარცხენა ფეხზე ავდექი. ზაფხული იყო... 2010 წელი... მარცხენა ფეხზე ადგომა პირველად მაშინ შემეტყო, ჩაი რომ დავისხი და დედაჩემის ჩხუბთან ერთად რომ მომიწია მისმა დალევამ. ჩხუბის მიზეზი კი იმდენად მარტივი იყო, რომ შეიძლება, არც დამიჯეროთ: რატომ არ მიდიხარ სოფელშიო? სოფელს ვერ ვიტან... ბოლოს როდის ვიყავი, აღარც მახსოვს. ახლა კი დედაჩემი დამდგომია თავზე და ლექციებს მიკითხავს — საქმეები მაქვს და სახლში რომ ხარ, ვერაფერს ვაკეთებო. ბევრი რომ აღარ ვილაპარაკო, ჩავალაგე ტანსაცმელი (რაც ხელში მომხვდა), საჭირო ნივთები და გავემართე ავტოსადგურისკენ (ცხოვრებაში პირველად — მარტო). სოფელში რომ ჩავედი, მივხვდი, რომ ცხოვრება არც ისე უსამართლოა, რადგან დავინახე, როგორ თამაშობდა სტადიონზე რამდენიმე სიმპათიური ბიჭი. გვერდით რომ ჩავუარე, ერთ-ერთმა მომაძახა — ნახე, ბიჭო, რა მაგარი ფეხები აქვსო და ისევ სიკვდილი მომინდა. ამაზე საზიზღარ რამეს ვერავინ მეტყოდა. წამოვედი „დაგრუზული“. მოკლედ, მივედი ბებიასთან. ჩემი დანახვა ისე გაუხარდა, ალბათ კოლუმბს არ გახარებია ასე ამერიკის აღმოჩენა. დავბინავდი ჩემს ოთახში და ჩემს გემოზეც მოვეწყვე. იმ დღეს შაბათი იყო და ლოცვაზე უნდა წავსულიყავი. სასწრაფოდ გამოვიცვალე და ტაძარში წავედი. ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ სოფელში საერთოდ არავის ვიცნობდი. მით უმეტეს, ტაძარში არავინ მეცნო, მაგრამ საკმაოდ კომუნიკაბელური ვარ და უცებ მოვძებნე საერთო ენა ერთ მორჩილთან, რომელსაც ნინო ერქვა (ერქვა რა, ჰქვია). შემდეგ გავიცანი დედა ნონა, ევლალია... მოკლედ, მონასტერთან მჭიდრო ურთიერთობაში მოვექეცი. საღამოობით გავდიოდი სასეირნოდ, ზოგჯერ — „როლიკებით“. ჩემს ახალგაცნობილ დაქალებს ვპატიჟებდი ჩემთან და ერთად ვერთობოდით, ვთამაშობდით გარეთ, ზოგჯერ ბავშვურადაც... მოკლედ, ძალიან მომწონდა ჩემი ახალაღმოჩენილი სოფელი. ერთ დღეს, ჩვეულებრივად ავედი ტაძარში და ცოტა უცნაური სურათი დამხვდა. ტაძრის ეზოში დიდი მაგიდა იდგა, გარშემო კი ბავშვები შემოხვეოდნენ. ვიკითხე, აქ რა ხდება-მეთქი? აღმოჩნდა, რომ პოლონელები იყვნენ ჩამოსული და თიხაზე მუშაობას ასწავლიდნენ ბავშვებს. სურვილი, რა თქმა უნდა, მეც გამოვთქვი. მაგიდასთან მივედი და დავიწყე თიხით თამაში, შემდეგ ეს თამაში ძერწვაში გადაიზარდა. ამ დროს, რეზიდენციიდან ახალგაზრდა ყმაწვილი გამოვიდა. მე მაინცდამაინც ყურადღება არ მიმიქცევია. ის დადიოდა და სათითაოდ უმოწმებდა ყველა ბავშვს ნამუშევარს. ბავშვები ისე ეპყრობოდნენ მას, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო. ჩემამდეც მოვიდა, ნამუშევარი შემიმოწმა და მითხრა: „ყოჩაღ, ლამაზი პეპელაა“. გავუღიმე, თავი ავწიე და თვალებში შევხედე. ეს იყო იმ დღის კულმინაცია. უცებ „დავიცენტრე“ და არ ვიცი, რა მომივიდა, საიდანღაც სიომ ყვავილების სურნელით გაჟღენთილი ვიოლინოს ნაზი ხმა მოიტანა, ირგვლივ ყველაფერი ვარდისფერი იყო, მცხუნვარე მზეც კი... მხოლოდ ცა იყო ლურჯი. ისეთი ლურჯი, რომ მისმა ყურებამ იმ ღამეს არ დამაძინა. ცას კი ვაბრალებდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს იმ ყმაწვილის ბრალი იყო, თვალებით რომ მომხიბლა. არა, კი არ მომხიბლა, თავი შემაყვარა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ სრულიად უცნობი ადამიანი შემყვარებოდა... უნდა ვაღიარო, ასე მოხდა. აღმოჩნდა, რომ ის თბილისელი იყო და აქ ხატვას ასწავლიდა. 22 წლის იყო და ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ. რაც მთავარია, ის მხატვარი იყო, მე — მწერალი და მომღერალი (ნუ, დამწყები, რა თქმა უნდა). ჩვენ ხელოვნება უფრო გვაკავშირებდა ერთმანეთთან, ვიდრე სხვა რამ. იმ დღიდან სულ შევიცვალე, უფრო ნაზი გავხდი და ტანსაცმელსაც 2 საათი ვარჩევდი. ვცდილობდი, სულ თვალში მოვხვედროდი და ცოტა ხნით მგონი მივაღწიე კიდეც ამას, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ 13 წლის ვიყავი, თითქოს შეიცვალა... არა, ისევ თბილი და საყვარელი დარჩა, მაგრამ ისე აღარ მელაპარაკებოდა, როგორც ადრე... 11 სექტემბერს დამთავრდა ჩემი არდადეგები... აქამდე თუ მეხვეწებოდნენ, სოფელში წადიო, ახლა მე ვეხვეწებოდი, კიდევ ვიქნები-მეთქი, მაგრამ სკოლა იწყებოდა და ველარ დავრჩი... მას შემდეგ ორჯერ ვნახე, მაგრამ სულ თვალწინ მიდგას მისი თვალები. 1-კვირიანი ნაცნობობის შედეგად მისი სრული დახასიათება მიდევს სახლში (მართლა, დაწერილი მაქვს). აბსოლუტურად ყველაფერი ვიცი მასზე, ოღონდ ჩემი ფანტაზიით (ნიჭი მაქვს ასეთი, ადამიანის დახასიათება შემიძლია, თვალებში ჩახედვით); და რაც მთავარია, მისი წყალობით შემეცვალა წარმოდგენა ხელოვნებაზე, ცხოვრებაზე. ჩარლი ჩაპლინის სიტყვები გამახსენდა ახლა: „ხელოვნება სანამ ჰაერში ააფრენს ადამიანს, მანამდე ფეხებში ურტყამს“. მართალი ყოფილა... მე ძალიან მენატრება ახლა ჩემი ხატვის დროებითი „მასწავლებელი“. უზომოდ... და ამავე დოზით მიყვარს იგი. მე მაინც მჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ ერთად ვიქნებით, რადგან ხელოვნება ხანგრძლივია, სიცოცხლე — ხანმოკლე და არა აქვს მნიშვნელობა, რომ ის ჩემზე 9 წლით უფროსია. არჩილ, მიყვარხარ! ფინტიკოზა“.

## ნელი მკერავი

„ამ ამბავს ბებია მომიყვა. მის მეზობლად ქალი ცხოვრობდა, რომელსაც ქათმები კვერცხს უდებდნენ. მეორე მეზობელს კი კრუხი ჰყავდა და წიწილების გამოჩეკა უნდოდა. ბებიამ სთხოვა, შენი

ქათმები კვერცხს რომ დადებენ, შემიგროვე, თანაც თბილად შემინახე, მე კი სანაცვლოდ ნაყიდ კვერცხებს მოგცემო. ლიანას უფიქრია, ამას კვერცხები რომ მივცე, დამთარსავს და კრუხს ვეღარ დავსვამო. ჰოდა, ამდგარა და ნადიასთვის მისაცემი კვერცხები თბილად კი არა, ცხლად შეუნახავს — მდუღარე წყალში ჩაუყრია. მეორე დღეს ნადიამ კვერცხებს მოაკითხა და შინ ნახევრად მოხარშული წაიღო. ლიანამ მეორე დღეს ნადიას მიცემული კვერცხების შეწვა დააპირა, მაგრამ ყველა ლაყე აღმოჩნდა. დიდად არ გაბრაზებულა, რადგან ნადიას არც ის დარჩა ვალში. აქვე, ერთ ამბავსაც მოგიყვებით. ბებიაჩემი ნელი მკერავია. სამკერვალო რომ გახსნა, დიდი ასოებით დააწერა — „მკერავი ნელი". ორი კვირის მანძილზე ერთი კლიენტიც არ მისულა. შეწუხებული იყო ბებია და იქვე, მაღაზიაში მომუშავე ერთ ქალს შესჩივლა, — სულ ტყუილად ვმუშაობ, ერთი კაციც კი არ შემოსულაო. ჰოდა, იმ ქალს უთქვამს, ვინ შემოვა, ამხელა ასოებით რომ დაგიწერია, ნელი მკერავიო?! მკერავი და ისიც ნელი, ვის რაში სჭირდება, დააწერე ჩქარი მკერავი და აი ნახავ, თუ არ მოვლენო. ამაზე დღესაც ბევრს იცინის ბებია. დღესდღეობით კი მაგარი ბიზნესი აქვს და კლიენტიც ბლომად ჰყავს. ცოცხალი თოჯინა".

### მზაკვრული გეგმა

„ამ ზამთრის არდადეგებზე, როგორც ყოველთვის, კახეთს მივაშურე. ჩემი ჩასვლა და დიდი თოვლის მოსვლა ერთი იყო. თითქმის მუხლამდე დადო და გულმა არ გამიძლო, რომ არ გამეხსენებინა ბავშვობა და ბიძაშვილის 3 წლის პატარას ავყევი. მე და თოკო დიდი ძმაკაცები ვართ და ერთმანეთთან მიმართვისას გამორჩეულ ლექსიკას ვიყენებთ. მე მწყერჩიტას ვეძახი, ის — კუდრაჟას. ამ ალერსობითმა სიტყვებმა პირველად დააყენა სოფელში ჩემი ეგზომ სოლიდური იმიჯი კითხვის ნიშნის ქვეშ. დილიდანვე მივდიოდით საციგაოდ და გავედი „პარტნიორის" წასაყვანად. გარეთ უზარმაზარი ბირჟა იყო და გზის იქით თოკო მელოდა. როგორც დამინახა, ხელი ამიწია — ვა, კუდლააჟ (მეტის ღირსი ვარ), მთელი უბნის „მაყურებლები" ჩემკენ შემობრუნდნენ და ვიგრძენი, როგორ შეუდგა წყალი ჩემს ინტელექტუალურ რეპუტაციას. სიმწრით გავიღიმე და თოკო ისე გავაცურე, ციგიდან რომ ჩამოვარდა, ვერც მივხვდი, სანამ არ ატირდა. ხელში ავიყვანე და ისე წავიყვანე წინასწარ შერჩეულ ადგილზე, სადაც ვიცოდი, რომ ვერავინ დაგვინახავდა. კარგად ვიმხიარულეთ, ბევრიც ვიგუნდავეთ. ბოლო აკორდი კი თოვლზე „დახატვა" იყო. ჯერ მე დავაწვინე და სულ სიცილ-კისკისით აღვბეჭდე თოვლზე პაწია კაცის სილუეტი. — ექა სენ, ექა სენ, — ფეხზე მომეხვია თოკო და ჩემი წაქცევა სცადა. მეც, ვითომ მომერია, ჩავწექი თოვლში და გულზე დამაფრინდა გახარებული, რომ მაჯობა. ამ ყიჟინითა და თამაშ-თამაშით გავგორდით თოვლში, მთლად გათეთრებულები. ამხელა ქალი ისე გავსულელდი, ვერც შევნიშნე, როგორ დავეშვით მოყინული გუბისკენ. რა თქმა უნდა, კახეთი ციმბირი არ არის და ყინულიც თხელი იყო. ჰოდა, ისე შევცურეთ და ავფართხალდით წყალში, ასეთი ენთუზიაზმი ოქროს კვერცხისმდებელი ქათმისა და ნატვრისთვალის მაძიებელ ელიოზსაც შეშურდებოდა. როგორ ამოვყვინთეთ და როგორ მივცახცახებდით სახლისკენ, უკვე საინტერესო აღარ არის. საბედნიეროდ, გრიპს ორივე გადავურჩით და მწყერჩიტა-კუდრაჟას დუეტი მომავალ, იების „დალაშქვრის" მზაკვრულ გეგმას ადგენს. პარიჟანკა".

### თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„ძნელია, სერიოზულობის შენარჩუნება, როცა ჩემთან იმერელი, „კრასკაში" საგულდაგულოდ ამოვლებული მუშა მოდის ხოლმე. ერთხელ მოვიდა და ომახიანად მეუბნება, „სემიჩკა" ჩამიყარე, მანეთისიო. ჩავუყარე და გადმომიქაჩა ცისფერი თვალები — „ეს არი მანეთისი?" კი-მეთქი, ვუთხარი და ცოტა ცერად გავხედე. არ ევასა ჩემი გახედვა — რავა მიყურებ მამის მკვლელივითო? მე სიცილით ვიგუდებოდი, ის კი ბურტყუნით წავიდა. იმერულზე გამახსენდა — ავტობუსში კონტროლიორმა ბილეთები რომ მოითხოვა, ერთმა ქალმა თავი გაიგიჟა, „რა ბილეთს მთხოვ, უკრაინელი ვარ და მიშა პენსიას არ მაძლევს, ამას წინათ ჩამევედი უკრაინიდან და"... მეტი აღარ გაგვიგონია, ერთმანეთს ვეყუდებოდით სიცილისგან. მოხეტიალე".

„პირველად მივდიოდი ზღვაზე და არაფერზე ვფიქრობდი, გარდა იმისა, როგორი იქნებოდა აჭარა, აჭარელი ხალხის აქცენტი და, ყველაზე მთავარი: მაინტერესებდა — რა ფერია ზღვა. გზაში სულ რაღაც საოცრისა და არაჩვეულებრივის მოლოდინში ვიყავი. ჰოდა, ჩავედი ქობულეთში, ვიპოვე ერთი კარგი სახლი, რომელიც ახლოს იყო ზღვასთან. დავბინავდი და მაშინვე ზღვაზე გავედი. ძალიან დიდი ტალღები იყო და მივხვდი, რომ ბურსაზე ნასწავლი ცურვით ვერაფერს გავხდებოდი. ვიყიდე „სემიჩკა" და დავიწყე ჭამა. ამასობაში მოსაღამოვდა. დავბრუნდი სახლში ზღვაში ფეხებდასველებული და ავედი ოთახში, გამოსაცვლელად. უკვე ჩამობნელებული იყო და ოთახში შუქის ასანთებს ვეძებდი. დავაჭირე ხელი ერთ ღილაკს — „ატკაზი" მომიხია. მეორემაც არ გამინათა ჩამობნელებული ოთახი, მივედი მესამე ასანთებთან, მაგრამ იმას ღილაკიც არ ჰქონდა. დავრჩი ჩაბნელებულში და არც მიწუწუნია. ფარნიანი ტელეფონი მქონდა და იმით გავედი იოლას, მთელი 10 დღე. მგონი, მერი (სახლის პატრონი) სულ გულში მლოცავდა. ჰოდა, ბოლო დღეს, გაბრაზებულმა რაღაცა ვესროლე ხალიჩაჩამოფარებულ კედელს და ჰოი, ჩემო თავო, ფარდა ჩამოვარდა. როგორ ჩამოვარდა, ვერ გავიგე, „ფურთხით" იყო მიწებებული?! შეშინებულმა გავანათე ჩემი ფარნიანი „ნოკია" და რა დავინახე? მეოთხე შუქის ასანთები! მივუხვდი მერის ხრიკს. დავაჭირე ხელი და რა თქმა უნდა, აინთო. გაბრაზებულს მთელი ღამე მენთო, სანამ კოლოებმა არ შემაწუხეს. HUAWEY".

„გამარჯობა, მარი. უმორჩილესად გთხოვ, ეს წერილი დამიბეჭდო. მინდა, უსულგულო მგზავნელ ნაომს მივმართო. იცოდეთ, ღმერთი არ გაპატიებთ შენ და შენს ქმარს. შენი ქმარი პასუხს აგებს თავისი ქმედებისთვის, ბოროტმოქმედის ადგილი ციხეშია. ასე სადისტურად და არაადამიანურად როგორ სცემა ჩემს ძმას? მას ჩვენ აუცილებლად ვუჩივლებთ. შენ კი, უსინდისო გოგო, ვატყობ, ძალიან გიყვარს კაცებთან თამაში. ჩემს ძმას ხვდებოდი, სიყვარულს ეფიცებოდი და რა ვიცი, კიდევ რას შვრებოდი. ჰმ... თუ ასეთი უპატიოსნესი იყავი, თავიდანვე რატომ არ უთხარი, გათხოვილი რომ იყავი? ნუთუ არ გრცხვენია? ელეონორა".

■

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯის შედეგი". ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com*

**ყურადღება!** **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში" დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

# „ფულზე გათხოვილი ფულის მონადვე დარჩები!“

## „შენი უბედურების მიზეზი დეიდაშენია“

„გზის“ №12-ში დაიბეჭდა ქუთაისელი ნათიას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ძალიან სჭირდება ფსიქოლოგისა და მკითხველების დახმარება, რადგან პირად ცხოვრებაში უამრავი პრობლემა აქვს. „ოჯახი უსიყვარულოდ, მაშვლობით შევქმენი. იმის გამო, რომ ჩემს მშობლებს მატერიალურად უჭირდათ და იმიტომაც, რომ კარგად ვსწავლობდი, მაგრამ სწავლის ქირას ვერ მიხდიდნენ, გადავწყვიტე, გავთხოვილიყავი. აქვე გეტყვით, რომ სახლიც არ მქონდა ნორმალური და მამის სახელითაც ვერ ვამაყობდი. ერთხელ, როცა დეიდას ვესტუმრე, მითხრა: კარგი ბიჭი მყავს შენთვის შერჩეული და უნდა გაგაცნოო. მისით მეც დავინტერესდი... იმ ბიჭის ოჯახში სტუმრად მისულს, თვალიერება დამიწყეს, ანკეტა შემავსებინეს და მეც, ყველა დასმულ შეკითხვას ალალმართალ პასუხს ვცემდი. ისიც ვთქვი, — სწავლა აუცილებლად უნდა გავაგრძელო-მეთქი. ცნობისათვის, ფარმაცევტულზე ვსწავლობდი და უკვე მესამე კურსზე ვიყავი; ისიც ვაღიარე, რომ ღარიბი ოჯახის შვილი გახლდით, რომ ჩემს მშობლებს მატერიალურად უჭირდათ... ჩემი მეუღლე ჩემზე 11 წლით უფროსია. გარეგნულად და გონებრივადაც მასზე უკეთესი კაცი მეკუთვნოდა, მაგრამ... იმ დღეს მომავალი მეუღლის ოჯახის წევრები — ჩემი მული, დედამთილი და მამამთილი შემპირდნენ, — სწავლის ქირას ჩვენ გადაგიხდით, ქორწილი კი ერთ კვირაში უნდა გავმართოთ; რად გვინდა შენი რამე, მეორე სახლი გაქირავებული გვაქვს, აქეთ შენი სამამამთილო დღეში 50 ლარს მაინც შოულობს და ყველაფერში ხელს შეგიწყობთო. მერე ჩემმა სადედამთილომ ხატის წინ დაიჩოქა, ცრემლები გადმოსცვივდა და თქვა: ამ გოგოს თან გადავყვები, სხვის შვილს როგორ დავჩაგრავო?! დაახლოებით, ერთი თვე „გაქაჩეს“, მერე კი პირობა დაარღვიეს... ახლა მყავს 3 წლის გოგონა და 35 წლის უმუშევარი მეუღლე, რომელიც არანაირად არ მიზიდავს. მირჩევნია, კაცის სახელი საერთოდ არ ვახსენო და მარტოხელა დედა მერქვას, ვიდრე მის გვერდით ვიცხოვრო, მაგრამ ზუსტად აქ „ვიჭედები“ — ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე...“



*ლიკა ქაჯაია*

**მოხუცი:**

„რა არ გაკმაყოფილებს ან რა რჩევას ითხოვ? ფულზე გათხოვდი და ბოლომდე, ფულის მონად დარჩები!“

**მაირა:**

„ჩემი აზრით, შენი უბედურების მიზეზი დეიდაშენია. მან ხომ იცოდა, რომ ის ბიჭი გონებრივად ცოტა ვერ იყო და ასე როგორ გაგიმეტა? მისგან წამოდი და შვილიც წამოიყვანე. ასე ცხოვრებას გიჯობს, დღეში ერთხელ ჭამო, მაგრამ მშვიდად იყო“.

**გრუზინკა:**

„როცა ჟურნალისტი შენი ამბის გარკვევას ცდილობს, ე.ი. შეუძლია დახმარება აღმოგიჩინოს ან ყოველ შემთხვევაში, ამას შეეცდებოდა მაინც... მშობლები ხომ გყავს? ჰოდა, იმ ოჯახიდან აუცილებლად უნდა წამოხვიდე. დამიჯერე, დროს რაც უფრო გაწელავ, გადაწყვეტილების მიღება მით მეტად გაგიჭირდება. გაბედე და ყველაფერი გამოგივა, ნურაფრის გეშინია“.

**ატარექსია:**

„მთავარი ის კი არაა, რომ დანაპირები არ შეგისრულეს, არამედ ის, რომ არ გიყვარს. თან აღნიშნე, არა მარტო გარეგნულად, არამედ გონებითაც ვჯობივარო, ე.ი. ის არც გიყვარს და არც მოგწონს. შეეცადე, მასში რაიმე კარგი მონახო. P.S. შვილის გამო ვალდებულები ვართ, ყველაფერი ავიტანოთ. წარმატებები!“

**მალიშა:**

„ნუ წუწუნებ, რა. აბა, რა გეგონა, ანგარებით რომ თხოვდებოდი? ხალხო, გაიგეთ, ბედნიერება ფულში არ არის. აუ, ვერ ვიტან ფულის ხამებს და თუ გინდათ, მომკალით. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ახლა ახალ მატყუარა კაცს ეძებ და ფულის გამო ყველაფერზე წამსვლელი ხარ!“

**ლუნა:**

„შენი ამბავი ძალიან განვიცადე. ცუდია, როცა ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი სანანებელი გვიხდება. თუ მის გარეშეც კარგად იგრძნობ თავს, მაშინ გაშორდი. იმაზეც იფიქრე, რა გელის მომავალში. მართლა დავიბენი და არ ვიცი, რა გირჩიო. ძალიან მინდა, ბედნიერი იყო. ფსიქოლოგის რჩევას მეც დაველოდები! გკოცნი“.

**ატარექსია:**

„მოდი, ცხოვრება ნულიდან დაიწყე. მართალია, ბევრჯერ გეტკინება, გეწყინება და არაერთხელ გაწამდები, მაგრამ მჯერა, ბოლოს აუცილებლად იტყვი: ბედნიერი ვარო! P.S. „არ დაგავიწყდეს შეუძლებლის გაკეთება, შესაძლებელს რომ მიაღწიო“, — ჩათვალე, რომ ეს სიტყვები რუბენშტეინმა შენ მოგიძღვნა“.

GRAZY GIRL:

„შენს ადგილას, მას ადრეც გავეყრებოდი. როგორ შეგიძლია იცხოვრო კაცთან, რომელიც არ გიზიდავს? ახალგაზრდა ხარ, მთელი ცხოვრება წინ გაქვს და გირჩევ, გაშორდე“.

TALKER:

„მდააა... ვგონებ, მძიმე შემთხვევაა. ბავშვს რომ მამა სჭირდება, ამას თავადაც მშვენივრად ხვდები. სიმართლე გითხრა, ამ ამბის წაკითხვის შემდეგ შენ მიმართ არაერთი კითხვა გამიჩნდა... ჩემი, 16 წლის გოგოს გადასახედიდან მართალი არ ხარ. ალბათ, მკითხავ, — რატომო? ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დაუშვი, როცა უსიყვარულოდ გათხოვდი. არ იცი, ახლა რა უნდა ქნა, არა? ვფიქრობ, ქმარს უნდა გაეყარო, მაგრამ შეეცადე, ბავშვმა უმამობა არასდროს იგრძნოს, მას ცხოვრება არ დაუნგრიო. იცოდე, მე საგარეჯოდან გგულშემატკივრობ, შენ გვერდით მიგულე. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

**მარიკა გულორდავა,** *ფსიქოლოგი:*

— სიმართლე გითხრათ, ამ გოგონას მესიჯი იმდენად ბუნდოვანია, რომ რჩე-

ჟურნალი „კარიბჭე“
აწყობს შეხვედრას მოძღვართან
თქვენთვის საინტერესო კითხვებს
უპასუხებს დეკანოზი
**თეოდორე გიგნაძე**
გთხოვთ მობრძანდეთ
**12 აპრილს** 17 საათზე
ი. ჭავჭავაძის გამზ. №13
(ივ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
VIII კორპუსი, სააქტო დარბაზი)

ვის მიცემა გამიჭირდება, არ მინდა, შეცდომა დავუშვა, მაგრამ... ვინაიდან დაჟინებით მთხოვთ, რაღაც მაინც ვურჩიო, არ გაგაწბილებთ და შევეცდები, გავამხნევო მაინც. ჩემო კარგო, ცხოვრებამ დიდი გამოცდა მოგიწყო, შენ კი ცდუნებას ვერ გაუძელი და უსიყვარულოდ გათხოვდი. მაშინ გქონდა ერთი მიზანი, რომ ქმარი და მისი ოჯახი გამოგეყენებინა, მაგრამ მოხდა პირიქით — ახლა შენ გიყენებენ და ეს ყველაფერი მოგბეზრდა კიდეც. ვფიქრობ, მეუღლემ სწავლის გაგრძელების უფლება არ მოგცა და მას გონებრივად ჩამორჩენილს ამიტომაც უწოდებ. სიმართლე მწარეა, მაგრამ შენ ფსიქოლოგის დახმარება იმ ასაკშიც გჭირდებოდა, როცა გათხოვება გადაწყვიტე. ახლა გირჩევ, წარსულში მიღებული არასწორი გადაწყვეტილება ისე მოაგვარო, რომ გული არავის ეტკინოს, ამაში კი პროფესიონალები დაგეხმარებიან. იმ ოჯახიდან აუცილებლად უნდა წამოხვიდე, მაგრამ ეს ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე უნდა გააკეთო. იცოდე, მამაშვილი ერთმანეთს არ დააშორო, შვილს მშობელი არ შეაძულო, თორემ ყოველი მსგავსი მცდელობა მომავალში, ბუმერანგივით დაგიბრუნდება. მერწმუნე, ვიდრე ფსიქოლოგს პირისპირ არ დაელაპარაკები, კარგ რჩევას ვერავინ მოგცემს. ქუთაისშიც არიან პროფესიონალი ექიმები და გირჩევ, შენი პრობლემა რომელიმე მათგანს გაანდო. მერწმუნე, ფსიქოლოგთან ვიზიტის შემდეგ მიხვდები, რომ ცხოვრება მშვენიერია, მისი უსიყვარულოდ გატარება კი — სისულელე. გამხნევდი, ყველაფერი მოგვარდება! ■

# „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო“

## „დროა, ბილწი აზრები თავიდან ამოიგდო“

**„გზის“ №12-ში დაიბეჭდა მუწუკა ლევანის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ შეუყვარდა გათხოვილი ქალი, რომელიც მის გრძნობას უარყოფს. „ჩვენ ურთიერთობა ჩხუბით დავიწყეთ (დამნაშავე მე ვიყავი), მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენი საერთო მეგობრის ოჯახში ვნახე და გავიცანი, მასზე ფიქრი ამეკვიატა. ერთი რამ მიკვირს: ასეთი ლამაზი ქალი როგორ გაჰყვა ისეთ შეუხედავ კაცს, როგორიც მისი ქმარია? მხოლოდ მე ვარ მისი შესაფერისი, მაგრამ ის თავიდან მიშორებს (არადა, მერწმუნეთ, ჩვენ ძალიან ლამაზი შვილები გვეყოლებოდა)...“**

**უწუწური:**

„რა ეგოისტი ხარ. მას ოჯახი აქვს, შენ კი რაღაც სულელურ აკვიატებას ეპოტინები და გინდა, საყვარელ ქალს ოჯახი დაუნგრიო. გიყვარს არა, კვანძი. P.S. იმედია, ისეთი ლამაზი შვილები არ გეყოლებოდათ, როგორი ნიკიც გაქვს :))“.

**მაჰი 3:**

„შენი მეტოქე, რომელმაც საყვარელი ადამიანი წაგართვა, ბრედ პიტიც რომ იყოს, მაინც უშნოდ მოგეჩვენებოდა. ყველაფრის მიუხედავად, მან ის აირჩია, რადგან უყვარს და მორჩა, შენ კი ნუ შეეცდები, თავი შეაყვარო და ოჯახი დაუნგრიო, ამის უფლება არ გაქვს. თუ გინდა, რომ მეგობრებად მაინც დარჩეთ და ურთიერთობა როგორც დაიწყეთ, ისე არ დაასრულოთ, გირჩევ, როგორც ზრდასრულ ადამიანს შეეფერება, ისე იაზროვნო და მოიქცე“.

TALKER:

„რა იცი, რომ მხოლოდ შენ ხარ მისი შესაფერისი? ვახ! გადამრევს ეს ხალხი, რა. თუ იმ ბიჭთანაა, ე.ი. ის უყვარს და მორჩა! მისთვის ქმრის გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ხომ სიყვარულია! ოჯახს ნუ დაუნგრევ. თუ მართლა გიყვარს, აცადე, ბედნიერი იყოს“.

**ანასტასია 23:**

„ის გოგო გათხოვილია, ბედნიერია და როგორც ვატყობ, ქმარიც უყვარს. ასე რომ, მისთვის მეუღლის გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვს. იცოდე, მათ ურთიერთობაში არ ჩაერიო. მართალია, გულს ვერ უბრძანებ, მაგრამ მის დავიწყებას უნდა შეეცადო მაინც. P.S. მათი ოჯახი შენ არ აგიშენებია და რა უფლება გაქვს, რომ ახლა ნგრევა დაუწყო ან სხვისი ცოლი რად გინდა? წარმატებები!“

**ატარექსია:**

„ეტყობა, თავში ტვინის ნაცვლად ერთი დიდი მუწუკი გაქვს. არ შეიძლება, ადამიანი მისი გარეგნობის მიხედვით განსაჯო. იმ „შენს“ ლამაზ ქალს ძალიან კარგი უქნია, ფიზიკურად „მახინჯს“ რომ გაჰყვა და არა შენნაირი მახინჯი სულის მქონე ადამიანს“.

**ლუნა:**

„ის შენ არ გეკუთვნის და არც ისაა შენის საქმე, შეუხედავ კაცს თუ გაჰყვა ცოლად. მაპატიე უხეშობა, მაგრამ სხვას ვერაფერს გეტყვი. იცოდე, მის ცხოვრებაში არ ჩაერიო!“

**მალიშა:**

„თუ ხვდები, რომ განდიდების მანიით ხარ შეპყრობილი? საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა გქონია. მოკლედ, თვითკმაყოფილი იდიოტი ხარ, რა. იმ გოგოს შეეშვი. ვერ ხვდები, რომ „კიდიხარ“? მე თუ მკითხავ, სწორადაც იქცევა“.

**გრუზინკა:**

„ცუდია, რომ ადამიანს მხოლოდ გარეგნობის მიხედვით აფასებ. ხომ შეიძლება, მისი მეუღლე ბევრად გჯობდეს? ვფიქრობ, ის იდეალური მამაკაცია, ამაში 100%-ით ვარ დარწმუნებული. სხვისი ცოლების დევნას გერჩივნოს, თავისუფალ გოგონებს ეარშიყო და მათ დაუმტკიცო, რომ მაგარი ბიჭი ხარ“.

BORZS:

„რა საინტერესოა, ლევანჩო გველადავება თუ?.. ყოველ შემთხვევაში, რჩევას მაინც მივცემ. ალბათ, ყველას გაგიგონიათ ეს ქართული სიბრძნე: მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო. აი, ასე, ლევან, გინდა თუ არა, ნაომი შენ არ გეკუთვნის. რაც შეეხება მისი ქმრის გარეგნობას, იქნებ მათ უყვართ ერთმანეთი და ამას ვერც ამჩნევს?! იმ გოგოს შეეშვი!“

**მოხუცი:**

„გზის“ მკითხველებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანი ხარ. რჩევა გჭირდება? გათხოვილი ქალი შეგიყვარდა? შენი გულახდილობით მაოცებ. რატომ ხარ ასე დარწმუნებული, რომ იმ გოგოს ქმარი ცოლის შესაფერისი არ არის და რომ შენთან უფრო ლამაზი შვილები ეყოლებოდა? აკვიატება და სიყვარული ერთმანეთისგან რომ განსხვავდება, ამას უნდა ხვდებოდე. შენ თვითკმაყოფილი იდიოტი ხარ და სხვა არაფერი. დაბერდი და დროა, ბილწი აზრები თავიდან ამოიგდო“.

**სვანის ასული:**

„ლევანი ინტრიგას აგდებს, აშკარად. ნუთუ, აქ ის ხდება, რაც მე მგონია? მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა შეეგუო იმას, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერ აღმოჩნდი. იმ გოგოს შენ მიმართ გრძნობა რომ ჰქონდეს, ოჯახის დანგრევა ამ შემთხვევაშიც გაუმართლებელია და თუ უარი უკვე გითხრა, მით უმეტეს. შენი მეტოქე ალბათ, იდუმალი და ნაკლებად მყვირალა შარმის მქონე პიროვნებაა, მას ახლა ქმრის სტატუსი აქვს და შენ მხოლოდ გარეგნობით თუ შეეჯიბრები. ისე, ამქვეყნად ბევრი შენზე სიმპათიური ბიჭია და მომავალში, რომელიმე მათგანმა (გენეტიკის გაუმჯობესების მიზნით) ლამაზი ცოლი რომ წაგართვას, კარგი იქნება?“ ■



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***

## ქალები



1. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, „ცისფერ“ ადამიანს. მიმაჩნია, რომ ასეთი ადამიანები მეგობრობაში საიმედონი არიან. ანა.

2. ვარ 19 წლის, ყოვლად უინტერესო და უნიჭო გოგო... მე ისეთი ბედი მაქვს, კარგი არავინ გამომეხმაურება. ეჱ...



## მამაკაცები

3. ვეძებ კაი გოგოს.

4. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №11-ში განთავსებული, მე-3 ნომერი. გმადლობ.

5. გავიცნობ წესიერ ქალს.

6. გავიცნობ 18-25 წლამდე გოგოს. ვარ 26 წლის.

7. გავიცნობ ქალბატონს, 30 წლის ზევით.

8. გავიცნობ 20-35 წლამდე ქალს, თბილისელს. ვარ 27 წლის, თბილისელი, დასაქმებული. მყავს ავტომანქანა. თბილისში მცხოვრებს ველოდები.

9. „გზა“ №33, მე-3 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი მინდა.

10. აბა, გოგონებო და ქალბატონებო, კონკურსი დაიწყო! ვარ 35 წლის და ძლივს მომაგონდა, რომ უნდა შევქმნა ოჯახი. მეტყობა რაჭველობა, ხომ? წამოხვალ რაჭაში?

11. დაოჯახების სურვილით გამომეხმაუროს თბილისელი, 25-დან 30 წლამდე ასაკის ქალიშვილი, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი, მშვიდი ხასიათის და ზრდილობიანი.

12. ვეხმიანები „გზა“ №12-ის 1-ელი მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი. მადლობა წინასწარ.



## სხვადასხვა

• კაკუ, იცი, რატომ მიყვარს მე ეს სამყარო? შენ რომ არსებობ და მე რომ გიპოვე! და დაგკარგე უკვე... მენატრებიიი. და-ლექსა.

• რა ცუდია, რომ უკვე 4 წელია, ესპანეთის ეროვნული ნაკრებისთვის ვღვრი ცრემლებს, მაშინ, როცა თურმე ქართველებსაც შეგვძლებია. ქართველი ფეხბურთელებით ვამაყობ! ტალკერ.

• კასკუ, აქამდე იმ იმედით ვცხოვრობდით, რომ ეს ყველაფერი მალე და კარგად დამთავრდებოდა, ახლა უკვე აღარ ვიცი, რა იქნება, ალბათ — ლოდინით და მონატრებით ცხოვრება. ქეთი.

• კასკუ, ჩემო სიყვარულო, ჩემო იმედო და პატრონო, რომ იცოდე, როგორ მიჭირს უშენობა, როგორ „მტკივხარ“. ნეტავ, როგორ ხარ მანდ? წარმოდგენაშიც არ შემეძლო მენახა, უშენოდ როგორ ვიარსებებდი ამდენ ხანს. შენზე კარგად არავინ იცის, მე როგორ ვარ და ჩემზე კარგად — შენ როგორ ხარ. ეს მიხეთქავს გულს და მკლავს. ჩემო სიცოცხლევ, ოღონდაც თავს გაუფრთხილდი და ყველაფერი მოგვარდება. იმდენს ვლოცულობ, ღმერთი მოწყალეა და არ გაგვწირავს. ოღონდ შენ იყავი კარგად, ჩემო ტკბილო. დედა და ბავშვები კარგად არიან. ჩვენი დარდი არ გქონდეს, ყველა გვერდში მიდგას. ძალიან მიყვარხარ და სიგიჟემდე მენატრები. გკოცნი უთვალავს, გულში. ლიკუნა.

• პატარავ, გენაცვალე... როგორ ხარ, დედი? გეხუტუნე, სიხარულო. ჩემი ცხოვრება და გულში დახატული ხარ... ცუდ დღეში ვარ, დე... აღარ ვიცი, რა გზას მივმართო, რა გავაკეთო, რა მოვასწრო და რა — გადავდო... ადვოკატი ვერ შემოვიდა. 15-იანებთან რომ ნინო ცხოვრობს, ხომ იცი — ჩემი მეგობარი და ნათესავი — დედამისი, 75 წლის ქალი დაიჭირეს. იმათი ადვოკატიც ეგაა და გადარბენაზე იყო. პროკურატურაში ისხდნენ დღე და ღამე. ხვალ ოთხშაბათია და თუ ხვალ კიდევ ვერ მოიცალა, ხუთშაბათს კი წაიკითხავ ამას და გაიგებ. ხვალ ზუსტად მეცოდინება, როდის განხავ. ალბათ მომავალ ოთხშაბათს ან ხუთშაბათს მომიწევს. განცხადების დაწერა გადავდე, რომ იქნებ ხელის მოწერა მოგესწროთ და მე და ნინო ერთად შემოვსულიყავით, მაგრამ ჯერ არ გამოდის. ხელის მოწერის დროს ნინოს ისედაც ნახავ, თან — ახლოს და მე კი ძალიან მენატრები და თვის ბოლომდე აღარ გადავდებ. საბას მოვიყვან. ვეუბნებით, რომ სამსახურში ხარ და მე მგონი, არ ექნება რეაქცია. ენატრები ბავშვს და თვეში

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთ... საზღვრ-**

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

ერთხელ მაინც გნახოს, დე... ცოდვაა. ნინო მოკვდა ტირილით, იმ დღეს რომ დაურეკე. ახალი არაფერია სხვა... დანარჩენს, რომ გნახავ, მერე მოგიყვები. ყველაფერი ძველებურადაა. საბა ისე გაეშმაკდა, დიდი ბიჭივით ლაპარაკობს, ეზოში ველოსიპედით ჩადის, გოგონებს დასდევს და ჩქმეტს. მოკლედ, დიდ ამბავშია. დე, ძალიან მედარდები. ჩაგეხუტე, გაკოცე ბევრი... ღმერთი გფარავდეს.

• მუკი, ძაან მენატრები. ერთი სული გვაქვს, როდის შემოგვიშვებენ. ნიკამ სათვალე მაყიდვინა და სუნამო, — ახლა კიევში წამიყვანე, მამიკომ ნახოს, რა კაცი ვარო. მიკაი.

• მუკი, ნია დღეებს ითვლის, უკვე გადაგვრია. ხომ იცი, როგორ იცის ჩახვევა. მოკლედ, გადამრიეს უკვე. შენ არ მოიწყინო, მალე მოვალთ შენთან და გნახავთ. მიკაი პაწიკო, გკოცნი.

• გიო, პაწი მამიკო, ძალიან მენატრები. სულ შენზე ვლაპარაკობ. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ. სამწუხაროა, რომ ვერ ჩაგეხუტები. ბოდიში, მაგრამ დედის ვაბრაზებთ ხოლმე. მიკაი.

• ღმერთმა გაგიგრძელოს წლები, მყავდე მიწიერი ღმერთად, მინდა გამოვისხა ფრთები, ისე მენატრები, დედა. უზომოდ მენატრები, დედი, ნეტავ როდის გნახავ? მიყვარხარ ძალიან.

• სხვა გზა არ იყო და უყოყმანოდ, მამისეულ ეტლს მოჰკიდა ხელი, ლუკმაპური რომ არ მოჰკლებოდა, დღეს ეტლი იყო იმისი მხსნელი. ყოველდღე ჯეკი თავისი ეტლით, ქალაქის ყველა კუთხეს უვლიდა, ლუიზა მაშინ აგონდებოდა, დასაძინებლად რომ მოვიდოდა. შრომის ფერხულში იყო ჩაბმული, სურდა, რომ შრომით მოეკლა დარდი; გრძნობდა, რომ გულში ჩაუჭკნებოდა, მას სიყვარულის გაშლილი ვარდი; ერთ დღეს, როდესაც ჩვეულებრივად, თავისი ეტლით იდგა ბირჟაზე, ვიღაც შავებში ჩაცმული ქალი გამოეცხადა დილით, რიჟრაჟზე. მორიდებულად იყო ყველასთან, შავი პირბადით სახეს მალავდა, მის ლამაზ გულმკერდს და ტანის ნაკვთებს, თალხი კაბაც კი ვეღარ ფარავდა. მგზავრს თუ მიიღებ? — მიმართა ჯეკის, ჯეკიმაც თავი დაუკრა დაბლა; გზაც ცოტა შორი მაქვს გასავლელი, ამაზე უარს არ მეტყვით ალბათ. აქაც თანხმობა მიიღო ქალმა, გაშლილ გამზირებს გაუდგა ეტლი, დაღამებამდის იმგზავრეს ისე, სიტყვა არ უთქვამთ იმაზე მეტი. აი, აქ შესდექ, — მიმართა ქალმა და სასტუმროსკენ აჩვენა ხელით, რომლის გვერდებზე დაციმციმებდა, ოქროს რეკლამა, სხვადასხვა ფერის. მეორე დილით კვლავ გზას გაუდგნენ, მესამე დღეს კი განვლეს სავალი, ქალი მივიდა დანიშნულ ადგილს, იქ კი სხვა იყო მისთვის მთავარი. ვაჟს გაცილება სთხოვა სახლამდის, ხელით აჩვენა თავისი ბინა, ხელში მოჰკიდა თავისი ხელი, წაიყვანა და გაუძღვა წინა. ვაჟიც დანებდა ქალის სურვილებს, გადაჰყვა, როგორც ბავშვი პატარა, ასე უხმოდ და სიტყვის უთქმელად, ხუთი ოთახი გამოატარა. ბოლოს შეჩერდა და ასე უთხრა: აქ დამელოდე, მე დავბრუნდები, გასამრჯელოს რომ მიიღებ ჩემგან, ვფიქრობ, რომ არც შენ დამემდურები. ჯეკი შეჩერდა გაკვირვებული, ზღაპრულ სიმდიდრემ მოსტაცა თვალი, ფიქრებით იყო გატაცებული, რომ კვლავ გაიღო ოთახის კარი. ოთახში თითქოს მზე შემობრწყინდა, მოაბიჯებდა ვიღაცა ქალი, რომ მოახლოვდა, ჯეკი გაოცდა, თითქოს შეუკრა საბრალოს გული. ისევ მიხედა მომავალ ქალწულს, თავბრუ დაესხა, მოხუჭა თვალი, გონს რომ მოვიდა, გულში ეკვროდა თვალცრემლიანი, ფერმკრთალი ქალი. ლუიზა, ნუთუ შენა ხარ მართლა, კვლავ შენ გიყურებს ჩემი თვალები, ნუთუ ეს გული კვლავ გაიხარებს, სიყვარულისგან განაწამები?! ჯეკი, დამშვიდდი, ჩემო იმედო, ვფიქრობ ასრულდა ჩვენი ოცნება, შენ ერთს გეკუთვნის ეს ჩემი გული და სამუდამოდ შენი იქნება. დიდხანს კოცნიდნენ ორივ ერთმანეთს და რომ მოიკლეს ნახვის წყურვილი, ერთურთს მოუყვნენ ძველსა და ახალს, გაუზიარეს თავის სურვილი. ლუიზამ უთხრა, მეც რომ შენსავით, ობოლი დავრჩი და უპატრონო, დღეიდან მეც და ჩემს სიმდიდრესაც, მხოლოდ შენ უნდა დაგვეპატრონო. ჩვენ ეს ქალაქი უნდა დავტოვოთ, მე შენგან მხოლოდ თანხმობას ველი, უცხო მხარეში შორს გავიხიზნოთ, რომ სიყვარულში განვლიოთ დღენი. ათი დღის შემდეგ, როდესაც გემი, ზღვის შუა გულში ტალღებს აპობდა, მდიდრულად მორთულ კაიუტაში, ჯეკი ლუიზას კოცნით ატკბობდა. ლუიზა მიხვდა ჯეკის განცდებსა, მყისვე მოიხმო თავის მსახური და უთხრა, ჩემთან მისთვის მოგიხმე, რომ გამიწიო დღეს სამსახური. შორით მგზავრობამ დიდად დაგვღალა და დასვენება გვჭირდება ძალზე, მსახური თავის გამოცდილებით, მაშინვე მიხვდა ლუიზას განცდებს. მდიდრულად მორთულ საწოლ ოთახში, ტკბილი ალერსით დრო გაატარეს, მათი თვალები კვლავინდებურად, ტრფობის ალერსით უცქერდნენ მთვარეს. ერთ თვეს გასტანა მხიარულებამ, ცხოვრებამ იწყო თბილი დინება, სუყველაფერი მოეწყო ისე, როგორც კი მათმა გულმა ინება. გახსნეს თავიანთ სალაროები, ჯეკი ქარხნების გახდა მფლობელი, იყო და ქვეყნად იქნება კიდეც სიმდიდრე კაცის შემამკობელი. და ამ სიმდიდრის შემამკობელი, ქვეყანას მოსდო, გაახმიანა, სადაც სიბნელეს ფარავდა ჩრდილი, ყველგან გაფანტა, გაამზიანა. სულ სიხარულში მიქროდა დღენი და სიყვარულის შუქით ტკბებოდნენ, მათი ბედი და მათი ცხოვრება, ბევრ მდიდარსაც კი ენატრებოდა. ერთ დღეს, ლუიზამ ქმარს გაუმხილა და მომავალი შვილი ახარა, ისედაც ბედით გახარებული, ცოლის ნათქვამმა სულ გაახარა. რომ სიყვარული ნაყოფს მოედო, მართლაც რა არის ამაზე ტკბილი, სიბერის დროს რომ იმედი გიდევს, შენი მემკვიდრე და შენი შვილი. სამახარობლოდ ლუიზას ჯეკიმ, ბეჭედი მისცა ბრილიანტისა და უთხრა: გქონდეს ეს სამახსოვროდ, ჯერ არშობილი ჩვენი შვილისა. ამ ოცნებაში იყო ჩაფლული, რომ ბედმა იწყო უკუღმა ბრუნვა, თუმც მათ გულს მაშინ რაღა ატკბობდა, თუ არა შვილზე ფიქრი და ზრუნვა. ერთ დღესაც ჯეკი თავის ქარხნიდან, შინ ბრუნდებოდა დაფიქრებული, ფიქრობდა, მაგრამ თავის განზრახვით, თვითონვე იყო გაკვირვებული. უკვირდა ის, რომ დათრობა ღვინით, არ მონდომია არასდროს ხალხში, დღეს კი სრულიად მოულოდნელად, შემთხვევით მოხვდა რესტორნის სახლში. მომტანს უბრძანა შამპანიური და შეისრულა თავის სურვილი, რატომღაც სურდა, რომ დღევანდელ დღეს, ღვინით მოეკლა თავის სურვილი. ჯეკის ჯერ ჭიქაც არ დაეცალა, რომ ვიღაც უცხომ ადგილი სთხოვა, ის კმაყოფილი ღიმილით შეხვდა, რომ ჯეკისაგან თანხმობა პოვა. სამი ჭაბუკი მდიდრულ ტანსაცმლით, ჯეკის მაგიდას მოუსხდნენ გვერდით, მომტანი ქალიც, როგორც აჩრდილი, იმათ წინ დადგა კოხტა გულმკერდით. მერე კი როგორც სუფრის წესია, ახლოს გაიცნეს მათ ერთმანეთი და თამამადაც წარმოსთქვეს სიტყვა, სიტყვა — გულიდან ამონახეთქი. როს ალკოჰოლმა სძლია სიფხიზლეს, აუციმციმდათ ღვინით თვალები, სასტუმროს პატრონს გამოუძახეს და გასართობად სთხოვეს ქალები. ჯეკის პირველად არც კი უნდოდა, ვიღაც ქალების გვერდით დაჯდომა, მაგრამ ღვინომ და ქალის ალერსმა, ისიც მოხიბლა და დააღონა. ცოტა ხნის შემდეგ, ერთის მაგივრად, ორი ლამაზი მოისვა გვერდით, ხელებს რა რიგად ხვევდა ორივეს და იმათ მკერდზე ეკვროდა მკერდით. ამ სამ ბიჭიდან ერთი მათგანი, გამოეყო და გარეთ გავიდა, დანარჩენებსაც არ უკითხიათ, თუ სუფრის წევრი რისთვის გავიდა. გარეთ გასულს კი სხვა ჰქონდა ფიქრად, სიხარულისგან გულს ელდა ეცა, ამ წუთს ელოდა წლების მანძილზე და ეს ნანატრი დღეც შეუსრულდა. ის ახალგაზრდა, სახელად ჯონი, მილიონერის ერთ-ერთი შვილი, ლუიზას ტრფობით იყო დამწვარი და ჯეკის მტრობით იყო ალვსილი. ღამით მიადგა ლუიზას ბინას, ღილაკს დააწვა, დარეკა ზარი, ლუიზა იმ დროს ჯეკის ელოდა, წამსვე გააღო ოთახის კარი. ქალი გაშტერდა, რომ დაინახა, მისთვის დიდი ხნის ნაცნობი სახე, ლუიზას ჯონიმ მიმართა კვნესით, ნუ გამიწყრები, მე შენ რომ გნახე. მე შენ მიყვარდი, შენ კარგად იცი, მაგრამ ვერ გავხდი მე შენი ღირსი, შენ ჩემი გრძნობა ფეხით გათელე და შეიყვარე ვიღაც უღირსი. უღირსი შენი სიყვარულისა, რომელიც როსკიპს მეტად აფასებს, ის მაშინ ხედავს ბედნიერებას, როს მათთან ხარჯავს ათი ათასებს. იქნებ, შენ ახლა გეგონოს თითქოს, მე შენთან მტრობა მალაპარაკებს ან სხვის ნათქვამი მომქონდეს შენთან, ან უჯერებდე სხვისა არაკებს. მე გეუბნები მხოლოდ

სიმართლეს, რაც რომ მე ჩემი თვალითა ვნახე, რით დაგაჯერო, თვითონ არ ვიცი, დასაჯერია, ვფიცავ ყველაფერს. თუ გამომყვები, შენ თვითონ ნახავ, რა დროს ატარებს გარყვნილ ქალებში, თუ მოგატყუო, შემარცხვინე და შემომაფურთხე მაშინ თვალებში. ლუიზა არც კი დაფიქრებულა, ჯონის შესძახა, წავიდეთ, ჩქარა, უმალ გააღო ოთახის კარი და სიტყვის თქმაც კი აღარ აცალა. რესტორნნისას რომ მიადგნენ კარებს, ჯონიმ ლუიზას ჯეკზე ანიშნა და იქ ნანახმა ლუიზას გული, წამსვე შეაკრთო და შეაშინა. გამობრუნება ველარ მოასწრო, ქალი გაფითრდა და ჩაიკეცა, ჯონი უკეთეს დროს ვერ ნახავდა და გულწასულ ქალს ხელებით ეცა. ჩუმად გააღო რესტორნის კარი, ვიწრო კორიდორს გაუყვა ჩქარა, რომ იქ მყოფს არავის არ შეემჩნია, ერთ-ერთ კუპეში ქალი მიმალა. იქ სამ მეზღვაურს გვერდით ეყარა, უკვე დაცლილი არყის ბოთლები, როგორ გგონიათ, ვინ იქნებოდნენ? გარყვნილები და ვიღაც ლოთები. და ამ სამეულს ხელში ჩაუგდო გულწასული და უგონო ქალი, ლუიზას ლოყებს როგორც მომაკვდავს, აქა-იქ აჩნდა სიწითლე მკრთალი. ცოტა ხნის შემდეგ, ჯონიმ უჩუმრად, მოინახულა თავისი სუფრა, მკლავში მოჰკიდა მან ჯეკის ხელი, გვერდზე გაიხმო და ასე უთხრა: ჯეკი, მე ვიცი, რომ ხარ ვაჟკაცი, ალალი გულის კეთილი კაცი, გატაცებული საქმით ვერც გრძნობ, როგორ გღალატობს შენი დიაცი. ის ახლაც გვერდით კუპეში ვნახე, დროს ატარებდა ვიღაც ლოთებთან, ვერც კი გიბედავ, რომ ყველა გითხრა, იქ რაც მე ჩემი თვალითა ვნახე. ახლა ერთს გირჩევ, თუ გსურს, რომ ნახო, 13 ნომერში შეაღე კარი. ჯეკიმ სხვა სიტყვებს არ დაუცადა, უმალ მოსინჯა სასროლის ტარი. შეაღო კარი და რა იხილა, ლუიზას კოცნის ვიღაცა მთვრალი, მოსწია სასხლეტს და დაუნდობლივ, ერთიმეორეს მიაწყო მკვდარი. სასწრაფოდ უთხრეს პოლიციელებს, ჯეკი გაქცევას არც კი ფიქრობდა, ტუჩებზე კბილებს უჭერდა მწარედ, თითქოს დასახრჩობ თოკზე იწევდა. გათენებისას თავის ოჯახში, ლუიზა გონზე ძლივს მოიყვანეს, მისი ვარდივით გაშლილი სახე, დღეს მიაგავდა მიმქრალსა მთვარეს. ლუიზას მხოლოდ ერთი ახსოვდა, რომ ჯეკი ნახა როსკიპ ქალებში, ისიც ახსოვდა, ცუდად რომ გახდა და რომ წაიქცა იქვე კარებში. და თავის გულში ერთსა ფიქრობდა, მორჩა, დღეიდან არა მყავს ქმარი, თუ მე ამ დღიდან კიდე ვიხილო, ჯეკი ცოცხალი ან თუნდაც მკვდარი, მიწა გამისკდეს და შიგ ჩავვარდე, ისედაც მწარე ბედით დამწვარი, თუ მე ვიხილე ის ჩემი თვალით, ან მასზე ფიქრით, თუნდ ერთი წუთი. ამ ფიქრში იყო ლუიზა, როცა ჯეკიმ შეაღო ციხისა კარი; თითქოს ციხეც კი მიეცა დუმილს და თითქოს რეკდა გლოვის ზარები. ფიქრით დამთვრალი ერთ-ერთ საკანში, დაფიქრებული მიმოდიოდა, დაკარგულ ბედზე აფრქვევდა ცრემლებს, ის თავის თავზე სულ არ ჩიოდა. ჯეკის სიცოცხლე დამთავრდა მაშინ, როს თავის სატრფო კაცებში ნახა; იმას დარდობდა, რომ სისრულეში ვერ მოიყვანა თავის განზრახვა. იგი ცოცხალი რატომ დავტოვე, ღალატისათვის უნდა მომეკლა, მაგრამ ხელი არ დამემორჩილა, რადგან გულს მისი მოკვლა არ სურდა. მოეკლა? როგორ უნდა მოეკლა, ან თავის სატრფო, ან თავის შვილი, განა უფლება ჰქონდა მოეკლა? ჯერ არშობილი, თავისი შვილი. არა! მას მოკვლის არ ჰქონდა ნება, შვილს არ უძლოდა დანაშაული, ამ ფიქრით იყო გატაცებული, რომ კარებიდან ესმა ხმაური. უფროსმა იხმო და განუცხადა, ხვალე იწყება შენი პროცესი, ამ სიტყვამ ჯეკი თითქოს დასუსხა, თითქოს მას გულში უჩხვლიტეს რამე. დანაშაულის სიმძიმეს გრძნობდა, იქნებ სიკვდილით დასჯა ელოდა; ფიქრობდა, იქნებ გამარჯვებული ლუიზა თავის ბედს უმღეროდა. მწარე ფიქრებით გაოგნებული, თავის საწოლზე პირქვე დაემხო და მხოლოდ მაშინ მოვიდა გონზე, როცა ჯალათის ხელი შეეხო. წინ გაიძღოლა საწყალი ჯეკი, საბრალოს სახეს მკვდრის ფერი ედო, ის ისევ ძილის ბურანში იყო, რომ მოსამართლის წინაშე იყო. გაასამართლეს და განაჩენით, მას სამუდამო მისცეს კატორღა და რომ დამთავრდა მისთვის ყოველი, საბრალოს გულმა დაუწყო თრთოლა. კატორღის წესით ფეხზე და ხელზე, მას ბორკილები დაადეს, როცა იმ დღიდან გული გაუხდა რბილი და დაივიწყა განვლილი დღენი ოთხ თვეზე მეტმა განვლო და ერთ დღეს, ჯეკიმ სარკმლიდან ეზოს გახედა, კარში გაშლილმა ვარდების ხილვამ, მის გულში აღძრა დარდი და სევდა. და თავის სევდის გასაქარვებლად, მან დაბალი ხმით სიმღერა იწყო, მღეროდა: ტურფა მე რად მემდური, მომხედე ტანჯულს, არ დამივიწყო. სიმღერამ წუთით გადაავიწყა, ვინ იყო ან სად იმყოფებოდა, და სიმღერა კი საამოდ ტკბილი, ციხეში ყველა საკანს სწვდებოდა. რამდენ კატორღელს დაუტკბო გული, რამდენსაც თვალზე მოსწყდა ცრემლები, ჯეკი მღეროდა: ნუ მტანჯავ, ქალო, მუხლმოდრეკილი შენ გელოდები. წუთიც და ისევ ბნელი კედლები, ისევ დადუმდა როგორც სამარე და ბნელ საკანში აქა-იქ მხოლოდ, იპარებოდა ფერმკრთალი მთვარე. ციხე ზღვის პირას იყო დადგმული და მის ტალღებზე ყოველი დილით, ცისფერი ნავით დასეირნობდა ციხის პატრონი, თავისი შვილით. ზღაპრულ ანგელოზს ჰგავდა ქალწული, მის შემხედავი მთვარეც კრთებოდა, ჯერ გაუშლელი ვარდის კოკორი, ჩვიდმეტი წლისა თუ იქნებოდა. მამა თავის შვილს ასეირნებდა, რადგან მის მეტი არავინ ჰყავდა, დაღუპულ ცოლზე ჭირსა და ვარამს, მის ქალიშვილზე ზრუნვით იკლავდა. ციხის ეზოში თავის შვილისთვის, ბაღი მოაწყო გასაკვირველი, მზის ჩასვლის შემდეგ საგალობელად, თავს იქ იყრიდა ყველა ფრინველი და ქალიშვილი ყოველ საღამოს, თავისთვის ბაღში დასეირნობდა, ასეთ ბავშვური გრძნობით აღვსილი, ლამაზ ბუნებას გულით ეტრფოდა. ერთ საღამოთი ჩვეულებრივად, სიუზი ბაღში რომ სეირნობდა, მოეჩვენა თუ მართლა მოესმა, სადღაც სიღრმეში ტკბილი ხმაჟღერა. ყური დაუგდო და რომ დარწმუნდა, მართლა ვიღაცა გულით მღეროდა, თითქოს გაჩერდა, გაჩუმდა ქალი, აქ ასეთ რამეს არ მოელოდა. მაღლა ახედა ციხის სართულებს, ერთ ფანჯარაში შენიშნა ლანდი, სხვაგან არასდროს მოუსმენია ტკბილი სიმღერა, ამაზე კარგი. ხეზე მიეყრდნო გაოცებული, ფანჯარას თვალი ვერ მოაშორა, ისეთი გრძნობით მღეროდა ჯეკი, თვით რეგვენსაც კი აატირებდა. და სიუზისაც მოულოდნელად, ცრემლით აევსო შავი თვალები, ქალოვ, ნუ მტანჯავ, ნუ მერიდები — და გულში ჩარჩა ვაჟის სიტყვები. რომ პატიმარი მორჩა სიმღერას და ცაზე ღამის სიბნელე დაწვა, მის სიბნელესთან სიუზის გულში, რაღაც მტანჯველმა სევდამ მოიცვა. იმ დღეს დაკარგა გულის სიმშვიდე, ზლაზვნით გაჰყავდა ყოველი დღენი, მის ყურის სმენას არ შორდებოდა, ტკბილი სიმღერა სევდის მომგვრელი. ერთ საღამოსაც ციხის უფროსი, თავის ქალწულთან დასეირნობდა, იქვე მახლობლად წიწვიან ტყეში, პატარა შველის ნუკრიც დარბოდა. ბაღი ყვავილთა სამყაროს ჰგავდა, იფურჩქნებოდნენ ბაღში ვარდები, ციხის უფროსი სიამეს გრძნობდა, სიუზის გულს კი სწვავდა დარდები. საღამო იყო და როცა მზემაც უკანასკნელი სხივი ჩაკეცა, ფრინველი მაშინ გამხიარულდა, მისმა გალობამ დაატკბო ყველა. და იმ გალობას შემოუერთდა, ხმა მეტად ტკბილი და სანატრელი, ირგვლივ გაჩუმდა ერთ წუთს ყოველი, იმ ხმამ შეიპყრო ყველა სულდგმული. ამ უცნაური ხმისა გამგონი, თვით ბულბულმაც კი თავი დახარა, ეს ის დღე იყო, დღემდის ტანჯული, სიუზის გული რომ გაახარა. ციხის უფროსი გაჩუმებული, ფანჯარასთან მდგომ ლანდს შესცქეროდა, თითქოს ბრაზობდა, მაგრამ გულში კი ჯერ არსმენილი ხმითა ტკბებოდა.

• ბუცა, რა მიამიტი ხარ, გოგო. აგვისტოს 22-ში დავბადებულვარ, მე ფილადელფიაში მინდოდა, მაგრამ ახმეტაში გავჩნდი. კუნკულა.

• დიკი ანგელ, ახლა მაინც ხომ ხარ თავისუფალი? გთხოვ, გამომყევი ცოლად. მეც ვერტყვიჭალელი ვარ. შენთვის უცნობი ვარ, ზურასთვის — ნაცნობი. მარ, ნომერი არავის მისცე. გურამი.

• ტალკერ, მაგარი არის რკინა. მე კარგი ბიჭი ვარ. გაიხარე. კუნკულა.

• მიყვარს „გზა“ და მგზავნელები. ცოტა ხანია, რაც გავბედე აქ დამესიჯება. ახლებო, მოგიკითხავთ. ძველები მენატრებიან. CRAZY GIRL, ვიმეგობროთ, მპუა შენ. თქვენი ლი23.

• ჯიგარი ხარ, ატარექსია! ვინც მომეწონა, ყველა წავიდა ჟურნალიდან. რომელი ერთი ვთქვა?.. თუნდაც ძვირფასი

თეო და ტკბილი თათა. იმედია, შენ გატეხ ამ ნავსს. ჯ. ხავი.

• რა საყვარლები ხართ, ბავშვებო. თქვენით ვთბები რაღაცნაირად. :) ატარექსია, შენც ძაან კარგი ხარ და გაგიცნობდი. :) ლუნა, რა კარგი ხარ, CRAZY GIRL, კარგი ხარ. ერთი სიტყვით, თქვენი გაცნობა მინდა ძალიან. :) დედიკო, მიყვარხარ, დეეე... არ იდარდო, შენი ოქრო ხომ მე ვარ? ჩემი — შენ. :) მიყვარს „გზა“! ჩემიაააა! ბავშვებო, გკოცნით. ეგოისტი.

• CRAZY GIRL, შენც კარგი ხარ, გენაცვალე... არაფერი გამიკვირდებოდა ისე, როგორც შენი გზავნილი. :) თან ახალი ვარ და ხომ იცი, ძნელია ფესვების გადგმა. :) უწუწური.

• მარი, როგორ ხარ? მგზავნელებო, თქვენ? მადლობა ყველას, ვინც წინა „გზაში“ ირაკლის ურჩია. ნიკოლო და თამუნა16, შეგიძლიათ დაიჯეროთ, მე გოგო ვარ და ნათია მქვია. WANDERER.

• ერთი სათხოვარი მაქვს და ხომ შეიძლება? :( უდიდესი სიამოვნებით გავიცნობდი რუისპირს, ლუნას, კლეოპატრას, აურას და ატარექსიას... გეხუტებით აქედან. WANDERER.

• მე გზაზე, გრძნობა დავყარე ხელით. ჰოოდა, ვისაც მისი აფხეკის თავი და ნერვები ექნება, ის იქნება ჩემს გულში. :) უწუწური.

• ცხოვრება საქათმის კიბეს ჰგავს: მოკლეა და ბინძური. ატარექსია.

• მარტოსულობა — ეს ძლიერთა თავშესაფარია, სუსტები ბრბოს აწყდებიან. ატარექსია.

• ბუცა, გაიხარე, რამდენადაც მივხვდი, გოგო ხარ. ვიმეგობროთ, არაა პრობლემა. მარიამულ, ძვირფასო, მიეცი ბუცას ჩემი ნომერი. ნეტავ მართლა დიდი ვიყო. 20 წლის ქვრივი ნამეტანია.

• გულს ნუ გაიტეხ, ლადუჩო ა-67, წრფელ სიყვარულს ვერაფერი აღუდგება წინ. შენ გვერდით მიგულე, ძმაო. ვიცი, რასაც განიცდი. ჯ. ხავი.

• ბაი, გამიხარდა, რომ დარეკე. იმის იმედად ვარ, იქნებ სააღდგომოდ რამე იყოს სიახლე. ძაალიან მაკლიხარ და მენატრები. ნათია ნ.

• დიკი ანგელ, შემეხმიანე, გთხოვ. ჩემ ნომერზე მომწერე. ყველას მოვიკითხავ, გეტყვით, რომ ძალიან მიყვარხართ. არ დამვიწყებიხართ, უბრალოდ, ველარ გწერდით. გაკოცეთ. ციკო-ედელვაისი.

• მიყვარხარ ლუი, უზომოდ. ჩემი სიცოცხლე ხარ, ჩემი სამყარო. მხოლოდ შენი ჩახუტება გამათბობს.

• ჩემი ცხოვრება და ჩემი სიხარული მენატრება მაგრად. :( ჩვენ ჯიბრზე არაა ეს „ზბორები“, რა. იცით, რა მაგრად მიყვარს ის ადამიანი? ეს სიშორე, რა! მენატრებაა! მორიელი.

• მარიკუნა, მზე ხარ, მზე! ლი-23, მოკითხვა, შეგამჩნიე იმიტომ, რომ კარგი ადამიანი ჩანხარ. ლი-23 და ატარექსია, იქნებ როგორმე ნომერი გამაგებინოთ, დავმეგობრდეთ. კუტრინა.

• ნაკლები ისტერიკა, ნაკლები შეურაცხყოფა, ნაკლები თავხედობა მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ გითხრათ: ჩვენ გავიმარჯვეთ, ხალხო! გიყვარდეთ ერთმანეთი. შერლოკ ჰოლმსი.

• ამ ჟურნალში იყო დრო, რომელიც მეც კი კარგად დამამახსოვრდა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი მიხსენებდა თბილად. ამიტომ მოვიკითხავ ტირიფ73-ს. შერლოკ ჰოლმსი.

• ყველა ერთნაირად ვერ და არ ეყვარება ადამიანს, მაგრამ დაფასებით რომ ყველა უნდა დააფასო, ეს ალბათ იცით. ამიტომ, ჩემი რჩევაა, ლანძღვას მოეშვათ. შერლოკ ჰოლმსი.

• აქ ბევრი წერს ისეთი, რომლისაც მოისმინება, რომლისაც დაიჯერება, ბევრის არც წაიკითხება. ამიტომ მოდი, ყველა ვიყოთ საინტერესონი და აზრი მივცეთ ამ ყველაფერს. შერლოკ ჰოლმსი.

• უკვდავი სული! ის იცოცხლებს აწ და მარადის! მკაცრია ფიქრი, ველურია ფანტაზიები, ლოიოლის და ტორკვემადის ღირს შესადარი. გული ცივდება, იბინდება გონება ჩემი... რომანტიკოსი არ გახლავართ. მითების კვალი კარგა ხანია, რაც თავიდან გამოვაძევე; არც მაშინებენ, არც ნუგეშად მევლინებიან, უძველეს რწმენის ნისლიანი მოჩვენებები. აბა, რაღაა სული იგი? არაფრისაგან ის შექმნა კაცმა. უსასრულოა ზღვა, რომელიც სივრცეებს ავსებს, ხოლო იმ ზღვაში ხან აქ, ხან იქ ჩნდება მორევი. ეს სისტემაა პლანეტარული, მორევი



იგი დუღს და ბობოქრობს. შლეგი მორევის ტალღებია მზე, პლანეტები, მათში ფუთფუთებს მილიარდი ციცქნა მიკრობი, ყოველ მიკრობში უსათუოდ მწიფდება რაღაც, იცვლება, სანამ არ გასკდება აქაფებული. მხოლოდ მცირედი მიკრობები, ადამიანთა, რომელშიც კნინად არეკლილა თვითონ მორევი, ფიქრობენ, ბჭობენ, იტანჯვიან, სურთ მოიქციონ საკუთარ თავში ოკეანე მარადისობის. ლაკვასტი.

• ხანგრძლივი, მძიმე დუმილის შემდეგ ისევ ტკაცუნებს სიმღერის ტალღა, თითქოს ერთბაშად ფერფლქვეშ მთვლემარე, ცეცხლის ენები მიიწევს მაღლა. ის, რაც მეგონა შვება, სიმშვიდე, თბილი ღადარი ყოფილა მხოლოდ, მასში ვნების და ტრფობის ნაპერწკალს არ მოღებია აქამდე ბოლო. ჯერ არ ჩამქრალა, ენთო, ღვიოდა, ჩემი ცრემლებით გადანაცვარი, ქარმა გაფანტა და აფარფატა, ჩააქრე ცეცხლი, დარჩეს ნაცარი! ო, არა, კმარა! მე არ ჩავაქრობ! დაე, ცოდვილმა ცეცხლმა იალოს! გულის მწეწავი, ხუნდის მლეწავი, სიმღერის ტალღამ დაიგრიალოს. ლაკვასტი.

• მზეო, ამოდი, ლამაზო, გადმოაფრქვიე სხივები, ქვეყანას მადლი მოჰფინე, გაგვიხალისე შვილები, შენი ამოსვლა, ჰე, მზეო, ნუთუ ეგეთი ძნელია... ამოდი, ამოანათე, იქნებ გამითბო ძვლებია, შენი ამაგი, მნათობო, უბრალოდ არა ჰქრებიან, შენა ხარ ჩემი დიდება, ჩემი ოცნების ფერია... შალვა ბაციკაძე,

• ძლივს გაზაფხული მოვიდა, თოვლი აიღო გვიანა, დათბა თუ არა, მაშინვე თავი ამოყო იამა, ყველა მცენარე გაცოცხლდა, რომ დაუბერა ნიავმა, სუყველა გაახალისა დილამ ნათელმა, მზიანმა. ყველა სიცოცხლეს შეხარის, გამხიარულდნენ ჩიტები, ხიდანა ხეზე ხტებიან, გახარებული ჩიტები. შალვა ბაციკაძე.

• ცა ღრუბელით მოიპენტა, გაისმა ჭექაქუხილი, ვაი, თუ სეტყვა მოვიდეს, გულმა დაიწყო წუხილი. ქარმა ღრუბელი გაფანტა, გამოჩნდა დიდი მთვარეო, მამულში გავისეირნე, დარდები გავიქარვეო. დილით მზემ ამოანათა, განათდა მთელი მამული, მთელი მინდორი ბრწყინავდა, დილის ცვრით გადანამული... შალვა ბაციკაძე.

• კლეოპატრა, ახლა ვნახე შენი თანხმობა მეგობრობაზე. მოდი, SKYPE-ში დამიმატე. ჩემი SKYPE-ია მარიამი77733.

• მორიელო, დაჩაგრული ვიქნები, აბა რა ვიქნები, ბიძა სულ მამწარებს. პატარა რომ ვიყავი, მცემდა, წიხლქვეშ მიგდებდა, ცრემლებით მეძინა, არ მომკლას-მეთქი; უმიზეზოდ მამწარებდა. 15 წლის რომ გავხდი, მისმა ძმაკაცმა ჩემი გაუპატიურება სცადა. პატრული დამჭირდა და მაინც მოვიშორე. ბევრჯერ თავის მოკვლაც ვცადე, მეგონა, რომ არავის ვუყვარდი. მერე გავხდი ემო, არაფერი მაინტერესებდა, ჩემი სამყარო მქონდა, შავ ფერებში ვუყურებდი ცხოვრებას. 18 წლის რომ ვიყავი, ეს იმიჯიც მომბეზრდა, მერე ჩემს თავს თავად დავეხმარე, გამოვედი მდგომარეობიდან, მარა ნეტავ არ გამოვსულიყავი. ახლა ვარ 19 წლის. 6 თვის წინ გავიცანი ზურა, მას მე სიგიჟემდე ვუყვარდი, მართლა რომ გიჟდებოდა ჩემზე. 1 თვე ვმესიჯობდით და ვსაუბრობდით ჩვენზე, მერე კი ოჯახში უთანხმოება მომივიდა, ზურას დავურეკე, ჩამოდი და წამიყვანე, აქ აღარ მინდა-მეთქი. მეორე დღეს ჩამოვიდა და წამიყვანა თავის ოჯახში. თავიდან, 2 თვე კარგად ვიყავით, მაგრამ მერე აგვერია ცხოვრება, მთვრალი მოდიოდა ხოლმე და ამას ვერ ვიტანდი, მარა კაი დებილი რომ ვარ, მაგიტომ. მერე რა, მოსულიყო მთვრალი. მე რომ რამეს ვეუბნებოდი, ღიზიანდებოდა. ბოლოს მითხრა, წადიო. წამოვედი, მაგრამ შევცდი მაგრად, დედამთილი მეორე რძალს ეუბნებოდა, არ წავიდეს უჩემოდო, მაგრამ მაინც წამოვედი. მართლა დებილი რომ ვარ... ახლა აქ მამწარებდნენ. ბიძაჩემმა არ იცის, ქმარს რომ დავშორდი. რომ გაიგებს, მაგრად მომხვდება, რადგან მეუბნება, უყვარხარ, წახვალ, არ უყვარხარ, მაინც წახვალო. აუ, მაგრად მეშინია სიმართლის თქმის, არადა, შეიძლება დამიბრუნდეს ზურა და მაგიტომ უფრო ვიკავებ თავს სიმართლის თქმისგან. გიჟია, როგორ ვუთხრა, დამშორდა-თქო? არადა, დიდი იმედი მაქვს, რომ დამიბრუნდება. გთხოვთ, რომ თქვენ მაინც შემარიგოთ, დაუწერეთ რამე, „გზას“ კითხულობს სულ. მორიელო, ვერ გემეგობრები ახლა, ამის დრო არ მაქვს, მეგობრობა კი არა, ნეტავ ოჯახი შემანარჩუნებინა, ძალიან ცუდად ვარ, ყოველდღე დეპრესიაში ვარ, ძილში „ზურას“ ვიძახი თურმე და დედა მეკაიფება ხოლმე, — ზურა მოგნატრებია მაგრადო. მორიელო, იმედია, მეგობრობაზე უარს არ მიწყენ. თუ გსურს, „გზავნილებში“ ვიესემესოთ ხოლმე. სოფო მქვია, ვარ 19 წლის, მაღალი, შავგვრემანი. აუ, გავიგე, ზურას ჯადო გაუკეთეს თავისიანებმა და ახლა ვილაც გოგოს ურიგებენ. აუ, ზურა, უნდა გამოგილოცო ჯადო და იქნებ მოხვიდე აზრზე. მიყვარხარ. ზურა, მართალი ვთქვი ყველაფერი, ხომ თავადაც იცი? გემუდარები, ნუ დამტოვებ აქ, წამიყვანე აქედან, გთხოვ, მაგრად ვნერვიულობ და მეშინია, სიცოცხლე ჯოჯოხეთად მაქვს ქცეული. რაც შენიდან წამოვედი, სულ ვტირი, თვალები ჩაშავებული მაქვს ტირილისგან. გთხოვ, ოღონდ ჩემ გვერდით იყავი, გთხოვ, დამირეკე, მტრის ჯინაზე ერთად ვიყოთ. ნუთუ ბიძაჩემს ჩემი თავი უნდა მოაკვლევინო? დიკი ანგელი.

• ქალბატონო ნანი, მე ვერავინ დამეხმარება. მინდა, ზურამ დამირეკოს და წამიყვანოს, აი, მერე კი ისევ აღდგება ჩემს თვალებში სიმშვიდე. ყოველდღე ვლოცულობ, ღმერთის იმედით, იქნებ დამირეკოს და დამიბრუნდეს. ძალიან კარგი ქალი ბრძანდებით. დიკი ანგელი.

• ვმკითხაობ ყავაზე, 10 ლარად. თუ გნებავთ, დარეკეთ მარისთან და ნომერს მოგცემთ. დიკი ანგელი.

• ძალიან გთხოვთ, გლანდებისა და თვალების ოპერაციები მაქვს სასწრაფოდ გასაკეთებელი. დამეხმარეთ, გთხოვთ, თუნდაც თითო ლარით. თქვენი იმედი მაქვს. სოფო.

• ნაომ, სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან... ჩემნაირად უგიჟუკებ და მე ეს მომწონს. უკრაინკა.

• დილა მშვიდობისა, მარიამულო. ოჰ, ეს ჭორები, ვინც ეგ თქვა შენზე, ალბად არ გიცნობდა კარგად, მარ. ნეტავ რას აკეთებ ახლა და როგორ ხარ? ხანდახან იცი, როგორ მომენატრები ხოლმე? მეც ძალიან მიყვარხარ! ჰო, მართლა, ძალიან კარგი თემაა, მარიამულო, ზუსტად იცი, რა დროს რა თემა მოგვცე. ლექსი ისევ შეცდომით დაიბეჭდა, სიხარულო. დღეს დავლიე ცოტა და ყველაფერი ორად მეჩვენება. უჰ, დღეს რა ტკბილად დამეძინებააა. მაარ, კამისაც ძალიან უყვარხარ, წუხელ მითხრა, მენატრება მარიამულიო. იცი, რა ტკბილია კამი? ხომ ამდენი ხანია ვიცნობ და ერთხელაც არ უტკენია გული (ღმერთმა დაგვიფაროს, ამისგან). ეთოც ძალიან მიყვარს, მზრუნველად მექცევა ხოლმე. ჩემი მამუც მიყვარს, იცი, რა კეთილი და ტკბილია მოხუცი? მახარებს მისი არსებობა! მადლობა შენ, სიხარულო, რომ მაპოვნინე ეს საოცარი ადამიანები. რატომღაც მომინდა ამ ყველაფრის მოწერა და მოგწერე კიდეც. მიყვარხარ, მარ და გკოცნი თბილ გულში უამრავს. სულ შენთან ვიქნები! ღამე მშვიდობისა, ტკბილი ძილი! მუდამ შენი ლუნა.

• გადარეულო, გაიხარე, ჩემო კარგო. ყველანი კარგები ხართ! ლადუჩო ა-67, სხვებს ნუ მიაქცევ ყურადღებას. ტილებს მოევლება, მაგრამ თუ მართლა უსუფთაო გოგოა, არ ვიცი, რა გითხრა. ლუნა.

• მგზავნელებო, მოგიკითხავთ. ერთი იდეა მაქვს, თუ მხარს ამიბამთ, გამახარებთ. „მობილი-ზაციაში“ ამდენი ვართ შეკრებილი და არ სჯობია, ქველმოქმედებისთვის გავერთიანდეთ? ჩვენი მარიამულიც დაგვეხმარება, დაგვაკვალიანებს. ამდენი გაჭირვებული გვყავს ირგვლივ. სულ რომ არაფერი, სახლებში გვაქვს ძველი ნივთები, ტანსაცმელი, რომელსაც ვყრით ან აღარ ვიყენებთ. ყველაფერი რომ მოგვეკრიბა, ამით ვილაცას გავახარებდით. ერთი „კურტკით“ ზამთარში ერთი ადამიანით მეტი იქნებოდა თბილად. თუ შემეხმიანებით, კარგია. თქვენი ქვრივი.

• არასდროს ვკითხოთ კაცებს, — რაზე ფიქრობთო, თუ არ გვსურს, მოვისმინოთ საფეხბურთო და სამსახურებრივი პრობლემების გრძელი ნუსხა. კვირადღე დასვენებისთვის არსებობს, ამიტომ მთელი დღე დივანზე ნებივრობის კანონიერი უფლება აქვთ კაცებს (მაგრამ ეს შენ არ გეხება, დათო). ტირილი შანტაჟის სახეობაა. ჩვენი ყოფილი შეყვარებული ან ქმარი იდიოტია (ვაიმე, ეს რა მაგრად გამომივიდაააა). ნუ ვილაპარაკებთ კაცებთან მინიშნებით, ვთქვათ, რაც გვსურს პირდაპირ და მათგანაც პირდაპირ პასუხს მივიღებთ. თუ გვსურს, რომ ყველა იუბილე და მნიშვნელოვანი დღე არ დაავიწყდეს, კალენდარზე აღვნიშნოთ და მილოცვის მიზეზიც მივუთითოთ. „დიახ“ და „არა“, ეს ის პასუხე-

ბია, რომლებიც ნებისმიერ კითხვას შეესაბამება. თუ პრობლემები გვაქვს, უბრალოდ, ემოციების გარეშე ვთქვათ. თუ ტირილი გვსურს, დაქალებს მივაკითხოთ. თუ ერთი თვის განმავლობაში ძილის წინ თავი გვტკივა და ამის გამო სექსზე უარს ვამბობთ, ჯობს დროულად იმკურნალოთ. :). კამათისას წარმოთქმული სიტყვები ძალას ერთი დღის შემდეგ კარგავს, ამიტომ 6 თვის შემდეგ ნუ მოვთხოვთ იმ სიტყვებზე პასუხს. თუ საუბრის დროს ორაზროვანი ფრაზა წარმოთქვეს და ერთ-ერთი აზრი არ მოგვეწონა, ე.ი. მათ იმ ფრაზაში მეორე აზრი იგულისხმეს. :) P.S. რა ჭკვიანური გზავნილი გამომივიდაა, საკუთარ თავზე მეშლება ნერვები, რააა. :) ნუ მიეჩვევიით! მერე რა, მარ, მაინც მიყვარხარ. სასიამოვნო დღის გატარებას გისურვებ. ნაომი.

• ნანა მისირელო, შენი საცოდაობით ვიწვი, ოღონდ მართლა, და შენ ვის გამოც და რის გამოც ჩხუბისთვის მიწვევ, ნაომის პრინციპებს სასტიკად ეწინააღმდეგება. ნაომი.

• მააარ, ძაან გახარებული ვარ, ჩემი სმს-ები რომ წავიკითხე „გზაში“. მადლობა შენ! მიყვარხააართ! CRAZY GIRL.

• თურმე როგორ მაკლდა შენი სმს-ები. მეც, მეც მიყვარხარ, გკოცნი, ძილი ნებისა. ჩემი მწარე გოგო ხარ. მარი, მოგონებები მომაწვა. ნეტავ ადრესატი თავის თავს ამოიცნობს? გრუზინკა.

ნ-აღვერდალივით გული გაქვთ,
ა-პრილის მზისებრ მათბუნებთ,
ნ-ეტავ რით გადავიხადო,
ი-მდენი სითბო მარგუნეთ.
დ-ედას მიცოცხლებს თქვენი ხმა,
უ-ტკბილეს-ალერსიანი,
მ-ინდა დაგლოცოთ, უფალმა
ბ-ევრი დღე მოგცეთ მზიანი.
ა-მ სიშორეზე გულს მითბობთ,
ძ-ალას მმატებთ და მხნეობას,
ე-მის უყვარხართ, გისურვებთ
ს-იხარულს, კეთილდღეობას.

• ქალბატონო მარი, შენ და მთელი ჟურნალის რედაქციას მინდა მოგიძღვნათ ულრმესი მადლობა ასეთი საინტერესო ჟურნალის დაარსება-გამოცემისათვის. მე სტამბოლში ვმუშაობ უკვე 5 წელია და ყველა ნომერს ვერ ვწვდები, მაგრამ უმეტესის შეძენას ვახერხებ, ახლობლების მეშვეობით. უთვალავი ადამიანის მწუხარებასა და სიხარულს იზიარებთ. მეც ერთი მათგანი ვარ, რომელსაც ასაკის მიუხედავად, ეწვია დიდი სიყვარული და მერე... საპნის ბუშტივით გაქრა ჩემი ოცნების პრინცი, მაგრამ მას არ ვემდური, მისი დაკარგვა ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ბრალია, რომელმაც მოგვწყვიტა მშობლიურ კერას და დაგვფანტა სხვადასხვა ქვეყანაში და მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით ჩემს ძვირფას, დაუვიწყარ, სულიერ მეგობარს, გია წუწუნავას შევეხმიანო ლექსით: არ ვიცი, სად ხარ, მაგრამ მინდა, რომ კარგად იყო, არ ვიცი სად ხარ, მაგრამ ყველგან გფარავდეს ღმერთი...

• შეიძლება, სიყვარულმა ასაკი არ იცის, მაგრამ ლევანის მესიჯმა ძალიან ალამაშ-

ფოთა. არც ერთი, ოჯახის ერთგული და მეუღლის მოსიყვარულე ფეხმძიმე ქალი, ოჯახს არ დაანგრევს არაფრის და არავის გამო, როგორი სიმპათიური მუწუკიც უნდა იყოს. რომელი შვილები? როცა თამო თავად გეკუთვნის შვილად 39 წლის კაცს? ამოიგდე თავიდან ეგ ამაზრზენი ახირება, თორემ ერთი კარგი ცემა-ჟეჟა ალალი იქნება შენთვის! პატივი ეცი მის არჩევანს, შეეშვი ოჯახის დანგრევას და სიცოცხლეს ნუ უმწარებ.

• გამარჯობა, მარიამულ, როგორ მიყვარხართ შენ და მგზავნელები... ჭორს რაც შეეხება, მთავარია, ყურად არ იღო, თორემ დაგღუპავს. ასე რომ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. მოხუცი.

• გამარჯობა, ჩემო ტკბილო და მურაბა მგზავნელებო. ხომ გაგიგონიათ, შეგნებულთან ჩხუბი სჯობია, შეუგნებელთან პურის ჭამასო? წინადადება შემომაქვს, მათ, ვისაც ენიგმას გზავნილი მოგვნატრებია, მომდევნო „გზის“ ნომერში ჩვენს გზავნილს მივაწეროთ — „ე-ნიგ-მაა, სად ხარ, ჭოო“. იქნებ ამ დაძახილით გაგვიხსენოს. თუ არა და, მერე ვაგინოთ. ის ხომ ტიპური ქართველია. „შემაგინე და გესვრი“ — დევიზით ცხოვრობს. ჰოო და, გაჭრას იქნებ და გვაზიაროს თავის მოსწრებულ სიტყვა-პასუხს, თორემ წელიწადი შემობრუნდა, კაცოო. რა გული გითმენს, „უგზოდა“, ჰაა?! „ლამარიე არ გაათხოე?“ ენიგმა, კარგი შვილი, ხარ მე და ჩემმა ღმერთმა. თამრო.

• ვაიმე, მარ, ახლა კიბორჩხალას ვემესიჯები, მისი სიყვარულის ტრაგიკული ისტორია გავიგე და ცუდად ვარ, ცრემლები მომერია. მართლა ძალიან ვწუხვარ, ლევან. CRAZY GIRL.

• ცოფიანო და ჩუპა ჩუუპს, სად ხაართ? :) ულიბკაააა, მოენატრე და აკლიხარ „გზას“. ნაომი.

• შტერია ის მამაკაცი, რომელიც თავს უჭკვიანესად, მომხიბვლელად და ზედმეტად თავდაჯერებულად მიიჩნევს. სიტუტუცეა, როცა მამაკაცი ფიქრობს, როგორ შეიძლება ვინმემ უარი მითხრასო. როცა ფიქრობს, რომ განუმეორებელი და ქალების შეუდარებელი გულთამპყრობელია. ასეთი მამაკაცი ფენომენურად შტერდება და უგრძნობ პირუტყვს ემსგავსება. ნაომი.

• მარ, იცი, დღეს კიბორჩხალა გავიცანი. ძალიან კარგი ბიჭია. მესამე ხუჭუჭა, ჩემი რუისპირისა და კუტრინას მერე... უყვარხართ და ენატრებით თქვენს CRAZY GIRL-ს.

• ისეთი ფაფუკია ლიანდაგი, რომ თითქოს ღრუბლებში ვწევარ. გთხოვთ, გააჩეროთ მატარებელი!..

• ეგოისტო, გაიხარე. რა პრობლემაა, გაგეცნობი. მარის ჩემი ნომერი გამოართვი. თეთრო სად დაგვეკარგა, მარ? მოვიკითხავ პატივისცემით. სადაცაა, იქ იყოს ჯიგრულად. ნაომი.

• აუ მარ, ნიკოლოს და ბლოოზის გაცნობა მინდააააააა! ნიკოლოს „მასწავლებლის სიყვარული ძნელია“ ძალიან მომეწონა. ასე მეგონა, ფილმის კადრებს ვუყურებდი. CRAZY GIRL.

• ნუ, ეს ეგოისტობა თანდაყოლილია

თუ რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ საყვარლად ეგოისტი ვარ და ცოტა მესაკუთრეც. :-) ჰოდა, აქ რა ახლები მოსულან? თან, არცთუ ისე კარგები. ბუცა.

• პატრული მაინც პატრულია რა, უჰ, რა საყვარლად დამპლები და ნაგლები არიან... :-) პირადად ვიცნობ და ცოტას ვმეგობრობ ამ ნაგლებთან, მაგრამ რას იზამ? პატრულია და... ბუცა.

• მეც მოვხვდი ერთ არცთუ ისე მნიშვნელოვან ადგილას, მაგრამ იქ ისეთი ამბავი მოვისმინე, დღემდე შოკში ვარ და რომ ვუსმენდი ერთ არაჩვეულებრივ და ულამაზეს ქალბატონს, სიზმარში მეგონა თავი, ისეთ რაღაცას მოჰყვა თავის ცხოვრებაზე. თუ თემა იქნება ისეთი, რაც ამ ამბავს შეეფერება, აუცილებლად მოგიყვებით ვრცლად. ბუცა.



# გილოცავ!

• გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარით მრავალს, ჯანმრთელად და ბედნიერად, თქვენს საყვარელ ხალხთან ერთად. ვერც ერთს ვერ დავესწრებიიი! ჯ. ხავი. (ჯარჯი).

• ოთიკო რომანიშვილს: 30 მარტს 4 წლის გახდი და მინდა, მოგილოცო. ჯერ იმ ასაკში ხარ, მხოლოდ დედიკოს და მამიკოს რომ უნდა დაუჯერო, საჭმელი კარგად ჭამო, შემდეგ კარგად ისწავლო; მერე ჭკვიანურად გამოიყენო ნასწავლი, ლამაზი ოჯახი შექმნა და შენი 4 წლის ბიჭს წაუკითხო მამიდას მილოცვები. მრავალჯერ მომელოცოს. გულიკო მამიდა.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**



# ტაიმ-აუტი

## მიზეზები, რის გამოც სამსახურიდან ათავისუფლებენ

• 36 წლის სტეისი ფირნალი რესტორან Nathaniels-ში მიმტანად მუშაობდა. გოგონას მამა კიბოთი გარდაეცვალა და სურდა, ერთ-ერთ საქველმოქმედო ორგანიზაციას მატერიალურად დახმარებოდა. ამისათვის თავი გადაიპარსა და სილამაზის სალონს თმა 2.700 დოლარად ჩააბარა. სამსახურში მისულს კი უფროსმა განუცხადა, რომ თავხოტორა მიმტანს საკუთარ რესტორანში არ ამუშავებდა. მას შეეძლო, პარიკით ემუშავა, მაგრამ პრინციპულმა გოგონამ საკუთარი ნივთები ჩაალაგა და ახალი სამსახურის ძებნას შეუდგა.

• ინგლისელმა კიმბერლი სვანმა სამსახურში ყოფნისას, „ფეისბუკის“ სტატუსში ჩაწერა: BORED AT WORK („მოწყენილი ვარ სამსახურში“). საიტზე მყოფმა მისმა უფროსმა კიმბერლი კაბინეტში გამოიძახა და სამსახურიდან გათავისუფლების განცხადება წარუდგინა. თანაც, დაამატა: თქვენ ნაცლად ისეთ თანამშრომელს ავიყვან, ვისაც სამსახური მოწყენის საშუალებას არ მისცემს.

• „მაკდონალდსის“ თანამშრომელს სამსახურში მეგობარი ეწვია და ჰამბურგერში ყველის ნაჭრის ჩადება სთხოვა... მეორე დღეს გოგონა სამსახურიდან დაითხოვეს. თანაც, განუმარტეს, რომ ჰამბურგერში ჩადებულ ყველს, ჩიზბურგერი ჰქვია და ის ჰამბურგერზე ძვირი ღირს. მან კი ნაცნობს ის ჩვეულ ფასში მიჰყიდა.

• ხუან კანალესი ფლორიდის ერთ-ერთ რესტორანში მიმტანად მუშაობდა. ერთხელ დაინახა, როგორ დაესხა ქალს დანით შეიარაღებული ყაჩაღი. ხუანი ქუჩაში გავარდა, დამნაშავე შეიპყრო და პოლიციას გადასცა. სამუშაო ადგილზე დაბრუნებულს, უფროსმა განუცხადა, რომ გათავისუფლებულია. მან ვიღაც ქალის გადასარჩენად სამუშაო მიატოვა. მას რესტორანში ოფიციანტი სჭირდება და არა — გმირი.



• ფილიპა ჰამილტონი „რალფ ლოურენსის“ კომპანიაში ფოტომოდელად მუშაობდა. ერთ დღეს, მენეჯერმა გოგონას განუცხადა, რომ ის ძალიან გასუქდა და სამსახურიდან დაითხოვა. 23 წლის მოდელის სიმაღლე 165 სმ-ია და 54 კგ-ს იწონის.

• კალათბურთის მწვრთნელი მიკა გრიმასი სამსახურიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მისმა გოგონათა გუნდმა მოწინააღმდეგეს 100:0 მოუგო და მიკამ დამარცხებული გუნდის მწვრთნელს გამარჯვებისთვის არ მოუბოდიშა.

• გერმანელმა თომას იენსენმა 3 არამწეველი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვა. მისი აზრით, ისინი „თეთრი ყვავებივით“ იყვნენ და მწეველ კოლექტივს უხერხულ სიტუაციაში აგდებდნენ.

■

## მთვარის გავლენა თმაზე



• თუ გსურთ, დეპრესიის, ცუდი განწყობილებისა და უსიამოვნო ფიქრებისგან გათავისუფლდეთ, თმის შესაჭრელად სალონს ორშაბათს ეწვიეთ.

• უსიამოვნებებისგან სრულიად უცხო ადამიანი დაგიცავთ, თუ თმის შეჭრას სამშაბათს გადაწყვეტთ.

• თუ ვარცხნილობას ოთხშაბათს შეიცვლით, გაგიადვილდებათ ადამიანებთან ურთიერთობა და სასიამოვნო ამბებს შეიტყობთ.

• გარშემო მყოფებში ავტორიტეტს აიმაღლებთ, თუ სალონს ხუთშაბათს ეწვევით.

• ასტროლოგების აზრით, პარასკევს ორგანიზმში ბიოქიმიური პროცესები შენელებულია. ამიტომ, ამ დღეს თმის შეჭრას ნუ დაგეგმავთ.

• მარტოობისგან გათავისუფლდებით და საკუთარ სიძლიერეში დარწმუნდებით, თუ ვარცხნილობას შაბათს შეიცვლით.

• კვირას თმის შეჭრა რეკომენდებული არ არის. სხვათა შორის, ეს რეკომენდაცია ფრჩხილებსაც ეხება.

• გახსოვდეთ, თუ გსურთ, თმა სწრაფად გაგეზარდოთ, იგი მზარდი მთვარის პერიოდში უნდა შეიჭრათ. თუ თმას მთვარის კლებისას შეიჭრით, ნელა გაგეზრდებათ.

# შოკოლადის საუკეთესო მუზეუმები

⅄ ჟესპოლსენის (საფრანგეთი) მუზეუმი რამდენიმე განყოფილებადაა დაყოფილი: 1. შოკოლადის ამფითეატრი, სადაც ტკბილი ექსპოზიციის ნიმუშებია წარმოდგენილი; 2. კინოდარბაზი, იქ შოკოლადის ისტორიაზე ფილმს უჩვენებენ; 3. ჩაის დარბაზში ყველაზე უჩვეულო დესერტს მოგართმევენ; 4. სადემონსტრაციო დარბაზში, მნახველები შოკოლადის დამზადების ტექნოლოგიას ეცნობიან და იქ განთავსებულ საჩუქრების მაღაზიაში, სხვადასხვა ფორმისა და შემადგენლობის შოკოლადს ყიდულობენ.

⅄ კელნის (გერმანია) მუზეუმის თანამშრომლები დაწვრილებით უხსნიან დამთვალიერებლებს, თუ როგორ აკეთებენ სააღდგომოდ შოკოლადის ბაჭიებსა და კვერცხებს, საახალწლოდ კი — ნაძვის ხეებს. მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში შოკოლადის შადრევანია განთავსებული, რომელშიც მსურველებს შეუძლიათ, შოკოლადში ვაფლის მილაკი ამოავლონ და მიირთვან.


შოკოლადის შადრევანი


შოკოლადის ექსპონატები

⅄ „ფილიპ ისლანდის“ (კუნძული ვიქტორია, კანადა) მუზეუმში ნებისმიერ მსურველს თავად შეუძლია, დაამზადოს სხვადასხვა ფორმისა და არომატის შოკოლადი. იქვე შესაძლებელია, დაათვალიეროს ცნობილი ქანდაკებების შოკოლადის ვერსიები.

⅄ ბრიუგის (ბელგია) შოკოლადის მუზეუმი ყოველწლიურად შოკოლადის ფესტივალს მასპინძლობს.

⅄ ლიტიტცის (პენსილვანიის შტატი, აშშ) შოკოლადის მუზეუმი კონდიტერ — პენი კანიუკის მეუღლის თაოსნობით გაიხსნა. იქ შოკოლადით მოხატული 150 ფაიფურის ქოთნის ნახვაა შესაძლებელი.

⅄ აზიაში შოკოლადის მუზეუმი მხოლოდ კუნძულ ჩეჯუდოზე (სამხრეთი კორეა) მდებარეობს. იქ გამოფენილია ყველა ქვეყნის, ფორმის, ზომისა და შემადგენლობის ნუგბარი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოქმედი შოკოლადის ტრამვაი.

⅄ მეხიკოში (მექსიკა) „ნესტლეს“ კომპანიამ მუზეუმი 75 დღეში ააშენა. იქ ყველა ოთახი თეთრია, გარდა მწვანე კინოთეატრისა, სადაც მაყურებლისთვის განკუთვნილი სკამები შოკოლადის კანფეტებს წააგავს. ■



## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა ჰქვია მანძილს ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე?

2. 1953 წელს, ინგლისის დედოფალ ელიზაბეტ II-ს კორონაციას BBC ორმოც ენაზე გადასცემდა. რატომ იყვნენ ინგლისელი დიდებულები ამ ტრანსლაციის წინააღმდეგნი?

3. რას ეძახდნენ გერმანელი ფაშისტები „ფაკელცუგს“?

4. რა არის „ნანსუკი“?

5. დაასრულეთ ჯონ გოლსუორთის სიტყვები: „თუ ადამიანი მომავალზე არ ფიქრობს, მას ...“

6. დაასახელეთ 2 კონტინენტი, რომელზეც არ ბინადრობენ მაიმუნები.

7. რას ეძახიან ჩვენში „კარიანდრს“?

8. როგორ წიგნებზე ამბობდა ბერნარდ შოუ, მათ არავინ კითხულობსო?

9. აჯანყებული ვენეტების ფლოტთან საბრძოლველად ბრუტუსმა ძალზე გრძელი, ბოლოში კაუჭდამაგრებული ჯოხები დაამზადებინა. რა დანიშნულება ჰქონდა ამ ჯოხებს?

10. სტოკჰოლმის ზოოპარკი უცნაური მეთოდით ავსებს საკუთარ ბიუჯეტს. დირექცია საკმაოდ სარფიანად ვაჭრობს ფერწერული ტილოებით. ვინ არიან ამ ტილოების ავტორები?

11. რა ფიზიკური ნაკლი ჰქონდა ნაპოლეონის გენერალ კაფარელის?

12. რა უწოდა გალილეო გალილეიმ მის მიერ დამზადებულ ტელესკოპს?

13. რით „იმართლებენ თავს“ ძაღლის ხორცის მოყვარული ვიეტნამელები?

# ანეკდოტები



* * *

გურულ მოსწავლეს ეკითხებიან:

— დაგვისახელეთ სამი რამ, რისი გულისთვისაც გიყვართ სკოლა.

— ივნისი, ივლისი, აგვისტო...

* * *

თუ გინდათ, რომ პოლიტიკოსი გახდეთ, უნდა შეგეძლოთ:

1. მიიზიდოთ ღარიბების ხმები;

2. მიიზიდოთ მდიდრების ფული;

3. დაარწმუნოთ ერთნიცა და მეორენიც, რომ მათ ერთმანეთისგან დაიცავთ.

* * *

სიბერის დასაწყისია, როცა ხვდები, რომ ბევრი რამ, რაც გინატრია, უკვე აღარ მოხდება და ბევრი რამ, რაც უნდა მოხდეს, არასოდეს გინატრია.

* * *

ავტობუსში:

— ყმაწვილო, დამითმეთ ადგილი. 43-ში ფეხი დავკარგე.

— მერე მიბრძანდით და 43-ში მოძებნეთ, ეს 5 ნომერი ავტობუსია.

* * *

აფთიაქში:

— ორსულობის ტესტი გაქვთ?

— თქვენ რომელი გინდათ, დადებითი თუ უარყოფითი?

* * *

ფეხბურთის 2 გულშემატკივარი საუბრობს:

— ეეჰ, გასულ თვეს ყველაზე ცოტა მაყურებელი ჩვენი გუნდის თამაშზე მოვიდა.

— ეგ რა არის, გუშინწინ, მატჩის წინ სალაროში დავრეკე და ვეკითხები, — მატჩი როდის იწყება-მეთქი?

— მერე, რა გიპასუხეს?

— როდის გაწყობთო?..

* * *

მოსაზრება: ფროიდმა ყველაფერი მოსინჯა ცხოვრებაში და რაც არ მოეწონა, უკულმართობებს მიაწერა.

* * *

ნარკუშები ტყეში არიან. ერთს მუცელი აუწრიალდა და ბუჩქებში გაუჩინარდა. ცოტა ხანში იქიდან ამბობს:

— ქაღალდი არა გაქვს?

— კაი, რად გინდა, დატოვე და წავიდეთ, შე ჩემა!

* * *

— ბიჭუნა რატომ თამაშობ ასანთით?

— არ ვთამაშობ, სიგარეტს ვუკიდებ!

* * *

ძველი ციხესიმაგრის დერეფანში კაცი დარბის გამწარებული. შეხვდა მოჩვენება:

— უკვე 300 წელია, რაც აქ ვცხოვრობ, — აცნობა.

— ჰოდა, გეცოდინება, ტუალეტი სად არის!



* * *

ნარკუშები მანაგუას ხარშავენ. ერთი აყვირდა:

— „სგუშჩონი“ არ დაასხათ, მარხვაზე ვარ!

* * *

მიხო ცხოველების ბაზრობაზეა — ვირებს ათვალიერებს. 1 ვირი თვალს არ აშორებს მიხოს. სახლში წამოსვლას რომ დააპირებს, ვირი აიწყვეტს და მიხოს გაჰყვება. სახლში მისული მიხო ჭიშკარზე აბრახუნებს:

— რომელი ხარ? — გამოსძახებს ცოლი.

— დედაკაცო, 10 წლის წინ ვირი ვიხმარე და იმან მიცნო და შენ ველარა მცნობ, შე მართლა ვირო?!.

* * *

სვანმა სიძე დაჭრა.

— გადაირიე, ბიჭო, სიძე როგორ დაჭერი? — ეკითხება პოლიციელი.

— სანამ დავჭრიდი, არ იყო თანახმა სიძეობაზე.

* * *

— ოფიციანტ! რა არის ეს? ეს ქათამი ცარიელი ძვალი და ტყავია!

— ბუმბულიც მოგართვათ, ბატონო ჩემო?

* * *

სვანმა ცხენი დაკარგა და კიდევ კარგი, ზედ არ ვიჯექიო.

* * *

სამთო-სათხილამურო კურორტის ინსტრუქტორი:

— ბავშვებო, დაიმახსოვრეთ, მთავარია ხეს მხოლოდ ერთი მხრიდან შემოუაროთ!

* * *

სარა სახლში დაბრუნდა და ხედავს, მოშე დიდი სიფრთხილით შპალერს აძრობს კედლიდან.

— რემონტს ვიწყებთ, მოშე?

— არა, სხვაგან გადავდივართ!

* * *

— შენ რა, ქიმიის შესწავლა დაიწყე?

— არა, ეგ ჩემი ცოლის კოსმეტიკის მაგიდაა!

* * *

რაჭველები მშენებლობიდან ძველ აგურებს ისვრიან.

— ეგრე როგორ შეიძლება, — აღშფოთებულია გამვლელი, — დაიყვირეთ მაინც, კაცო!

— ჩვენ რად უნდა დავიყვიროთ, ვისაც მოხვდება, იმან დაიყვიროს!

* * *

— მაგ გოგოს მოეშვი, პირველად მე დავინახე...

— რა იყო, სამშობიაროში ბებიაქალად მუშაობდი, შე ჩემა?..



* * *

ექიმმა პაციენტი გასინჯა, გარეთ გაუშვა, მისი ცოლი მოიხმო და ჩუმად ეუბნება:

— თქვენი მეუღლე მძიმე მდგომარეობაშია. მისი ნერვიულობა არ შეიძლება. მისთვის არც მუშაობა შეიძლება. ეცადეთ, იშოვოთ სამსახური, მას კი — რაც შეიძლება წყნარი და კომფორტული გარემო შეუქმნებით. გაუკეთეთ საყვარელი კერძი და არაფერზე შეეკამათოთ. ამით შეძლებთ უფრო გაუხანგრძლივოთ სიცოცხლე და შეუმსუბუქოთ ტანჯვა.

გამოდიან კაბინეტიდან. ცოლს დანა პირს არ უხსნის. გზაში ქმარი ეკითხება:

— ექიმმა რაო?.. აღარ იტყვი?!.

— შენ მოკვდები! — პირქუშად პასუხობს ცოლი.

# გონების სავარჯიშო

## „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. გოჯი.

2. რადგან ამ სანახაობით ტკბობა საკუთარ პრივილეგიად მიაჩნდათ. იყო პრაგმატული მოსაზრებაც — უამრავი შეცდომა იყო დაშვებული გეორგ VI-ის კორონაციის დროს, რომლის კადრებიც კინემატოგრაფისტებმა შემოინახეს. მათ მიერ გადაღებულ ფილმში ნათლად ჩანს, როგორი დაბნეული სახით ატრიალებს ხელში ვესტმინსტერის სააბატოს წინამძღვარი სამეფო გვირგვინს და ვერ მიმხვდარა, სწორად როგორ უნდა დაადგას მეფეს თავზე. ამ ლაფსუსის შესახებ მოგვიანებით თავად მეფე გეორგ VI-ც წერდა.

3. ჩირაღდნებით ხელში საზეიმო მსვლელობას.

4. ბამბის წმინდა ქსოვილი.

5. „... არც ექნება ეს მომავალი".

6. ანტარქტიდა და ავსტრალია.

7. ქინძს.

8. ნაჩუქარზე.

9. მათი დახმარებით რომაელები მოწინააღმდეგის ხომალდებს აფრებს უხევდნენ.

10. ზოოპარკის ბინადარი შიმპანზეები.

11. მას ცალი ფეხი არ ჰქონდა.

12. „პერსპექტივა".

13. ვიეტნამელები გაიძახიან, ჩვენ მხოლოდ უჭკუო ძაღლებს ვჭამთო.

# ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 7-13 აპრილი

**ვერძი**

ფული ეკონომიურად დახარჯეთ. კვირის ბოლოს შესაძლებელია, ფილოსოფიური ლიტერატურის მიმართ გაგიჩნდეთ ინტერესი.

**კურო**

ამ კვირაში სხვათა საიდუმლოებებს შეიტყობთ. მეგობრები ახალ სამსახურს შემოგთავაზებენ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

**ტყუპები**

ეცადეთ, გაჭირვებულებს დაეხმაროთ. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან. დასვენების დღეებში მშობლები მოინახულეთ.

**კირჩხიბი**

უამრავი ახალი საქმის დაწყება-დასრულება მოგიწევთ. დასახმარებლად გამოცდილ კოლეგებს მიმართეთ. დაქორწინებულებს ბედნიერი დასვენების დღეები გელით.

**ლომი**

ფორტუნა გაგიღიმებთ და სანუკვარი ოცნებები აგისრულდებათ. დასვენების დღეებში რომანტიკული თავგადასავლები გელით. კვირის ბოლოს მგზავრობისგან თავი შეიკავეთ.

**ქალწული**

უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. შესაძლოა, სამსახურში ახალი, მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაგავალონ.

**სასწორი**

გაბუტული ნათესავების შერიგება მოგიწევთ. საუკეთესო პერიოდია ახალი იდეების განხორციელებისთვის. დასვენების დღეები შვილებთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

**მორიელი**

ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ნათესავების მიმართ. შუა კვირაში გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა.

**მშვილდოსანი**

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გამოგისწორდებათ. თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან. დასვენების დღეები შვილებთან ერთად გაატარეთ.

**თხის რქა**

თავი შეიკავეთ ნათესავებთან კამათისგან, რადგანაც ზოგიერთმა თხის რქამ შესაძლოა, დამოუკიდებლად ცხოვრება მოინდომოს და მშობლების სახლი მიატოვოს.

**მერწყული**

კარგი პერიოდია ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ჭორებს ნუ გაავრცელებთ. ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზრდება.

**თევზები**

გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. მეგობრებთან უმნიშვნელო კამათი შესაძლოა, დიდ კონფლიქტში გადაიზარდოს. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ.

# ძვირფასი თვლების საიდუმლო

**ორშაბათს** დაბადებულმა ადამიანმა **მთის ბროლი** უნდა ატაროს. ეს თვალი მას ჯანმრთელობასა და სიმხნევეს მოუტანს. ენერგიით აავსებს. აარიდებს ავ თვალსა და ჭორებს.

ძველჩინელებს მიაჩნდათ, რომ მთის ბროლი უშვილო ქალმა უნდა ატაროს. ის ქალს ნაყოფს შეუნარჩუნებს და მშობიარობაში დაეხმარება.

**ლალი სამშაბათს** დაბადებულთა თვალია. მისი ფერი ცეცხლის ენერგიასთან ასოცირდება. ის მფლობელს წარმატებასა და წინსვლას მოუტანს. გაათავისუფლებს დეპრესიისგან და ოპტიმიზმს შემატებს.

ჩინეთში **ამეთვისტო** სიმშვიდისა და ჰარმონიის თვლად მიაჩნიათ. ვისაც უძილობა აწუხებს, თვალი ბალიშის ქვეშ უნდა დაიდოს. გარდა ამისა, ამბობენ, რომ ვინც ამეთვისტოს ატარებს, სასმელი არ მოეკიდება, არ დათვრებაო. ამეთვისტო **ოთხშაბათს** დაბადებულთა თვალია.

მიაჩნიათ, რომ **საფირონი** მასწავლებლების თილისმაა. ის მის პატრონს უბედურებისგან დაიცავს. საფირონი კეთილსინდისიერმა ადამიანმა უნდა ატაროს. იგი **ხუთშაბათს** დაბადებულების თვალია.



სიცოცხლეს ახანგრძლივებს და მელანქოლიისგან იცავს **პარასკევს** დაბადებულთა თვალი — **ზურმუხტი**. იგი მფლობელს წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში დაეხმარება.

**ფირუზი** კეთილდღეობისა და სიმდიდრის თვალია. იგი **შაბათს** დაბადებულებმა უნდა ატარონ. ფირუზი ბედნიერებას მოუტანს შეყვარებულებს. დაქორწინებულებს ღალატისა და უსიამოვნებებისგან დაიცავს.

**ტოპაზი** ქალებს სილამაზით, მამაკაცებს — სიბრძნით აჯილდოებს. ის ადამიანებს ეხმარება კარიერულ წინსვლაში. ტოპაზი **კვირას** დაბადებულთა თვალია.

■



1. ძნელად ასახსნელი, ძნელად გამოსარკვევი
2. დარდი, მწუხარება
3. ფოტოგრაფის სახელოსნო
4. რისამე მარაგი
5. მრავალი ადამიანი
6. სწორი, მიზანშეწონილი
7. გეომეტრიული ფიგურა
8. ფიალა
9. კათოლიკე მღვდელი
10. სრული უწესრიგობა
11. თოვლიანი ქარი
12. დიდი გოჭი
13. კურორტი რაჭაში
14. ბანკის მფლობელი
15. ქიმ. ელემენტი, ლითონი
16. ამერიკული ავტომობილი
17. ქვეყანა აფრიკაში
18. თავისუფალი მცველი ფეხბურთში
19. ჩხუბი, აყალმაყალი
20. მწვანილი
21. ლორად გამოყვანილი ზუთხის გვერდი
22. ექსპერიმენტი
23. ამერიკის შტატი
24. მათემატიკის ნაწილი
25. აზერბაიჯანის პრეზიდენტი
26. რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანი
27. თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში
28. ლაშქარი
29. რისამე საყრდენი, საფუძველი
30. რაგბის საერთაშორისო ფედერაცია
31. ცხვრის ჯოგი
32. თხელი ტალახი
33. ძროხის ნაშიერი
34. ვიბრაცია
35. თხის ჯოგი
36. ბუნებრივი წყალსაცავი
37. ხშირი რახუნი
38. ვულკანის ყელი
39. ... ჯორჯი




**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ლუფტჰანზა; 2. ფროიდი; 3. ოჰაიო; 4. ანცი; 5. არვე; 6. ტროტილი; 7. ტბა; 8. ეზო; 9. სანტიაგო; 10. და; 11. ბიტი; 12. მე; 13. სუიციდი; 14. ფიატი; 15. სიბრალული; 6. ფაუსტი; 17. მესტია; 18. იტალია; 19. ტომ; 20. მთვარე; 21. კაპელა; 22. გერბი; 23. კათარსისი; 24. ყუა; 25. პორტუ; 26. კამა; 27. ფრე; 28. ფიალა; 29. ბაიანი; 30. პასქა; 31. რეალობა; 32. ნიავი; 33. ტრაქეა; 34. ქვენთინ; 35. ვირი; 36. ავტონომია; 37. ნეონი; 38. ინფინიტი; 39. კრაზანა.

**სურათებზე:** 1. ლეტიცია კასტა; 2. ვინსენტ პერესი.

# საფირმო კროსვორდი

| გ | ზ | ა | გ | ზ | ი | ს | თ | ვ | ი | ს | ა | ო | მ | კ | ი | თ | ხ | ვ | ე | ლ | ი | ს | თ | ვ | ი | ს | ა | ო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ა | რ | ა | ი | ი | ა | ნ | ნ | ნ | ა | | ი | კ | გ | ღ | ი | ი | ე | ა | ღ | ვ | რ | ნ | ი | | ი | |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**გ**. ანტილოპის ერთ-ერთი სახეობა; **ზ**. სანთებლების მწარმოებელი ფირმა; **ა**. მთა, რომელთანაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **გ**. სიმებიანი მუსიკალური საკრავი; **ზ**. მუსიკალური საკრავი, რომლის სახელსაც იმ კაცს მიაძახებენ ხოლმე, რომელიც ხმამაღლა ყვირის; **ი**. სუფთა მოგება ძიუდოში; **ს**. რა ერქვა ვიტო კორლეონეს უფროს ვაჟს? **თ**. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ვ**. „ბივალი" — მარგუნოვი, „ბალბეს" — ნიკულინი, „ტრუს" — ?; **ი**. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; **ს**. ტბა სომხეთში; **ა**. სამცხის მმართველთა ტიტული; **ო**. ძვირფასი ლითონი; **მ**. დაბა სვანეთში; **კ**. რა ჰქვია აქლემის შვილს? **ი**. აზნაურის ტიტული ესპანეთში; **თ**. მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც იაკობ ბემეს თქმით, ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ; **ხ**. ხმადაბალი სიცილი; **ვ**. ქალის პირბადე; **ე**. ჩარლი ჩაპლინის ეროვნება; **ლ**. ჯარი; **ი**. ნაწარმოები, სადაც ტროას ომის ბოლო 54 დღეა აღწერილი; **ს**. ქართული კერძი; **თ**. მხურვალე, მცხუნვარე; **ვ**. ქალაქი, სადაც მიმდინარეობს შექსპირის „რომეო და ჯულიეტას" მოქმედება; **ი**. რა დარჩა პანდორას ყუთში, მას შემდეგ, რაც იქიდან შური, ბოროტება, ავადმყოფობები და სხვა მრავალი უბედურება ამოფრინდა? **ს**. შავი ზღვისპირა კურორტი რუსეთში; **ა**. სიმინდის სამშობლო; **ო**. ეშმაკობა, ხრიკი, ფანდი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ**. დიურერი; **ა**. ანხელი; **ი**. იკებანა; **ს**. სტიმული; **ვ**. ვერონა; **ე**. ეზოპე; **ნ**. ნიქოზია; **ე**. ეროზია; **ჩ**. ჩალმა; **ვ**. ვაგნერი; **ე**. ეტალონი; **ნ**. ნაწნავი; **ს**. სევანი; **ჟ**. ჟრიამული; **უ**. უემბლი; **რ**. რეალი; **ნ**. ნეშტი; **ა**. არიადნე; **ლ**. ლიდერი; **თ**. თიანეთი; **ა**. ასინეთა; **ნ**. ნიშა; **ე**. ეკლერი; **რ**. როენა; **თ**. თიბათვე; **ა**. ალარიხი; **დ**. დიოგენე.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**
**უხეირო ქოლგა წვიმაში დაიშლებაო**

# იაპონური სენსაცია
# სუდოკუ

**„გზის" წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 3 | 2 | 5 | 4 | 1 | 8 | 6 |
| 1 | 6 | 8 | 3 | 7 | 9 | 4 | 2 | 5 |
| 4 | 2 | 5 | 6 | 1 | 8 | 7 | 9 | 3 |
| 8 | 5 | 2 | 7 | 4 | 3 | 9 | 6 | 1 |
| 3 | 9 | 1 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 4 |
| 6 | 4 | 7 | 1 | 9 | 2 | 3 | 5 | 8 |
| 2 | 1 | 6 | 4 | 8 | 7 | 5 | 3 | 9 |
| 5 | 3 | 4 | 9 | 2 | 6 | 8 | 1 | 7 |
| 7 | 8 | 9 | 5 | 3 | 1 | 6 | 4 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 6 | 5 | 9 | 4 | 7 | 8 | 1 |
| 5 | 7 | 4 | 8 | 3 | 1 | 9 | 6 | 2 |
| 1 | 8 | 9 | 2 | 7 | 6 | 4 | 3 | 5 |
| 2 | 5 | 3 | 7 | 4 | 8 | 1 | 9 | 6 |
| 7 | 4 | 8 | 1 | 6 | 9 | 5 | 2 | 3 |
| 6 | 9 | 1 | 3 | 2 | 5 | 8 | 4 | 7 |
| 9 | 1 | 5 | 6 | 8 | 3 | 2 | 7 | 4 |
| 8 | 6 | 2 | 4 | 1 | 7 | 3 | 5 | 9 |
| 4 | 3 | 7 | 9 | 5 | 2 | 6 | 1 | 8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 3 | 9 | 7 | 6 | 2 | 5 | 8 |
| 5 | 8 | 7 | 2 | 4 | 3 | 9 | 1 | 6 |
| 6 | 9 | 2 | 5 | 8 | 1 | 4 | 7 | 3 |
| 2 | 1 | 4 | 6 | 9 | 8 | 7 | 3 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 4 | 8 | 9 | 1 |
| 9 | 3 | 8 | 7 | 1 | 5 | 6 | 4 | 2 |
| 3 | 5 | 9 | 4 | 6 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 3 | 7 | 5 | 6 | 9 |
| 8 | 7 | 6 | 1 | 5 | 9 | 3 | 2 | 4 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | | | | |
| | | 3 | | 8 | | 5 | | |
| | 7 | | 6 | | | | 9 | |
| | 9 | | | 2 | | | | 7 |
| | 2 | | | | | | 4 | |
| 5 | | | 7 | | | | 6 | |
| | 1 | | | | 9 | | 7 | |
| | | 5 | | 3 | | 2 | | |
| | | | | | | 8 | | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | 1 | 9 | | |
| | | 6 | | | 7 | 1 | 3 | |
| 4 | 7 | | 6 | | 3 | 5 | | |
| | 5 | | 3 | | 4 | | | 9 |
| 2 | 9 | | | | 6 | | 7 | 8 |
| 8 | | | | 2 | | | 4 | |
| | | 2 | 9 | | 8 | | 5 | 3 |
| | 4 | 9 | 1 | | | 8 | | |
| | | 5 | 4 | | | | 9 | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 9 | | | 3 | | |
| 7 | | | | 5 | | 4 | | |
| | | | 8 | | | | | 1 |
| 9 | | | | 8 | | | | 3 |
| 3 | | | | 1 | 7 | | | 5 |
| 8 | | | | 6 | | | | 2 |
| 6 | | | | | 5 | | | |
| | | 7 | | 3 | | | | 4 |
| | | 2 | | | 1 | | 6 | |

# ფოტოკურიოზები













# პიმაფუცინი®
## ნატამიცინი

## თეთრად შლის სამკურნალოდ

## უსაფრთხოა ორსულობის დროს

## ვაგინალური კანდიდოზის ეფექტური მკურნალობა






**გაიცემა ურეცეპტოდ**

## ნებადართულია ორსულობის ყველა ტრიმესტრში და ლაქტაციის დროს

1 სანთელი ვაგინალურად ძილის წინ 3-6 დღე. ექიმის რჩევით შესაძლებელია გამოყენება ხანგრძლივი დროით. ზოგჯერ შეიძლება აღინიშნოს წვის შეგრძნება.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

astellas

იკითხეთ აფთიაქებში....

დისტრიბუტორი „ავერსი ფარმა," აღმაშენებლის 148/2

## სოკოს საწინააღმდეგო ადგილობრივი საშუალება

### რა არის თეთრად შლა?
ვულვოვაგინალური კანდიდოზი (ანუ თეთრად შლა) – გარეგანი სასქესო ორგანოების და საშოს სოკოვანი დაზიანებაა. კანდიდოზის გამომწვევია კანდიდას სახეობის საფუარისმაგვარი სოკო. ცნობილია, რომ ქალების 75%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც აწუხებს აღნიშნული პრობლემა.

### თეთრად შლის სიმპტომები:
პაციენტების ძირითადი ჩივილებია: ხაჭოსებრი გამონადენი საშოდან, ქავილი (რომელიც ძლიერდება სითბოში, ძილის დროს, თბილი აბაზანის შემდეგ), წვა, ტკივილი სქესობრივი აქტისა და მოშარდვის დროს.

### რა იწვევს თეთრად შლას?
კანდიდას სახეობის სოკო შეიძლება არსებობდეს ჯანმრთელი ქალის საშოში (კანდიდამტარებლობა) და ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის შესუსტებისას ისინი ხდებიან პათოგენურები. იმუნიტეტის დაქვეითება კი თავის მხრივ შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა დაავადებამ ან ანტიბიოტიკების და მაღალდოზირებული ჰორმონალური კონტრაცეპტული საშუალებების ხანგრძლივმა და უკონტროლო გამოყენებამ. ორსულებში თეთრად შლა 2-ჯერ მეტი სიხშირით გვხვდება ჰორმონული ბალანსის შეცვლის გამო. დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია: მჭიდრო საცვლის (ტანსაცმელის) ტარება, სიმსუქნე, პირადი ჰიგიენის უგულვებელყოფა, ცხელი კლიმატი.

### თეთრად შლა ორსულობის დროს:
თეთრად შლა ორსულობის პერიოდში სახიფათოა, რადგანაც შეიძლება ჰქონდეს არასასურველი გავლენა ახალშობილზე. სამშობიარო გზებში ნაყოფის გავლისას შესაძლოა პირის ღრუს კანდიდოზის განვითარება, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს საყლაპავის კანდიდოზში და შემდეგ გავრცელდეს სხვა ორგანოებზე. პიმაფუცინის უპირატესობაა მისი არატოქსიურობა და მხოლოდ ადგილობრივი მოქმედება, რის გამოც იგი შეუცვლელი პრეპარატია ორსულებში კანდიდოზის სამკურნალოდ და ახალშობილების ინფიცირების პროფილაქტიკისათვის.

### როგორ ვუმკურნალოთ თეთრად შლას?
პიმაფუცინის ვაგინალური სანთლების გამოყენებისას მდგომარეობის გაუმჯობესება შეინიშნება მკურნალობის მეორე დღესვე. საშოს მწვავე სოკოვანი ანთების დროს პიმაფუცინის ვაგინალური სანთელი ინიშნება ერთხელ დღეში ძილის წინ 6 დღის განმავლობაში. ქრონიკული პროცესის დროს იგივე დოზირებით 9 დღე. მკურნალობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ექიმმა შეიძლება დანიშნოს პიმაფუცინის ნაწლავში ხსნადი ტაბლეტები, ასევე პიმაფუცინის კრემი პარტნიორის სამკურნალოდ. მკურნალობის პროცესში არ არის აუცილებელი სქესობრივი კონტაქტის გამორიცხვა, არ არის რეკომენდებული მკურნალობის ჩატარება მენსტრუაციის დროს. მკურნალობისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს თქვენი პრობლემის ეფექტურ გადაწყვეტას.

# საუკეთესო პროდუქტები საუკეთესო ფასად

ნიკორა საფირმო

**ერთჯერადი შავი ჩაი „რჩეული" 25 პაკეტი**




~~1.50~~ **1.30**

**ჰერკულესი „იასნო სოლნიშკო" №2**




~~2.00~~ **1.75**

**სამარხვო მაიონეზი „სლობოდა"**




~~1.45~~ **1.30**

**დაჭრილი სოკო „ტონგფა"**




~~4.20~~ **3.40**

**მჟავე კიტრი „ვერესი"**




~~4.50~~ **2.80**

**ძეხვი „სალამი ორიგინალური" „კაიზერი" ნიკორასაგან**



~~8.50~~ **6.70**

**სამარხვო კარაქი „დაჩა"**




~~2.45~~ **2.15**

**ხინკალი სოკოთი „მზარეული"**




~~4.40~~ **3.60**

**სამარხვო კატლეტი კარტოფილითა და წიწიბურით „მზარეული"**



~~3.40~~ **2.80**

**შავი ზეთისხილი, უკურკო „იტლვე"**




~~2.95~~ **2.30**

**დაკონსერვებული სიმინდი • „ვერესი"**




~~1.80~~ **1.60**

**მწვანე ბარდა • „ვერესი"**




~~1.80~~ **1.50**




# 50 წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

**2-დან — 9 მაისამდე**




ედგარ პო

**16-დან — 23 მაისამდე**




ჰომეროსი

**30 მაისიდან — 6 ივნისამდე**




მაინ რიდი

## 11-დან — 18 აპრილამდე

წიგნი 11

ფრედერიკ ბეგბედერი

„99 ფრანკი“

და სხვა დიდი წიგნები...

ყოველ ოთხ შაბათში „კვირის პალიტრასთან“ ერთად!

**მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი**

## წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

**უკვე გამოსული ტომები:** ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი, ერიხ მარია რემარკი

**შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!**

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა“ და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი